PRIME Time

N26 (224) ორშაბათი 1 ივლისი 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

EXCLUSIVE

„ნაცები“ მერაბიშვილს პოლიტიკური პოსტიდან გადაყენებენ და შემდეგ გარიცხავენ?

პირველად „პრაიმტაიმში“ ქალაქის პოლიციის ყოფილი შეფი გირგვლიანის საქმის დეტალებით

EXCLUSIVE

მერაბ ბაღათურია:

„გირგვლიანის მკვლელობიდან მესამე დღეს ჩვენ ეს დანაშაული უკვე გახსნილი გვქონდა“

სკანდალური ექსკლუზივი

EXCLUSIVE

18 წლის ბიჭის გაუპატიურებას ცნობილი პოლიციელი ცდილობდა

ჯონდი ბაღათურია:

„ბურჭულაძეს ორჯერ უფრო მეტი ხმა აქვს, ვიდრე მარგველაშვილს“

EXCLUSIVE

მანანა კობახიძე „ნაციონალური მოძრაობის“ აპრძალვას ითხოვს

EXCLUSIVE

IRI-ს კვლევებს სკანდალი მოჰყვა ბურჯანაძემ ზურაბიშვილს 2% მოჰპარა

EXCLUSIVE

სოსო თოფურიძის ვაჟს იჭერენ?

ვის სატელეფონო ზარს უპასუხა გიორგი თოფურიძემ და რა კავშირშია ამ ყველაფერთან ცნობილი ავტორიტეტი, გიორგი ავალიანი? EXCLUSIVE

გირგვლიანის მკვლელობაში ბრალდებული კუდ-ის მაღალჩინოსნის ოჯახი დუმილს არღვევს

ვისი ბრძანებით მივიდა „შარდენ ბართან“ დავით ქოქიაშვილი და რატომ არ ფიგურირებდა ამ დრომდე მისი სახელი გირგვლიანის მკვლელობაში EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვანო მერაბიშვილს გიორგი ვაშაძე შეცვლის

ერეკლე სტურუა

მართალია, ნაციონალების ცენტრალური ოფისის კედელს ჯერაც ამშვენებს ვანო მერაბიშვილის დიდი „პლაკატი“ წარწერით – „თავისუფლება ვანო მერაბიშვილს“, თუმცა კედლების შიგნით აქტიურად განიხილება მისი პარტიული თანამდებობიდან გადაყენების საკითხი. როგორც ოპოზიციის კულუარებში საუბრობენ, ეს გადაწყვეტილება პარტიის დაგეგმილ რებრენდინგს უკავშირდება და არა იმას, რომ რომელიმე თანაგუნდელი პატიმრობაში მყოფ გენერალურ მდივანს ემიჯნება. პრინციპში, ლოგიკურია. უკვე ცნობილია, რომ საპრეზიდენტო პრაიმერში და შესაბამისად, არჩევნებში, ვანო მერაბიშვილი მონაწილეობას ვერ მიიღებს. ამას ნაციონალებში მისი დაპატიმრებით ხსნიან, შესაბამისად, ლოგიკურად გაჩნდა კითხვა – მოახერხებს თუ არა ციხეში მყოფი გენერალური მდივანი საკუთარი უფლებამოსილების შესრულებას და პარტიის მართვას? ჩვენი ინფორმაციით, „ნაციონალურ მოძრაობაში“ მერაბიშვილის შემცვლელი უკვე შერჩეული ჰყავთ და მალე საზოგადოებას პარტიის ახალ გენერალურ მდივნად გიორგი ვაშაძეს წარუდგენენ. ინფორმაცია პირადად გიორგი ვაშაძესთან გადავამოწმეთ, თუმცა მანამდე კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, ვინ მიიღებს მონაწილეობას „ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო პრაიმერში? კანდიდატები და მათი ლობისტები ჟურნალისტებს პარტიის ოფისში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე სწორედ გიორგი ვაშაძემ გააცნო. მაშ ასე, „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაგეგმილ პრაიმერში, რომელმაც ივლისში პარტიის პრეზიდენტობის საბოლოო კანდიდატი უნდა გამოავლინოს, მონაწილეობას მიიღებენ:

გიორგი ვაშაძე: „რა თქმა უნდა, პარტიაში ბევრი სიახლე იგეგმება“

ექსპრემიერი ჯერ პოლიტიკურ პოსტს დატოვებს შემდეგ კი პარტიას

1. დავით ბაქრაძე – პრაიმერში მისი კანდიდატურა წარადგინეს გიორგი ვაშაძემ, გიორგი ღვინიაშვილმა, პაატა ლეჟავამ, დავით დარჩიაშვილმა და ტარიელ ლონდარიძემ;

2. გიორგი ბარამიძე – მის კანდიდატურას მხარს უჭერენ გიგი წერეთელი, ხათუნა გოგორიშვილი, ზურაბ ჩილინგარაშვილი, გიორგი თევდორაძე და სერგო რატიანი;

3. ზურაბ ჯაფარიძე – პარტიიდან ჯაფარიძის კანდიდატურას ლობირებენ პავლე კუბლაშვილი, გიორგი მელაძე, მარიამ საჯაია, ლევან ბეჟაშვილი და გოგა ხაჩიძე;

4. შოთა მალაშხია – მისი კანდიდატურის წარმდგენთა შორისაა აკაკი ბობოხიძე, ზაზა კედელაშვილი, დავით საყვარელიძე, ომარ მეგრელიძე და ვახტანგ ლემონჯავა.

მოკლედ, „ნაციონალური მოძრაობა“ საპრეზიდენტო კანდიდატის ბედს უახლოეს ხანში გადაწყვეტს, თუმცა ჯერაც გადასაწყვეტია გენერალური მდივნის ბედი. როგორც უკვე გითხარით, ამ პოსტზე ვანო მერაბიშვილს, სავარაუდოდ, გიორგი ვაშაძე ჩაანაცვლებს. თავად ვაშაძე ინფორმაციას არც უარყოფს და არც ადასტურებს. ამბობს, რომ ბევრი სიახლე, მათ შორის გენერალური მდივნის საკითხი, პრაიმერის პროცესში გახდება ცნობილი.

გიორგი ვაშაძე, „ნაციონალური მოძრაობა“:

– გენერალური მდივნის საკითხს გავარკვევთ პრაიმერის პროცესში. რა თქმა უნდა, პარტიაში ბევრი სიახლე იგეგმება.

– საუბარია იმაზე, რომ შესაძლოა, გენერალური მდივნის პოსტი თქვენ დაიკავოთ...

– მოდით, დაველოდოთ მოვლენებს. ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. განხილვა ჯერ არ მომხდარა პარტიაში, რადგან ძალიან რთული პოლიტიკური სიტუაციაა და ჯერჯერობით რეაგირების პროცესში გვინევს ყოფნა.

გენერალური მდივნის შეცვლის საკითხზე საუბარი ნაადრევად მიაჩნია „ნაციონალური მოძრაობის“ კიდევ ერთ წევრს, პავლე კუბლაშვილს, თუმცა ადასტურებს, რომ არსებული გამოწვევების ფონზე, პარტია განახლებას საჭიროებს.

პავლე კუბლაშვილი, „ნაციონალური მოძრაობა“:

– მე არ ვფიქრობ, რომ დღეს ამ თემებზე საუბარი დროულია. ბუნებრივია, ეს არ არის ჩვენთვის მარტივი საკითხი. ცხადია, გენერალური მდივნის გარეშე პარტიის მართვა რთულია, თუმცა გუნდი, რომელიც ამ ხნის განმავლობაში ჩამოყალიბდა, მზად არის, გაუძლოს ასეთ რთულ გამოწვევებსაც კი. ჯერჯერობით, კონკრეტულ პირებზე საუბრისგან თავს შევიკავებ, თუმცა გეტყვით, რომ „ნაციონალურ მოძრაობაში“ მუდმივად ხდებოდა განახლება და რა თქმა უნდა, ახლაც უნდა მოხდეს ეს. ეს არის პროცესი, რომელიც ყოველთვის უნდა ახასიათებდეს პოლიტიკურ ძალას. გამორიცხვით არაფერს გამოვრიცხავ, თუმცა ეს საკითხები ახლა არ არის აქტუალური.

– გასაგებია... ცნობილია, რომ პრაიმერში პირადად თქვენ ზურაბ ჯაფარიძის კანდიდატურას ემხრობით... რა ნიშნით გამოარჩიეთ ის?

– ვფიქრობ, ზურა გამორჩეულია არა მხოლოდ ახალ სახეებს შორის, არამედ დღევანდელ პარლამენტში ის ერთ-ერთი ყველაზე კვალიფიციური პოლიტიკოსია. ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი კვალიფიკაცია ეკონომიკის მიმართულებით. დღეს ჩვენი ქვეყნის ყველაზე მთავარ გამოწვევას სწორედ ეკონომიკა წარმოადგენს. ის მაჩვენებლები, რომელიც სახეზეა, შეიძლება ითქვას, რომ საგანგაშოა. ამიტომ დარწმუნებული ვარ, გვჭირდება ის ადამიანი, რომელსაც კარგად ესმის ეს სფერო, და აქვს მკვეთრად ჩამოყალიბებული ღირებულებები. ზურა ჯაფარიძე პოლიტიკური თვალსაზრისითაც და პიროვნულადაც გამორჩეული ფიგურაა, შესაბამისად, ის სრულად აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს.

პავლე კუბლაშვილი: „არაფერს გამოვრიცხავ, თუმცა ეს საკითხები არ გახლავთ აქტუალური“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სოსო თოფურიძის ვაჟს იჭერენ?

ნინო დათაშვილი



ვის სატელეფონო ზარს უპასუხა გიორგი თოფურიძემ და რა კავშირშია ამ ყველაფერთან ცნობილი ავტორიტეტი, გიორგი ავალიანი?

ჯერ კიდევ ნაციონალური ხელისუფლების პირობებში საუბრობდნენ იმაზე, რომ პატიმართა რაოდენობა უცხოეთიდან მიღებული ფინანსური დახმარების რაოდენობის პირდაპირპროპორციული იქნებოდა. ახლა კი ეს მოსაზრება ელენე თევდორაძემ ღიად დაადასტურა. „თორმეტი წელი ვიყავი ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, ქვეყანაში 7 ათასზე მეტი პატიმარი არ გვყოლია, ამ ახალგაზრდების მოსვლის შემდეგ კი პატიმართა რაოდენობა კატასტროფულად იზრდებოდა. ერთხელ ბოკერიასთან შევედი და ვუთხარი: რა ხდება, რატომ იზრდება ასე დაკავებულთა რიცხვი-მეთქი?.. ბოკერიას პასუხი ასეთი იყო: ჩვენ პატიმართა რიცხვი 24 ათასამდე უნდა გავზარდოთ, რადგან ასეთ შემთხვევაში მოგვცემენ ფულს, რათა ციხეები ავაშენოთო. მისმა ნათქვამმა შოკში ჩამაგდო“, – განაცხადა ელენე თევდორაძემ „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბრისას.

მართალია, ბოკერია ამ განცხადებას ბოდვას უწოდებს, მაგრამ ფაქტს ვერსად წავუვალთ – 2012 წლის მარტის მონაცემებით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში 23 967 პატიმარი იმყოფებოდა. ეს უკვე ის დროა, როდესაც სააკაშვილმა მოახლოებული არჩევნების მოლოდინში, ასე თუ ისე, გაზარდა შეწყალებულ პატიმართა რაოდენობა.

ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ამ წლის მარტის მონაცემებით კი, ციხეებში 10 536 პატიმარი ფიქსირდება. განთავისუფლებულთაგან 8409 ამნისტირებულია, დანარჩენი კი – სააკაშვილის შეწყალებული.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ხმამაღლა არ აღიარებს, მაგრამ, როგორც ჩანს, თავად ყველაზე კარგად იცის, რომ ქვეყანაში კრიმინალური მდგომარეობა მართლა გაუარესდა და უკვე განთავისუფლებული ხალხის მასობრივად უკან შეტრიალება დაიწყო. ყველაზე კარგად კი ერთი მეთოდი „მუშაობს“:

თავისუფლებაზე გამოსული ყოფილი მსჯავრდადებულები უკვე იძულებულნი ხდებიან, მობილური ტელეფონით ან არ ისარგებლონ და თუ მაინცდამაინც სხვა გზა არ აქვთ, ნომრები სისტემატურად გამოცვალონ. მიზეზი ერთია: უკვე ცნობილია იმის თაობაზე, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მობილურები შევიდა. შესაბამისად, იქიდან ირეკება უკვე განთავისუფლებულ მეგობრებთან. ხშირად ზარს უშვებენ ხოლმე. თუ ადრესატი „გაბრიყვდა“ და ზარი უკან განახორციელა, ის უკვე „შარშია“, ვინაიდან, თუ აღმოაჩენს, რომ დაურეკავს მეგობართან, რომელიც საპატიმროში იმყოფება, ის კანონის წინაშე ვალდებული ხდება, დანაშაულის შესახებ სამართალდამცავ ორგანოებში განაცხადოს. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში კი მობილური ტელეფონით სარგებლობა, მოგეხსენებათ, სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი დანაშაულია. შესაბამისად, თუ დანაშაულის შესახებ არ განაცხადებთ, თავადაც დამნაშავე ხდებით.

ასეთი მიდგომით სამართალდამცავ ორგანოებში მასობრივად დაიწყო თავისუფლებაზე გამოსული ყოფილი პატიმრების დაბარება. შემდეგ კი ხდება მათი ერთგვარი „სელექცია“, ვისი დაჭერა აწყობთ და ვისი – არა.

ეს ის რეალობაა, რომლის შესახებაც „პრაიმტაიმთან“ უკვე არაერთხელ გამოითქვა წუხილი. ამ ფონზე კი გავარკვიეთ, რომ ასეთივე მოტივით სამართალდამცველებს სოსო თოფურიძის ვაჟი, გიორგი თოფურიძე დაუბარებიათ. უფრო მეტიც, ჩვენი ინფორმაციით, უახლოეს მომავალში მისი დაპატიმრებაც კი იგეგმება.

ერთი სიტყვით, როგორც „პრაიმტაიმმა“ შეიტყო, გიორგი თოფურიძეს სატელეფონო კავშირი ჰქონია ამჟამად პატიმრობაში მყოფ ერთ-ერთ ავტორიტეტთან, გიორგი ავალიანთან. ვისაც არ ახსოვს, შევახსენებთ:

გიორგი ავალიანი არის ე.წ. მაყურებელი, რომელიც ფიგურირებს 2006 წლის ე.წ. ციხის ბუნტის საქმეში. უფრო კონკრეტულად კი, ის ერთ-ერთი მათგანი იყო, ვინც 2006 წლის 26 მარტს, ღამის პირველ საათზე ციხის საავადმყოფოს დირექტორის ოთახში ბაჩანა ახალაიას მოთხოვნით სხვა „მაყურებლებთან“ – ვიბლიანთან და ცინდელიანთან ერთად ჩაიყვანეს. ცოტა ხანში, იქვე მიიყვანეს ე.წ. კანონიერი ქურდი, პლატონ მამარდაშვილიც. ეს სწორედ ის ავალიანია, რომელმაც ახალაიასგან შეურაცხყოფა ვერ მიიღო და მას ყბაში მთელი ძალით უთავაზა მუშტი. სწორედ ამის შემდეგ ღამის სიკვდილამდე სცემეს იქ მყოფები „სპეცნაზელებმა“. ავალიანს კი გააფთრებულმა ბაჩანა ახალაიამ პირში იარაღი ჩაუდო და მხოლოდ ადგილზე მყოფი „სპენაზელების“ ძალისხმევით მოხერხდა მისთვის იარაღის გამორთმევა. ამ ყველაფერს კი ცნობილი ციხის ბუნტის მოვლენები მოჰყვა. რომლის შედეგადაც, ოფიციალური მონაცემებით, 7 პატიმარი გარდაიცვალა.

ახლა კი სასჯელაღსრულების საგამოძიებო ნაწილში გამოძიებაშია გიორგი ავალიანის მიმართ სისხლის სამართლის საქმე, რომლის სასამართლოზე დადასტურების შემთხვევაში მას კიდევ დიდხანს მოუწევს ყოფნა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. არადა, როგორც მისი ახლობლები აცხადებენ, მას უკვე მალე უწევდა ძველი სასჯელისგან განთავისუფლება.

ავალიანის ახალი ბრალი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ტელეფონით სარგებლობაში მდგომარეობს. ვერაფერს იტყვი, ცინიკური მიდგომაა, რადგან, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, სასჯელაღსრულების სისტემის ხელმძღვანელების თხოვნით ის არჩევნების შემდეგ უკვე რამდენიმე თვეა სისტემაში „სადავეებმიშვებული“ პატიმრების შფოთს აოკებს. უფრო მეტიც, გახსოვთ, ალბათ, არჩევნების შემდეგ ქსნის დაწესებულებაში დაწყებული ხმაური ახალ დირექტორთან, ნუკრი ხუხუასთან დაკავშირებით. როგორც „პრაიმტაიმს“ ატყობინებენ, მაშინ სწორედ სისტემის ხელმძღვანელების ძალისხმევით მოხერხდა ავალიანის ქსანში ეტაპირება, სადაც მან რამდენიმე ადგილობრივი ლიდერი დაიბარა და სიტუაცია, როგორც იტყვიან, დაალაგა.

ხშირად ციხიდან ზარს უშვებენ ხოლმე. თუ ადრესატი „გაბრიყვდა“ და ზარი უკან განახორციელა, ის უკვე „შარშია“

კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსნის, სოსო თოფურიძის ვაჟი კი, სხვა უამრავი ადამიანის მსგავსად, სწორედ იმის დასადასტურებლად დაიბარეს სასჯელაღსრულების საგამოძიებო ნაწილში, რომ ავალიანი მობილური ტელეფონით ნამდვილად სარგებლობდა.

ალბათ, მკითხველს დააინტერესებს გიორგი თოფურიძისა და გიორგი ავალიანის კავშირების შესახებაც. თოფურიძე 2004 წლის მაისში, მეგობართან ერთად, მკვლელობის მუხლით დაიჭირეს. მაშინ მისი მამა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილე გახლდათ. ამ შემთხვევამ საკმაოდ სერიოზული პრობლემები შეუქმნა სოსო თოფურიძეს, თუმცა, მოგვიანებით, როგორც ჩანს, ხელისუფლების მიმართ მისგან გაღებული „ერთგულების ხარკი“ იმდენად მაღალი იყო, რომ მიუხედავად შვილის ასეთი მუხლით გასამართლებისა, თოფურიძე კვლავაც იკავებდა უმაღლეს თანამდებობებს ქვეყნის ძალოვან სტრუქტურებში. როგორც ინფორმირებული ადამიანები გვიამბობენ, მაღალჩინოსნის ვაჟი, იმ 4 წლისა და 8 თვის განმავლობაში, რაც სასჯელის მოხდის ადგილას უნდა გაეტარებინა, ძირითადად ე.წ. „რეზბალნიცაზე“ იმყოფებოდა, რაც, როგორც იმხანად იყო აღიარებული, ყველაზე კომფორტული ადგილია პატიმრებისთვის. ეს ის დაწესებულებაა, სადაც „მაყურებელი“ იყო ზემოხსენებული გიორგი ავალიანი და სადაც ბუნტი დაიწყო. სხვათა შორის, გიორგი თოფურიძე ბუნტის პერიოდში ციხეში იმყოფებოდა. მან დაწესებულება მხოლოდ 2008 წელს დატოვა, როგორც გვიამბობენ, საახალწლოდ. ის პრეზიდენტმა სააკაშვილმა შეიწყალა, იმ დროს, როდესაც მასთან ერთად ახალგაზრდა ბიჭის, კოტე ხელაშვილის მკვლელობის გამო გასამართლებული გოლეთიანი კიდევ დიდხანს იხდიდა სასჯელს. გიორგი თოფურიძის წასაყვანად ციხეში ეკა ხერხეულიძე შესულა. მამა მას გარეთ ელოდა.

მას შემდეგ ის ოქტომბრის არჩევნებამდე სხვადასხვა ბიზნესს „კრიშავდა“. ახლა კი საქმე კვლავ სამართალდამცავ ორგანოებთან აქვს და საკმაოდ საორჭოფო ბრალდებაზე ეჭვით...

„პრაიმტაიმთან“ საუბრისას გიორგი თოფურიძემ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია არ დაადასტურა და სიმართლე გითხრათ, ამის მოლოდინი არც გვქონია... რაც შეეხება სასჯელაღსრულების საგამოძიებო დეპარტამენტს, მისი ხელმძღვანელი ლევან საბანიძე პრესასთან ურთიერთობის სამსახურისკენ მიგვითითებს, ვინაიდან მას თურმე არ შეუძლია ჟურნალისტებთან გამოძიების მიმდინარეობაზე საუბარი... სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი, ირაკლი კორძაია სატელეფონო ზარებს არ პასუხობს...

ვერაფერს იტყვი, „აწყობილი“ სისტემაა იმისთვის, რომ ინფორმაციის გასაჯაროება შეფერხდეს... მაგრამ, ბუნებრივია, „პრაიმტაიმი“ თავის მკითხველს მაინც შეუფერხებლად მიაწვდის მის ხელთ არსებულ ინფორმაციას და აქვე გეტყვით, რომ, როგორც კი გიორგი თოფურიძე სამართალდამცველებმა დაიბარეს, მაშინვე გაჩნდა ეჭვი, რომ მისი ფიგურა სხვა საქმისთვის გაცილებით წონიანია, ვიდრე ავალიანის დანაშაულის დამტკიცებისთვის. არ გამორიცხავენ, რომ ის მის მამასთან სავაჭროდ უფრო სჭირდებათ. თუმცა, დაგვეთანხმებით, ალბათ, რომ, თუ თოფურიძე ამ ხნის განმავლობაში თურქეთის სპეცსამსახურების „კრიშის“ ქვეშ ახერხებს ცხოვრებას ისე, რომ მას ინტერპოლი ვერაფერს უხერხებს, ბუნებრივია, იმის საშუალებებსაც გამონახავდა, რომ მსგავსი გაუგებრობებისგან საქართველოში თავისი ვაჟიც დაიცვას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანას მასაც დაატოვებინებდა. ამიტომ, სულაც არ არის გამორიცხული, რომ გიორგი თოფურიძის ე.წ. დაკითხვა ერთი „ოპერატიული მანევრი“ იყო მხოლოდ, რომლის შემდეგაც დღის წესრიგში მდგარი რაღაც ამოცანა, უბრალოდ, გადაწყდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გირგვლიანის მკვლელ-ის კუდ-ის მაღალჩინოსნის



EXCLUSIVE

my View
მირიან ბოქოლიშვილი

გასულ კვირას ვანო მერაბიშვილს გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე ბრალი ოფიციალურად დაუმძიმდა... შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ედება ბრალად. ხელახალი გამოძიების დასკვნით ეტაპზე პროკურატურამ ამ საქმის ახალი გარემოებები და ახალი ფიგურანტები გამოავლინა. მათ შორის ერთ-ერთი შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი, დავით ქოქიაშვილია. ქოქიაშვილის სახელი გირგვლიანის საქმეში ამ დრომდე არსად ფიგურირებდა, თუმცა ფაქტია, რომ მისი კარიერული წინსვლა სწორედ ამ გახმაურებული მკვლელობის შემდეგ იწყება. თავად ქოქიაშვილის ახლობლები უწყებრივ დაწინაურებას მის პროფესიონალიზმს უკავშირებენ. ბრალდებულის და, ნანა ქოქიაშვილი პირველად არღვევს დუმილს და „პრაიმტაიმთან“ გირგვლიანის საქმეზე საუბრობს, თუმცა მანამდე გაგაცნობთ ამონარიდს პროკურატურის საბრალდებო დასკვნიდან, სადაც პირველად გაიჟღერა დავით ქოქიაშვილის სახელმა.

„სუფრასთან მყოფი დათა ახალაიას დავალებით, ს. გირგვლიანთან ანგარიშსწორების მიზნით, „შარდენ ბარის“, თავისუფლების მოედნის, ლესელიძის ქუჩის მიმართულებით და მიმდებარე ტერიტორიებზე განლაგდნენ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები: გერონტი ალანია, ავთანდილ აფციაური, ალექსანდრე ღაჭავა, მიხეილ ბიბილურიძე, დავით ქოქიაშვილი, იოსებ ხასაია, ვალერიან მეტრეველი და სხვები. დროის რაღაც პერიოდის გასვლის შემდეგ ს. გირგვლიანმა და მისმა მეგობარმა დატოვეს ბარი და გარეთ გავიდნენ. მათ დათა ახალაიას მითითებით უკან გამოჰყვათ მინისტრის მეუღლის სუფრის ერთ-ერთი წევრი – ო. მელნიკოვი, რათა დ. ახალაიას გამოძახებით ქუჩაში მყოფი კუდ-ის თანამშრომლებისთვის მიენიშნებინა მსხვერპლზე. ო. მელნიკოვის მინიშნებით გ. ალანიამ, თანმხლებ პირებთან – ალ. ღაჭავასა და დ. ქოქიაშვილთან ერთად, ს. გირგვლიანი და მისი მეგობარი ძალის გამოყენებით ჩაისვეს ავტომანქანაში და გაიტაცეს ქალაქგარეთ, თბილისიდან 6 კილომეტრის მოშორებით მდებარე ოქროყანის სასაფლაოზე. აქ მათ შემოუერთდათ ა. აფციაური და მ. ბიბილურიძეც. გამტაცებლებმა ს. გირგვლიანი და მისი მეგობარი გააშიშვლეს ძლიერ ყინვაში და სასტიკად სცემეს. ს. გირგვლიანს წამების მიზნით სხეულის სხვადასხვა არეში დანით მიაყენეს აურაცხელი ჭრილობა, მათ შორის 12 ჭრილობა ყელის არეში. გარდა ამისა, მას დაზიანებები აღენიშნებოდა ასევე მარცხენა მხარზე, მარცხენა წინამხარზე, მარჯვენა მხარზე, თითებზე, მუცელზე, ორივე მუხლზე, წვივებზე, თეძოებზე, შუბლზე, ცხვირზე და თვალების ირგვლივ და ასეთ უმწეო მდგომარეობაში მყოფი, გვიან ღამით, მიატოვეს უკაცრიელ ადგილას. 2006 წლის 28 იანვარს, დაახლოებით 15:00 საათზე, სანდრო გირგვლიანის გვამი მისმა მეგობრებმა იპოვეს ოქროყანის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე. გირგვლიანისთვის ჭრილობათა უმეტესობა მიყენებული იყო ყელის არეში, მათ შორის სასიკვდილო აღმოჩნდა ხორხზე მიყენებული ღრმა ჭრილობები“, – ვკითხულობთ თბილისის პროკურორის მაია მწარიაშვილის მიერ გამოქვეყნებულ საბრალდებო დასკვნაში.

სანდრო გირგვლიანის მკვლელობის დროს (2006 წელი) დავით ქოქიაშვილი კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მე-2 სამმართველოს პირველი განყოფილების უფროსის მოადგილედ მუშაობდა. მკვლელობიდან რამდენიმე თვეში ის მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის პირველი განყოფილების უფროსის თანამდებობაზე გადაჰყავთ, შემდეგ კახეთის სამხარეო სამმართველოს უფროსის პოსტს იკავებს. ამ თანამდებობაზე დაჰყო 2011 წლამდე, რის შემდეგაც ის კუდ-ის თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ დაინიშნა. 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებამდე დავით ქოქიაშვილი ისანი-სამგორის

დავით ქოქიაშვილი

ვისი ბრძანებით მივიდა „შარდენ ბართან“ დავით ქოქიაშვილი? რატომ არ ფიგურირებდა ამ დრომდე მისი სახელი გირგვლიანის მკვლელობაში და რა კავშირი აქვს მას ბიზნესმენ მეგუთნიშვილის წამებასთან?

შს სამმართველოს უფროსიც გახლდათ, თუმცა ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, 18 ოქტომბერს მან პოლიციის სტრუქტურა საერთოდ დატოვა. სამსახურებრივი მდგომარეობის პარალელურად იზრდებოდა მისი ფინანსური მდგომარეობაც. ოფიციალური ინფორმაციით, ქოქიაშვილის წლიური ხელფასი 2009 წელს – 21 ათას ლარს, 2010 წელს – 41 ათას ლარს, 2011 წელს – 68 ათას ლარს და 2012 წლის ოქტომბრამდე, ჯამში, 57 ათას ლარს აღწევდა.

ნანა ქოქიაშვილი, დავით ქოქიაშვილის და:

– მე საერთოდ არ ვუსმენ ტელევიზიას. ათას რაღაცას აცხადებენ, ტყუილს თუ მართალს. შემიძლია გითხრათ, მხოლოდ ის, რომ დათო არის ერთ-ერთი სუფთა, კეთილშობილი და ძვირფასი ადამიანი. არა იმიტომ, რომ ჩემი ძმაა. შეგიძლიათ, სხვასაც ჰკითხოთ. უბრალოდ, როცა მორიგე ხარ, გირეკავენ და გეუბნებიან, რომ მიხვიდე იმ ადგილას, სადაც ეს ხდება, სხვანაირად არ გამოდის. ვერავინ ვერ ეტყვის უარს თავის უფროსს, როცა ასეთ ბრძანებას იღებს.

– ანუ მას დაურეკეს და უბრძანეს, ადგილზე მისულიყო?

– კი, მორიგე იყო, დაურეკეს და გამოცხადდა შემთხვევის ადგილზე. არც იცოდა, რისთვის იბარებდნენ. მე-2, მე-3 დღემდე არ იცოდა, იქ რა ხდებოდა. იქ არავის უთქვამს, რისთვის იბარებდნენ.

– კონკრეტულად ვინ დაურეკა და სთხოვა, ადგილზე მისულიყო?

– არ ვიცი, გენაცვალე. ასეთი დეტალების შესახებ ნამდვილად არ მაქვს ინფორმაცია.

– ოჯახთან არ უსაუბრია ამ თემაზე?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლოგაში ბრალდებული ოჯახი დუმილს არღვევს

ნანა ქოქიაშვილი: „დათო არის ერთ-ერთი სუფთა, კეთილშობილი და ძვირფასი ადამიანი... ვერავინ ვერ ეტყვის უარს თავის უფროსს, როცა ასეთ ბრძანებას იღებს“

– მე რაიონში ვცხოვრობ და ხშირად არ მიწევდა ჩემს ძმასთან ურთიერთობა. მშობლებთან ჰქონდა, რა თქმა უნდა, საუბარი, ვიცოდით, მაგრამ დეტალებზე პირადად მე არ მისაუბრია.

– ანუ, ბატონი დათო აღიარებს, რომ ნამდვილად იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე?

– კი, მაგრამ არ იცოდა, რა მიზნით იმყოფებოდა და რატომ მიიყვანეს იქ.

– სანდრო გირგვლიანის ცემის ფაქტში უშუალოდ მონაწილეობდაო, ამბობენ...

– არა, არა. ის მანქანიდან საერთოდ არც გადმოსულა. მეც ველოდები უფრო კონკრეტულად, რას ედავებიან. ვიცი, რომ ღმერთის წინაშე მართალია და მას არავის მკვლელობაში მონაწილეობა არ მიუღია. ჩემს ძმას სინდისი არასოდეს შეანუხებს, რადგან მას დანაშაული არ ჩაუდენია.

– გირგვლიანის მკვლელობის შემდეგ მას მუდმივად აწინაურებდნენ... ამ ფაქტს, როგორ ხსნით?

– ისედაც აწინაურებდნენ, ეს საქმე არაფერ შუაშია მის დაწინაურებასთან. პერიოდულად ხდებოდა მისი სხვადასხვა თანამდებობებზე გადაყვანა, რადგან ძალიან ბევრი საქმე ჰქონდა გახსნილი და ბევრი სიკეთე აქვს გაკეთებული. რატომ არ უნდა დაწინაურებულიყო? არანაირი კავშირი არა აქვს გირგვლიანის საქმესთან ამ ყველაფერს.

– გამოძიებასთან თანამშრომლობს?

– რა თქმა უნდა, თანამშრომლობს. რაც იცის და როგორც იყო, ისე იტყვის. რაც არ ყოფილა, იმას როგორ იტყვის.

– პოლიციიდან საკუთარი სურვილით წავიდა?

– პენსიაში გავიდა. ეს მოხდა არჩევნების შემდეგ. პენსია ეკუთვნოდა და გავიდა.

– შსს-ს მაღალჩინოსნებთან, რომლებიც ასევე ფიგურირებენ გირგვლიანის საქმეში, მეგობრობდა ბატონი დავითი?

– არ ვიცი. ასეთი დეტალები მე ნამდვილად არ ვიცი.

ბიზნესმენ მეგუთნიშვილის საქმე

მოკლედ, ასეა თუ ისე, შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსანი დაკავებულია, თუმცა გირგვლიანის მკვლელობა არ გახლავთ ერთადერთი საქმე, სადაც დავით ქოქიაშვილის სახელი ფიგურირებს. „პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა, რომ კახეთის სამხარეო პოლიციის ყოფილ უფროსს, შესაძლოა, ბრალი ბიზნესმენ ალექსანდრე მეგუთნიშვილის წამების ბრალდებითაც დაუმძიმდეს. დავით ქოქიაშვილს, კუდ-ის მაღალჩინოსნებთან ერთად, თავად ბიზნესმენი ამხელს, რომელიც აცხადებს, რომ კახეთის კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მაღალჩინოსნები მას დიდი ოდენობით ფულს სძალავდნენ, თუმცა, როდესაც თანხა ვერ მიიტანა, ფიზიკურად გაუსწორდნენ და აწამეს. ალექსანდრე მეგუთნიშვილი აცხადებს, რომ კუდ-ის კახეთის სამმართველოს ყოფილმა უფროსმა ზურაბ ლალიაშვილმა და მისმა მოადგილემ, დავით ლორთქიფანიძემ, აიძულეს, 98 ათას დოლარად ღირებული მანქანები ეყიდა.

შს მინისტრის ყოფილი მოადგილის, გია ლორთქიფანიძის ძმა დავით ლორთქიფანიძე სამართალდამცავებმა, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით, 2012 წლის დეკემბერში დააკავეს. შსს-ს ინფორმაციით, დავით ლორთქიფანიძემ, თავის ყოფილ უფროს ზურაბ ლალიაშვილთან ერთად, სოფელ წინანდალში მცხოვრებ ალექსანდრე მეგუთნიშვილზე სხვადასხვა სახის ზეწოლა განახორციელა, რის შედეგადაც მეგუთნიშვილმა, 2011 წლის მარტში, შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტს „ტოიოტა ლენდ კრუიზერ 200“ და ორი „ტოიოტა ქამრი“ შეუძინა. პროკურატურა ლორთქიფანიძესა და ლალიაშვილს სსკ-ის 333-ე მუხლის, III ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში სდებს ბრალს, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს და 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სავარაუდოდ, სწორედ ამ საქმეზე დაუმძიმდება ბრალი დავით ქოქიაშვილსაც, რომელიც ბიზნესმენის ჩვენებაში ფიგურირებს.

ამონარიდი დაზარალებულის ჩვენებიდან:

„მაქვს მცირე ბიზნესი, ღვინის ქარხანა და ხორცის საწარმო. 2010 წლის ივლისის ბოლოს დამირეკა კუდ-ის თანამშრომელმა ზაზა უზუმაშვილმა და კუდ-ის კახეთის სამმართველოში დამიბარა, თათბირია ლორთქიფანიძესთანო. რომ მივედი, იქ იყო თელავის სამშობიაროს დირექტორი ავთო ყამბარაშვილიც. დათომ გვითხრა, 10 000 აშშ დოლარი უნდა მოიტანოთ „აფხაზეთის რადიოსთვის“, თორემ ამას ვიზამთ, იმას ვიზამთო. მე ვუთხარი, მეპატრონე აქ არ არის, 2 000-ზე მეტი არ შემიძლია-მეთქი. არაფერი მითხრა. ერთ საათში უზუმაშვილი მირეკავს, ფულზე რას შვრები, მოიტანე, თორემ საქმე ცუდად გექნებაო. 1 000 დოლარი მეგობარ „ვალუტჩიკებს“ გამოვართვი და კუდ-ში მივიტანე. ეს რა არის, მასხარად გვიგდებ? უფროსები შენზე გაბრაზებულები არიანო, – მითხრა ზაზამ “, – ამბობს ჩვენებაში ალექსანდრე მეგუთნიშვილი და იქვე აღნიშნავს, რომ ამ ფაქტიდან სამ კვირაში შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ის დააკავეს. ალექსანდრე მეგუთნიშვილი ირწმუნება, რომ დაკითხვის დროს მას კუდ-ის კახეთის სამმართველოს უფროსი ზურაბ ლალიაშვილი და კახეთის პოლიციის უფროსი დავით ქოქიაშვილი ფიზიკურად გაუსწორდნენ.

„ბექა მეზვრიშვილი მკითხავდა. უცბად შემოვარდნენ ლალიაშვილი და ქოქიაშვილი, სამხარეო სამმართველოს უფროსი. მეზვრიშვილმა რომ დაინახა, გავიდა. ლალიაშვილს ვერცხლისფერი იარაღი ეჭირა. ორივემ დამიწყო ცემა იარაღით, წიხლებით, ხელებით, მთელ სხეულზე მირტყამდნენ და მაგინებდნენ. მოკლედ, მე ჩვენება არ მიმიცია, ბექა მეზვრიშვილმა დაწერა და არც წამიკითხავს, ისე მოვაწერე ხელი. აზრი არ ჰქონდა, რა ეწერებოდა. იმავე საღამოს ჩემი ბიძაშვილი ალექსი მეგუთნიშვილი და ორი თანამშრომელი – გიორგი აბაშიძე და ვალერი ზარნაძე დააკავეს და ძალიან სცემეს. პოლიციის უფროსის კაბინეტში უცემიათ შოთა ბეჟანიშვილს, ქოქიაშვილს და აკა საჩიშვილს წყლიანი ბოთლით“, – ყვება საკუთარ ჩვენებაში ბიზნესმენი ალექსანდრე მეგუთნიშვილმა.

დაზარალებულმა ბიზნესმენმა საკუთარ ჩვენებაში ასევე დეტალურად მოყვა გლდანის მე-8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნის პერიოდი.

„გლდანის ციხეში ჯოჯოხეთურ პირობებში ვიყავი. 8 კამერა შემიცვალეს, თავიდან კარანტინში ვიყავი 2 კვირა. მერე ცოტა ხანს კამერაში გადამიყვანეს. მერე ისევ ხან კარანტინში ვიყავი, ხან „ფუქსებში“, ეს კვადრატულმ-ეტრიანი ბეტონის ოთახია, სადაც არც სკამია, არც საწოლი. ერთხელ მუხაძესთან ჩამიყვანეს. გაბრაზებული იყო. ჩემი თანამშრომელი რატომ სცემეო, რა სიტყვებს მეუბნებოდა, ამას აქ ხომ ვერ ვიტყვი?.. ისე მცემეს, რომ გონება დავკარგე და თვითონაც შეეშინდათ, რაღაც ნემსები გამიკეთეს, რომ გონზე მოვსულიყავი თურმე. 7-8 კაცი ეხვია ძაღლებივით, თავის მართლებას თუ დავინყებდი, ხელს აიქნევდა და ისინიც მომცვივდებოდნენ. მაისურს ზედ მახევდნენ და ჩემივე მაისურით მწმენდდნენ სხეულზე სისხლს. იმ შვიდიდან 1 ფაცაცია იყო, დანარჩენები არ ვიცი. ყველაფერს ენით ვერ გადმოსცემ, რაც ხდებოდა. ღამეში 5-6-ჯერ გავყავდი, ტუალეტში მაბამდნენ, მაგინებდნენ და მცემდნენ. ამდენი ცემისგან ბოლოს ფსიქოლოგიურად ისე ცუდად ვიყავი, ოთახში დავრბოდი. ერთხელ ახლანდელი გენპროკურორი კბილაშვილი იყო საქმეზე, იმან დამინახა და შემოიხედა, რა სჭირსო? არაფერი, ხულიგნობაზეა დაჭერილიო, უთხრეს. ფაცაცია ამბობდა ხოლმე, ტუალეტში რომ შევა, კარი ღია იყოს, ვენები არ გადაიჭრასო, ისე ცუდად ვიყავი“, – განაცხადა ალექსანდრე მეგუთნიშვილმა.

ბიზნესმენი 2010 წლის 3 დეკემბერს 30-ათასლარიანი გირაოთი გამოუშვეს. როგორც თავად ყვება, ციხიდან გამოსვლის შემდეგ ის კუდ-ის მაღალჩინოსნებთან ერთად წავიდა „მათე მოტორსში“, სადაც 58 000 დოლარად ღირებული „ტოიოტა ლენდ კრუიზერი“ და 2 „ქამრი“ – 19 300 და 19 000-დოლარიანი უყიდა კუდ-ს. დარჩენილი 1 600 დოლარი თელავში გადასცა კუდ-ის თანამშრომელს. მეგუთნიშვილი ირწმუნება, რომ, საბოლოოდ, ყველაფერი 130 000 დოლარი დაჯდა. ის ახლა კუთვნილი თანხის უკან დაბრუნებასა და დამნაშავეების დასჯას ითხოვს. დამნაშავეებს შორის კი, სხვებთან ერთად, კახეთის სამხარეო პოლიციის იმჟამინდელ უფროსს, გირგვლიანის საქმის ერთ-ერთ ფიგურანტს, დავით ქოქიაშვილს ასახელებს.

„ჩემს ძმას სინდისი არასოდეს შეანუხებს, რადგან მას დანაშაული არ ჩაუდენია“



ალექსანდრე მეგუთნიშვილი

„გირგვლიანის მკვლელობა არ გახლავთ ერთადერთი საქმე, სადაც დავით ქოქიაშვილის სახელი ფიგურირებს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თაკო სალაყაიას პასუხისგებაში მისცემენ



EXCLUSIVE

მერაბიშვილის მეუღლეს თავისუფლების 7 წლამდე ვადით აღკვეთა ემუქრება?

რატომ არ შეუფარდა აღმკვეთი ღონისძიება სასამართლომ ვანო მერაბიშვილს და რა პოლიტიკურ ხრიკს იყენებს პროკურატურა?

მარიამ ნადირაძე

დაახლოებით ცამეტი წლის წინათ ახალციხეში ერთი მხიარული ქორწილი გაიმართა. მეჯვარე დეპუტატი იყო, მაგრამ მანდატი სულაც არ უშლიდა ხელს, რომ გულიანად მოელხინა. სიძის ნათესავი, ერთი მატრაკვეცა, საყვარელი გოგო თავისი სილაღით, ახტაჯანობითა და მორგებული ცეკვის მანერით ყველას ყურადღებას იპყრობდა. ის მაშინ ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო, მაგრამ ასაკით ბევრად უფროსი დეპუტატის ყურადღება მაინც მიიპყრო...

ცოტა ხანში გოგონა თბილისში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად ჩამოვიდა, ნათესავის ბინაში დაიწყო ცხოვრება და... სულ მალე ახალი ქორწილიც გაიმართა. მაშინ ამ ქორწილს საზოგადოების ყურადღება არ მიუპყრია, რადგან არც მერაბიშვილი იყო „მერაბიშვილი“ და არც თაკო სალაყაია – „სალაყაია“...

ამ ისტორიის შემდეგ მკითხველს, ალბათ, სინანულიც გაუჩნდება მოქმედი პირების მიმართ, მაგრამ... ეს ამბავი მართლა მოხდა 13 წლის წინათ, როდესაც ამირან მესხელმა პირველად იქორწინა. წლების შემდეგ ისიც რუხი კარდინალი გახდა, როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის მანტია მოირგო და შეიფერა... დღეს ერთი გაქცევაშია, მეორე – ციხეში, მესამე კი მეუღლის სასამართლო პროცესებზე სისტემატურად ჩნდება და პროკურატურისგან მორიგ „მოწვევას“ ელის.

მერაბიშვილი-სალაყაიას წყვილის გარშემო უკვე ერთი ათეული წელია, სკანდალები არ ცხრება. უფრო მეტიც, ისინი არაერთხელ „დააშორეს“ ერთმანეთს. ეს ამბავი განსაკუთრებული „აღტყინებით“ 2006 წლის შემდეგ განიხილებოდა, ანუ მას შემდეგ, რაც საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა სანდრო გირგვლიანის მკვლელობის შესახებ, რომლის მიზეზიც, თავის დროზე, სასამართლოში ამ ვერსიის იგნორირების მიუხედავად, თაკო სალაყაიას გასაგრნად უცენზურო გამოსვლები გახდა.

მეტიც, როგორც ამბობენ, სწორედ ამ პერიოდიდან იღებს სათავეს დათა ახალაიასა და ვანო მერაბიშვილს შორის დაპირისპირება, ვინაიდან მინისტრი მიიჩნევდა, რომ მისი მეუღლე „შარში“ სწორედ ახალაიას წყალობით გაეხვია...

სანამ მერაბიშვილი „მერაბიშვილობდა“, საქმეს ერთი შეხედვით ეშველა კიდეც, თუმცა ახალი ხელისუფლების მოსვლისთანავე, გირგვლიანის საქმე ძველი ხელისუფლებისთვის აქილევსის ქუსლად რეალურად გადაიქცა.

გასულ კვირას ყოფილ მინისტრს ოფიციალურად წარუდგინეს ბრალი სანდრო გირგვლიანის საქმეში თანამდებობრივი ულებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლით. პროკურატურა ოფიციალურად აქვეყნებს მერაბიშვილის ბრალდების საქმეზე დადგენილებას, რომლის ქვეტექსტებში თავშივე იკითხებოდა, რომ ამ საქმეს სხვა მაღალჩინოსნებიც გადაჰყვებოდნენ. გთავაზობთ ამონაწერს დადგენილებიდან: „თავისუფლების მოედნის ლესელიძის ქუჩის მიმართულებით და მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგდნენ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები: გერონტი ალანია, ავთანდილ აფციაური, ალექსანდრე ღაჭავა, მიხეილ ბიბილურიძე, დავით ქოქიაშვილი, იოსებ ხასაია, ვალერიან მეტრეველი და სხვები...“

პირველმა ოთხმა სასჯელი უკვე მოიხადა ძველი ხელისუფლების პირობებში (თუ ამას სასჯელის მოხდა ჰქვია). ამიტომ თავშივე გაჩნდა მოლოდინი იმისა, რომ გირგვლიანის საქმეზე გისოსებსმიღმა ჩამოთვლილი დანარჩენი პირებიც მოხვდებოდნენ. დავით ქოქიაშვილს სასამართლომ წინასწარი პატიმრობა უკვე შეუფარდა. ლოგიკურად იგივე ბედს გაიზიარებენ ხასია და მეტრეველიც...

აქვე, სანამ სხვა „პერსპექტივებზე“ ვისაუბრებთ, მკითხველის ყურადღებას ერთ დეტალზე შევაჩერებთ: გირგვლიანის საქმეზე პროკურატურის მხრიდან აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობის მოთხოვნის მიუხედავად, სასამართლომ მერაბიშვილი აღმკვეთი ღონისძიების გარეშე დატოვა. სასამართლო განმარტებებს ჯერ არ აკეთებს, თუმცა „პრაიმტაიმს“ პრივატულ საუბარში ეს გადაწყვეტილება ასე აუხსნეს: ვინაიდან პროკურატურის ბრალდება სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლით კვალიფიცირდებოდა, ასეთი მუხლით სასამართლოს მერაბიშვილისთვის პატიმრობა უკვე ჰქონდა შეფარდებული და ამიტომ, კანონის თანახმად, ხელმეორედ იგივე ღონისძიების შეფარდების ვალდებულება არ გააჩნდა. შესაბამისად, ორად გაიყო ექსპერტების მოსაზრებაც. მაგალითად, პროფესორი გია მეფარიშვილი მიიჩნევს, რომ სასამართლომ გადაწყვეტილება აბსოლუტურად კანონის ფარგლებში მიიღო, რადგან ამაზე პირდაპირ მიუთითებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში არსებული ნორმა. ეს თუ ასეა, მაშინ ჩნდება ლოგიკური კითხვა, რატომ მოითხოვა პროკურატურამ პატიმრობა, როცა იცოდა, რომ სასამართლო ამას არ დაკმაყოფილებდა? შესაბამისად, ჩნდება ეჭვიც, რომ ეს პროკურატურის მხრიდან იყო ერთგვარი პოლიტიკური მანევრი ხალხის გულის მოსაგებად და კიდევ ერთხელ იმის საჩვენებლად, რომ ის კი ასრულებს საზოგადოებრივ მოთხოვნას, მაგრამ სასამართლო, რომელიც ჯერ კიდევ „ნაციონალური გავლენის ქვეშ არის“, სამართლიანობის აღდგენის საშუალებას არ აძლევს.

სამწუხაროდ, არც მერაბიშვილის ადვოკატს ჩაბარებია განჩინების სამოტივაციო ნაწილი, რათა მის გარშემო დაგვესვა კონკრეტული კითხვები. ამიტომაც სიტყვაზე უნდა ვენდოთ პროკურატურის პოზიციის მხარდამჭერებსაც, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ვინაიდან საქმე სულ სხვა დანაშაულთან გვაქვს, პროკურატურას მასზეც უნდა მოეთხოვა პატიმრობა. ამ პოზიციას კი იზიარებს ყოფილი მოსამართლე, ნინო გვენეტაძე.

ასეა თუ ისე, პროკურატურა ამ ეტაპზე ოფიციალურ კომენტარს არ აკეთებს, თუმცა, „პრაიმტაიმმა“ შეიტყო, რომ ის არც სასამართლოს ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას გეგმავს... ამდენად, რჩება ერთი კითხვა: ვთქვათ, მერაბიშვილი განთავისუფლდეს იმ ბრალდებისგან, რომელზეც მას აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა აქვს შეფარდებული, რა შემაკავებელი ფაქტორები იარსებებს იმისთვის, რომ გირგვლიანის საქმეზე ის არ დაემალება გამოძიებას, ან არ მოახდენს ზეწოლას მონმეებზე?

სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ეს კითხვა ღიად რჩება, რადგან ოფიციალური სტრუქტურები რატომღაც პასუხის გაცემისგან თავს იკავებენ.

ახლა კი გადავიდეთ შემდეგ ეტაპზე:

ქალაქის პროკურორმა, მაია მწარიაშვილმა ღიად განაცხადა, რომ გირგვლიანის საქმეზე ბრალი უსათუოდ დაუმძიმდება დათა ახალაიას. იგივეს ვარაუდობენ მელნიკოვზეც, რადგან ის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ ფიგურად იკვეთება საქმეში, რომელიც შარდენის სუფრას ოქროყანის ინციდენტთან აკავშირებს. ეს ის ხალხია, ვინც ისედაც გაქცეულია და პასუხისმგებლობას თავს არიდებს.

საქმეში არსებობს ერთი გამოკვეთილი გვარიც. გთავაზობთ ამონაწერს დადგენილებიდან: „დადგინდა ისიც, რომ საქმის მწარმოებელმა გამომძიებელმა, ს. გირგვლიანის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმე, 2006 წლის 5 მარტს, ქ. თბილისის იმჟამინდელ პროკურორს გ. ღვინიაშვილს, მისივე მოთხოვნით, სათანადო მიმართვით დაუტოვა საკუთარ კაბინეტში. შემდგომ, აღნიშნული მიმართვის ტექსტი ასევე შეიცვალა სხვა მიმართვის წერილით, ვინაიდან ს. გირგვლიანის საქმეს გ. ღვინიაშვილისთვის გადაცემის დროს, თან ერთვოდა 3 ლაზერული დისკი: „მაგთის“ ანძების მონაცემები; „ჯეოსელის“ ანძების მონაცემები და ბ. პატარკაციშვილის სახლიდან ამოღებული ვიდეოთვალის ჩანაწერი, სადაც ასახული იყო დამნაშავეთა მოძრაობა ოქროყანის მიმართულებით და უკან. დისკი მოიცავდა ჩანაწერს ღამის 02.00 საათიდან 03.00 საათამდე. საქმეში დღეს წარმოდგენილი მიმართვა აღარ მოიცავს მითითებას ამ დანართებზე და შესაბამისად, საქმეზე დართული ჩანაწერი ამჟამად არის მხოლოდ 34 ნამი“.

გიორგი ღვინიაშვილი ამჟამად პარლამენტის დეპუტატია და მას ეს მანდატი კიდევ მინიმუმ 3 წლის განმავლობაში დაიცავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან...

ვასილ სანოძემ და გურამ დონაძემ გამოძიებას უკვე მისცეს ჩვენებები და მათი მიმართულებით რაიმე „საშიშროება“ ჯერჯერობით არ იკვეთება...

რჩება თაკო სალაყაია... სანამ ჩვენი წყაროს ინფორმაციას გაგანდობდეთ, პროკურატურის პოზიცია შეუიარაღებელი თვალითაც შეგვიძლია ამოვიკითხოთ ხსენებული დადგენილების ქვეტექსტებში, სადაც „შარდენ ბარში“ გაშლილი სუფრა „მერაბიშვილის მეუღლის სუფრად“ არაერთხელ არის მოხსენიებული და ახალი გამოძიების ამოსავალიც სწორედ ამ სუფრის ოქროყანის ინციდენტთან დაკავშირებაა. გამოძიება თაკო სალაყაიას ასე იხსენიებს: „ალბათობის მაღალი ხარისხით, თამარ მერაბიშვილი იყო „შარდენ ბარში“ და ოქროყანის სასაფლაოზე მომხდარი ფაქტის ერთ-ერთი ყველაზე ინფორმირებული ფიგურანტი და როგორც მინიმუმ – მოწმე“.

შესაბამისად, როგორც ჩვენი წყარო იტყობინება, თაკო სალაყაიას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას 370-ე მუხლით დააკისრებენ, რომელიც მოწმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემით განიმარტება და 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ყოფილი მინისტრის მეუღლე აუცილებლად გისოსებსმიღმა აღმოჩნდება, რადგან ის მერაბიშვილთან ერთგვარი ვაჭრობის საუკეთესო იარაღად რჩება. შესაბამისად, თაკო სალაყაიას მომავალიც სწორედ იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად „ივაჭრებს“ თავად მერაბიშვილი სამართალდამცველებთან...

შესაბამისად კი, საერთო სურათი ასე ისახება: უახლოეს მომავალში ბრალი წარედგინებათ ძირითადად იმ პირებს, რომლებიც უკვე მიმალვაში იმყოფებიან... გიორგი ღვინიაშვილის თემა მომავლისთვის გადაიდება... თაკო სალაყაიას სახელი მხოლოდ იმ შემთხვევაში იხმაურებს და იმ შინაარსით, როგორც ეს კბილაშვილის უწყებას დასჭირდება, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმეა... მაგრამ საბოლოოდ საზოგადოებრივი რისხვა რომ არ დაიტეხონ თავზე, დავით ქოქიაშვილის ბედს აქამდე საზოგადოებისთვის უცნობი რამდენიმე გვარი გაიზიარებს. სულ ეს არის ის მოსალოდნელი პერსპექტივა, რომლის შესახებაც ასეთი მოლოდინი იყო საზოგადოებაში 7 წლის განმავლობაში, – ირწმუნება „პრაიმტაიმის“ ინფორმირებული წყარო.

ქალაქის ყოფილ პროკურორს, გიორგი ღვინიაშვილს ჯერჯეროზით იმუნიტეტი იცავს...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

my View
თამარ გორთამაშვილი

რა საუბარი შედგა ვანო მერაბიშვილსა და მერაბ ბაღათურიას შორის მკვლელობიდან მესამე დღეს

EXCLUSIVE

ბაღათურიას თანამდებობა გირგვლიანის საქმემ შეინირა

„მერაბიშვილს მაგიდაზე ედო გახსნილი საქმე, თუმცა მისთვის მიუღებელი იყო ის დეტალები, რაც გამოძიებამ დაადგინა. მისთვის მიუღებელი იყო ის, რომ მისი მეუღლეც იმ სუფრას ესწრებოდა, ასევე ისიც, რომ ამ საქმეში გარეული იყვნენ მაღალჩინოსნები მისი უახლოესი წრიდან“

ქალაქის პოლიციის ყოფილი შეფი დუმილს არღვევს და გირგვლიანის მკვლელობის სკანდალურ დეტალებზე, პირველად, 8 წლის შემდეგ, „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში საუბრობს. მერაბ ბაღათურია, რომლის თანამდებობაც სწორედ გირგვლიანის საქმეს შეეწირა, დღეს აცხადებს, რომ მკვლელობიდან სამი დღის შემდეგ, ვანო მერაბიშვილს წინ გახსნილი საქმე ედო, თუმცა იმის გამო, რომ საქმეში მისი მეუღლე ფიგურირებდა, მინისტრმა ქალაქის პოლიციის შეფის მოსმენა აღარ მოინდომა და საბოლოოდ საქმესაც ჩამოაცილა.

მერაბ ბაღათურიამ ყველა ის მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც მას 2006 წელს უკვე გამოძიებული ჰქონდა, გამოძიებას გააცნო. რამდენიმე დღის წინ მთავარმა პროკურატურამ თბილისის პროკურორის მაია მწარიაშვილის დადგენილებაც გამოაქვეყნა, რომლითაც ვანო მერაბიშვილს სანდრო გირგვლიანის საქმეზე ბრალი ოფიციალურად წარედგინა.

დადგენილებაში ნათქვამია -„ივანე მერაბიშვილი 2004 წლის 18 დეკემბრიდან 2012 წლის 4 ივლისამდე იყო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი და მას, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრს, ეკისრებოდა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული პასუხისმგებლობა - ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის უზურნველყოფისათვის“.

ქალაქის პოლიციის ყოფილი უფროსი ამბობს, რომ მერაბიშვილმა უკვე გამოძიებული საქმის დეტალების გახმაურება ერთადერთი მიზნით არ მოინდომა, ეს მიზეზი, მისი მეუღლე და იმ მაღალჩინოსანთა წრე იყო, რომელიც მაშინ მერაბიშვილის გარემოცვას წარმოადგენდა.

მერაბ ბაღათურია: - ვანო მერაბიშვილისთვის თავიდანვე ყველაფერი ცნობილი იყო. ჩემზე კარგად იცოდა ვინ ესწრებოდა და რაც მოხდა. ჩვენ უბრალოდ ეს ფაქტებით დავადგინეთ. მერაბიშვილს მაგიდაზე ედო გახსნილი საქმე, თუმცა მისთვის მიუღებელი იყო ის დეტალები, რაც გამოძიებამ დაადგინა. მისთვის მიუღებელი იყო ის, რომ მისი მეუღლეც იმ სუფრას ესწრებოდა, ასევე ისიც, რომ ამ საქმეში გარეული იყვნენ მაღალჩინოსნები მისი უახლოესი წრიდან.

- მან უარი გითხრათ გამოძიების ამ დეტალების გახმაურებაზე?

- რა თქმა უნდა. მე ამ დეტალებზე უკვე ვესაუბრე გამოძიებას... როდესაც ჩემთვის ცნობილი გახდა ამ დანაშაულში მონაწილე ყველა პირი, მოვახსენე მერაბიშვილს, თავისი დეტალებით და ვუთხარი, რომ ქალაქის პოლიციას შეეძლო ამ საქმის ბოლომდე მიყვანა. არაფერი მიპასუხა, გარდა იმისა, რომ მითხრა - „კარგი, დამაცადეთ“, სხვა არაფერი უთქვამს. ამის მერე ქალაქის პოლიციასა და სამინისტროს შორის ძალიან რთული დამოკიდებულება ჩამოყალიბდა. ფაქტობრივად, ჩვენ უნდობლობა გამოგვიცხადეს. ეს საქმე ჩვენგან წაიღო ქალაქის პროკურატურამ და შემდეგ კი ნახეთ, რაც მოხდა, დააკავეს 4 პიროვნება.

- თქვენს მიმართ იყო მუქარა?

- კი, ყველაფერი იყო...

- თუ არიან ამ საქმეში კიდევ პიროვნებები, რომელთა გვარებიც არ გაჟღერებულა.

- მე არ გამოვრიცხავ, შესაძლებელია იყოს.

- გავრცელდა ინფორმაცია, რომ გირგვლიანის წამებას მერაბიშვილის მეუღლეს ტელეფონით ასმენინებდნენ, თქვენ იცოდით ამის შესახებ?

- არა, ეს ინფორმაცია ჩვენთვის ახლა გახდა ცნობილი. ერთ რაღაცას გეტყვით, გირგვლიანის მკვლელობიდან მესამე დღეს ჩვენ ეს დანაშაული უკვე გახსნილი გვქონდა, ჩვენთვის უცნობი იყო დეტალები, რა მოხდა ოქროყანაში. პიროვნება, რომელიც გირგვლიანთან ერთად იმყოფებოდა, არაფერს ამბობდა. შემდგომ, როცა ეს საქმე ჩვენგან წავიდა და როცა ალანიას და სხვების დაკავება მოხდა, გამოძიებისთვის უკვე ცნობილი უნდა გამხდარიყო, რეალურად რა მოხდა ოქროყანაში.

ჩვენთვის ცნობილი იყო ერთადერთი ფაქტი - რა მოხდა ბარში და ამის შემდეგ როგორ მოხდა გირგვლიანის და ბუხაიძის გაყვანა ოქროყანის მიმართულებით. ჩვენ თავიდანვე დავადგინეთ, რომ ერთმანეთთან შელაპარაკების ნიადაგზე მოხდა ეს ყველაფერი. ოქროყანის დეტალები ჩვენთვის ცნობილი არ იყო. ყველაზე მეტად მე მინდა, რომ დროულად გაიხსნას ეს დანაშაული თავიდან ბოლომდე. ეს ჩემს ინტერესში შედის, იმიტომ რომ თავის დროზე ჩვენ გავხსენით ეს საქმე, უბრალოდ, ვეღარ შევძელით მისი ბოლომდე მიყვანა.

- თქვენი გათავისუფლება გირგვლიანის საქმეს უკავშირდება?

- რა თქმა უნდა. ამ დანაშაულის გახსნის შემდეგ არამარტო ჩემი, თბილისის ყველა პოლიციის მაღალი თანამდებობის პირების მიმართ დაიწყო ზეწოლა.

- რა სახის ზეწოლა?

- ყვალანაირი, გენერალური პროკურატურა, გენინსპექცია, კუდ-ი, სოდ-ი, ყველა თანამშრომელს დავალებული ჰქონდა როგორმე თბილისის პოლიციის თანამშრომელი რაიმეში ემხილათ. ძალიან სერიოზული ზეწოლა იყო. ძალიან ცუდი კუთხით შექდებოდა ქალაქის პოლიცია, თუ ვინმეს აკავებდნენ, და ძალიან სერიოზული ჯგუფები იქნა მაშინ აყვანილი, ასეთი თემები საზოგადოებისთვის ნაკლებად ხდებოდა ცნობილი. თუ ვინმე თანამშრომელს გამოვავლენდით, ყველას გვსვრიდნენ, რომ ხალხისთვის ეჩვენებინათ, თუ ცუდი ვინმეა პოლიციაში, ქალაქის პოლიციის თანამშრომელია. ძალიან ცდილობდნენ, რომ ჩვენი იმიჯი შელახულიყო. ძალიან ბევრი ფაქტიც მოხდა და შესაბამისად, ძალიან ბევრი განცხადებებია ახლა პროკურატურაში შეტანილი.

- თქვენ მოგთხოვეს, რომ განცხადება დაგეწერათ და წასულიყავით?

- რა თქმა უნდა, მომთხოვეს, აბა, რა ქნეს. ჩემი გათავისუფლებაც და დანიშვნაც მინისტრზე იყო დამოკიდებული და მინისტრის ბრძანებით მოხდა.

„გირგვლიანის მკვლელობიდან მესამე დღეს ჩვენ ეს დანაშაული უკვე გახსნილი გვქონდა“

„როდესაც ჩემთვის ცნობილი გახდა ამ დანაშაულში მონაწილე ყველა პირი, მოვახსენე მერაბიშვილს, თავისი დეტალებით და ვუთხარი, რომ ქალაქის პოლიციას შეეძლო ამ საქმის ბოლომდე მიყვანა. არაფერი მიპასუხა, გარდა იმისა, რომ მითხრა - „კარგი, დამაცადეთ“, სხვა არაფერი უთქვამს“

„ამ დანაშაულის გახსნის შემდეგ არამარტო ჩემი, თბილისის ყველა პოლიციის მაღალი თანამდებობის პირების მიმართ დაიწყო ზეწოლა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნინო ბურჯანაძის უპრეცედენტო ჩვენება

ნინო დათაშვილი

ეს არის პირველი შემთხვევა, როცა პოლიტიკოსი პოლიტიკოსის წინააღმდეგ ჩვენებას აძლევს. არასაპარლამენტო ოპოზიციაში განმარტავენ, რომ ის, რაც ნინო ბურჯანაძემ გააკეთა, თავის მხრივ, უპრეცედენტოა. გირგვლიანის თემაზე ივანე მერაბიშვილის წინააღმდეგ ჩვენება სწორედ მან მისცა. ასეთ შემთხვევას ვერც ლეიბორისტები იხსენებენ და ვერც კონსერვატორები. პოლიტიკურ კულუარებში ამბობენ, რომ, უბრალოდ, უხერხულია, როცა პოლიტიკოსი პოლიტიკოსის წინააღმდეგ ჩვენებას აძლევს. ასეთი შემთხვევა არც იმ იურისტებს ახსოვთ, რომლებიც სხვადასხვა საქმეზე პროცესებში მონაწილეობდნენ. იგივე ტერაქტებსა თუ სახელმწიფო გადატრიალების ბრალდებით პროკურატურაში აღძრულ საქმეებზე. ვალერი გელბახიანის განმარტებით, მან არ იცის, კონკრეტულად რა ჩვენება აქვს მიცემული ნინო ბურჯანაძეს, თუმცა, არასოდეს არაფერი სმენია იმის თაობაზე, რომ ერთმა პოლიტიკოსმა მეორეს წინააღმდეგ ჩვენება მისცა. „მსგავსი რამ არც კი მსმენია“, – განმარტავს ვალერი გელბახიანი.

„პოლიტიკოსი რომ პოლიტიკოსის წინააღმდეგ ჩვენებას აძლევს, ასეთი რამ ჯერ არ გამიგია, ასეთი რამ, უბრალოდ, არ ყოფილა...“

ინფორმაცია, რომ მერაბიშვილის წინააღმდეგ ნინო ბურჯანაძემ ჩვენება მისცა, ყოფილი პრემიერის ადვოკატმა გაახმოვანა.

ადვოკატ ჩივიაშვილის განმარტებით:

– თავად ბრალდებული ბატონი ვანო მერაბიშვილი არ აღიარებს ბრალს და საკმაოდ ღიმილითაც უყურებს ამას, იმდენად ზოგადია და იმდენად არაფრისმომცემია მასში არსებული შინაარსი. ძირითადი ბრალის ფორმულირება აწყობილია ქალბატონ ნინო ბურჯანაძის ჩვენებაზე. შესაბამისად, ადვილი მისახვედრია, რამდენად ობიექტურია მასში არსებული მონაცემები, რამდენადაც ეს დაინტერესებული პირის მიერ არის გაჟღერებული. ბრალი არის, ზოგადად, მთლიანად ვარაუდებზე აწყობილი. ვნახავთ საქმის მტკიცებულებებს, ვნახავთ, რამდენად მყარდება ის ფაქტებით. ბრალში იკითხება მსგავსი რამ: ნინო ბურჯანაძეს მერაბიშვილმა უთხრა, რომ მან გაცილებით ადრე იცოდა, ვინ ჩაიდინა ეს დანაშაული, სანამ ის გაიხსნებოდა.

ივანიშვილის ბრალდების შესახებ დადგენილებაში ნათქვამია:

„დანაშაულის ჩადენიდან, ასევე, 2-3 დღეში, საქართველოს პარლამენტის იმჟამინდელმა თავმჯდომარემ, ნინო ბურჯანაძემ, თავისთან მიიწვია ივ. მერაბიშვილი და მოსთხოვა ს. გირგვლიანის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენაში მონაწილე პირების, მათ შორის, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის, დ. ახალაიას პასუხისგებაში მიცემა. ივანე მერაბიშვილი, რომელიც სრულად ფლობდა ინფორმაციას ს. გირგვლიანის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე, არ დაეთანხმა პარლამენტის თავმჯდომარის მოთხოვნას – ჩადენილ დანაშაულში ყველა დამნაშავე პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, იმ მოტივით, რომ ასეთ შემთხვევაში, მას თავად მოუწევდა პოლიტიკური პასუხისმგებლობის გაზიარება, ანუ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობის დატოვება.

რა თქმა უნდა, თუკი ბურჯანაძემ რაიმე კონკრეტული იცოდა გირგვლიანის თემაზე, მას ეს უნდა განეცხადებინა. უბრალოდ, საინტერესოა, რომ მას შემდეგ ბურჯანაძე პარლამენტის თავმჯდომარე იყო და ერთხელ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელიც, თუმცა ამ საკითხზე მას არასოდეს არაფერი უთქვამს, მინიშნებითაც კი.

გირგვლიანის თემაზე ნინო ბურჯანაძემ სხვადასხვა ეთერის საშუალებითაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მას ამ საკითხზე პრეზიდენტ სააკაშვილთანაც ჰქონდა საუბარი.

– მე პრეზიდენტს მოვთხოვე, რომ დასჯილიყვნენ გირგვლიანის მკვლელობის როგორც დამკვეთები, ასევე შემსრულებლები. სულ მახსენდება ის სიტყვები, რომელიც სააკაშვილსა და ვანო მერაბიშვილს ვუთხარი. სიტყვები ასე ჟღერდა: გირგვლიანის საქმე არასდროს დამთავრდება, თუ არ დაისაჯა ყველა ის პირი, ვისაც ამ უბედურებში წვლილი მიუძღვის. ეს სიტყვები წინ დახვდათ. ალბათ, მერაბიშვილს ახლაც ახსენდება, როდესაც განსასჯელის სკამზე ზის. მე მას ვუთხარი, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, უნდა დაესაჯა დამნაშავეები. სამწუხაროდ, ვანომ ჩემი მოთხოვნა არ გაითვალისწინა და ჩაერთო იმ ჭაობში, რომელიც იმ თანაგუნდელებისთვის ხელის დაფარებას გულისხმობს, ვინც მათთან ბინძურ კავშირებში იყო.

იმედია, ბურჯანაძე იმასაც იტყვის, რატომ ადრე არაფერი თქვა ამის თაობაზე, თუნდაც მაშინ, როცა პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა.



სამალავებში ნაპოვნი შ

მირიან ბოქოლიშვილი

ემზარ ქვარიანი თავის დროზე პოლიციის მაღალჩინოსანი გახლდათ... კახეთის სამხარეო პოლიციაში, თამაზ თამაზაშვილის მმართველობის დროს, მას სპეცდანიშნულების რაზმის ერთ-ერთი ხელმძღვანელის პოსტი ეკავა. მისი უშუალო მონაწილეობით ჩატარდა პანკისის ხეობაში არაერთი ოპერაცია, მათ შორის გახმაურებულ საქმეებზე. ბოლო წლებში აქტიურობდა ოპოზიციურ ფლანგზე და ნინო ბურჯანაძის „შეფიცულთა“ რაზმის ერთ-ერთ ჯგუფს უწევდა კოორდინირებას. 26 მაისის ღამეს ბურჯანაძის ესკორტში შემავალ იმ ავტომობილში აღმოჩნდა, რომელმაც, ოფიციალური ინფორმაციით, პოლიციელი ვლადიმერ მასურაშვილი იმსხვერპლა. 26 მაისს ის სხვებთან ერთად დააკავეს.

რა კავშირია სამეგრელოში აღმოჩენილ იარაღსა და ე.წ. ზილების რევოლუციას შორის და რა სკანდალური ინფორმაციები მოიპოვა საპატიმროში? „პრაიმტაიმი“ ემზარ ქვარიანს ესაუბრა:

– თავის დროზე მე ვიყავი გენერალ თამაზ თამაზაშვილის სპეცდანიშნულების რაზმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, უფროსის მოადგილე. მონაწილეობა მაქვს მიღებული აბსოლუტურად ყველა იმ გახმაურებულ ოპერაციაში, რომელიც ხორციელდებოდა კახეთის სამხარეო პოლიციის მიერ. დაწყებული ნარკორეალიზატორების დაკავებით და დამთავრებული გატაცებულთა განთავისუფლებებით. მინდა გითხრათ, რომ ის შავი პიარკამპანია, რაც თამაზ თამაზაშვილს წინასაარჩევნოდ აუგორეს, არის აბსოლუტური ბლეფი. არც ერთი ფაქტით არ დასტურდება, რომ თამაზაშვილი ან ნარკორეალიზატორებთან, ან სხვა სახის კრიმინალებთან იყო გარიგებული, პირიქით, ფაქტები ადასტურებს, რომ გენერალი თამაზაშვილი თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, ძალ-ღონეს არ იშურებდა მათ აღსაკვეთად.

– თუმცა, როგორც ჩანს, ვერ აღკვეთა, რადგან მის პერიოდში პანკისის ხეობა რეალურად კრიმინალურ ანკლავს წარმოადგენდა...

– გასაგებნია, მაგრამ ეს კაცი ყველაფერს აკეთებდა ამ ანკლავის გასანეიტრალებლად. აქ მხოლოდ თამაზაშვილი ვერ მოაგვარებდა ამ პრობლემას. ჩვენ მიერ ჩატარებული ყველა ოპერაცია იყო წარმატებული, იქნებოდა ეს პეტრე ცისკარიშვილის საქმე, პიტერ შოუსი, თუ წითელი ჯვრის. არასდროს ამ ოპერაციის დროს არ დაზარალებულა ადგილობრივი მოსახლეობა, თქვენ წარმოიდგინეთ, არც ქვედანაყოფის წევრები და არც თავად კრიმინალი.

– 26 მაისის მოვლენებში როგორ აღმოჩნდით ჩართული?

– იმდენად ზღვარსგადასული იყო წინა ხელისუფლების მოქმედებები, რომ გადავწყვიტე, წინააღმდეგობის მოძრაობაში ჩავრთულიყავი. გამიჩნდა პროტესტი იმ რეჟიმის მიმართ. გავხდი „შეფიცულების“ ერთ-ერთი ლიდერი და ვხელმძღვანელობდი ერთ-ერთ კონკრეტულ ჯგუფს. ჩვენი მიზანი იყო, დაგვეცვა მომიტინგეები პროვოკაციებისგან, თუმცა, როგორც ჩანს, ბოლომდე ვერ მოვახერხეთ. იმ ავბედით რამეს დამაკავეს, მაგრამ ამას არ ვჩივი. ჩვენ მიმართ გამოყენებული იყო საბრძოლო ტყვიები. პირადად მე 52 ტყვია მესროლეს. მე ვიჯექი ნინო ბურჯანაძის ესკორტში, როდესაც ვტოვებდით რუსთაველს.

– იმ ავტომობილში, რომელსაც პოლიციელი ემსხვერპლა?

– პოლიციელი ნამდვილად არც

„პიროვნება იმ დონემდე მიიყვანეს, რომ უნიტაზიდან სვამდა წყალს, ისიც წამებში უნდა მოესწრო, რადგან წამიერად უშვებდნენ და უკეტავდნენ... ესეც წამების ერთ-ერთი ფორმა იყო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ეიარაღება ე.წ. ზილების რევოლუციის საქმეში ფიგურირებს

„მინდა მივმართო შინაგან საქმეთა მინისტრს: შემოწმდეს ოქრუაშვილის საქმეზე ამოღებული იარაღისა და სამალავში ნაპოვნი იარაღის ნუმერაცია. დარწმუნებული ვარ, ეს ერთი და იგივე შეიარაღებაა“



„პირმა, რომელიც ტერაქტის მოწყობის აღიარების მიზნით აწამეს, საკანში თვითმკვლელობა 2-ჯერ სცადა“

ერთ ჩვენს ავტომობილს არ უმსხვერპლია. ადგილზე დაიწყეს ესკორტის დამტვერვა-დალეწვა. დიახ, ჩვენს მანქანას შემოახტა პოლიციის თანამშრომელი, ჩამოვარდა და ამის შემდეგ დაეჯახა ჩვენ უკან მომავალი კუდ-ის მანქანა, რომელიც ესკორტს მოსდევდა. შემდეგ ჩვენ გვაბრალებდნენ, რომ თითქოს იმ მანქანამ გაიტანა, რომელშიც მე ვიჯექი. მიზანმიმართულად დაიწყეს ჩვენი ავტომობილის დაზიანება, დაგვიხვრიტეს საბურავები, თუმცა მოვახერხეთ ჩეხეთის საელჩომდე მისვლა, რომ უბრალოდ სიცოცხლე გადაგვერჩინა. რომ გაგვეჩერებინა, ლიკვიდაციას მოახდენდნენ აუცილებლად. შვიდი ადამიანი საელჩოსთან აგვიყვანეს. უსასტიკესად გაგვისწორდნენ. ხელბორკილები დაგვადეს, ძირს დაგვყარეს და ისე გვირტყამდნენ. ნინო ბურჯანაძის ავტომობილი შეგნებულად სხვა მიმართულებით გავუშვით. ხომ გეუბნებით, პირადად მე 52 საბრძოლო ტყვია მესროლეს.

– ვინ მოკლა პოლიციელი? კადრებში ჩანს ავტომობილი, რომელმაც მასურაშვილს გადაუარა...

– იქ ჩანს ავტომობილი, თუმცა ის ჩვენი ესკორტის მანქანა არ ყოფილა. დღემდე ვითხოვთ ექსპერტიზას, რითაც დადასტურდება, რომ არანაირი შეხება ჩვენს მანქანასთან პოლიციელს არ ჰქონია, გარდა იმისა, რომ თავად შემოახტა უკნიდან. მესმოდა ხმა, როგორ ურტყამდა ზემოდან ხელკეტს მანქანას. შემდეგ ჩამოვარდა და დაეჯახა უკან მომავალი მანქანა. ბურჯანაძის ესკორტი მთავრდებოდა ჩვენი ავტომობილით, ჩვენ უკან უკვე კუდ-ის მანქანები მოგვდევდა. წინასწარი დაკავების იზოლატორიდან სათითაოდ გამოვყავდით დაკავებულები და დამატებით გვისწორდებოდნენ. მე პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევისთვის მომისაჯეს ერთწლიანი პატიმრობა და 3-წლიანი პირობითი მსჯავრი. ციხეში ყოფნის დროს ბევრი ისეთი ფაქტის მომსწრე გავხდი, რომ შოკიდან ვერ გამოვდიოდი, იქ მოვიპოვე საკმაოდ ბევრი საინტერესო ინფორმაცია.

– კონკრეტულად?

– პირადად მე არავის ვუწამებივარ, პოლიტიკური ნიშნით დაკავებულებზე განსაკუთრებული მონიტორინგი იყო დაწესებული, თუმცა საკუთარი თვალით რომ უყურებ სხვის წამებას, არანაკლებ შემზარავია. კარანტინის დაშლის დროს აკეთებდნენ დიდ წრეს, სათითაოდ გამოჰყავდათ პატიმრები და ცემაში კლავდნენ. მე-8 საპყრობილეში არ ყოფილა კარანტინის დაშლა, აუტანელი ფიზიკური ანგარიშსწორების გარეშე. ამ ყველაფერში მონაწილეობდნენ ადმინისტრაციის წარმომადგენლები სრული შემადგენლობით.

– მათ შორის ცნობილი ვლადიმერ ბედუკაძეც?

– ბედუკაძეზე საუბრობდნენ იგივეს, თუმცა, რომ არ მოგატყუოთ, ჩემი თვალით არ მინახავს ასეთ სიტუაციაში. იმას, რაც არ მინახავს, ვერ მოვყვები, გადმოცემით გამიგია მხოლოდ. იქ მყოფი პატიმრების უმრავლესობა, რომლებთანაც მე მქონდა შეხება, აბსოლუტურად ცრუ ბრალდებებით იხდიდნენ სასჯელს. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ირაკლი ოქრუაშვილის საქმეზე დაკავებული პირები. გახსოვთ, ალბათ, ე.წ. ზილების რევოლუციის ამბავი. დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ ამ ხალხს იარაღი ჩაუდეს და ეს იგივე იარაღია, რომელიც ახლა აღმოაჩინეს სამალავებში. ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა მივმართო შინაგან საქმეთა მინისტრს: შემოწმდეს ოქრუაშვილის საქმეზე ამოღებული იარაღისა და სამალავში ნაპოვნი იარაღის ნუმერაცია. დარწმუნებული ვარ, ეს ერთი და იგივე შეიარაღებაა. წინა ხელისუფლება ამ იარაღს სპეციალურად მსგავსი საქმეებისთვის იყენებდა. დარწმუნებული ვარ, სამალავებში ნანახი ავტომატები კიდევ ბევრ სხვა გახმაურებულ საქმეში ფიგურირებს. გადაამოწმეთ ნუმერაცია და დარწმუნდებით, რომ ნუმერაცია ემთხვევა. ეს შეიარაღება გამოიყენებოდა პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციისა და დაჭერის მიზნით. მეტსაც გეტყვით... ჩემთან საკანში იჯდა ადამიანი, რომლის გვარსა და სახელს ამჟამად არ დავასახელებ, თუმცა, თუ გამოძიება დაინტერესდება, ეს პიროვნება თვითონ მოყვება ყველაფერს. გამოძიება ამტკიცებდა, რომ ამ ადამიანს ამოუღეს „აკაემის“ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 1943 წელს გამოშვებული. ეს წერია ოფიციალურად სასამართლოს განაჩენშიც. ეს არის სრული აბსურდი, რადგან 1943 წელს ამ ტიპის იარაღი ბუნებაში არ არსებობდა და მისი გამოშვება დაიწყო მხოლოდ 1947 წელს. გარდა ამისა, გახსოვთ, ალბათ, გახმაურებული ტერორისტული აქტები, რა დროსაც დააკავეს არქანია, ყოლბაია და სხვები. მე მქონდა ამ პიროვნებებთან შეხება და მინდა გითხრათ, რომ ისინი არანაირი ტერორისტები არ ყოფილან. მერაბ ყოლბაიამ მანახვა მარჯვენა ფეხის წვივი, რომელიც 8 საბრძოლო ტყვიით იყო დაცხრილული იმიტომ, რომ აღიარებითი ჩვენება მოეპოვებინათ, შემდეგ ამ ჭრილობებში ჩხირებს უყრიდნენ და ათასგვარი მეთოდით აწამებდნენ. იმდენად დიდი ტრავმა მიაყენეს, რომ ამ ადამიანმა საპატიმროში 2-ჯერ სცადა თვითმკვლელობა. ოქრუაშვილის საქმეზე ერთ-ერთი დაკავებული იმდენად ნაწამები შემოვიდა ჩემთან საკანში, რომ ასევე თვითმკვლელობა სცადა და დიდი გარჯა დამჭირდა, რომ ეს არ გაეკეთებინა. ფსიქოლოგიურად მთლიანად მოშლილი იყო. წინასწარი დაკავების საკანში გამოამწყვდიეს მარტო, ჩაუკეტეს ყველა საჰაერო, გადაუკეტეს წყალი და ერთი თვის განმავლობაში ასე ამყოფებდნენ. ეს პიროვნება იმ დონემდე მიიყვანეს, რომ უნიტაზიდან სვამდა წყალს, ისიც წამებში უნდა მოესწრო, რადგან წამიერად უშვებდნენ და უკეტავდნენ... ესეც წამების ერთ-ერთი ფორმა იყო. ბეტონზე ჰყავდათ, თავთან ამოტრიალებულ ჯამს იდებდა და ფეხსაცმელებზე წვებოდა...

– გასაგებია... იარაღის თემას რომ დავუბრუნდეთ... სამეგრელოს სამალავებიდან, იარაღთან ერთად, დასაჭერთა სიაც ამოიღეს... ამ სიის შესახებ გსმენიათ?

– არ ვიცი, კონკრეტულად ვინ იყო ამ სიაში შეყვანილი, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ეს იარაღი სწორედ მათ მიმართ უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ანუ სცენარი იგივე იქნებოდა... დასაჭერთა სიაში მყოფ ოპოზიციის წარმომადგენლებს ჩაუდებდნენ იგივე იარაღს და გამოაცხადებდნენ, რომ რაღაც სასწაული დანაშაული, ან სახელმწიფო გადატრიალება აღკვეთეს. თუ კარგად გადაამოწმებს ამ ყველაფერს შინაგან საქმეთა სამინისტრო, დარწმუნდება, რომ ეს იარაღი უკვე იყო გამოყენებული ოპოზიციის სხვადასხვა წარმომადგენლის წინააღმდეგ.

– დაბოლოს, როგორც ვიცი, პროკურატურაში 26 მაისთან დაკავშირებით საჩივარი გაქვთ შეტანილი... კონკრეტულად რას მოითხოვთ?

– კონკრეტულად ვითხოვ იმ ოთხი პოლიციელის დასჯას, რომლებმაც უშუალოდ ჩვენ მიმართ გამოიყენეს საბრძოლო ტყვიები. ესენი იმ დროისთვის იყვნენ რიგითი პოლიციელები, რომლებიც სწორედ ამის გამო დააწინაურეს.

ოქრუაშვილის საქმეზე ამოღებული იარაღი

სამეგრელოს სამალავებში ნაპოვნი შეიარაღება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სამეგრელოში შესაძლოა ახ

ძალადობის გაუხმაურებელი ფაქტები და დეტალები, რომელიც მეგის ქარდავას საქმიანობას უკავშირდება

თამარ გორთამაშვილი

სამეგრელოში ცნობილი სამალავების აღმოჩენის შემდეგ, იარაღის სხვა საცავების არსებობას არ გამორიცხავენ. უფრო მეტიც, როგორც „დაიცავი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი ამბობს, მათ შესაბამის უწყებას უკვე მიაწოდეს ინფორმაცია იმ კონკრეტული ადგილის შესახებ, სადაც, მათი ვარაუდით, მეგის ქარდავა და მისი მეგობრები, პროექტის „დაიცავი შენი სახლი“ საფარქვეშ მთელი ამ წლების განმავლობაში ძალადობით იყვნენ დაკავებული.

კახა მიქაია „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში იმ სქემას ხსნის, რომლითაც მეგის ქარდავა და ძალოვანი უწყების სხვა მაღალჩინოსნები, სამეგრელოში მოქმედებნენ.

კახა მიქაია: „თავის დროზე ამ ზონდერ ჯგუფებში ახალაიებმა, როლანდ ახალაიას მეთაურობით, „ტყის ძმები“ გააერთიანეს. პროექტის „დაიცავი შენი სახლი“ ფარგლებში, ე.წ. ნებაყოფლობითი რეზერვის შექმნა დაიწყეს. სწორედ ამ ნებაყოფლობითი რეზერვის საფარქვეშ, მიხეილ სააკაშვილმა დაავალა ახალაიებს, გუნავას, ყველა პოლიციის უფროსს, სოდ-ის და კუდ-ის უფროსებს, რომ შეექმნათ ზონდერ ჯგუფები, ამ ჯგუფებისთვის ისინი აშენებდნენ სახლებს, რომლებიც, მე და ნანა ფაჟავამ, ახლახან სამეგრელოს ერთ-ერთ ტყეში აღმოვაჩინეთ. ზუგდიდის შორიახლო ტყეში, არის სახლი, რომელსაც ჰქონდა ლამინატის პარკეტი, მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯარა, კარგი გადახურვა და შემორაგული იყო სამხედრო ქვიშის ტომრებით. იქ ვნახეთ წარწერები, სახელები: ზაზა, ლაშა, ბალო, ჯოჯუ... ესენი ის ადამიანები არიან, რომლებიც ამ ზონდერ ჯგუფებში იყვნენ გაწევრიანებულნი. ეს იყო ზონდერ ჯგუფების სამალავი. იარაღი ჩვენ იქ არ აღმოგვიჩენია, მაგრამ უკვე მივმართეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ დასამუშავებელია ირგვლივ ტერიტორია, რადგან იქ შეიძლება იარაღის საცავებიც იყოს. იმავე სახლში აღმოვაჩინეთ სამოქალაქო ტანსაცმელი, ქურთუკები, „ველვეტის“ შარვალი, რომელსაც პიკანტურ ადგილას ხვრელი აქვს. აგრეთვე სპორტული ტანსაცმელი. ადგილზე გადაღებული მასალა გადავეცით შინაგან საქმეთა სამინისტროს.

– თქვენი ვარაუდით რაში სჭირდებოდათ ეს სახლი ან ტანსაცმელი?

– ეს სახლი ზონდერ ჯგუფების ადგილსამყოფელი იყო. თქვენ გახსოვთ, ალბათ, ადრეც აღმოვაჩინეთ ასეთი სახლი, დავადექით თავზე და ჟურნალისტებიც დავაყენეთ ზონდერ ჯგუფს, ისინი მაშინ ძალიან დაიბნენ, როცა ეკითხე რატომ ხართ, ან ვინ ხართ-მეთქი, ვერ გამცეს პასუხი. ამიტომ ეს არ არის ჩვენთვის ახალი.

– როგორ მოქმედებდნენ ეს ზონდერ ჯგუფები და მათ ძირითად საქმიანობას რა წარმოადგენდა ?

– პირველი იყო ფსიქოლოგიური ზეწოლა ადამიანებზე, ამომრჩევლებზე და რაც მთავარია, სააკაშვილმა ერთადერთი მიზნით შექმნა ზონდერ ჯგუფები - არჩევნებში დამარცხების შემთხვევაში, თუ ამერიკა არ გაუწევდა მიხეილ სააკაშვილს წინააღმდეგობას, ამ ზონდერ ჯგუფებს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ გამოიყენებდა. მეორე, თუ სააკაშვილი მოიგებდა გაყალბებით და ხალხი მას გაყალბებული არჩევნების გამო დაუპირისპირდებოდა სააკაშვილის ხელისუფლებას, ამ შემთხვევაშიც გამოიყენებდა ამ ზონდერ ჯგუფს. ამიტომ შეიძლება ვთქვათ და დავასკვნათ, რომ სააკაშვილი ამ ზონდერ ჯგუფებს ერთადერთი მიზნით ქმნიდა, მას სურდა ძალადობრივი მეთოდებით შეენარჩუნებინა ხელისუფლება.

– სამეგრელო ამ შემთხვევაში განსაკუთრებით გამორჩეული რატომ იყო?

– სამეგრელო ახალაიების გამო არის გაპიარებული უფრო მეტად, თორემ ასეთი ზონდერ ჯგუფები მას კახეთშიც ჰყავდა. ეს პროექტი - „დაიცავი შენი სახლი“ რომლის საფარქვეშაც შეიქმნა ეს ჯგუფები, ხორციელდებოდა საქართველოს მასშტაბით, ასე რომ, უბრალოდ, ახალაიები არიან სამეგრელოდან და ამიტომაა ეს მეტად გაპიარებული. რა თქმა უნდა, სამეგრელოში მეტი ზონდერ ჯგუფი იყო ვიდრე საქართველოს სხვა დანარჩენ რეგიონში, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ ერთ რამეში, თუ დღევანდელმა ხელისუფლებამ მოინდომა ამ საქმის გამოძიება და ამ ხელისუფლებაში პოლიტიკური ნება გაჩნდა, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებშიც აღმოჩნდება იარაღის საცავები და ზონდერ ჯგუფების წარმომადგენლები... აღმოჩნდება ის, რაც აღმოჩნდა სამეგრელოში, შეიძლება იმ მასშტაბით არა, მაგრამ მე დარწმუნებუილი ვარ, სააკაშვილის ეს პროექტი, ზონდერ ჯგუფის შექმნისა, მიმდინარეობდა მთელი ქვეყნის მასშტაბით.

– მეგის ქარდავა რა მონაწილეობას იღებდა ამაში?

– მეგის ქარდავა იყო ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი. ის თენგიზ გუნავას მოადგილე იყო. სააკაშვილი ქმნიდა არაოფიციალურ ზონდერ ჯგუფებს, ფაქტობრივად ტერორისტულ დაჯგუფებებს და ამას ხელმძღვანელობდნენ ოფიციალური პირები, კიდევ ვიმეორებ, სამხარეო პოლიციის უფროსი, მისი მოადგილე, ყველა პოლიციის, სოდ-ის და კუდ-ის უფროსები, აქ დამალული არაფერი იყო, უბრალოდ, ისინი არ ამბობდნენ ამას და შეარქვეს ნებაყოფლობითი რეზერვი. სინამდვილეში თვითონ ხელისუფლებამ შექმნა არაოფიციალური ზონდერ ჯგუფები და სააკაშვილმა თავადაც აღიარა უკონტროლო, დაურეგისტრირებელი იარაღის საწყობების არსებობის შესახებ. ასე რომ, ეს ამბავი უბრალოდ ახლა „გასკდა“, თორემ ამაზე მე კარგა ხანია ვსაუბრობ.

– მე მაინტერესებს სამალავებში აღმოჩენილი ღირსების შემლახველი ვიდეომასალები. თქვენი ინფორმაციით ესენი ადგილობრივად იწერებოდა, მანდ ხდებოდა მოქმედება?

– ჩემი ინფორმაციით ეს ყველგან ხდებოდა: თბილისში, ზუგდიდში, ქუთაისში... მე ერთი რამ მინდა ვთქვა, ეს არქივი სპეციალურად გააკეთეს და უნდოდათ ხალხის დაშანტაჟება, ამიტომ ამას, პირველ რიგში, შანტაჟის გამო აკეთებდნენ, იღებდნენ ყველაფერს, რაც შეიძლებოდა და არ შეიძლებოდა, რომ გადაღებულიყო. მათ არქივი ჰქონდათ ერთი მიზნით, ხელისუფლების ძალადობის შენარჩუნებისთვის და ადამიანების დასაშანტაჟებლად.

თუ გახსოვთ 2010 წელს მე და ნანა ფაჟაავამ გავაჟღერეთ 18 წლის ახალგაზრდა ბიჭის დაკარგვის შესახებ. ჩვენ გავიგეთ, რომ ის უბრალო რაღაცის, ქურდობის გამო დაიჭირეს და კოხტა კოდუამ, ერთ-ერთმა მთავარმა გამაუპატიურებელმა, რომელსაც მე მიხეილ სააკაშვილის ცირეკიძე შევარქვი (რადგან იცით, რომ შევარდნაძეს ჰყავდა ასეთი ცნობილი გამაუპატიურებელი ზონაში), მოინდომა ამ ბიჭის გაუპატიურება და ბიჭის დედამ ყველაფერი აღიარა, თვითონ ამ ბიჭმაც აღიარა, რომ აპირებდნენ მის მიბმას რკინის მილზე და გაუპატიურებას. ამ ახალგაზრდამ თავის დახსნა სასწაულებრივად მოახერხა, ხელი დაარტყა კოხტა კოდუას, კოდუამ თავი ჩამოარტყა მაგიდის კიდეს და 15 დღე იწვა კიდეც რეანიმაციაში. ეს ფაქტი მე 2010 წელს გავაჟღერე.

გარდა ამისა, იყო ფაქტები, თუ როგორ ცდილობდნენ პოლიციელები დაუმორჩილებელი სკოლის მოსწავლეების გაუპატიურებას. ეს ფაქტები ცნობილი და გაჟღერებულია. მე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, ამ მხილებებს, სტატიებს და რეპორტაჟებს ყურადღება მაშინ არავინ მიაქცია, სამწუხაროდ, არც იმდროინდელმა ოპოზიციამ. სკეპტიკურად შეხედეს ოპოზიციურმა პარტიებმა და მთლიანად ოპოზიციამ ამ ფაქტს, დღეს კი ხედავთ, რომ ყველაფერი ნათელია. ის, რასაც ჩვენ ვლაპარაკობდით, სიმართლე აღმოჩნდა.

– თქვენ სკოლის მოსწავლეების გაუპატიურება ახსენეთ, რატომ არც ერთი დაზარალებული არ საუბრობდა ამის შესახებ?

– შიში იყო. სააკაშვილის მმართველობის მთავარი ფაქტორი შიშია. სამწუხაროდ, მე ეს უნდა ვაღიარო და ყოველთვის მითქვამს, სამეგრელოში შეშინებულმა საზოგადოებამ მიიღო არჩევნებში მონაწილეობა, დატერორებულმა, შეშინებულმა საზოგადოებამ... დატერორებული საზოგადოების არჩევანი, არჩევანი არ არის. სააკაშვილმა ახალაიების, ქარდავების, გუნავების, ქირიების, კოდუების, ლომაიების და ქობალიების სახით შეძლო შიში დაენერგა სამეგრელოში. მან შექმნა პოლიციური რეჟიმი, რომლითაც საზოგადოებას მართავდა. განსაკუთრებით ეს პოლიციური რეჟიმი მძიმე და მძაფრი იყო სამეგრელოში, რადგან სააკაშვილის ხელისუფლების ის ნაწილი, რომელიც ასოცირდება ადამიანების გაუპატიურებასთან, გატაცებასთან, უფლებების დარღვევასთან, არჩევნების გაყალბებასთან და ყოველგვარ უკეთურობებთან, სამწუხაროდ, კონცენტრირებული იყო სამეგრელოში ახალაიების, ქარდავების, გუნავების, კოდუების, ლომაიების და ქობალიების სახით.

– ბატონო კახა, ითქვა, რომ ეს სამალავები დათა ახალაიას მითითებით იქნა აღმოჩენილი. თქვენი აზრით, რამდენად სარწმუნოა გარიგების თემა?

– არა, ეს არ იყო გარიგება. სპეკულაცია მიდის, რომ ეს ვითომ დათა ახალაიამ თქვა, არაფერი არ უთქვამს დათა ახალაიას. როლანდ ახალაიას არ აღმოაჩნდა იმის ერთი ადგილიც (უკაცრავად ამ გამოთქმაზე), რომ თავად მერაბიშვილი და სააკაშვილი ემხილებინა, რადგან ფაქტი ერთია, როლანდ ახალაია და ძმები ახალაიები მონაწილეები არიან სააკაშვილთან და მერაბიშვილთან ერთად ამ ყველაფრისა. ამიტომ იმის დაჯერება, რომ დათა ახალაიამ გასცა ეს საიდუმლო საცავები და დოკუმენტაცია, ეს არის მტკნარი სიცრუე.

– ვრცელდება ინფორმაცია, რომ მეგის ქარდავაც მონაწილეობდა გაუპატიურებაში...

– მაგალითად, სერგო თეთრაძე, ქარდავაც მონაწილეობდა ამაში. რა მნიშვნელობა აქვს ქარდავამ პირდაპირ გააუპატიურა თუ ბრძანება გასცა, ქა-

კახა მიქაია: „იყო ფაქტები, თუ როგორ ცდილობდნენ პოლიციელები დაუმორჩილებელი სკოლის მოსწავლეების გაუპატიურებას“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ალი სამალავები აღმოჩნდეს

...LUSIVE

მეგის ქარდავამ ერთ-ერთ თანამშრომელს საკუთარი კომპრომატის გადაღება მოსთხოვა

როგორ აღმოჩნდა კოხტა კოდუა 18 წლის ბიჭის გაუპატიურების მცდელობის შემდეგ რეანიმაციაში

რდავა მონაწილეა, ქარდავა მკვლელია. ესენი მკვლელები არიან. როდესაც მე ამას ვამბობდი სკეპტიკურად მიყურებდით. ტერორისტი მკვლელები არიან. სააკაშვილმა ალქაიდას მსგავსი ტერორისტული ორგანიზაცია შექმნა საქართველოში. ეს ხმამაღლა ნათქვამი არ არის დღეს, მაგრამ ხმამაღლა ნათქვამი იყო გუშინ, ამიტომ არ სჯეროდათ ამისი, დღეს კი ყველაფერი დადასტურებულია.

ერთ რამეში დარწმუნებული ვარ, გაუჟღერებელი იმდენი ფაქტი აღმოჩნდება იმ კასეტაში და იმდენი ჯაჭვი გაებმება ამ ტერორისტული ქმედებებისა, გაუპატიურებებისა და უკეთურობებისა, რომ ნახავთ რა საქმეები გაიხსნება და რა უბედურობების მომსწრე გახდება საზოგადოება.

მეგის ქარდავაზე კიდევ უამრავ რამეს გაიგებთ, მეგობრის საცოლის გაუპატიურების ფაქტიც იყო...ზუსტად არ მახსოვს ამ საქმის დეტალები, მაგრამ ეს ფაქტი იყო. რა თქმა უნდა, მეგობრის საცოლე არ უნდა გააუპატიურო და ღირსება არ უნდა შეულახო, მაგრამ მამაკაცის გაუპატიურება - ეს ხომ უბედურებაა. მამაკაცებს აუპატიურებდნენ, მამაკაცებს ულახავდნენ ღირსებას. ესენი იყვნენ ავადმყოფები. არის საუბარი იმაზე, იყო თუ არა ეს სისტემური. რა თქმა უნდა, სისტემური იყო, ეს იყო სისტემური დანაშაული და ყველაზე მთავარი, ჩვენ საქმე გვქონდა ავადმყოფებთან. წამების სხვადასხვა მეთოდები არსებობს, მაგრამ მამაკაცის და ბავშვის გაუპატიურება, ყველანაირ ზღვარს სცილდება. ამას, ჩემი აზრით, გამოძიებაც არ უნდა, როცა ინფორმაციის მოპოვების მიზნით მამაკაცის და ბავშვის გაუპატიურება ხდება. ამიტომ ერთი რამ არის ფაქტი, საზოგადოებამ უნდა გათვითცნობიეროს თავიდან ბოლომდე, როგორი ავადმყოფური რეჟიმი მართავდა საქართველოს. რაც შეეხება ვანო მერაბიშვილს და სისტემურ დანაშაულს, მე ვფიქრობ, რომ მიხეილ სააკაშვილთან ერთად ეს პასუხისმგებლობა ვანო მერაბიშვილმაც უნდა გადაინაწილოს. მხოლოდ მიხეილ სააკაშვილი არ არის იდეის ავტორი. ამ უბედურების შექმნის, ჩამოყალიბების და რეალიზების თანაავტორი, მიხეილ სააკაშვილთან ერთად, არის ვანო მერაბიშვილი. რაც შეეხება ახალაიას, მათთან შედარებით ესენი უკვე დაბალი რანგის მოხელეები არიან. ვანო მერაბიშვილი მიხეილ სააკაშვილთან ერთად არის ბრალდებული იმისთვის, რაც საქართველოში მოხდა. ვანო მერაბიშვილი მიხეილ სააკაშვილთან ერთად ამუშავებდა და ქმნიდა ყოველივე ამას, ამ ძალადობის სისტემას.

დააკვირდით ერთ რამეს, რატომ ინახავდნენ ამ კასეტებს, ერთია, რომ შანტაჟის გამო, მაგრამ ამას ყველაფერს ისინი უყურებდნენ და „ტკბებოდნენ". აი, ეს არის კიდევ უბედურება. ამ კადრებს უყურებდნენ და „ტკბებოდნენ" ეს უბედურები, ეს ავადმყოფები. ეს მინდა ხაზგასმით აღვნიშნო ამას უყურებდა მეგის ქარდავა, გუნავა, ახალაიები. მე გეტყვით ერთ ფაქტს, რომელიც გაჟღერებული არ არის. ქარდავამ ერთ-ერთ თავის ქვემდგომს, ადამიანს, რომელიც ამ კასეტებს იღებდა, საკუთარი კომპრომატი მოსთხოვა. შენ გააუპატიურე ვინმე და მომიტანე შენი სექსის კასეტაო. ეს მეგის ქარდავას სიტყვებია. კაცი იძულებული გახდა, რომ მოეტანა საკუთარი კომპრომატი მეგის ქარდავასთვის, მეგის ქარდავამ კადრები დაუწუნა და ეს კაცი იძულებული გახდა მეორე კასეტა მოეტანა. წარმოგიდგენიათ?! მე პირადად ვიცნობ ამ კაცს, მაგრამ ვინაობას ვერ დავასახელებ. აი, ასეთ ავადმყოფებთან გვქონდა საქმე.

– ეს ადამიანი თანამშრომლობს გამოძიებასთან?

– ეს ადამიანი თანამშრომლობს გამოძიებასთან და ცოტა ფსიქიკურად არის შერყეული.

არც ერთი ფაქტი არ უნდა დარჩეს გამოუძიებელი. ხელისუფლებამ უნდა გამოიძიოს ზონდერ ჯგუფების შექმნის და ხალხის გაუპატიურების ფაქტები. ეს საქმე უნდა იყოს კომპლექსურად გამოძიებული და მაგიდაზე დადებული, რადგან მომავალმა ხელისუფლებებმა აზრადაც არ გაივლონ ასეთი რამის გაკეთება.

– თქვენი ინფორმაციით იმ ზონდერებიდან სისტემაში რჩებიან კიდევ?

– რჩებიან. კიდევ ერთ რამეს გეტყვით, ზონდერების გარკვეული ნაწილი, ჩემი ინფორმაციით, უკვე თანამშრომლობს ხელისუფლებასთან და ხელისუფლებამ ბოლო გაფრთხილება მისცა მათ, რომ დადონ ფაქტები. მარტო ერთი სამალავი არ არის სამეგრელოში, უამრავი სამალავი და კასეტაა... კიდევ აღმოჩნდება სამალავები, კასეტები და დოკუმენტაცია.

– თქვენ ამბობთ, რომ ეს სამალავები სწორედ „ზონდერების" მხრიდან გამოძებასთან თანამშრომლობით იქნა აღმოჩენილი?

– რა თქმა უნდა, ბუნებრივია, რომ უშიშროებამ იმუშავა და გაარკვია სამალავები სად იყო. რომელიღაცამ, ალბათ, აღიარა. მე კატეგორიულად უარვყოფ და ვეწინააღმდეგები იმ ფაქტს, რომ თითქოს დათა ახალაიამ გასცა ეს სამალავები.

– ახლა რა სიტუაციაა სამეგრელოში?

– შიში დაძლეულია, მაგრამ კასეტებმა და ბოლო აღმოჩენებმა საზოგადოება ისევ შოკში ჩააგდო. ეს საზოგადოებამ ყურმოკვრით იცოდა, მაგრამ როცა რეალობის წინ დგები და ამაზე რეალურადაა საუბარი, ეს გარკვეულწილად ფსიქოლოგიურ სტრესს იწვევს. ჩემთვის და ბევრისთვის, ვინც თავიდანვე აცნობიერებდა რა რეჟიმი შექმნა სააკაშვილმა, არ იყო მოულოდნელი, მაგრამ მოსახლეობა ფსიქოლოგიურად დათრგუნულია და ეს ბუნებრივია, როდესაც ასეთი ფაქტების წინაშე დგები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

აფხაზურმა ეკლესიამ მსოფლიო პატრიარქისგან 6 ანტიმინსი მიიღო

რატომ დუმს საპატრიარქო?!

EXCLUSIVE

ანტიმინსი - ტილოს ნაჭერი, რომელშიც მითითებულ ადგილას ჩაკერებულია რომელიმე წმ. მოწამის სხეულის უხრწნელი ნაწილი. ანტიმინსს იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ეკლესიისთვის, რომ მის გარეშე ვერც ერთ ტაძარს ვერავინ, თვით ეპისკოპოსიც კი ვერ აკურთხებს.

მამუკა არეშიძე: „მსოფლიო პატრიარქის მხრიდან ანტიმინსის აფხაზური ტაძრებისთვის მინიჭება ეს არის პირველი ნაბიჯი“

ნანა შონია

სოციალურ მედიაში, ცოტა ხნის წინ, რადიო „თავისუფლებისა“ და „ეხო -კავკაზის“ აფხაზური რედაქციის ხელმძღვანელის დემის პოლანდოვის პუბლიკაცია გამოქვეყნდა, სადაც ოკუპირებული აფხაზეთის ტეროტორიაზე არსებულ ეკლესია-მონასტრებზეა საუბარი და აღნიშნულია, რომ მსოფლიო პატრიარქმა აფხაზ სასულიერო პირს დავით სარსანიას მართლმადიდებლური სიწმინდე ექვსი ანტიმინსი გადასცა. ანტიმინსი სელის ერთგვარი ნაჭერია, რომელშიც წმინდა ნაწილებია ჩაკერებული და მსოფლიო პატრიარქის ხელმოწერა ახლავს. ეს არის აუცილებელი ატრიბუტი სრული ლიტურგიის ჩასატარებლად. ექვსი ანტიმინსის მიღება კი ნიშნავს იმას, რომ აფხაზეთის ექვს ტაძარში ღვთისმსახურების აღსრულება ოფიციალურად არის შესაძელებელი. ეს იმ ფონზე ხდება, როდესაც აფხაზეთში არსებულ ქართულ სიწმინდეებს მთელი მსოფლიო მართლმადიდებლური სამყარო ქართული ეკლესიის წიაღში, ერთ მთლიანობად განიხილავს.

რამ განაპირობა მსოფლიო პატრიარქის ბართლომე პირველის გადაწყვეტილება და ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მსოფლიო საპატრიარქომ აფხაზური ეკლესიების ავტოკეფალია სცნო, ამის გარკვევა „პრაიმტაიმმა“ ექსპერტებთან, ოფიციალურ პირებთან და საპატრიარქოსთან სცადა.

ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე ფიქრობს, რომ აფხაზები ამ გადაწყვეტილების შემდეგ უფრო აქტიურად შეეცდებიან ავტოკეფალიაზე ზრუნვას. არეშიძე საქართველოს საპატრიარქოს მეტი აქტიურობისკენ მოუწოდებს.

მამუკა არეშიძე, ექსპერტი კავკასიის საკითხებში: - მსოფლიო პატრიარქის მხრიდან ანტიმინსის აფხაზური ტაძრებისთვის მინიჭება ეს არის პირველი ნაბიჯი, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ სრულფასოვანი აღიარება არ შედგება, რადგანაც ბერძნული ეკლესიისთვის ეს არის გარკვეული თამაშის წესი და მისთვის დამახასიათებელია სანახევროდ მიღებული გადაწყვეტილებები. ამ აღიარებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება ქართული ეკლესია, მაგრამ რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ეს არ აწყობს რუსულ ეკლესიასაც, მას არ უნდა გვერდით ჰყავდეს ეკლესიის მსგავსი წარმონაქმნი, რომელსაც მსოფლიო საპატრიარქო გააკონტროლებს.

- რას შეიძლება დაუკავშირდეს მსოფლიო პატრიარქის ეს გადაწყვეტილება და ლოგიკურად რა ნაბიჯები შეიძლება მოჰყვეს ამ ყველაფერს?

- ალბათ, ამ ყველაფრის შემდეგ მეორე ნაბიჯი შექმნილი ვითარებისთვის შესაბამისი ფორმების მიცემა იქნება და აფხაზები შეეცდებიან მიტროპოლიის გამოცხადებას. შიგნით კი დაიწყება ბრძოლა იმაზე, თუ ვინ იქნება აფხაზეთის ეკლესიის მაკონტროლებელი. აქ კი ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას თუ რატომ იჩემებენ აფხაზები არარსებული აფხაზური ეკლესიის სამართალმემკვიდრეობას. თუ კი ისტორიას კარგად მივადევნებთ თვალ-ყურს, ვნახავთ, რომ იყო პერიოდი, როდესაც ორი პატრიარქი იჯდა საქართველოში. ზუსტად ამ იდეის რეანიმაციას ცდილობდა აფხაზეთში მოქმედი სასულიერო პირების ერთი ნაწილი. დღესდღეობით აფხაზური ეკლესიის ფორმალური ლიდერი ბესარიონ აპლიაა, რომელიც საქართველოს პატრიარქის მიერ არის ხელდასმული 70-იან წლებში, ასეთივეა დავით სარსანია, თუმცა აპლიასგან განსხვავებით მისი ხელდასმა 2000 წელს მოხდა. მოგვიანებით აფხაზეთში დაიწყო დაპირისპირება ახალგაზრდებსა და ნინა თაობას შორის. ისეთი ახალგაზრდები, როგორიც არის ლეონიდ ტბარი, სარსანია და ზოგიერთი სხვა, ფიქრობდნენ, რომ აუცილებელი იყო აფხაზეთის ეკლესიას დამოუკიდებლობა ჰქონოდა. ბესარიონ აპლია კი თვლიდა, რომ ისინი რუსული ეკლესიის შემადგენლობაში უნდა ყოფილიყვნენ. რუსული ეკლესია დიდი სიამოვნებით შეიერთებდა აფხაზურ ეკლესიას, მაგრამ ამ გადაწყვეტილებით „ხელები ეხსნებოდა“ საქართველოს საპატრიარქოს, რათა მას ელიარებინა უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის დამოუკიდებლობა. დღეს უკრაინის ეკლესია ორად არის გაყოფილი, ერთი ნაწილი ექვემდებარება მოსკოვის საპატრიარქოს, ხოლო მეორე არა, თუმცა მისი ცნობა, როგორც ავტოკეფალური ეკლესიისა არ მომხდარა. საქართველოს საპატრიარქოს სურვილის შემთხვევაში მისი აღიარება შეუძლია. ამ რისკებს კარგად აფასებენ რუსეთის საპატრიარქოში და რამდენიმე ათასი აფხაზის მრევლად გახდომის საფასურად, არ სურთ მიიღონ დაახლოებით 10-მილიონიანი მრევლისგან შემდგარი უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესია. სხვა მხრივ, ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ რუსეთი მისი გავლენის გატარებას აფხაზეთში სულ ცდილობდა. ალექსი II-მ თავის დროზე სთხოვა კიდეც საქართველოს პატრიარქს, რომ დროებით რუსული ფრთის ქვეშ ყოფილიყო აფხაზური ეკლესია, მაგრამ ამაზე უარი მიიღო. ამასობაში კი, როგორც ჩანს, სხვამ გამოიჩინა ინიციატივა და მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ ეს სხვა არის მსოფლიო პატრიარქი. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ ბერძნული ეკლესიის მიმდევრები მიჩვეული არიან სეპარატისტულ მიდგომებს, თვითონ საბერძნეთის ეკლესია ერთიანი არ არის, ის დაყოფილია დაახლოებით 14 სხვადასხვა სუბიექტად. აქედან ერთ-ერთ მათგანში გაიარა სწავლება აფხაზეთში საკმაოდ პერსპექტიულმა ახალგაზრდა სასულიერო პირმა ლეონიდ ტბარმა და მიიღო შესაბამისი ხარისხი. მაგრამ ტბარი სწორად მიხვდა, რომ ამ ორი დიდი ეკლესიის დავაში ის, აფხაზური ეკლესიის აღიარებას ვერ მიიღებდა და ამიტომაც კავშირები გააბა მსოფლიო პატრიარქის გარემოცვასთან. შესაბამისად, მათ დღეს დავით სარსანიას ხელით გამოგზავნეს ის წმინდა ნაწილი, რაც ამ სასულიერო ჯგუფის ლეგიტიმურობის ხარისხს წევს. მათ ეძლევათ ოფიციალური ღვთისმსახურების ჩატარების უფლება, აფხაზეთის რამდენიმე ეკლესიაში. ამ ყველაფრის შემდეგ ლოგიკურია, რომ ისინი დაიწყებენ ავტოკეფალიაზე ზრუნვას, მაგრამ ძალიან დიდი ალბათობით შემიძლია გითხრათ, რომ ავტოკეფალიას აფხაზური ეკლესია ვერ მიიღებს. რადგან თუ ვინმე იქნება ამის წინააღმდეგი საქართველოს ეკლესიის გარდა, პირველ რიგში, ეს იქნება რუსული ეკლესია. რადგან მას ამის პრეცედენტის შექმნა არ აწყობს.

- საუბარია იმაზეც, რომ დავით სარსანია ძალიან დიდი სიმპათიებით სარგებლობს მსოფლიო პატრიარქთან.

- დავით სარსანია რომ არ სარგებლობს მსოფლიო პატრიარქის განსაკუთრებული სიმპათიებით ამაში დარწმუნებული იყავით. მსოფლიო პატრიარქი მხოლოდ სტამბულის ორ კვადრატულ კილომეტრს აკონტროლებს. ეს ტიტული დღეს უფრო ტრადიციულია და აქედან გამომდინარე მსოფლიო საპატრიარქოსთვის საოცრად მომგებიანია, რომ მან შეიძინოს დამატებითი ეპარქია აფხაზეთის სახით. მართალია მსოფლიო პატრიარქი მართლმადიდებლური ეკლესიების ნუსხაში პირველ ადგილზე დგას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას რამე განსაკუთრებული ძალაუფლება აქვს. მას არ ემორჩილებიან სხვა ბერ-მსახურები, საუბარი არ მაქვს საბერძნეთის ეპარქიებზე, რომლებიც რამდენიმე ნაწილად არის დაყოფილი. თუმცა, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ფაქტია, რომ მსოფლიო პატრიარქმა უფლება მისცა ახალგაზრდა მღვდლების ჯგუფს ლეგიტიმურად აღასრულონ ღვთისმსახურება. მომავალში რა მოვლენები შეიძლება განვითარდეს ადგილზე, ამაზე წინასწარ საუბარი ძნელია, რადგანაც აფხაზეთში დაპირისპირება სასულიერო პირებს შორის ისედაც არსებობს.

- როგორ ფიქრობთ რა ბერკეტები უნდა აამუშაოს ამ დროს საქართველოს საპატრიარქომ?

- საპატრიარქომ ამაზე შესაბამისი რეაქცია უნდა მოახდინოს. თუმცა აქ არის ერთი მნიშვნელოვანი მომენტი მართლმადიდებლურ სამყაროში არსებობს სხვადასხვა დაპირისპირების ფორმები. ეს არის ეკუმენიზმის ფორმა, ტერიტორიული გავლენების ფორმა და ა.შ. მართალია ეს ყველაფერი კულუარული მოლაპარაკებების შედეგად წყდება და ზედაპირზე არ გამოდის, მაგრამ ფაქტია, რომ თავისი გააკეთა მსოფლიო პატრიარქმა და წყალი შეუყენა მართლმადიდებლური ეკლესიების ერთიანობას. მე არ ვიცი რა გადაწყვეტილებას მიიღებს საქართველოს საპატრიარქო, მაგრამ, როგორც ჩანს, უფრო აქტიური ბრძოლაა საჭირო. არ გამოვრიცხავ, რომ მსოფლიო მართლმადიდებლურ საეკლესიო კრებაზე გამოტანილი იყოს ეს საკითხი და ძალიან მწვავედ დაისვას ეს თემა“.

შექმნილი სიტუაციის გარკვევა ჩვენ საქართველოს საპატრიარქოში ვცადეთ და ცალკეულ სასულიერო პირებსაც დავუკავშირდით, თუმცა ჩვენი მცდელობის მიუხედავად საპატრიარქოსგან პასუხი ვერ მივიღეთ. სასულიერო პირების უმეტესობამ სიტუაციის გარკვევა, მეუფე გერასიმეთან გვირჩია, რომელიც საქართველოს საპატრიარქოში ამ თემებზე მუშაობს.

მეუფე გერასიმე: „პრესცენტრის სამსახურს დაურეკეთ, მამა დავით შარაშენიძეს და ისინი ოფიციალურად გაგცემენ პასუხს, მე არაფრის თქმა არ შემიძლია“.

მამა დავით შარაშენიძემ რამდენიმედღიანი მცდელობის მიუხედავად ჩვენს ზარებს არ უპასუხა. საქართველოს საპატრიარქოს პრეს-სამდივნოში კი განგვიცხადეს, რომ ამ თემაზე აუცილებლად გაგვცემდნენ პასუხს. მას შემდეგ, რაც ჩვენ საპატრიარქოსგან დაპირებული ინფორმაცია ვერ მივიღეთ, სიტუაციაში გასარკვევად რეინტეგრაციის სამინისტროს დავუკავშირდით. სამინისტროს პრესსამსახურში კი განმარტეს, რადგან საქმე ეხება ეკლესიის საკითხს, სახელმწიფო ეკლესიის საქმიანობაში არ ერევა და მათ ამ თემაზე საუბარი არ შეუძლიათ.

„მათ ეძლევათ ოფიციალური ღვთისმსახურების ჩატარების უფლება, აფხაზეთის რამდენიმე ეკლესიაში. ამ ყველაფრის შემდეგ ლოგიკურია, რომ ისინი დაიწყებენ ავტოკეფალიაზე ზრუნვას“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

არჩევნებამდე ციხეებში ბუნტი მზადდება(?)

მარიამ ნადირაძე

„ციხეში ქურდული სამყაროს წევრებმა მიიღეს ქურდული „რეშენია“, რომ ერთმანეთს პატიმრებმა ზედმეტი სიტყვა არ უთხრან, ხმამაღლა არ დაელაპარაკონო. ეს არის აღნიშნული ბრალში. ახლა მითხარით, „ეს რეშენია“ არ სჯობია ჩვენი პარლამენტარების „რეშენიებს“, რომლებიც ერთმანეთს დედებსა და კეთილებს აგინებენ და ბოთლებს ესვრიან?“

ციხეებში სიტუაცია უფრო და უფრო იძაბება. გაჩნდა საშიშროება, რომ მალე სიტუაციები შესაძლოა, უმართავიც გახდეს. როგორც წესი, ამ თემით სპეკულირება ყველაზე ადვილად და ყველაზე წარმატებულად ნებისმიერი პერიოდის ხელისუფლებას გამოსდის. თუმცა, სანამ მთავარ პრობლემაზე გადავიდოდეთ, ერთი კონკრეტული ფაქტის შესახებ მოგახსენებთ: უკანასკნელ ერთ თვეში 30-მდე ადამიანს წარუდგინეს ბრალი ქურდული სამყაროს წევრობით. მათგან ერთი ნაწილი უკვე განთავისუფლებული იყო სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან და სამართალ დამცველებმა ისინი კვლავ უკან შეაბრუნეს. ღარიბაშვილის უწყება, სხვათაშორის, თავშივე ეწინააღმდეგებოდა მასშტაბურ ამნისტიას...

ერთი სიტყვით, ჩვენი ინფორმაციით, ამ მუხლით დაპატიმრებული პატიმარი, რომელმაც სასჯელაღსრულების დაწესებულება შვიდწლიანი პატიმრობის შემდეგ ცოტა ხნის წინ დატოვა, დაპატიმრების დღიდან შიმშილობს. უფრო მეტიც, მან წარმოუდგენელი რამ გააკეთა – პროტესტის ნიშნად თითი მოიჭამა.

„პრაიმტაიმი“ მის ადვოკატს, ზურაბ როსტიაშვილს დაუკავშირდა, რომელიც მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს სოლიდარობას უცხადებს და 20 ივნისის შემდგომ ისიც შიმშილობს. ყოველ შემთხვევაში, ის თავად ასე აცხადებს:

– მაიზერ ბაძაღუა 14 მაისს ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით დააკავეს. ბრალდების მტკიცებით, მას მისმა ბიძაშვილმა, კობა ბაძაღუამ დაურეკა, რომელმაც უამბო, რომ თავანების თემაზე ესაუბრა კანონიერ ქურდებს თურქეთში. ეს გახდა მაიზერის დაპატიმრების მიზეზი. რომელ კანონიერ ქურდობაზეა საუბარი? ასეთი სულელური კანონი იტალიაშიც კი არ მიუღიათ, რომელსაც, საქართველოს არც კი დაესიზმრება, ისეთი მაფია ჰყავს. ვინც ამ კანონს მხარი დაუჭირა, ის პარლამენტარები არიან ქურდები და ყაჩაღები.

– მაგრამ ამ მოცემულობაში, ეს კანონი არსებობს და მოქმედებს...

– ამ კანონში განმარტება ასეთია, რომ ქურდული სამყაროს წევრობა დასტურდება, თუ პირი მონაწილეობს ქურდულ გარჩევებში. ის უნდა აღიარებდეს ქურდული სამყაროს მიზნებს. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი კი ამას არ აღიარებს. ის არის უმაღლესი განათლებით, ორი ინსტიტუტი აქვს დამთავრებული, საჯარო სამსახურში იწყებდა მუშაობას, არის შესანიშნავი სპორტსმენი... არავითარი ქურდული სამყაროს წევრი არ ვარო, თვითონ ამბობს. ის მიშა სააკაშვილის რეჟიმის და ამ სულელური კანონის წყალობით 7 წელი უკვე იჯდა. მეგის ქარდავამ და მისნაირებმა მისცეს მის წინააღმდეგ მაშინ ჩვენება. ვინაიდან 14 მაისსაც ტყუილად დააკავეს, მაშინვე დაიწყო შიმშილობა. მხოლოდ ბოლო დღეს მოვიდა მასთან სახალხო დამცველის წარმომადგენელი. მერე პროკურატურამ საპატიმრო ვადის გაგრძელება მოითხოვა და ისევ დაიწყო შიმშილობა. მეც ავყევი სოლიდარობის ნიშნად. 20 ივნისიდან ორივე ვშიმშილობთ.

EXCLUSIVE

რატომ შიმშილობს ადვოკატი და რას აპროტესტებს პატიმარი, რომელმაც თითი მოიჭამა?

– რას მოითხოვთ?

– უკანონო პატიმრობიდან განთავისუფლებას. პროტესტის ამ უკიდურეს ფორმას კიდევ ის დაამატა, რომ თითი მოიძრო...

– მართლა შეჭამა?

– არა, კბილით ვერ გატეხა და მერე კარებში მოიჩეჩქა და გადააგდო. ნეკა თითი.

– ამით რა გააკეთა, რა დაამტკიცა?

– როცა მე ვკითხე ამის შესახებ, მითხრა, 7 წელი ერთხელ ტყუილად მომახდევინეს, ახლა ისევ იგივეს მიპირებენ და აგერ ჩემი ხორცი შეჭამოს პოლიციამ და პროკურატურამო.

– თქვენი აზრით, უკვე განთავისუფლებული ადამიანების ასე მასობრივად უკან, ციხეებში შებრუნება რატომ ხდება?

– პოლიცია მუშაობს „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ. თუ საუბრობენ ციხეში „მაყურებლების“ დანიშვნაზე და მასიურად შეჰქონდათ ტელეფონები, მაშასადამე, მასიურ დანაშაულთან გვქონია საქმე. მაშინ ის ციხის უფროსი სად არის? რას აკეთებდა უსაფრთხოების სამსახურები, რომლებსაც უზარმაზარი ხელფასები აქვთ დანიშნული მოვალეობების შესასრულებლად? გამოდის, რომ უამრავი ადამიანია დასაჭერი. თუ მაყურებლებით უნდოდა ადმინისტრაციას სიტუაციის დარეგულირება, ისინიც ქურდული სამყაროს წევრები გამოდიან და მათ რატომ არ სთხოვენ პასუხს? იცით, რა წერია მათ ბრალში? ციხეში ქურდული სამყაროს წევრებმა მიიღეს ქურდული „რეშენია“, რომ ერთმანეთს პატიმრებმა ზედმეტი სიტყვა არ უთხრან, ხმამაღლა არ დაელაპარაკონო. ეს არის აღნიშნული ბრალში. ახლა მითხარით, „ეს რეშენია“ არ სჯობია ჩვენი პარლამენტარების „რეშენიებს“, რომლებიც ერთმანეთს დედებსა და კეთილებს აგინებენ და ბოთლებს ესვრიან?

– არსებობს საშიშროება, რომ ბაძაღუას პროტესტს სხვებიც აჰყვნენ?

– დღეს ერთმა ბადრაგმა მითხრა, რომ „რეზბალნიცაზე“ სხვასაც მოუჭამია თითი. იმედია, სხვაც არ გაიმეორებს კიდევ, თუმცა მაქვს ინფორმაცია, რომ შიმშილობა შეიძლება სხვა პატიმრებმაც დაიწყონ და ეს ამ ხელისუფლების წისქვილზე ნამდვილად არ ასხამს წყალს. ფაქტია, რომ ასეთი მოქმედებით პოლიცია ამ ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედებს...

– ღარიბაშვილი მოქმედებს ასე?

– პოლიცია არ არის მარტო ღარიბაშვილი და არც კბილაშვილია მთელი პროკურატურა. მათ უკან ძალიან გასვრილი სისტემა დგას. ღმერთმა ნუ ქნას, ციხეში არეულობა დაიწყოს, მაგრამ 500-მა და 1000-მა პატიმარმა რომ დაიწყოს შიმშილობა, ეს „ოცნებისთვის“ ნამდვილად არ იქნება კარგი...

ახლა კი იმ მთავარი პრობლემის შესახებ გიამბობთ, რომლის თაობაზეც პუბლიკაციის დასაწყისში დავიწყეთ საუბარი, ჩვენი რესპონდენტი ვინაობის დასახელებისგან თავს იკავებს და გვატყობინებს, რომ ციხეებში ბუნტი მზადდება:

– გახსოვთ, ალბათ, კანონიერი ქურდი „წრიპა“ აბანოში მიჰყავთ საპატიმრო სასჯელაღსრულების დაწესებულებიდანო და სააკაშვილმა თავბრუდამხვევი პიარი რომ ააგორა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაშინდელი ხელმძღვანელის, კოპალიანის განთავისუფლებით. მაშინ რეალურად შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოაქცია სასჯელაღსრულების სისტემა საკუთარი კონტროლის ქვეშ. ბაჩანა ახალაია სწორედ ამ მიზნით მიავლინეს დეპარტამენტის უფროსად.

...ციხე ყველა რეჟიმის პირობებში ის ავტონომიური ორგანიზმია, რომლით მანიპულირებაც ყველა დროის ხელისუფლებას აწყობს.

– სუბარი ვერ გამოდგა პრინციპული ხელმძღვანელი. სწორედ მის პირობებში დაიწყო ციხეებში „მაყურებლების“ კონტროლი...

– არჩევნების შემდეგ ციხეებში „ბეზპრიდელი“ დაიწყო – გარჩევები, პასუხების მოთხოვნები, თამაშები. ამ სიტუაციებს თანამშრომლები ვერ დაალაგებდნენ, რადგან ძირითადი კონტინგენტი იმ რეჟიმს მიეკუთვნება, რომლებიც პატიმრებს სასტიკ ყოფაში ამყოფებდა. გამოუვალი სიტუაცია შეიქმნა და ადმინისტრაცია იძულებული გახდა, მაყურებლებისთვის ეთხოვა დახმარება. ამისთვის მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებაც მოუხდათ, თუნდაც მობილური ტელეფონების შეტანით. თუ სიტუაციის დალაგებისთვის კორპუსიდან კორპუსზე ვინმე გადაჰყავდათ, ეს ყველაფერი ადმინისტრაციიასთან შეთანხმებით ხდებოდა. მაყურებლებმა ნელ-ნელა მოახერხეს მდგომარეობის ჩაწყნარება. ისინი პატიმრებისგან მოითხოვდნენ, რომ შეწყვეტილიყო თამაშები, გარჩევები, საძილე საშუალებების მიღება, ვინაიდან წინა რეჟიმის პირობებში ამ საშუალებებს მაშინდელი ადმინისტრაცია მასობრივად აძლევდა პატიმრებს.

ყველამ იცოდა ციხეებში მობილური ტელეფონების არსებობისა და ლიდერების ფუნქციების გაძლიერების შესახებ, სამართალდამცველები სწორედ ამ ლიდერებს დაერივნენ და ახალი ბრალდებები წაუყენეს. მაქვს ინფორმაცია, რომ ამას ძალიან დიდი უკმაყოფილება მოჰყვება ციხეში და ციხე აუცილებლად აბუნტდება. ბოლოს და ბოლოს, ის ტელეფონები თავისით ხომ არ შეფრინდა იმ დაწესებულებებში? ამაში ხომ ადმინისტრაციაც მონაწილეობდა? მაშინ ახლაც გვქონია საქმე სისტემურ დანაშაულთან და ამას რატომ არ არქმევს არავინ სახელს? მე მოვუწოდებდი პატიმრებს, თუ ჭკუა ჰყოფნით, აღარ დაჰყვნენ ადმინისტრაციის ნებას, რადგან ისინი ახალი სისტემისა და ახალი პოლიტიკური თამაშების მსხვერპლნი გახდებიან.

– რა პოლიტიკურ თამაშებს გულისხმობთ?

– მაქვს ინფორმაცია, რომ წინასაარჩევნოდ ციხეს ბუნტისთვის ამზადებენ. არიან დაინტერესებული ძალები იმისთვის, რომ საქმე სწორედ აქამდე მიიყვანონ და ეს ხელისუფლება აიძულონ, სისტემაში სააკაშვილივით ჯარი შეიყვანოს. თუ ახლა არ მოეგებიან გონს და შესაბამის ზომებს არ მიიღებენ, ეს პროცესი უმართავი გახდება და ერთადერთი გამოსავალი სწორედ ჯარით სიტუაციის დალაგება იქნება. ფაქტია, რომ ამ ეტაპზე ციხე პროტესტისთვის ემზადება... ეს ყველაფერი კი ვის წისქვილზე დაასხამს წყალს, თავად განსაზღვრეთ.

და კიდევ, ამ რესპონდენტის შეშფოთება გაცილებით საფუძვლიანი გახდება, თუ გავითვალისწინებთ კიდევ ერთ ინფორმაციას, რომელიც სასჯელაღსრულების მე-17 დაწესებულებიდან მივიღეთ. ამ ინფორმაციის მიხედვით, უკვე რამდენიმე დღეა, კარანტინში იმყოფება რამდენიმე მაყურებელი, ვინაიდან მათ ამ დაწესებულების ადმინისტრაცია კორპუსში არ იღებს. ამის მიზეზი თურმე ის ყოფილა, რომ ადგილობრივ „მაყურებლებს“, რომლებსაც ადმინისტრაციასთან უკვე შეხმატკბილებულად აქვთ სიტუაციები „დალაგებული“ დაწესებულებაში, ახლების მიღება არ უნდათ. კულუარულად იმის შესახებ საუბრობენ, რომ, თუ „ახლებს“ სხვა დაწესებულებაში არ გადაიყვანენ, ციხე შიმშილობის დაწყებით იმუქრება...

ასე რომ, შექმნილი სიტუაციით პატიმრებს ნებისმიერ რამეზე შეუძლიათ შიმშილობის დაწყება, რაც დიდი ალბათობით უმართავი პროცესების საშიშროებას ბადებს.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პოლიტიკური თამაში,

ქეთი ხატიაშვილი

ქარიზმატული ფიგურა, ლეგენდა და რაინდი, მაგრამ არც ერთი სტატუსით პოლიტიკოსი. ანუ, მიხეილ სააკაშვილის სიძლიერეს სწორედ მის ქარიზმაში ხედავდნენ. სწორედ ქარიზმის წყალობით გახდა ის 2004 წელს პრეზიდენტი. მოგვიანებით, ზუსტად 9 წლის შემდეგ, პოლიტიკაში უკვე ლეგენდა შემოდის. ბიძინა ივანიშვილის გამარჯვების ერთ-ერთ ფაქტორად სწორედ ეს ლეგენდა იქცა. ქარიზმის არჩევიდან 9 წლის შემდეგ და ლეგენდის არჩევიდან 9 თვის შემდეგ პოლიტიკაში უკვე რაინდმა შემოაბიჯა, უფრო ზუსტად თითქმის შემოაბიჯა. პასუხი 9 დღეში უნდა მიგვეღო საქველმოქმედო კონცერტზე, თუმცა, როგორც ირკვევა, პაატას „ბუტკაში“ შესვლა არ იგეგმება. (პაატა ბურჭულაძეს რაინდის წოდება 2011 წელს მწერალთა კავშირმა მიანიჭა კულტურის სფეროში).

თუმცა, 9 დღე საჭირო აღარ გახდა, კულისებში დიდი ამბავი ატყდა, თავიდან პაატამაც ბუნდოვანი განცხადება გააკეთა, – ვფიქრობო, ბოლოს კი „კვირის პალიტრას“ ექსკლუზიურად განუმარტა:

– აი, თქვენც გაგიგიათ, რომ მოვიდნენ ჩემთან წინადადებით, საპრეზიდენტო არჩევნებში ჩემი კანდიდატურა წამომეყენებინა... რა მეთქმის, მართლა იყო ასეთი წინადადება. როგორც მითხრეს, ძალიან ბევრ ადამიანს სურს, ჩემი კანდიდატურა იყოს წარდგენილი. მათ მხოლოდ ერთს ვეტყვი – დღეს ჩამოყალიბებული არ ვარ. არ მინდა გული ვატკინო მათ, მაგრამ ჯერჯერობით ვერც ვერაფრით გავახარებ... ისე, საპრეზიდენტო კანდიდატურის წამოყენებას კი არა, ხვალ რომ მთვარეზე მომიხდეს წასვლა, იმასაც არ გამოვრიცხავ. ყველაფერია ამ ქვეყნად შესაძლებელი. თუმცა, მე ყოველთვის ვარიდებდი თავს პოლიტიკას და რამდენიც ავარიდე, არასოდეს წამიგია... კატეგორიული უარი სულ სხვა რამეა და ვიმეორებ, რომ ჩამოყალიბებული არ ვარ, რადგან ამაზე საკმარისად არ მიფიქრია. ჯონდი ბაღათურია გამოვიდა გუშინ, მან განაცხადა ამის შესახებ, თორემ ეს ამბავიც მერჩივნა, არ გახმაურებულიყო. ისე, ეს არ მომხდარა მხოლოდ გუშინ და გუშინწინ... ჩემთან მოდის ძალიან ბევრი პოლიტიკოსი, არასამთავრობოები და არ შეიძლება არავის არ მოუსმინო და არ დაეთანხმო. ბიძინა ივანიშვილისგანაც იყო შემოთავაზება, მაგრამ არა პრეზიდენტის კანდიდატურაზე... გიორგი მარგველაშვილიც შესანიშნავი კანდიდატურაა, მე ვიცნობ მას, ძალიან მიყვარს და ვაფასებ.

როგორც ჩანს, გარიგება ბიძინა ივანიშვილსა და პაატა ბურჭულაძეს შორის მაინც შედგა. „კვირის პალიტრა“ მათ ერთობლივ ფოტოსაც აქვეყნებს.

სხვათა შორის, საპარლამენტო არჩევნების წინაც იყო მცდელობა მათი გაერთიანების, მაგრამ მაშინ ეს ტანდემი არ შედგა. პაატა ბურჭულაძე და ბიძინა ივანიშვილი ერთხელ ნახეს ეკლესიაში თუმცა, პოლიტიკაში ერთად არ დაფიქსირებულან. ახლა კი ის მარგველაშვილს უცხადებს მხარდაჭერას, ისევე როგორც ლევან ვასაძე.

ანუ საპრეზიდენტო რინგზე ორი „გიგანტი“, როგორც მათ ჯონდი ბაღათურიამ უწოდა, მარგველაშვილს დაუჭერს მხარს, „ნაციონალური მოძრაობა“ პრაიმერისს ჩაატარებს და ნინო ბურჯანაძეს „სახალხო კრება“ დაუდგება „ბექებში“.

„მე ამას არ ვტრაბახობ, თუმცა ხშირად ვიმეორებ – არ შედის ახლა ეს რუსეთის ინტერესებში“

რატომ გამოჩნდა ბურჭულაძე

ვერსიები მაშინვე გაჩნდა. ითქვა, რომ ეს ან პოლიტიკური თამაშია, ან ვაჭრობა ან რუსული მუქარა. ვერსიებს თავისი არგუმენტებიც აქვს. მივყვეთ.

ვერსია – ეკლესია

ლევან ვასაძის ისტორია პოლიტიკაში ისეთივე ძველია, როგორც პაატა ბურჭულაძის. ორივე მათგანის პოლიტიკაში შემოსვლის მოლოდინი უკვე წლებია, გრძელდება. 17 მაისს ვასაძე, როგორც იტყვიან, კინაღამ პოლიტიკურ ფიგურად აკურთხეს. პოლიტიკაში არ შემოვიდა, თუმცა პოლიტიკური განცხადებები მაინც გააკეთა.

– მექმნება შთაბეჭდილება, რომ არის ხალხი, რომელიც ტროას ცხენის ჯაშუშებივით შეჰყვა ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკაში, ნულოვანი რეიტინგით. ისინი შევიდნენ ერთი კაცის რეიტინგით, ახლა გამოჩნდება, რისთვის შევიდნენ იქ და კარგად დაფიქრდნენ, რა უნდათ. შეიძლება 60 და 100-ათასიან საზოგადოებას უწოდო რაღაც ჯგუფი, ბრბო?.. გიორგი ჩვენი თაობის მერაბ მამარდაშვილად და ქართული ფილოსოფიის სკოლის უდიდეს იმედად ითვლებოდა. მისი სიმაღლის ინტელექტი უიშვიათესია და მე ცოტა მინახავს, ისევე როგორც მისი აბსოლუტურად კრისტალური წესიერება.

ეს ფრაზები, რა თქმა უნდა, რესპუბლიკელებისა და ირაკლი ალასანიას პარტიის მიმართულებით იყო ნათქვამი. ალასანიასი იმიტომ, რომ მარგველაშვილი მასზე უკეთესი კანდიდატია და რესპუბლიკელების იმიტომ, რომ ვადამდელ არჩევნებსა და სხვა ბევრ დესტრუქციული პროცესს სწორედ ისინი აჩერებენ ხელისუფლებაში.

თემას რომ მივუბრუნდეთ, მაშინ თუ გახსოვთ, უფრო რადიკალური იყო საკუთარ შეფასებებში ბიძინა ივანიშვილი. მან „ულჯიბიტების“ უფლებებიც აღიარა და სამღვდელოებაც გააფრთხილა, ანაფორა კანონისგან ვერ დაგიცავთო. საეკლესიო პირებს ბრალიც წაუყენეს. თუმცა, უფრო შორს საქმე არ ნასულა. ეს საქმე, თორემ პრემიერმა სიტყვით ისიც თქვა, რომ ეკლესია ამდენი პრივილეგიით არ უნდა სარგებლობდეს.

ამ თემაზე ბიძინა ივანიშვილმა ექსკლუზიურად „პრაიმტაიმთანაც“ ისაუბრა. პრემიერის განმარტებით:

– ჩვენ უნდა მოვახერხოთ და ეკლესია გავხადოთ მაქსიმალურად დამოუკიდებელი. ეკლესიას აქვს დიდი როლი, მაგრამ არც აქ უნდა გადავაჭარბოთ. ყველაფერს თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს. დაფინანსების პრინციპი უნდა შეიცვალოს, სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს ეკლესიის შიდა საქმეებში.

პრემიერმა ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობებზე ადრეც ღიად განაცხადა:

– სახელმწიფო შეიძლება ეკლესიას ეხმარებოდეს, მაგრამ არა იმ ფორმით, როგორც ეს დღეს ხდება, როცა პიროვნულად აძლევენ სასულიერო პირებს მანქანებს და ხელისუფლება წყვეტს, ვის და როგორ უნდა მისცეს. თუ საჭიროა, ეკლესიას ხელისუფლება ეხმარება და ნორმალური პროცესია, მაგრამ თავად სინოდმა უნდა გადაწყვიტოს, როგორ და რანაირად განკარგოს სახელმწიფოს მიერ გადარიცხული თანხები.

ამბობენ, რომ სწორედ ბიძინა ივანიშვილის ამ განცხადებებს უპასუხა პაატა ბურჭულაძემ პოლიტიკის ზღურბლთან დაფიქსირებით. ერთ-ერთი ვარაუდი სწორედ ასეთია. ეკლესია ცდილობს, საკუთარი გავლენები შეინარჩუნოს და პაატა ბურჭულაძე ამ გავლენების გარანტად ესახება. პატრიარქისა და ბანის ურთიერთობის შესახებ ცნობილია.

ანუ, ერთ-ერთი ვერსიით, პაატა ბურჭულაძის გამოჩენა არის ეკლესიის პასუხი პრემიერის განცხადებებსა და 17 მაისის აქციის შეფასებებზე. ლევან ვასაძე შესაძლოა, მხოლოდ გაფრთხილება ყოფილიყო. ასე ვთქვათ, ყვითელი ბარათი, რაკიღა მას კანონმდებლობა საარჩევნო პროცესებში ჩართვის საშუალებას არ აძლევს.

ვერსია – რუსეთი

არის სხვა ვერსიებიც. მაგალითად, რუსეთი, რომელიც ცდილობს, ბიძინა ივანიშვილს დაანახოს მისი რეალური ალტერნატივა იმ შემთხვევაში, თუკი ყველაფერი რუსული სცენარით არ წავა. რუსულის სცენარი მარტივია: არა ნატოს, არა აფხაზეთისა და ცხინვალის დაბრუნების სურვილს; კი ევრაზიულ კავშირს, რომელიც პუტინის ახალი პირშმოა – აბა, ელცინის ძველი დსთ-ს სივრცე კრემლის ინტერესებს უკვე ველარ აკმაყოფილებს, ის დაშლილი, უავტორიტეტო და ჭრელია თავისი პოლიტიკური გემოვნებით. პუტინს კი დისციპლინა უყვარს. ანუ სნორება ჩრდილოეთზე.

ბიძინა ივანიშვილი: „ჩემი აზრით, „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი მეორე ადგილზე ვერ გავა, რამეთუ მისი ავტორიტეტი დღეს ჩვენს ქვეყანაში ძალიან დაბალია“

შესაბამისად, ზოგიერთ პოლიტიკოსს საქართველოში მიაჩნია, რომ პაატა ბურჭულაძე რუსული ინტერესების დაზღვევაა საქართველოში.

პაატა ბურჭულაძის პოლიტიკურ ინტერესებზე საუბარი პოლიტიკურ კულუარებში რასმუსენის საქართველოში ვიზიტს დაემთხვა. ექსპერტები ამ ორ ფაქტორსაც უკავშირებენ ერთმანეთს და ფიქრობენ, რომ ბიძინა ივანიშვილმა ნატოს გენერალურ მდივანს სათანადო პოლიტიკური ყურადღება არ დაუთმო. და ეს სწორედ რუსეთის ინტერესების ხარჯზე გააკეთა.

ამ კონტექსტში განიხილავენ სწორედ ბიძინა ივანიშვილის საკმაოდ შერბილებულ რიტორიკას რუსეთის მიმართ.

– მე უფრო ზომიერად ვეკიდები ამ საკითხს, რადგანაც მგონია, რომ გაუგებრობაა უფრო, ვიდრე პოლიტიკა, მართული კრემლიდან; მე ასეთი ეჭვი მაქვს, თუმცა მტკიცებულებები ამისა არ გამაჩნია; დაველოდოთ მოვლენებს... მე რატომღაც მგონია, რომ გაუგებრობაა, რადგანაც კარგად ვხედავ და ანალიზის კარგი უნარი მაქვს. მე ამას არ ვტრაბახობ, თუმცა ხშირად ვიმეორებ – არ შედის ახლა ეს რუსეთის ინტერესებში, – ასეთი განცხადება გააკეთა პრემიერმა პირველად დიცში რუსული ჯარების მხრიდან საზღვრის გადმოწევის კომენტირებისას.

მოვლენების განვითარებასაც დაველოდეთ, თუმცა, მნიშვნელოვანი არაფერი გაჟღერებულა. ბიძინა ივანიშვილმა მოგვიანებით ისევ გაიმეორა, რომ რუსი ოკუპანტების მხრიდან საზღვრების დარღვევა გაუგებარია. ეს უკვე პრემიერმა „პრაიმტაიმთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში აღნიშნა:

– ის რაც ხდება, ძალიან არასასიამოვნო და მართალი რომ გითხრათ, გაუგებარიცაა. რამეთუ მე მეგონა, სხვა დამოკიდებულება განვითარდებოდა ახალ ხელისუფლებასა და რუსეთს შორის. ჩვენ არ ვაკლებდით არაფერს სიტუაციის დასალაგებლად. ჩემთვის გაუგებარია და მაქსიმალურად ვცდილობთ, გავერკვიოთ, საიდან მოდის ეს, უმაღლესი ხელისუფლებიდან თუ... არ გამოვრიცხავ, რომ ეს მინისტრის, ან დაბალ დონეზე, შესაძლოა, გენერლის დონეზეც წყდებოდეს. ძალიან სამწუხაროა... მე მძიმე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვაჭრობა თუ მუქარა?

პაატა ბურჭულაძე: „ბიძინა ივანიშვილისგანაც იყო შემოთავაზება, მაგრამ არა პრეზიდენტის კანდიდატურაზე... გიორგი მარგველაშვილიც შესანიშნავი კანდიდატურაა, მე ვიცნობ მას, ძალიან მიყვარს და ვაფასებ“

დასკვნების გაკეთებას არ ვაპირებ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ოპონენტები ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ ეს ჩვენი შერბილებული რიტორიკის შედეგია. ამას არ ვეთანხმები. ჩვენ გვაქვს დიპლომატიური, ნორმალური, ჯანსაღი რიტორიკა, რომელსაც არ ვფარავთ და ისევ გავაგრძელებთ. ვცდილობთ, ყველაფერი დავალაგოთ დიპლომატიით და ნორმალური გამონათქვამებით და არა ომით. რთულია, ადრეც არასდროს არ მითქვამს, რომ მოვალთ და ხუთ წუთში ყველაფერს დავალაგებთ. რა თქმა უნდა, სიტუაცია, საიდანაც ჩვენ დავიწყეთ, იყო ძალიან რთული და დღესაც არის რთული. ეს, რა თქმა უნდა, მარტივად ვერ დალაგდება და ჩვენ არასდროს არ გვქონია ამის ილუზია. მაშინაც კი, როდესაც ოპოზიციაში ვიყავი, მე არასდროს ამ საკითხს არ ვამართლებდი. ეს რთული და ხანგრძლივი პროცესი იქნება. თუ გნებავთ, ეს ფაქტიც ამას ადასტურებს. მე არასდროს არ მითქვამს, რომ ჩვენ მოვალთ და ეს პრობლემა სწრაფად მოგვარდება...

ვერსია – პოლიტიკური თამაში

და კიდევ ერთი ვერსია, ბიძინა ივანიშვილი თავად აყენებს პაატა ბურჭულაძის კანდიდატურას ნაციონალების მეორე ადგილიდან ჩასაჩოჩებლად. ივანიშვილმა წინა კვირას იწინასწარმეტყველა კიდეც: „ნაციონალური მოძრაობა“ მეორე ადგილს ვერ დაიკავებსო:

– დღესაც შემიძლია, დარწმუნებით გითხრათ, რომ პირველ ტურში და დიდი უპირატესობით მოიგებს ჩვენი კანდიდატი. ჩემი აზრით, „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი მეორე ადგილზე ვერ გავა, რამეთუ მისი ავტორიტეტი დღეს ჩვენს ქვეყანაში ძალიან დაბალია...

თუმცა, ეს წინასწარმეტყველება რომ ახდეს, როგორც ჩანს, მხოლოდ სკანდალური ფირების გასაჯაროვება არ არის საკმარისი, თუმცა აქ სხვა ფაქტორიც იკვეთება. ბიძინა ივანიშვილს შესაძლოა ძალიან სურდეს, რომ მთავარ ოპოზიციურ ძალად „ნაციონალური მოძრაობა“ არ დაფიქსირდეს, თუმცა, მეორე მხრივ, მაშინ ან თავად უნდა წააგოს პაატა ბურჭულაძესთან (მარგველაშვილი რომ ბანს ვერ მოუგებს, ეს აღიარებული ფაქტია), ან ბურჭულაძე უნდა დასჯერდეს მეორეს პოზიციებს. ეს კი უკვე მსოფლიო დონის ვარსკვლავისთვის იქნება მიუღებელი.

ასე რომ, არ არის გამორიცხული, ყველაფერი კულუარებში დასრულდეს, ანუ იქ, სადაც დაიწყო და ვაჭრობა შედგეს, თუმცა აქ უკვე დეტალებზე საუბარი ძნელი იქნება.

წავა თუ არ წავა?

საპრეზიდენტო მარათონზე ჯერ ლევან ვასაძე გამოჩნდა, მერე – პაატა ბურჭულაძე, პარალელურად ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ ის დატოვებს პოლიტიკას, რასაც მისივე კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი მიესალმა, პრეზიდენტი სააკაშვილი კი – არა. პოლიტიკიდან მის გაშვებას, როგორც ჩანს, არც ნინო ბურჯანაძე აპირებს. თუმცა, მისი არგუმენტი ნაციონალების არგუმენტისგან განსხვავდება. მთავარი ოპოზიციური პარტია – „ნაციონალური მოძრაობა“ მიიჩნევს, რომ ივანიშვილის წასვლა ქაოსს გამოიწვევს და რომ ის უნდა დარჩეს და აღებული ვალდებულებები თუ დაპირებები შეასრულოს.

ნინო ბურჯანაძეს კი აინტერესებს, ვის ტოვებს ბიძინა ქვეყანაში:

– მე ვფიქრობ, ბატონი ბიძინა შეცვლის თავის გადაწყვეტილებას. მაინტერესებს, ბიძინა ივანიშვილი საპრეზიდენტო არჩევნებიდან სამი დღის მერე რომ აპირებს პოლიტიკიდან წასვლას, ვინ უნდა მართოს ქვეყანა? თუ იმ ლოგიკას მივყვებით, რასაც ბიძინა ივანიშვილი ამბობს, რომ „ქართული ოცნება“ მოიგებს პირველ ტურში და ის იქნება პრეზიდენტი, ხოლო ბიძინა ივანიშვილი პრემიერი აღარ იქნება, უკაცრავად და, ქვეყანას ვინ მართავს? პარლამენტი, რომელიც კოჰაბიტაციით არის გართული და პრეზიდენტი, რომელსაც არ აქვს არც ერთი დღის პოლიტიკური მუშაობის გამოცდილება?

არ ვთვლი მე ბიძინა ივანიშვილს იმ ადამიანად, რომელსაც საქართველო თავისი სამფლობელო ჰგონია. რას ნიშნავს პრეზიდენტსა და პრემიერს დაგვინიშნავს ბიძინა ივანიშვილი? პარლამენტი ხალხმა აირჩია ბიძინა ივანიშვილის ხათრით?

ანუ ნინო ბურჯანაძეს თავისი ინტერესი აქვს. მას სურს ამ არჩევნებში მეორე პოზიცია დააფიქსიროს და პოზიციებიც გაიმყაროს, თანაც გააააქტიუროს თემა ვადამდელ არჩევნებთან დაკავშირებით.

„ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერს დავით ბაქრაძეს საკუთარი პარტიის მყარ პოზიციებში ეჭვი არ ეპარება. გიორგი ბარამიძე მიიჩნევს, რომ ნაციონალები მეორე ადგილს დაიკავებენ (ისე, ეს პირველი შემთხვევაა, როცა ოპოზიცია რეალურად აფიქსირებს საკუთარ ნიშას, აქამდე ყველა ოპოზიციონერი აცხადებდა, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება, პირველები ჩვენ ვართო).

გიორგი ბარამიძე:

- ნებისმიერი ადამიანი იქნებოდა სერიოზული კანდიდატი, ვისაც-პრემიერ მინისტრი ბიძინა ივანიშვილი დაასახელებდა. გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოების უმრავლესობამ პირადად მას დაუჭირა მხარი...

დავით ბაქრაძის განმარტებით:

– ეს არჩევნები არ არის ხელისუფლების შეცვლის არჩევნები, ამ არჩევნებით არ იცვლება დღევანდელი მთავრობა და ბიძინა ივანიშვილი, ამ არჩევნების განსასაზღვრელი არის ერთი რამ, იქნება თუ არა ყველა თანამდებობა დაკავებული ისევ ერთი პოლიტიკური ძალის მხრიდან. ეს ვნახეთ, მათ შორის ჩვენს მაგალითზეც. ქვეყანას სჭირდება ოპოზიცია, სჭირდება, რომ არსებობდეს თუნდაც პრეზიდენტის განსხვავებული პოზიცია, რომელიც გააკონტროლებს მთავრობას, რომ შეასრულოს დაპირებები, წინ წაიყვანოს ეკონომიკა, დაასაქმოს ადამიანები, რომ მთავრობამ არ გადაუხვიოს ევროატლანტიკურ კურსს.

ანუ თუკი ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ ის და მისი პოლიტიკური გუნდი საჭიროა იმისთვის, რომ ვადამდელი არჩევნები ჩატარდეს, დაიწყოს დაპირისპირება და აიკრძალოს „ნაციონალურ მოძრაობა“ და გასამართლდეს დანაშაულებრივი რეჟიმი.

ნაციონალები მიიჩნევენ, რომ მათ, როგორც ოპოზიციას, ენიჭება კონტროლის ფუნქცია იმისთვის, რომ ხელისუფლებამ ხალხს დანაპირები აუსრულოს.

ვიცი, ვისთვის ეს პათეტიკურად ჟღერს და ვისთვის პოლიტიკური რეალობაა.

დავით ბაქრაძე: „ქვეყანას სჭირდება ოპოზიცია, სჭირდება, რომ არსებობდეს თუნდაც პრეზიდენტის პოზიცია განსხვავებული, რომელიც გააკონტროლებს მთავრობას...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მანანა კობახიძე „ნაციონალური

მირიან ბოქოლიშვილი

„მიუღებელი და წარმოუდგენელია, ადამიანს ბრალი ედებოდეს წამებაში და მას მხოლოდ 3 ან 5 წელი შეეფარდოს“

„ჩაიდეთ ჯიბეში მანდატები და წადით პოლიტიკიდან!“ – ამ სიტყვებით მიმართა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ ნაციონალ კოლეგებს, რასაც ოპონენტების მწვავე რეაქცია მოჰყვა... „კობახიძის ოცნებას ახდენა არ უწერია“, – ასე გამოეხმაურა საპარლამენტო ოპოზიცია კობახიძის ემოციურ გამოსვლას პარლამენტის სესიაზე...

ამყარებს თუ არა მანანა კობახიძის განცხადება ხმებს, რომლის მიხედვითაც, მმართველ გუნდს „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკიდან გაქრობა აქვს განზრახული? როგორ აფასებს წამებაში ბრალდებულების მიმართ გამოჩენილ ლოიალობასა და თბილისის თვითმმართველობის წარმომადგენლების დაკავებებს? ამ თემებზე „პრაიმტაიმი“ თავად მანანა კობახიძეს ესაუბრა.

– ქალბატონო მანანა, პირველ რიგში, მინდა გკითხოთ, პარლამენტში თქვენს ცნობილ გამოსვლაზე... ოპონენტების მწვავე კრიტიკა დაიმსახურეთ და ითქვა, რომ კობახიძის ოცნებას – გაუქმდეს „ნაციონალური მოძრაობა“, ახდენა არ უწერია...

– მე ეს გამოსვლა წინასწარ არ მქონდა დაგეგმილი. ეს იყო 26 ივნისი, წამების მსხვერპლთა დაცვის საერთაშორისო დღე. ამ დღეს ის განცხადებები, რაც „ნაციონალური მოძრაობისგან“ მოვისმინე, ბუნებრივად გახდა ჩემი მწვავე გამოსვლის მიზეზი. მათი შეფასებებით, ვანო მერაბიშვილი, ბაჩო ახალაია და ყველა არის პოლიტიკური დევნილი და თითქოს არაფერი ამ ხალხს არ ჩაუდენია, არანაირი კრიმინალი, არანაირი წამება... მთელი ის რიტორიკა, რაც მათი მხრიდან ისმის, ძალიან გამაღიზიანებელია. შენ ძალიან კარგად იცი, რომ პირადად მე, მოყოლებული 2006 წლიდან, მწვავედ ვაკრიტიკებდი შინაგან საქმეთა სამინისტროს, გირგვლიანის თემა იქნებოდა ეს თუ ქუჩაში ხალხის ჩახოცვა, მიტინგების დარბევა, ქონების ჩამორთმევები და ა.შ. იგივე აზრზე ვარ ახლაც და როდესაც ქვეყნის ხელისუფლებაში მოვიდა ძალა, რომელიც ამ ყველაფერს თავის სახელს არქმევს, ეს არის პოლიტიკური დევნა? პარლამენტის ის სხდომა იყო პირველი, მას შემდეგ, რაც გირგვლიანის საქმეზე ვანო მერაბიშვილს ბრალი წაუყენეს და ცხადია, ემოციებს ვერ დავმალავდი. იმის ნაცვლად, რომ თქვან, დიახ, გამოძიება ჩატარდეს, თუ ვანო მერაბიშვილის დანაშაული იკვეთება, კანონის მთელი სიმკაცრით დაისაჯოს და ჩვენ მას გავემიჯნებითო, გვესმის განცხადებები, რომ თურმე ვანო მერაბიშვილი არის პოლიტიკური პატიმარი. მე სწორედ ამ ყველაფრის გამო გავაკეთე ის განცხადება. სასაცილოა, რომ შევარდნაძის პერიოდზე იშვერენ კვლავ თითს. არადა ჩემი კოლეგების უმრავლესობა, იგივე მიშა მაჭავარიანი, გიგი წერეთელი, გოგორიშვილი, სწორედ შევარდნაძის დროიდან მოდის. იმ მთავრობაშიც იყვნენ, სააკაშვილის მთავრობაშიც და თურმე არაფერი არ იცოდნენ. ეს არის პასუხისმგებლობისგან თავის არიდება. ამიტომ გადავწვდი შევარდნაძის დროს, თორემ სულაც არ მსიამოვნებს იმ პერიოდთან პარალელების გავლება. თუ ამბობენ, პასუხისმგებლობას ვიღებთო, ეს რაღაცაში უნდა გამოიხატოს. ასე გამოდის, რომ ადამიანმა შეიძლება მკვლელობა ჩაიდინოს, თქვას, – კი, ბატონო, პასუხისმგებლობას ვიღებო, და მერე რა? არ უნდა დაისაჯოს?

– რაში უნდა გამოიხატოს პასუხისმგებლობა? მანდატები უნდა დატოვონ?

– ჯერ ერთი, უნდა ჩატარდეს გამოძიება და ამ პროცესში თუ იმ ადამიანების დანაშაული გამოიკვეთა, რომლებიც დღეს თუნდაც პარლამენტში სხედან, მათ უნდა დაეკისროთ როგორც პოლიტიკური, ისე სამართლებრივი პასუხისმგებლობა. იგივე გირგვლიანის საქმეში ფიგურირებს თბილისის მაშინდელი პროკურორი, რომელმაც საქმე კაბინეტში დაიტოვა და თითი თითზე არ დაუდია. მე ამას მაინც ვარაუდის დონეზე გეუბნები, რადგან საბოლოოდ სასამართლომ უნდა გაარკვიოს, შეიტანა თუ არა წვლილი გიორგი ღვინიაშვილმა საქმის მასალების გაყალბებაში. როცა ეს ადამიანი მოხსენიებულია საბრალდებო დასკვნაში, მინიმუმ მოწმედ მაინც ხომ უნდა დაიკითხოს? ეს პოლიტიკური იქნება? გარდა ამისა, სამეგრელოში აღმოჩენილ კადრებში ჩანს ადამიანების უსასტიკესი წამება. მაგალითად, ერთ-ერთი გალიდან გადმოიყვანეს და სამეგრელოში აწამეს. არ უნდა გაირკვეს, იცოდა თუ არა ამის შესახებ იმჟამინდელმა სამხარეო პროკურორმა და ამჟამად დეპუტატმა როლანდ ახალაიამ? იმ პერიოდში ჩიტი ვერ გადაფრინდებოდა სამეგრელოს ტერიტორიაზე როლანდ ახალაიას რომ არ სცოდნოდა. ასე ყველაფრისგან აიცილო პასუხისმგებლობა და იძახო, პოლიტიკური დევნააო, ცოტა არასერიოზულია. მაგალითად, გახმაურებული კოკაინის საქმეზე დაკავებული ერთ-ერთი პირი, გიორგი ჩეჩელაშვილი, ისეთი ნაწამები მიიყვანეს სასამართლოში, რომ საკუთარმა ცოლმა ვერ იცნო. მაშინ მოსამართლემაც და პროკურორმაც თვალი დახუჭეს ამაზე. დიახ, ეს იყო სისტემური დანაშაული. როცა პარლამენტში ზის გივი თარგამაძე, რომელიც სულის ამოხდით გვემუქრებოდა და კიდევაც გვხდიდნენ სულს, დღეს შეიძლება პოლიტიკურ დევნაზე საუბრობდეს? მეკითხები, რაში უნდა გამოიხატოს პასუხისმგებლობის აღებაო... სიტყვით გამოსვლისას პირდაპირი მნიშვნელობით არ მიგულისხმია, რომ წადით ახლა იუსტიციის სამინისტროში და პარტიას რეგისტრაცია გაუუქმეთ-მეთქი. აქ საუბარია იმაზე, რომ გამოხვიდე და თქვა, – იყო სისტემური დანაშაული, რომელსაც ვემიჯნებით და დამნაშავეებმა უნდა აგონ პასუხიო. მაგალითად, პირადად ჩემზე გეტყვით, რომ, თუ „ქართული ოცნება“ მფარველობს კრიმინალებს, მაშინ მე ამ პარტიაში არაფერი მესაქმება. სწორედ ასეთი მიდგომა უნდა ჰქონდეს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრსაც. როცა „მოქალაქეთა კავშირმა“ დაინახა, რომ მათი მმართველობის დროს შეიქმნა კორუმპირებული სისტემა და ქვეყანა მთლიანად ჩამოიშალა, ეს პარტია მართლა გაქრა, წავიდნენ და დადუმდნენ. ზუსტად იმ პერიოდში იყო შემოსავლების მინისტრი ბატონი მაჭავარიანი, იმ პერიოდში იყო თანამდებობაზე გიგი წერეთელიც, როდესაც კორუფცია ყვაოდა.

– უკაცრავად, მაგრამ ეკონომიკისა და ფინანსთა მოქმედი მინისტრებიც შევარდნაძის მთავრობის ეკონომიკურ გუნდს წარმოადგენდნენ თავის დროზე...

– კი, ბატონო, იყვნენ შევარდნაძის მთავრობაში, მაგრამ მათ არ მიუღიათ მონაწილეობა „მოქალაქეთა კავშირის“ ტრანსფორმირებაში. სხვათა შორის, იმ დღეს გაოგნებული დავრჩი, როდესაც კაკო ბობოხიძემ მითხრა, – ყველა მოწვევის პარლამენტის წევრი ვარო. მე თუ მკითხავ, ეს არის უბედურება. როგორ შეიძლება მთელი ცხოვრება პარლამენტში იყო. ხალხი ყველა დროს მოერგო, გამსახურდიას, ჯაბას, შევარდნაძისა და ნაციონალების დროსაც. დღეს სააკაშვილი რომ ამბობს, დათა ახალაია სულ ორჯერ მყავს ნანახიო, ხვალ, ალბათ, იტყვის, რომ მერაბიშვილს საერთოდ არ ვიცნობდიო. მესმის, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა, მაგრამ სწორედ ასეთმა ხალხმა დააბინძურა. როგორც კი დავინახავ, რომ ჩემი პარტია სიბინძურეებს აკეთებს, მე მასთან აღარაფერი მესაქმება.

– პარლამენტში თქვენი ეს ემოციური გამოსვლა წამების საერთაშორისო დღეს დაემთხვა და შესაძლოა, ბევრმა სწორად გაიგო თქვენი სულისკვეთება, თუმცა საინტერესოა, რატომ არ ისაუბრეთ იგივე წამების საერთაშორისო დღეს პროკურატურის გადაწყვეტილებაზე, რომელმაც წამებაში ბრალდებული ვლადიმერ ბედუკაძე სასჯელისგან საერთოდ გაათავისუფლა... რით ხსნით არჩილ კბილაშვილის ამ გადაწყვეტილებას?

– კარგი კითხვაა და მინდოდა, ისედაც გამეცა ამაზე პასუხი. ეს სისხლის სამართლის საქმე პირადად არ მინახავს და არ ვიცი, უშუალოდ ბედუკაძე მონაწილეობდა თუ არა წამებაში, მაგრამ ამასაც არ აქვს მნიშვნელობა. დავუშვათ, რომ ის უშუალოდ არ მონაწილეობდა და კამერით იღებდა მხოლოდ, ესეც მძიმე დანაშაულია. ფაქტობრივად, მდუმარე თანხმობა წამებაზე. ზოგადად, წამება არის საერთაშორისო დონეზე აღიარებული უმძიმესი დანაშაული, მკვლელობაზე მძიმე კატეგორიისაც კი, რომელიც ომის დროსაც კი გაუმართლებელია. თუ ადამიანმა იცის ამის შესახებ და ჩუმად არის, ესეც დანაშაულია, მით უმეტეს, როცა იღებ კამერით, ან უშუალოდ მონაწილეობ. მაგრამ აქ საქმე ისაა, რომ მთავარმა პროკურორმა გამოიყენა საპროცესო კოდექსის ერთ-ერთი ნორმა, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან ადამიანის განთავისუფლებას, განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუკი ის თანამშრომლობს გამოძიებასთან და ეხმარება განსაკუთრებით მასშტაბური დანაშაულის გახსნაში. ჩემი აზრით, კანონის ეს ნორმა გასასწორებელია, იქ პირდაპირ უნდა ჩაიწეროს, რომ ამ ნორმის გამოყენება დაუშვებელია, თუ საქმე ეხება წამებას. ამაზე ვიმსჯელებთ დეპუტატები, თუმცა ამჟამად არჩილ კბილაშვილს კანონი არ დაურღვევია. მან გააკეთა ის, რის უფლებასაც აძლევს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ეს კანონი მიღებულია 2010 წლის ოქტომბერში „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ. ახლა თავად ეწინააღმდეგებიან იმას, რომ მათ მიერ მიღებული ნორმა პროკურორმა გამოიყენა.

– და თუკი ვთანხმდებით, რომ ეს არის მახინჯი ფორმა და ცვლილებას საჭიროებს, ისმის კითხვა: რატომ გამოიყენა მაინცდამაინც ეს მახინჯი ფორმა არჩილ კბილაშვილმა?

– გამოძიებას აქვს თავისი ინტერესი. ძალიან ბევრი ადამიანის მხილება მოხდა ამ საქმეში.

– თუმცა მათ დიდ ნაწილს პროკურატურამ საპროცესო შეთანხმება გაუფორმა, რის საფუძველზეც ზოგმა უკვე დატოვა საპატიმრო, ნაწილს კი სასჯელის მინიმალური ზომა შეეფარდა... მახსოვს წინა ხელისუფლებას თქვენ აქტიურად აკრიტიკებდით იმის გამო, რომ საპროცესო გარიგებები აქციეს, ერთი მხრივ, ბიუჯეტის შევსების, მეორე მხრივ კი, სხვა ადამიანების დასმენის მექანიზმად... რატომ ხდება, რომ იგივე მეთოდს წარმატებით იყენებს ახალი ხელისუფლება?

– რამდენადაც ვიცი, ბედუკაძესთან საპროცესო არ გაფორმებულა, ის პროკურორის შუამდგომლობით განთავისუფლდა სასჯელისგან. რაც შეეხება სხვა პირებს, გეთანხმებით, რომ სასჯელები უნდა ყოფილიყო ბევრად მკაცრი. როდესაც ეს საკითხი მოვიკითხე, აღმოჩნდა, რომ ეს იყო სასამართლოს გადაწყვეტილე-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მოძრაობის“ აკრძალვას ითხოვს?

„არ მიგულისხმია, რომ წადით იუსტიციის სამინისტროში და პარტიას რეგისტრაცია გაუუქმეთ-მეთქი. აქ საუბარია იმაზე, რომ გამოხვიდე და თქვა, – იყო სისტემური დანაშაული, რომელსაც ვემიჯნები“

EXCLUSIVE

ბა, ანუ სასამართლო აღმოჩნდა ლმობიერი ამ პირების მიმართ.

– უკაცრავად, კითხვას დავაკონკრეტებ: წამებაში ბრალდებულ ექვს ადამიანთან პროკურატურამ გააფორმა საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმადაც მათ სასჯელის მინიმალური ზომა განესაზღვრათ. ეს მოხდა პროკურატურასთან შეთანხმებით და არა სასამართლოს გადაწყვეტილებით...

– მესმის აბსოლუტურად და ამას ნამდვილად არ მივესალმები. დეპუტატი პროკურატურის საქმიანობაში ვერ ჩაერევა, მაგრამ პოლიტიკური შეფასება თუ გაინტერესებთ, ჩემთვის მიუღებელი და წარმოუდგენელია, ადამიანს ბრალი ედებოდეს წამებაში და მას მხოლოდ 3 ან 5 წელი შეეფარდოს. ამას ნამდვილად არ მოგვიწონებენ საერთაშორისო ორგანიზაციები, რადგან ყველას მხრიდან არის რეკომენდაცია, რომ წამებაში მხილებული პირების მიმართ სასჯელი არ უნდა იყოს მსუბუქი. მე, რა თქმა უნდა, დავინტერესდები ამ საქმით, როდესაც პარლამენტში მოვისმენთ ძალოვანი უწყების წარმომადგენლების ანგარიშს.

– რაც შეეხება კადრებს, რომელიც სამეგრელოს სპეციალურ სამალავებში აღმოაჩინეს... ამ კადრების სხვადასხვა ჯგუფებისთვის ჩვენებას მოჰყვა არაერთგვაროვანი შეფასებები... თქვენი დამოკიდებულება როგორია?

– მიმაჩნია, რომ, პირველ რიგში, მსხვერპლის ინტერესები უნდა იყოს დაცული და მე არ ვიცი, როგორ უნდა მოვახერხოთ მთელმა საზოგადოებამ ამ ტრაგედიის კომპენსირება. ვფიქრობ, მსხვერპლთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფით, ანუ როდესაც შეუძლებელი იქნება იდენტიფიკაცია, ეს კადრები უნდა იყოს ნაჩვენები ვიწრო წრეებისთვის. არ შეიძლება, რაღაც საშინელი უბედურება გჭირდეს და ამის შესახებ მხოლოდ გადმოცემით იცოდე. მე ეს ყველაფერი მოსმენილი მაქვს, როდესაც ჯერ კიდევ საადვოკატო საქმიანობას ვეწეოდი. სიმართლე გითხრა, როდესაც ერთ-ერთი პატიმრისგან პირადად შევიტყვე ასეთი გაუგონარი სისასტიკის შესახებ, სწორედ მაშინ გადავწყვიტე პოლიტიკაში წასვლა. ეს ადამიანი ტიროდა ჩემს წინ. იმ დღეს, როდესაც ციხიდან გამოვედი, სწორედ მაშინ მივხვდი, რომ აქ ჩემს პროფესიულ საქმიანობას წერტილი უნდა დავუსვა და სხვა კუთხით უნდა ვიბრძოლო. როგორც ადვოკატი, ვერაფერს ვშველიდი ამ ადამიანს. ეს იყო ჩემთვის ტრაგედია.

– მესმის, მაგრამ საუბარია შემდეგზე: როდესაც მსხვერპლმა იცის, რომ მის კადრებს, თუნდაც არაიდენტიფიცირებულს, რაღაც ჯგუფებს აჩვენებენ, ამ დროს მისი რეტრავმირება ხდება...

– მესმის და სწორედ ამიტომ საჭიროა მათთან განსაკუთრებული მუშაობა. მე არ ვარ ფსიქოლოგი და შეიძლება რაღაც ისეთ შეცდომას ჩავდივართ, რომელიც გამოუსწორებელი იქნება, მაგრამ, ალბათ, ის უფრო დიდი ტრავმაა ამ ადამიანებისთვის, თუ არავინ დაინტერესდება და ეს საზარელი დანაშაული მიიჩქმალება. მიმაჩნია, რომ ყველა დამნაშავის უმკაცრესი დასჯა გარკვეული კომპენსაცია იქნება. გარდა ამისა, მაქსიმალურად უნდა ვიზრუნოთ ამ ხალხის ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციაზე.

– დაბოლოს, მინდა გკითხოთ დედაქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლების დაკავებაზე... რამდენად სწორია ის ფორმა, რა ფორმითაც ამ პირების აყვანა მოხდა?

– ერთი რამ ცხადია, ადამიანი მოწმის სახით თუ არის დაბარებული, მას უწყება უნდა ჩაბარდეს და ის ვალდებულია, საგამოძიებო ორგანოში გამოცხადდეს. თუ არ ცხადდება, მაშინ ხდება სასამართლოსთვის მიმართვა, ნებართვის აღება და პირის იძულებით მიყვანა. თუ ეს პროცედურები დარღვეულია, აუცილებლად უნდა დაინტერესდნენ შესაბამისი სამსახურები და რეაგირება მოხდება. ჩემთვის ძალიან სამწუხაროა, თუ იქ კანონი დაირღვა. ვიცი, რომ გამოძიება მიდის საკმაოდ სერიოზულ საქმეზე, საუბარია მილიონობით ლარის მითვისებაზე, მაგრამ, თუ დაკავების დროს დაირღვა ვინმეს უფლება, ეს უნდა იქნეს გამოკვლეული.

„კანონის ის ნორმა, რომელიც პროკურორს წამებაში ბრალდებულის სასჯელისგან განთავისუფლების უფლებას აძლევს, გასასწორებელია“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პაატა ბურჭულაძე – საპ

„თუ ბიძინა ივანიშვილი თავის კანდიდატურას დაარყევნებს, ასეთ შემთხვევაში იქნება გიგანტების ბრძოლა“

my View
ხათუნა მგალობლიშვილი

პაატა ბურჭულაძემ დაადასტურა, რომ შეთავაზებები პოლიტიკური პარტიებისგან ბაღათურიამდეც ბევრჯერ მიუღია. ფაქტია, რომ მხოლოდ ახლა დაფიქრდა, მანამდე გამუდმებით უარს ამბობდა. თუმცა არის საპირისპირო ისტორიაც. პოლიტიკურ კულუარებში არცთუ ისე დიდი ხნის წარსულს იხსენებენ და ყვებიან, რომ მსოფლიო ბანს პოლიტიკისკენ მიდრეკილება გამუდმებით ჰქონდა, თუმცა მის შეჩერებას ყოველთვის ახერხებდნენ.

პაატა ბურჭულაძე, საოპერო მომღერალი:

– დიდი ხნის მანძილზე სულ იყო მცდელობა ჩემი პოლიტიკაში გადაბირების და ყოველთვის ვარიდებდი თავს, ნებისმიერი მთავრობის დროს და ვფიქრობ, სწორად მოვიქეცი.

ამჯერად მთავარ გადამბირებლად ჯონდი ბაღათურია დაფიქსირდა. ბუნებრივია, ოფიციალურად. თუმცა კითხვები მაინც გაჩნდა და კითხვაზე უფრო მეტი ეჭვი იყო. საზოგადოების თავდაპირველი რეაქცია ბაღათურიას განცხადებაზე ღიმილი გახლდათ. ყველას რატომღაც ლეიბორისტების ისტორია გაახსენდა, როცა შალვა ნათელაშვილმა პირველსაათიან ბრიფინგზე ხმაურიანი განცხადება გააკეთა, ჩვენი საპრემიერო კანდიდატი ბიძინა ივანიშვილი გახდაო. ეს ის პერიოდი იყო, როცა ივანიშვილის შესახებ მხოლოდ მითები გვესმოდა და ცოცხლად ნანახიც არავის ჰყავდა. დაახლოებით იგივე დასასრულს ელოდა ყველა, თუმცა ეჭვები თავად ტენორმა გააქრო, როდესაც განაცხადა შემოთავაზება მივიღე, ვფიქრობ და პრეზიდენტობას კი არა, მთვარეზე გაფრენასაც კი არ გამოვრიცხავო. ამით უკვე ბევრი რამ იყო ნათქვამი.

მთავარი კითხვა კი კითხვადვე დარჩა – რატომ ჯონდი ბაღათურია? თავად ყოფილი დეპუტატი ამბობს, რომ ინიციატივა მას არ ეკუთვნის – ის ხალხისაა. მოთხოვნის იურიდიული გაგრძელება საინიციატივო ჯგუფის შექმნაა, რომელიც პაატა ბურჭულაძეს ოფიციალურად წარადგენს საპრეზიდენტო კანდიდატად. თუმცა არის კიდევ ბევრი გზა, მაგალითად, 200 ათასი ხელმოწერის შეგროვება იგივე მოთხოვნით. მთავარი აქ ერთია – პირველად ინფორმაცია სწორედ ბაღათურიას მიერ გავრცელდა და სწორედ ის არის შუამავალი, ვინც ბურჭულაძესთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. დეტალების გამჟღავნებისგან ჯერჯერობით ორივე მხარე მკაცრად იკავებს თავს. ჯონდი ბაღათურია აცხადებს, რომ ასეთ წარმატებულ პროექტზე მუშაობისას ზუსტად იცოდა, რომ ბევრი სერიოზული მტერი ეყოლებოდა. შესაბამისად, პროცესი მაქსიმალურად ფარულად მიმდინარეობდა. პირველივე ინფორმაციას ადეკვატური რეაქცია მოჰყვა და როგორც ამბობენ, ბურჭულაძეს „ოცნებიდან“ უკვე შესთავაზეს, უარი თქვას პოლიტიკურ გეგმებზე.

პაატა ბურჭულაძის პოლიტიკური გეგმები კიდევ უფრო გასაგები 9 ივლისის შემდეგ გახდება, როცა საიუბილეო კონცერტი ჩატარდება. მანამდე კი ყველაფერი ვარაუდის დონეზეა. თუმცა არის საინტერესო დეტალები, რომლის მიხედვითაც საბოლოო გადაწყვეტილების განჭვრეტა მეტ-ნაკლებად შესაძლებელი ხდება.

ახალი ხელისუფლების პირობებში ბურჭულაძემ ორჯერ დააფიქსირა საკუთარი პოლიტიკური აქტივობა. ორივე მათგანი პატიმრებს უკავშირდება. პირველად ტენორმა ციხის კადრები შეაფასა და ყველა დამნაშავის უმკაცრესად დასჯა მოითხოვა.

პაატა ბურჭულაძე:

– ჩვენ, ყველანი, დაუნდობელი რეალობის მოწმენი გავხდით და ასეთი დაუწერელი სისასტიკე ქართველმა კაცმა ჩაიდინა. პატიმართა წამებასა და გაუპატიურების ფაქტებში მონაწილე ყველა პირი უმკაცრესად უნდა დაისაჯოს, „რადგან, თუ ერთი კაცი მაინც დარჩა დაუსჯელი, ეს „ვირუსი“ ისევ გავრცელდება“.

მეორედ კი სასჯელაღსრულების მინისტრთან ერთად პატიმრებს ესტუმრა საპყრობილეში, ევერიის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია, ლოცვები დაურიგა და მალე განთავისუფლება უსურვა. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ამ ორი ნაბიჯით პატიმრების კეთილგანწყობა გარანტირებულია. თუმცა მის მიმართ დამოკიდებულება ყოველთვის დადებითი იყო, თანაც არამარტო საპყრობილეებში.

ბურჭულაძის პოლიტიკური რეიტინგი ჯერ არ არსებობს. პოლიტიკოსების ნაწილი სწორედ ამას ეკიდება და ირწმუნება, რომ მომღერლის მაღალი რეიტინგი არ ნიშნავს იგივე რეიტინგს პოლიტიკაში წასვლის შემთხვევაში. ასე მარტივად ბურჯანაძის გუნდი აზროვნებს. მიუხედავად ამისა, ინტერნეტში დადებული გამოკითხვები ცხადყოფს, რომ ბურჭულაძის რეიტინგი ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე „ოცნების“ კანდიდატის. ამ მოსაზრებას „ოცნებიდან“ აუცილებლად დაუპირისპირებენ საკუთარ ვერსიას, მარგველაშვილს უსაზღვრო პოტენციალი აქვს, რომელიც ჯერ გამოუყენებელიაო, თუმცა პარალელურად ვრცელდება მოსაზრება, რომ მარგველაშვილს პრემიერი საკუთარი კანდიდატით ჩაანაცვლებს. ბაღათურია ამ ვერსიასაც განიხილავს და აცხადებს, რომ ასეთ შემთხვევაში გაიმართება ბრძოლა გიგანტებს შორის...

მთავარი აქცენტი ბურჭულაძეზე, როგორც კანდიდატზე, საუბრისას დღესაც იგივე რჩება – ის მისაღები პიროვნებაა ბევრი ქვეყნისთვის. მით უფრო, რომ მოლოდინი მისი პოლიტიკაში წასვლის ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ გაჩნდა. იყო მოსაზრება, რომ ის ნაციონალების სიის პირველი კანდიდატიც უნდა გამხდარიყო. იყო ვერსია, რომ სააკაშვილის შემდეგ ნაციონალები სწორედ ბურჭულაძეს დაასახელებდნენ. თუმცა „ოცნების“ დაარსების შემდეგ აქტიურად საუბრობდნენ ივანიშვილთან მოლაპარაკებების შესახებ. ზუსტად ერთი წლის წინათ წინასაარჩევნო პერიოდში, ივანიშვილმა თავად აღიარა, რამდენიმე რეგიონში მაჟორიტარების შერჩევა გვიჭირს, თუმცა ვცდილობთ, ბურჭულაძე პოლიტიკის გარეშე დარჩესო...

„ბურჭულაძე პატრიოტი კაცია. ის ძალიან ბევრ რამეს კარგავს ამ გადაწყვეტილებით“

„რას ნიშნავს მისი განცხადება, ხელისუფლებას გარედან მართავს? ლაკი ლუჩიანოა თუ დონ კორლეონე? ვერავისაც ვერ მართავს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რეზიდენტო კანდიდატი

„ივანიშვილი რეალურად რომ აცნობიერებდეს კრიზისის არსებობას, სხვანაირად შეეცდებოდა სიტუაციის დალაგებას“

ბიძინა ივანიშვილი:

– კოალიციის მაჟორიტარ კანდიდატად პაატა ბურჭულაძე არ განიხილება. ჩვენ ვცდილობთ, რომ პაატა დარჩეს პოლიტიკის გარეშე. თუ ძალიან გაგვიჭირდა, მერე შეიძლება რაღაც მოხდეს, მაგრამ ჯერჯერობით მის კანდიდატურას არ განვიხილავთ. ამ კაცმა სჯობია, თავისი საქმე აკეთოს.

პრემიერის სიტყვებით რომ ვთქვათ, დღევანდელი პოლიტიკური მოცემულობა რადიკალურად შეცვლილია და როგორც კულუარებში ამბობენ, ბურჭულაძე „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის რეალური ოპონენტიც გახდება.

ჯონდი ბაღათურია, „ქართული დასის“ ლიდერი:

– შეხვედრა რამდენიმე დღის წინაც შედგა, თანაც არაერთხელ. იდეაზე მუშაობა კარგა ხნის წინათ დაიწყო. მე ვარ ოპტიმისტურად განწყობილი. ქვეყნის სტაბილური და დინამიკური განვითარების სხვა გზას ამ ეტაპზე ვერ ვხედავ. თუ ეს გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, შედეგად აუცილებლად მივიღებთ საპროტესტო ტალღებს, რაც ეკონომიკურ კრიზისს გამოიწვევს და სოციალური ხარჯების დაფარვაც კი გაგვიჭირდება. პოლიტიკური კრიზისი უკვე დაწყებულია, პროცესი უკვე სახეზე გვაქვს, მაღალი ალბათობით კრიზისი შემოდგომაზე კიდევ უფრო გამწვავდება. არასტაბილური ვითარება შეიქმნება. ამას ბევრი სხვა ობიექტური მიზეზის გარდა, ემატება პრემიერ-მინისტრის სრულიად უპასუხისმგებლო განცხადება პოსტის დატოვებასთან დაკავშირებით.

– ფიქრობთ, რომ ივანიშვილის ეს განცხადება ნიშნავს კრიზისის არსებობის დადასტურებას?

– რამდენად ადეკვატურია და რამდენად აანალიზებს პრემიერი არსებულ მდგომარეობას, ამას ვერ გეტყვით. ივანიშვილი რეალურად რომ აცნობიერებდეს კრიზისის არსებობას, სხვანაირად შეეცდებოდა სიტუაციის დალაგებას. მას, უბრალოდ, თავში მოუვიდა პოსტიდან წასვლა და ეს ხმამაღლა გაახმოვანა, საერთოდ არ იფიქრა, რა რეაქციები მოჰყვებოდა მის ნათქვამს პოლიტიკურ წრეებში. იგივეს მოსმენისგან არ ვართ დაზღვეულები, არც იმისგან ვართ დაზღვეულები, რომ მართლაც წავა.

– ვის დატოვებს?

– დატოვებს რას ნიშნავს? ასე რომ ლაპარაკობს, სწორედ ამით გამოხატავს საზოგადოების მიმართ უპატივცემულობას. რას ნიშნავს მისი განცხადება, ხელისუფლებას გარედან მართავს? ლაკი ლუჩიანოა თუ დონ კორლეონე? ვერავისაც ვერ მართავს. როგორც ჩანს, ის არ იცნობს ქართველ პოლიტიკოსებს. არ იცის, რომ პოსტის დაკავების შემდეგ ქართველი პოლიტიკოსები აღარავის ამართვინებენ თავს. გარდა ამისა, ჩვენ გვინდა მთავრობა, რომელსაც ვიღაც გარედან მართავს? ივანიშვილს სურს, რომ ვიღაც მართოს, თუნდაც მის მიერ დასახელებული საპრეზიდენტო კანდიდატი. ქართველ ხალხს კი სულაც არ უნდა, ჰყავდეს ისეთი პრეზიდენტი, რომელსაც საიდანღაც მართავენ.

– პაატა ბურჭულაძის რეიტინგები როგორია?

– ბურჭულაძეს ორჯერ უფრო მეტი ხმა აქვს, ვიდრე მარგველაშვილს. პირველივე ტურში მოიგებს. ჯამში, რასაც იღებს ყველა დანარჩენი კანდიდატი, მარგველაშვილის ჩათვლით, ორჯერ მეტს იღებს პაატა ბურჭულაძე.

– თქვენ ახლა ცდილობთ, პოლიტიკაში თამაშის წესები შეცვალოთ?

– თამაშის წესებს კი არ ვცვლით, ვცდილობთ, დავამკვიდროთ ის კანონიერი წესები, რომელიც აქვს პოლიტიკას. აქამდე ეს წესები არ იყო, იმიტომ რომ გვყავდა უალტერნატივო კერპები, რომლებსაც დამბალანსებელი არავინ ჰყავდათ და მიაჩნდათ, რომ საქართველო მათი ქარვასლაა. სწორედ ამიტომ იყო შედეგები ყოველთვის ასეთი.

– პაატა ბურჭულაძეს ეკლესია დაუჭერს მხარს? რადგან უკვე ვიცით, რომ ლევან ვასაძე, რომელიც ასევე ეკლესიისგან მხარდაჭერილად არის ცნობილი, მარგველაშვილს უჭერს მხარს...

– ეკლესიის წიაღიდან გამოსული კაცი, პაატა ბურჭულაძის სახით, მიიღებს სრულ მხარდაჭერას მრევლისგან. ეს კი არის 80%. რაც შეეხება ლევან ვასაძეს, ის არ იქნება კანდიდატი. ის, რომ სენაკში ერთ-ერთ სემინარიაში ერთად მივიდნენ განათლების მინისტრი და მისი მეგობარი, არ ნიშნავს, რომ ეს მხარდაჭერის მაჩვენებელია. ლევან ვასაძე სენაკში იყო იმიტომ, რომ სენაკის მეუფე, მეუფე შიო არის მისი მოძღვარი.

– თქვენ აღნიშნეთ, რომ ვადამდელი არჩევნები გარდაუვალი იქნება...

– თუკი ბიძინა ივანიშვილი პოსტს დატოვებს.

– იმ შემთხვევაშიც, თუ პაატა ბურჭულაძე გახდება საქართველოს პრეზიდენტი?

– პაატა ბურჭულაძე აუცილებლად გახდება საქართველოს პრეზიდენტი, თუკი ის მონაწილეობას გადაწყვეტს არჩევნებში. თუმცა ბურჭულაძე სულაც არ ფიქრობს ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე. ივანიშვილი თუ გადადგა, როგორ წარმოგიდგენიათ იქ არსებული ძალებისგან შემდგარი პარლამენტი? შიგნით ძალთა გადანაწილება ვერ მოხდება. ამის იმედი ნამდვილად აქვთ ნაციონალებს, მაგრამ ეს უფრო ოცნებაა. ძალთა გადანაწილებაზე მიდის მოლაპარაკება ნაციონალებსა და „ოცნებას“ შორის, მაგრამ ხალხი ამას არ დაუშვებს. რესპუბლიკელები ნაციონალების მხარეს რომ გადავიდნენ, ხალხს კაბინეტებიდან ვერ გაასწრებენ. ხალხმა აირჩია ივანიშვილი და არა უსუფაშვილი, მარგველაშვილი და ასე შემდეგ. ის ერთადერთი ლეგიტიმური ფიგურაა, თუმცა ნდობა მის მიმართაც ნელდება უკვე. მისი წასვლის შემთხვევაში კი სამართლებრივად, მორალურად, პოლიტიკურად დადგება მოქმედი პარლამენტის არსებობის საკითხი. ხალხმა ივანიშვილი აირჩია საქმის გასაკეთებლად და ის უკვე წასვლას აპირებს. უკაცრავად და, რა გააკეთა? კრიზისი სწორედ მაშინ იწყება, როცა მოქმედი პარლამენტი, მოქმედი ხელისუფლება არ ასახავს საზოგადოების ინტერესს. სახელმწიფო ნინიას ბაღი არ არის, მოვიდა, ნახა, არ მოეწონა და წავიდა. მაშინ უნდა თქვას, რომ არ ელოდა, ასეთი მოცემულობა თუ დახვდებოდა და ვერ ახერხებს მის მართვას. ასეთ შემთხვევაში დანიშნოს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები და ხალხმა აირჩიოს სასურველი პოლიტიკური ძალები და შემდეგ გადადგეს.

– როგორია ხელისუფლების რეაქცია პაატა ბურჭულაძის შესაძლო კანდიდატობასთან დაკავშირებით?

– უკვე დაიწყეს მოძრაობა და ძალიან უხერხულ სიტუაციაში ჩაიგდო თავი ხელისუფლებამ. მართალია, კარგია, რომ აქვს განცდა და ხვდება, რომ ძლიერი კონკურენტი გამოუჩნდა, მაგრამ კონკურენტთან შეჯიბრი დაიწყეს შეთავაზებით, მოდი, ნუ იყრი კენჭსო... ეს არ არის სწორი, სჯობს, დააყენონ ისეთი კანდიდატურა, რომელიც რეალურ კონკურენციას გაუწევს.

– შეცვლიან კანდიდატურას?

– ძლიერი და სოლიდური პარტიისგან არასერიოზულად გამოიყურება უკვე დასახელებული კანდიდატის შეცვლა. ეს ძალიან არასერიოზული იქნება. ეს იქნება აღიარება მათი მხრიდან დამარცხების და ასეთი მინუსიდან ამოქაჩვა გაუჭირდებათ. არა მგონია, ივანიშვილმა მარგველაშვილის კანდიდატურა შეცვალოს და ასეც რომ მოხდეს, არა მგონია, ისეთი კანდიდატი დასახელდეს, რომ ბურჭულაძეს აჯობოს.

– თვითონ ივანიშვილმა რომ დააყენოს თავისი კანდიდატურა?

– თუ ივანიშვილი თავის კანდიდატურას დააყენებს, ასეთ შემთხვევაში გაიმართება გიგანტების ბრძოლა. დიდი ომი გაჩაღდება და ძალიან საინტერესო იქნება. თუმცა ეს არ ჩაითვლება ივანიშვილის მხრიდან სოლიდურ ნაბიჯად. პირადად მე ამაზე სიამოვნებით წავიდოდი, რაც უფრო დაძაბულია კონკურენცია, მით უფრო აზარტულია. ვერაფერს გამოვრიცხავ, თუმცა ვფიქრობ, ივანიშვილი შეეცდება, აგრესიული კამპანია აწარმოოს, რომ ძველი ელექტორატი დაიბრუნოს, მაგრამ ესეც შეცდომა იქნება. მარგველაშვილის დამარცხება მასთან იდენტიფიცირდება და ამას სჯობია, ისევ თავად გამოვიდეს ასპარეზზე.

– როდის მიიღებს გადაწყვეტილებას ან რაზეა დამოკიდებული ეს?

– იცით, ბურჭულაძე ძალიან პატრიოტი კაცია. ის ძალიან ბევრ რამეს კარგავს ამ გადაწყვეტილებით, მთელი ცხოვრება უშრომია და რისკია ეს ნაბიჯი, მაგრამ, როცა შენს ქვეყანას სხვა არჩევანი არ აქვს...

„მისი წასვლის შემთხვევაში კი სამართლებრივად, მორალურად, პოლიტიკურად დადგება მოქმედი პარლამენტის არსებობის საკითხი“

ჯონდი ბაღათურია: „ეკლესიის წიაღიდან გამოსული კაცი, პაატა ბურჭულაძის სახით, მიიღებს სრულ მხარდაჭერას მრევლისგან. ეს კი 80%-ია“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კიდევ ვინ გადაჰყვეგა სო

რატომ გაათავისუფლეს ე
ერთი მთავარი ბრალდებ
და რა ზეწოლაა დანარჩენ

მარიამ ნადირაძე

ამ ისტორიას კულუარულად ასე ყვებიან: როდესაც ბიძინა ივანიშვილს მოახსენეს, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროში მცირემინიან ფერმერთა ხელშეწყობის პროექტი კორუფციული გარიგებით მიმდინარეობდა და ტენდერი ტრაქტორებზე სწორედ კორუფციული ინტერესებით მოხდა, ის განრისხდა და ბრძანება გასცა, რომ ყველაფერი დეტალურად გამოძიებულიყო. საქმე მინისტრის გადადგომამდე მივიდა. ახლა კი „პრაიმტაიმს“ უამბობენ, რომ გამოძიება ჩიხშია და თუ მან ნებისმიერი ხერხით დანაშაულის დადასტურება ვერ მოახერხა, ივანიშვილი მთავარი პროკურორის ყოფნა-არყოფნის საკითხს დააყენებს დღის წესრიგში.

თუ ამ ინფორმაციას დავეყრდნობით, მაშინ ლოგიკური გახდება ყველაფერი ის, რის შესახებაც ქვემოთ უნდა გიამბოთ.

მანამდე კი, არაინფორმირებული მკითხველისთვის მცირე შესავალს გავაკეთებთ:

ხსენებული პროექტის განსახორციელებლად 380 მძიმე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა გადაწყდა, რომლისთვისაც გამოყოფილი იყო 180 მილიონი ლარი. მოთხოვნილი 115 ცხენის ძალის მქონე ტრაქტორები. ასეთი 160 ცალი ესაჭიროებოდა პროექტს. ჩეხურმა კომპანია „ზეტორმა“ წარმოადგინა წინადადება, რომ 117 ცხენის ძალის მქონე ტრაქტორს შპს „მექანიზატორს“ 36 900 ევროდ მიჰყიდდა. უფრო ძვირი იყო გერმანული „კლასის“ ტექნიკა, მაგრამ რაკი პროექტს ასეთ ლოტში 160 ერთეული სჭირდებოდა და „ზეტორს“ მხოლოდ 50-ის მიწოდება შეეძლო, „კლასისგანაც“ მოუხდათ შესყიდვა. ტენდერი ნააგო „ნიუ ჰოლანდმა“, რომელსაც საქართველოში „ჯითი გრუპი“ წარმოადგენს. მათ კომისიისთვის შეთავაზებული ჰქონდათ თურქული წარმოების 110 ცხენის ძალის ტრაქტორი 27 850 ევროდ, რაც კომისიამ თავიდანვე გამორიცხა, რადგან დადგენილ პარამეტრებს არ აკმაყოფილებდა. იგივე კომპანიას 115 ცხენის ძალის მქონე იტალიური წარმოების ტრაქტორების შესყიდვაზე კი ფასის გამო ეთქვა უარი.

დღეს ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ გამოძიების მიდგომა თითქმის ერთიერთზე ემთხვევა განაწყენებული კომპანიის პოზიციებს, რომელსაც, როგორც ამბობენ, თავის დროზე უგულავაშარანგიების ტანდემი ლობირებდა, რის გამოც ის განებივრებული იყო ყველა იმ ტენდერში გამარჯვების მოპოვებით, სადაც კი მონაწილეობის მიღებას მოისურვებდა. ინფორმირებული ადამიანები დღეს „პრაიმტაიმს“ არწმუნებენ, რომ ამ კომპანიას დღევანდელ ხელისუფლებამიც გამოუჩნდნენ ლობისტები და სწორედ მათი მეცადინეობით „მოიხარშა“ სოფლის მეურნეობის სამინისტროში ის სკანდალი, რომელიც აგერ უკვე 4 თვეა გრძელდება.

ამჯერად „პრაიმტაიმში“ გამოძიების მიმდინარეობის შესახებ საუბარი გამარჯვებული კომპანიის „ზეტორის“ წარმომადგენელ გია ქაიხოსროშვილთან მიმართებაში გვექნება. მისი ერთ-ერთი ბრალდების ფორმულირება ასეთია (გთავაზობთ ამონაწერს. – მ.ნ.):

„განსაკუთერებით მძიმე დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაცია.

2013 წლის აპრილის თვეში გივი ქაიხოსროშვილისთვის ცნობილი გახდა, რომ საექსპერტო კვლევაში ექსპერტების მიერ გამოყენებული იყო კომპანია „ZETOR“-ის ოფიციალურ ვებ გვერდზე გამოქვეყნებული „Zetor Proxima 120“-ის ძრავის „Z 1405“-ის სპეციფიკაცია, რომლის თანახმადაც ძრავის გამოყენებადი ცხენის ძალის ოდენობად მითითებული იყო 110, რაც წინააღმდეგობაში მოდიოდა სპეციფიკაციების დამდგენი კომისიის მიერ განსაზღვრულ ოდენობებთან და მტკიცებულებად გამოყენებული იქნებოდა სამართალდამცავი ორგანოების მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებების ფალსიფიკაციის მიზნით, 2013 წლის 20 აპრილს, საკუთარი მობილური ტელეფონის მეშვეობით, შპს „მექანიზატორის დირექტორ ვაჟა ნახუცრიშვილთან ერთად ესაუბრა კომპანია „ZETOR“-ის პასუხისმგებელ პირს, ვინმე ვლადისლავს, რომელსაც მიუთითა, შეეცვალა ვებ გვერდზე გამოქვეყნებული ცხენის ძალების რაოდენობა და დაეფიქსირებინა 117, რაც განხორციელდა კიდეც...“

მკითხველისთვის მეტად გასაგები რომ იყოს, დავუკონკრეტებთ, რომ კომისიის მოთხოვნით შესყიდული ტრაქტორი მინიმუმ 115 ცხენის ძალის უნდა ყოფილიყო. „ნიუ-ჰოლანდის“ თურქეთში წარმოებული ტრაქტორები მართალია, უფრო იაფი იყო, მაგრამ მის ძრავს მხოლოდ 110 ცხენის ძალა ჰქონდა. სწორედ ეს გახდა ტენდერში ამ კომპანიის დამარცხების მიზეზი. იგივე კომპანიას გააჩნია იტალიაში წარმოებული 115-ცხენისძალიანი ტრაქტორებიც, მაგრამ მათი ფასი ბევრად აღემატებოდა „ზეტორისგან“ შეთავაზებულ ტექნიკას. გამოძიება კი ხსენებული ფორმულირებით ამტკიცებს, რომ კომპანია „ზეტორს“ საკუთარ გვერდზე ტექნიკის ძრავის ძალად ჯერ 110 ცხენისძალა ჰქონდა მითითებული და შემდეგ ის შეცვალა, რასაც გამოძიება თითქოს სატელეფონო მოსმენით ადასტურებს.

მაშ ასე, „ზეტორის“ ადვოკატებმა წარმოგვიდგინეს სწორედ ის მტკიცებულება, რომელსაც გამოძიება ეყრდნობა და ჩვენს მკითხველს საშუალება ეძლევა, თავად დარწმუნდეს, მართლა იკვეთება თუ არა ხსენებული დანაშაული ამ სატელეფონო საუბრიდან. დოკუმენტს გთავაზობთ სტილის დაცვით:

„საუბრობენ ვლადისლავი და მამაკაცი (მამაკაცი არის გივი ქაიხოსროშვილი. – მ.ნ.):

(რუსული დიალოგის თარგმანი)

ვ. – გიორგევიჩ, გამარჯობა.

მ. – საღამო მშვიდობისა ვლადისლავ, როგორ ბრძანდებით?

ვ. – არა უშავს, სამსახურში ვარ.

მ. – შაბათს არ ისვენებთ, ე.ი. ასე ვლადისლავ, ჩვენი კონკურენტები როგორლაც ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ ჩვენი პროქსიმა ეს 110 ცხენის ძალაა, რა თქმა უნდა, მე მევედი ინტერნეტში და ვნახე, იქ წერია ძრავი, სინამდვილეში 81 კილოვატი/საათში, ტირე 110. ეს მხედველობაში მატორია არა? მე ასე მესმის. ძრავი.

ვ. – ჰო, კილოვატი, კითხვა რაში მდგომარეობს, მთლიანობაში. მითხარით.

მ. – ისევ ვიმეორებ, ჩვენი კონკურენტები როგორლაც ამტკიცებენ, საიდან არ ვიცი, რომ (აზრს არ ასრულებს)... თქვენ ახლა კომპიუტერთან ხართ?

ვ. – არა.

მ. – სამწუხაროა. მალე იქნებით?

ვ. – სამწუხაროდ, მე ახლა გზაში ვარ.

მ. – ვლადისლავ, ჩვენ აქ ფაილი გვაქვს გახსნილი, 1405, Z 1405, ქვევით წერია.

ვ. – ჰო, ეს ძრავია.

მ. – ჰო, ეს ძრავია, 81 კილოვატი/საათში 110-ზე. ე.ი. ეს 110 ცხენის ძალაა, ჰო?

ვ. – არ ვიცი, შეიძლება სწორია, შეიძლება – არა, მე ახლა არანაირი მონაცემი არ მაქვს.

მ. – არა, მე ახლა ვკითხულობ თქვენს საიტზე.

ვ. – თუ კითხულობთ ე.ი. სწორია.

მ. – ეს წაიკითხეს ჩვენმა კონკურენტებმა, ახლობელი ადამიანები არიან.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ფლის მეურნეობის საქმეს?

ვ. – აჰა.

მ. – ამას ეყრდნობიან, რით ძლიერდება ჩვენი ის 117-მდე? რა ვუთხრათ? რა დავწეროთ? თქვენი აზრით.

ვ. – პროქსიმა არსებობს პროქსიმა პაუერი(?). 100, 110 პროქსიმა პაუერ, 120. არის პროქსიმა პაუერი სამი სხვადასხვა ძრავის ვარიანტებით.

მ. – ე.ი. არსებობს პროქსიმა პაუერ 110, არსებობს პროქსიმა პაუერი 117, ჩვენ... (არ ასრულებს)

ვ. – ჰო, დააყენეს პროქსიმა პაუერი 120, ყველაზე მძლავრი პროქსიმა პაუერ, მორჩა.

მ. – საიტზე რატომ არ ჩანს? (ყურმილსმიმლა; იქ ხომ არის მეორე?)

ვ. – რა თქმა უნდა, საიტზე ეს არის, საიტზე ეს ზუსტად არის.

მ. – ვლადისლავ, ერთი წუთი დაიცადე. დაელაპარაკეთ.

საუბარს აგრძელებენ ვლადისლავი და ვაჟა /ვ1/

ვ1. – ვლადისლავ, გამარჯობათ, ვაჟა ვარ, „მექანიზატორის გენერალური დირექტორი.

ვ. – დიახ, გისმენთ. საღამო მშვიდობისა.

ვ1. – რაშია საქმე, როდესაც ჩვენ შევდივართ საიტ „ინყინს“(?)- ზე, თქვენთან...

ვ. – დიახ.

ვ1. – აღნიშნულია, რომ ამაზე ძრავი დგას Z 1405.

ვ. – დიახ.

ვ1. – როდესაც ჩვენ ვუყურებთ Z 1405-ს დახასიათებას, აქ წერია, რომ ეს 81 კილოვატია, ე.ი. 110 ცხენის ძალა. ისინი ამას ეყრდნობიან და ამბობენ, რომ ეს 117 კი არ არის, არამედ 110-ია. რით შეგვიძლია ამის უარყოფა?

ვ. – ამის დაზუსტება ძალიან ადვილია, უბრალოდ ისინი უყურებენ ძრავის სტანდარტულ მაჩვენებლებს, რომელიც ჩვენ შეგვიძლია... (ტექ ხარვეზი) ტრაქტორისთვის არა, თუ თქვენ შეხვალთ, ან ისინი შევლენ საიტზე და ნახავენ ტრაქტორების განყოფილებას, ისინი ნახავენ პროქსიმა პაუერ 100, პროქსიმა პაუერ 110, პროქსიმა პაუერ 120. ეს მთელი...(?) რომელიც მიეწოდება პროქსიმა პაუერს. თავისთავად ისინი ჩვენ სერტიფიცირებული გვაქვს მთელ მსოფლიოში, თავისთავად მთელი ევროპული სერტიფიკაცია, მათ შორის ძრავებიც, ე.ი. ჩვენ პროქსიმა პაუერისთვის ძრავების გაყვანის სამი ვარიანტი გვაქვს. თქვენ ტენდერის დავალებით დაგიყენდათ პროქსიმა პაუერი 120. ეს პაუერის ყველაზე მძლავრი ვარიანტია, რომელსაც ნომინალში 117 ცხენის ძალა აქვს. მორჩა.

ვ1. – კარგი, მაშინ ჩვენ ორშაბათს დი-

რთ-ული ეზზე?

ლიდან დაგვჭირდება წერილის მიღება ამის თაობაზე, შესაძლოა, ჩვენ ამის თაობაზე განაცხადი გამოგიგზავნოთ და თქვენ გვიპასუხებთ.

ვ. – კარგი.

მ1. – კარგი?

ვ. – კარგით. მე დაგიწერთ, როგორც თქვენ ისურვებთ, რუსულად ან ინგლისურად დავწერ იმას, რაც გითხარით.

მ1. – მნიშვნელობა არ აქვს. უკეთესია ინგლისურად, ჩვენ ორშაბათს გამოგიგზავნით წერილს, უფრო სწორედ იმეილს გამოგიგზავნით და თუ შეიძლება გვიპასუხეთ.

ვ. – კარგი. არანაირი პრობლემა არ არის, ეგრევე გიპასუხებთ.

ვ1. – კარგი, მოვილაპარაკეთ. კარგად ბრძანდებოდეთ.

ვ. – კარგი, დაველოდები და აუცილებლად გიპასუხებთ. კარგად ბრძანდებოდეთ.

რა თქმა უნდა, აქ შთაბეჭდილებებს უკომენტაროდ დავტოვებთ და ახლა გივი ქაიხოსროშვილის ერთ-ერთ ადვოკატთან, სიმონ თელიაშვილთან ინტერვიუს შემოგთავაზებთ:

– ამ თვეში საქმის სასამართლო განხილვა უნდა დაწყებულიყო. რატომ გადაიდო პროცესი?

– გამოძიება უკვე ჩიხშია შესული. პროკურატურამ სასამართლოს გამოძიების ვადის 45 დღით გაგრძელება მოსთხოვა და მიზეზებად აბსურდული არგუმენტები მოაქვს...

– მაგალითად?..

– თურმე შპს „მექანიზატორში“ (ეს არის სახელმწიფო კომპანია, რომელმაც შეისყიდა ტექნიკა და გამოძიების პროცესში პროკურატურამ მისი ყველა ხელმძღვანელი დააკავა. თუმცა მოგვიანებით ვითარება შეიცვალა და ამის შესახებ ამ ინტერვიუში გიამბობთ. – მ.ნ.) მიმდინარეობს საფინანსო-სამეურნეო რევიზია, რომელიც არ არის დასრულებული. ბრალდებულების – ვაჟა ნახუცრიშვილის, მამუკა ივანიძისა და ბესიკ თეთვაძის („მექანიზატორის“ ხელმძღვანელები) საცხოვრებელი ბინებიდან ამოღებულ კომპიუტერებში შესაძლო წაშლილი ინფორმაციების აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს; სათარგმნი აქვთ მთელი რიგი დოკუმენტები; უნდა დაამუშაონ 28 მობილური ნომრის დეტალური მონაცემები; 18 საბანკო დაწესებულებიდან 16 პირზე არსებული მოცულობითი დოკუმენტაცია სრულად არ ჰქონიათ ამოღებული და რაც მთავარია, თურმე ახლა ყოფილა აუცილებელი საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება, რომლის დროსაც საველე პირობებში გამოიცდება „ზეტორისა“ და „ნიუ ჰოლანდის“ ტრაქტორები. საინტერესოა, როცა მარტში დაიწყო გამოძიება, აქამდე რა გააკეთეს? საქმეც სწორედ ეს არის, რომ არაფერი. გამოძიებას არავითარი მტკიცებულება არ გააჩნია.

– ექსპერტიზა ერთხელ ხომ უკვე ჩატარდა?

– ექსპერტიზაზე წარდგენილი არ იქნა შესაბამისი პარამეტრები, რამაც დამახინჯებული ექსპერტიზის დასკვნა მოგვცა. თუმცა ექსპერტები ფარულ მიყურადებებიც და ოფიციალურადაც ამბობენ, რომ, რასაც წერდნენ, ეს იყო ჰიპოთეტური თემა და ტექნიკა უნდა შედარებულიყო საველე პირობებში. ამიტომაც თავიდანვე ვამბობდით, რომ ეს ექსპერტიზა იყო ძუალედური, მაგრამ გამოძიება ამას არ იზიარებდა. ახლა კი თვითონ მოითხოვენ ამ საგამოძიებო ექსპერიმენტს. გამოდის, რომ ხალხი ჯერ დაიჭირეს და ახლა მტკიცებულებებს ეძებენ. ახლა ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ პატიმრები ჰყავდეთ გაუსაძლის პირობებში. რომ როგორმე იქნებ ვინმე გატყდეს და გამოძიებისთვის სასურველი ჩვენება დანეროს...

– ვიცით, რომ ერთ-ერთი ბრალდებული, „მექანიზატორის“ ყოფილი დირექტორი თეთვაძე გირაოთი გაუშვეს. მასთან ხომ არ მიაღწია მიზანს გამოძიებამ?

– საქმეც სწორედ ეს არის. გამოძიებას „მექანიზატორის“ დოკუმენტაციის შემოწმება თავიდანვე არ დაუწყია. როცა გამოძიებას გაუჭირდა, დაიწყო მთელი საფინანსო დოკუმენტაციის ამოღება. თუ იქ რამე დარღვევა გამოვლინდება, ეს „მექანიზატორის“ ახალ ხელმძღვანელობას, ანუ ვაჟა ნახუცრიშვილს ხომ არ შეეხება? დარტყმას, ბუნებრივია, ძველ ხელმძღვანელს, ანუ თეთვაძეს მიაყენებენ. სწორედ ეს იარაღი აამუშავეს იმისთვის, რომ თეთვაძესთან საკუთარი მიზნებისთვის მიეღწიათ. საბოლოო ჯამში, მიაღწიეს კიდეც. ის დღეს გარეთ არის და ალაპარაკებასაც ვერ გაბედავს, რადგან მისი საქმიანობის პერიოდი გამოძიების „შესწავლის საგანია“. პარალელურად, თეთვაძის მაგალითი ეძლევათ სხვა ბრალდებულებსაც. მაგალითად, ივანიაძეს უკვე ათქმევინეს უარი ადვოკატებზე და მის მიმართ სცენარიც, სავარაუდოდ, ცნობილი მეთოდით განვითარდება – დაუნიშნავენ სახაზინოს და ისიც გარეთ გამოვა გარკვეული პირობის ფასად... იყენებენ სხვა მეთოდებსაც: სარდაფში, უჰაერობაში ჰყავთ ჩაგდებული ხანშიშესული მეცნიერი, თედორაძე, რომელსაც გულ-სისხლძარღვთა დაავადება აქვს და ასეთ პირობებში მისი ყოფნა დიდი რისკის შემცველია. მთლიანობაში საქმე ის არის, რომ გამოძიებას არ აქვს მტკიცებულებები. ისინი ხელოვნურად აგრძელებენ საგამოძიებო ვადას, ამასობაში ბრალდებულებზე ხორციელდება ზეწოლა, რათა მათ დაიბრალონ, ან სხვას დააბრალონ დანაშაული, და ამის სანაცვლოდ მოიპოვონ თავისუფლება. ეს ზუსტად ადეიშვილის პროკურატურის მუშაობის სტილია. ადეიშვილი მუშაობდა ასე: უდანაშაულო კაცს დაიჭერდნენ

„აშკარაა, რომ ვიღაც ძალიან დაინტერესებული იყო ამ ხელისუფლებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტის ჩავარდნით...“

სიმონ თელიაშვილი

„ეს ზუსტად ადეიშვილის პროკურატურის მუშაობის სტილია. ადეიშვილი მუშაობდა ასე: უდანაშაულო კაცს დაიჭერდნენ და თუ ის არ გატყდებოდა და დანაშაულს არ აღიარებდა, მისი გარეთ გამოსვლის შანსი არ იყო. ამ საქმეზეც ზუსტად ასე ხდება ყველაფერი“

და თუ ის არ გატყდებოდა და დანაშაულს არ აღიარებდა, მისი გარეთ გამოსვლის შანსი არ იყო. ამ საქმეზეც ზუსტად ასე ხდება ყველაფერი.

– თეთვაძემ უკვე მისცა გამოძიებას ახალი ჩვენება?

– ის დაჰყვა გამოძიების მოთხოვნებს და მოიპოვა თავისუფლება, აღმკვეთი ღონისძიების შეცვლით. სანამ გამოძიება თეთვაძის საქმიანობით „ინტერესდება“ (სინამდვილეში კი ეს მხოლოდ მისი დაშინების იარაღია), ეს ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფ ქაიხოსროშვილს არაფრით ეხება. ამ დროს კი თეთვაძე თავისუფლებაშია, ქაიხოსროშვილი – ციხეში. თეთვაძეს აღმკვეთ ღონისძიებას უცვლიან მაშინ, როდესაც მისი მიმალვის ალბათობა გაცილებით მაღალია, ვიდრე მანამდე იყო. ამ დროს, ადამიანებს, რომლებსაც საერთოდ არ ეხებათ ეს თემა, კიდევ დამატებით 45 დღის განმავლობაში უწევთ პატიმრობაში ყოფნა. ასე რომ, ვადის გაგრძელების მოტივი რეალურად იყო, ბრალდებულებისთვის გაეხანგრძლივებინათ პატიმრობაში ყოფნის ვადა, თეთვაძის მაგალითი მისცეს სხვა ბრალდებულებს, რათა გამოძიებამ ისინი უკანონო თანამშრომლობაზე დაიყოლიოს. ყველა ბრალდებულს შეუცვალეს საკანი და ყველა გადაიყვანეს უარეს საკანში. ვინც კი გლდანის ციხის სტრუქტურა იცის, მიხვდება, რას ნიშნავს ციხეში პირველად მოხვედრილი ადამიანისთვის პირველიდან მეორე კორპუსზე გადაყვანა, სადაც ნამდვილი კრიმინალები ჰყავთ...

– და ეს ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ „ვიღაცას“ „ჯითი ჯგუფის“ ტენდერში დამარცხება ეწყინა?

– ძალიან რთულია იმის დადგენა, ვინ დგას დღეს „ჯითი ჯგუფის“ უკან. ეს ჩვენს კომპეტენციას აღემატება. მაგრამ დარწმუნებით გეტყვით, რომ „ჯითი ჯგუფის“ მიერ საქართველოსთვის შემოთავაზებული 110-ცხენისძალიანი თურქეთის წარმოებული „ნიუ ჰოლანდის“ ტრაქტორი, რომელსაც ერთი წლის წარმოების გამოცდილება აქვს მხოლოდ, ევროპის არც ერთ ქვეყანაში არ არის სერტიფიცირებული და იქ გასაყიდად არ უშვებენ. სწორედ ასეთ ტრაქტორს სთავაზობდნენ ისინი ქართულ მხარეს. ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია გვაქვს. ის რომ ეყიდათ, სწორედ ეს იქნებოდა დანაშაული და მაშინ იქნებოდნენ პასუხისგებაში მისაცემნი. სამწუხაროდ, არავის შედეგები არ აინტერესებს და ურა-ურათი და პიარით არის ეს ხალხი დაჭერილი. შედეგები კი ასეთია: „მექანიზატორს“ 2010 წელს საქართველოში მოხნული აქვს 8000 ჰექტარი მიწა, 2011-ში – 9100 ჰა; 2012-ში – 16070 ჰა, წელს 108 609 ჰექტარი და ეს შედეგი არ იქნებოდა, რომ არა კომპანია „ზეტორის“ ტრაქტორები, მიუხედავად იმისა, რომ მათ მიმართ გარკვეულ დივერსიებსაც ჰქონდა ადგილი... აშკარაა, რომ ვიღაც ძალიან დაინტერესებული იყო ამ ხელისუფლებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტის ჩავარდნით...

– რა დივერსიაზე საუბრობთ?

– ეს ტრაქტორები საქართველოში სულ ახალი შემოყვანილი იყო, როცა აღმოჩნდა, რომ ჰიდრავლიკის სისტემიდან, რომელიც ჰერმეტულად არის დახურული, გადმოსხმული იყო სითხე. მისი შემთხვევით გადმოღვრის ალბათობა არ არსებობს, რადგან ჰიდრავლიკური სისტემა გათვლილია მაღალ წნევაზე. მეტსაც გეტყვით, კახეთში ჩაიშალა გადაცემათა კოლოფი. აღმოჩნდა, რომ შიგ ჩაგდებული იყო უცხო საგანი. თავიდან ტექაგროსერვისს, რომელიც „ზეტორის“ ოფიციალური წარმომადგენელია საქართველოში, ეგონა, რომ მას ქარხნული წუნი ჰქონდა. ამიტომ „ზეტორის“ წარმომადგენლები ჩამოვიდნენ, დაშალეს ეს გადაცემათა კოლოფი, იქ არსებული ნამსხვრევები ანალიზისთვის წაიღეს ჩეხეთში. ლაბორატორიის პასუხით გაირკვა, რომ მეტალოგრაფიული ანალიზის საფუძველზე, ეს არ იყო თუჯის და იყო ფოლადის. „რა თქმა უნდა, ეს არ მოდის ჩვენი მექანიზმიდან“, – წერია დასკვნაში. ამას გარდა, თუ არ ვცდები, ბაღდათში, ჰიდრავლიკის სითხეში ჩააგდეს მავთული.

– ეს ყველაფერი რა მიზანს ემსახურებოდა?

– გახსოვთ, ალბათ, როცა ამ კომპანიამ გაიმარჯვა, დაინტერესებულმა პირებმა მას მიზანმიმართულად დაარქვეს ნაკლები რეპუტაციის მქონე ბრენდი. ჰოდა, ამ შეფასების გამართლებას ცდილობდა ვიღაც. ბუნებრივია, თუ ტრაქტორები მწყობრიდან მასშტაბურად გამოვიდოდა, მათი ე.წ. პროგნოზები გამართლდებოდა. რაკი ამ ყველაფერს დროულად ეშველა, მერე გადავიდნენ გეგმა „ბე“-ზე და კორუფციაზე დაიწყეს საუბარი. ახლა სწორედ ამის დასადასტურებლად იბრძვის პროკურატურა ყველა მიუღებელი ხერხით.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ვფიქრობ, კადრების მთავრობამ უხეში

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

IRI-ს კვლევების არასწორად „წაკითხვამ“ პოლიტიკოსებში ტრადიციული არეულობა გამოიწვია. სალომე ზურაბიშვილმა საკუთარი 7% ბრჭყალებით პირდაპირ პარიზიდან დაიცვა. როგორც ჩანს, საპრეზიდენტო კანდიდატობას მაინც უმიზნებს. 2 პროცენტს ის ნინო ბურჯანაძის მხარდამჭერებს „ედავებოდა“ სწორედ მათ ამოიკითხეს 7%-ის უკან ბურჯანაძის გვარი. მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს პოზიცია, ანუ მესამე ადგილი პოლიტიკაში სწორედ სალომე ზურაბიშვილს ეკუთვნის და არა ნინო ბურჯანაძეს. ამ უკანასკნელმა 5%-ით ადგილი ნათელაშვილს გაუყო.

ბიძინა ივანიშვილმა შედეგები საერთოდ უარყო, არ გვაინტერესებს და რაც არ უნდა იყოს, მაინც არასწორიაო... ივანიშვილი დარწმუნებულია, რომ „ოცნების“ კანდიდატი ნებისმიერ შემთხვევაში გაიმარჯვებს, თანაც დიდი უპირატესობით.

ბიძინა ივანიშვილი:

– არ მინახავს IRI-ს კვლევები და არც არის ჩვენთვის საინტერესო. მე არ ვეთანხმები, მაგრამ კვლევებია და კვლევებში ყოველთვის არის გარკვეული ტიპის ცდომილება. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ დასვამ კითხვას, რომელი კუთხიდან შეეკითხები და ასე შემდგომ. შესაბამისად, თქვენ შეგიძლიათ ეს გაითვალისწინოთ, თუმცა არაფერი ისეთი არ ხდება აქ, რომ დიდი პოლემიკის საგანი იყოს. მრავალჯერ გავაკეთე ამაზე განცხადება და დღესაც შემიძლია, იგივე გიპასუხოთ, რომ პირველ ტურში და დიდი უპირატესობით მოიგებს ჩვენი კანდიდატი და დიდი ალბათობით მეორე ადგილზე ვერ გავა „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი. მეორე ადგილზე გავა ნებისმიერი, თუ წამოაყენებენ და ასეთები იქნებიან. ჩემი აზრით, მეორე ადგილს ვერ დაიჭერს „ნაციონალური მოძრაობა“, რამეთუ მისი ავტორიტეტი ძალიან დაბალია ჩვენს ქვეყანაში.

„ნორმალურ ქვეყნებში პოლიტიკური სპექტრის 90-95% პარლამენტში უნდა იყოს წარმოდგენილი“

კახა კუკავა: „პირველ ტურში და დიდი უპირატესობით მოიგებს ჩვენი კანდიდატი“

არასაპარლამენტო ოპოზიცია განსხვავებულად ფიქრობს. ისინი მიიჩნევენ, რომ მოცემულ სიტუაციას რადიკალურად შეცვლის ბურჭულაძის პოლიტიკური ნაბიჯი, ეს ყველაფერი კი ავტომატურად იმოქმედებს რეიტინგებზეც. თუმცა ბოლო მონაცემებით, 41%-ით სწორედ „ოცნების“ კანდიდატი, გიორგი მარგველაშვილი ლიდერობს. მეორე ადგილი ნაციონალებს უჭირავთ, ხოლო მესამეზე საკუთარი 7% აქვს სალომე ზურაბიშვილს. პოლიტიკოსების განცხადებით, ზურაბიშვილმა ეს ციფრი ძირითადად თბილისის ხარჯზე მოაგროვა.

მეოთხე-მეხუთე ადგილს ინაწილებენ ლეიბორისტები და ნინო ბურჯანაძე. თუმცა პრემიერი დარწმუნებით აცხადებს, რომ ნაციონალები მეორე ადგილს ვერაფრით აიღებენ...

ქართველი სოციოლოგების განცხადებით, IRI-სა და NDI-სგან განსხვავებით, საქართველოში დაფუძნებული სოციოლოგიური კვლევითი ინსტიტუტების შედეგები ყოველთვის განსხვავებულია ხოლმე. განსხვავების მიზეზებზე საუბრისგან თავს იკავებს „გორბის“ ხელმძღვანელი მერაბ ფაჩულია, თუმცა აცხადებს, რომ უცხოურ კვლევებთან შედარება ყოველთვის ხდება.

სოციოლოგები კვლევების შეფასებისგან თავს იკავებენ. მათგან განსხვავებით, პოლიტიკოსები აღიარებენ, რომ რეიტინგებზე და, შესაბამისად, ხელისუფლებაზე ფარული ჩანაწერების ხელმეორედ „აღმოჩენა“ და საზოგადოებაში გავრცელება ივანიშვილის გუნდს, სავარაუდოდ, დარტყმას მიაყენებს...

კახა კუკავა, „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი:

– როგორ იმოქმედა კადრების აღმოჩენამ რეიტინგებზე?

– არა მგონია, რამე შეეცვალა. ეს კადრები პირველი არ იყო საზოგადოებისთვის. მართალი რომ ვთქვათ, არც ჰქონდა ფართო საზოგადოებრივი გამოხმაურება. ძირითადად პოლიტიკურ წრეებში საუბრობდნენ ამაზე. ყოველ შემთხვევაში კადრებზე დღეს საზოგადოებაში მსჯელობა აღარ მიდის. ვფიქრობ, კადრების დემონსტრირებით მთავრობამ უხეში შეცდომა დაუშვა. კარგად მახსოვს, როგორი ზეგავლენა ჰქონდა თავის დროზე ოპოზიციის ლიდერების სატელეფონო ჩანაწერების გამოქვეყნებას რუს დიპლომატებთან: პირველად ამ ჩანაწერებმა საზოგადოება შეაკრთო, მეორედ ის ურეაქციოდ შეხვდა ჩანაწერებს და მესამედ უკვე უკურეაქცია გამოიწვია, რამაც იმოქმედა ხელისუფლების წინააღმდეგ. თუ აღმოჩენილი კადრები მართლმსაჯულების ჩარჩოებში არ მოექცა, თუ ისევ გამოქვეყნდა ვიდეოები და გამოძიება არ მოჰყვა, შეიძლება ძალიან ცუდად იმუშაოს ამან ხელისუფლებისთვის.

– შეიძლება, რომ გათვლა ყოფილიყო ისეთივე, როგორიც ოქტომბრის არჩევნების წინ ციხის კადრების გავრცელებას ჰქონდა?

– კი, ასეთი გათვლა იყო, იმედი ჰქონდათ, რაღაცას გადაფარავდნენ. თუმცა ვფიქრობ, ეს ხელისუფლება ძალიან დიდ დროს უთმობს სოციოლოგიურ გამოკითხვებს. ვნახეთ, რომ ივანიშვილის რეიტინგი 41%-ს ქვემოთაა ჩამოსული, კურიერით რეიტინგების კორექტირება სააკაშვილის მეთოდი იყო და ვნახეთ, რომ ამან არ გაამართლა. ბიძინა ივანიშვილმა სჯობს, შექმნას სამუშაო ადგილები და საერთოდ ნუ შეხედავს ნურც რეიტინგებს და ნურც კურიერს. რეიტინგები თავისთავად დარეგულირდება, რადგან კონკრეტული ნაბიჯით რომ ერთი კვირით დააბალანსო რეიტინგი, ის აუცილებლად მალე შეიცვლება. მით უფრო ახლა, როცა ძალიან მოდური პასუხი ჩამოაყალიბა ამომრჩეველმა – კადრები ვჭამო? საჭმელი თუ ექნება ხალხს, რეიტინგებიც ავტომატურად დაბალანსდება. ხელოვნურად რეიტინგების მანევრირება ძალიან არასწორია.

„ივანიშვილის რეიტინგი 41%-ს ქვემოთაა ჩამოსული... ის ექსტრავაგანტური პოლიტიკოსია“

– გამოდის, IRI-ს შედეგები ადასტურებს, რომ ოპოზიციის მოთხოვნა ვადამდელი არჩევნების შესახებ არასწორია?

– რატომ გამოდის ასე? არასაპარლამენტო ოპოზიციის ერთად აღებული რეიტინგი დაახლოებით არის 45%, ეს რიცხვი საკმაოდ დიდია. გარდა ამისა, რეიტინგებსა და არჩევნებს შორის კიდევ დიდი სხვაობაა, რომელიც ცვლის ამ ყველაფერს. ნორმალურ ქვეყნებში პოლიტიკური სპექტრის 90-95% პარლამენტში უნდა იყოს წარმოდგენილი. 45% რომ გარეთ არის, ძალიან ბევრს ნიშნავს.

– როგორ ფიქრობთ, ბურჭულაძე რეიტინგებს რადიკალურად შეცვლის?

– ბურჭულაძე, ალბათ, ნომერ პირველი იქნება რეიტინგებში. საარჩევნო სხვადასხვა ფაზაში შეიძლება პირველმა და მეორე ადგილებმა გადაინაცვლოს, თუმცა მოცემულ მომენტში მისი რეიტინგი ძალიან მაღალია და რაც მთავარია, ძალიან ახლოს არის 50%-იან ბარიერთან. თუმცა კიდევ ერთხელ ვიტყვი, რეიტინგი და ხმები აბსოლუტურად სხვადასხვა რამ არის. თბილისში შეიძლება ხმები და რეიტინგი ძალიან ახლოს დგას ერთმანეთთან, მაგრამ რეიტინგების მიხედვით, მაგალითად, ამბროლაურში შეიძლება ხმები ვერც აიღო. ამიტომ ამას სჭირდება სერიოზული მუშაობა.

– ახლანდელი რეიტინგები ნიშნავს იმას, რომ მეორე ტური აუცილებლად გაიმართება?

– არა, ამას არ ნიშნავს.

– 41% აქვს მარგველაშვილს...

– ჯამში, მარგველაშვილს ბევრად მეტი აქვს, ვიდრე სხვა დანარჩენ კანდიდატებს ერთად აღებულს. მარგველაშვილის ამჟამინდელი რეიტინგი თუ 41%-ია, დანარჩენი კანდიდატების ერთად აღებული რეიტინგების ჯამი 28%-ია... თითქმის ორჯერ მეტი გამოდის... თანაც მარგველაშვილს დიდი შანსი აქვს, რომ 50%-მდე აეწიოს წინასაარჩევნოდ. არჩევნებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა და თანაც ამას უნდა დავუმატოთ ადმინისტრაციული რესურსი. როცა „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს 40%-იანი რეიტინგი ჰქონდა 60-65%-ს იღებდა არჩევნებში. თუმცა სიტუაციას არსებითად შეცვლის ბურჭულაძის გამოჩენა.

IRI-ს კვლევებს სკანდალი მოჰყვა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ს დემონსტრირებით შეცდომა დაუშვა“

ბურჯანაძემ ბურაბიშვილს 2% მოჰპარა, რამდენს მოჰპარავს ბურჭულაძე მარგველაშვილს?

– რამდენად შესაძლებელია, რომ ბიძინა ივანიშვილმა საპრეზიდენტო არჩევნებზე თავისი კანდიდატურა დააყენოს?

– შეიძლება, გამორიცხვა არაფრის არ ღირს. ბიძინა ივანიშვილი ძალიან ექსტრავაგანტური პოლიტიკოსია. შეიძლება მან მიიღოს ეს გადაწყვეტილება. თუმცა ბევრი არგუმენტია, რატომ არ შეიძლება, რომ მან ეს გადაწყვეტილება მიიღოს. ბიძინა ივანიშვილი თავისი გარემოს ტყვეა, მას უქმნიან წარმოსახვით გარემოს, ამიტომ რაც უფრო მეტი კომუნიკაცია ექნება გარემოსთან, მით უფრო ნაკლებ შეცდომას დაუშვებს.

– ბურჭულაძის გასამარჯვებლად არასაპარლამენტო ოპოზიციის კანდიდატების შემოკრება დაგჭირდებათ თუ ის მათ გარეშეც გაიმარჯვებს?

– ვფიქრობ, უკეთესი იქნება მის ირგვლივ გაერთიანება, თუ ისინი მართლაც თვლიან თავს სახელმწიფო მოღვაწეებად. ვფიქრობ, მათ უნდა მიიღონ ეს გადაწყვეტილება და დიდი იმედი მაქვს, მათი ნაწილი მაინც მოხსნის კანდიდატურას და მხარს ბურჭულაძეს დაუჭერს. მახსოვს, როცა ვაკის არჩევნებში ვმონაწილეობდი, დავით საგანელიძეს დავუთმე, რადგან მას მეტი შანსი ჰქონდა და ასეთ დროს არ უნდა იყო მავნე. ჩემთვისაც მტკივნეული იყო, როდესაც საგანელიძის გამო კანდიდატურა მოვხსენი, მაგრამ ეს სწორი გადაწყვეტილება აღმოჩნდა. ამიტომ სჯობს, კანდიდატები დაფიქრდნენ, კარგად გაზომონ, შეამოწმონ საკუთარი რეიტინგები და თუ დარწმუნდებიან, რომ მათ გამარჯვების შანსი არ აქვთ, ვფიქრობ, ლოგიკური იქნება, მოხსნან კანდიდატურები.

– ბურჭულაძის მხარდამჭერად ეკლესია სახელდება, რომელიც საკმაოდ დიდ პროცენტს ნიშნავს...

– ეკლესიაში მრევლი იგულისხმება, ბუნებრივია. ეკლესიას აქვს თავისი ფასეულობები, მათ შორის, მაგალითად, „ელჯიბიტი“ საკითხი, ეკლესიისთვის ეს არის სოდომური ცოდვა. თუ კონკრეტული პიროვნება მხარს უჭერს უმცირესობას, მაშინ მნიშვნელობა აღარ აქვს, ვინ იქნება პატრიარქი, რადგან მრევლი ავტომატურად შენი მოწინააღმდეგე გამოდის. პაატა ბურჭულაძის ფასეულობები საზოგადოებისთვის მისაღებია, მარგველაშვილის ფასეულობები კი არ არის მისაღები.

თიბისი ბანკის მობაილ ბანკი სპეციალურად BlackBerry-სთვის!

პირველად საქართველოში! თიბისი ბანკი გთავაზობთ მობაილ ბანკს სპეციალურად BlackBerry-სთვის!

თუ თქვენ ფლობთ BlackBerry-ს მობილურ ტელეფონს, უკვე შეგიძლიათ ისარგებლოთ თიბისი ბანკის მობაილ ბანკით BlackBerry-სთვის. თიბისი ბანკის მობაილ ბანკის აპლიკაციით თქვენ ნებისმიერ დროს, ნებისმიერი წერტილიდან შეძლებთ განახორციელოთ თქვენთვის სასურველი ოპერაცია ან მიიღოთ უამრავი საბანკო და ფინანსური ინფორმაცია, კერძოდ კი:

- შეივსოთ მობილურის ბალანსი,
- დაფაროთ კომუნალური დავალიანებები,
- გადარიცხოთ და დააკონვერტიროთ თანხები,
- შეამოწმოთ ბალანსები ნებისმიერ თქვენს ანგარიშზე, მათ შორის ანაბრებზე და სესხებზე,
- გაეცნოთ ვალუტის კურსებს,
- გაიგოთ, რა მანძილი გაშორებთ თიბისი ბანკის უახლოეს ფილიალთან ან/და ბანკომატთან, და სხვა.

BlackBerry-ს მობაილ ბანკის აპლიკაციით სარგებლობას არ სჭირდება დამატებითი რეგისტრაცია იმ შემთხვევაში, თუ თქვენ უკვე სარგებლობთ თიბისი ბანკის ინტერნეტ ბანკით. საჭიროა მხოლოდ ჩამოტვირთოთ TBC Mobile აპლიკაცია Blackberry App World-დან და მიუთითოთ ინტერნეტ ბანკის თქვენი სახელი და პაროლი.

თუ თქვენ ჯერ კიდევ არ სარგებლობთ თიბისი ბანკის ინტერნეტ ბანკით, დარეგისტრირდით ახლავე ონლაინ რეჟიმში ვებ-გვერდზე www.tbconline.ge, ან რეგისტრაციისთვის ეწვიეთ თიბისი ბანკის ნებისმიერ ფილიალს.

დაიწყეთ თიბისი ბანკის მობაილ ბანკით სარგებლობა ახლავე! გახსოვდეთ, თიბისი ბანკის მობაილ ბანკი ეს არის პატარა ფილიალი თქვენს ტელეფონში, რომელიც დაზოგავს თქვენს დროს და გაგიმარტივებთ ბანკთან ურთიერთობას!

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბურჯანაძე ბურჭულაძეს კ

გია ბურჯანაძე: „იმედი მაქვს, რომ ქართული საზოგადოება არ არის ისეთი ბნელი, რომ პოლიტიკოსის ნაცვლად მომღერალი აირჩიოს“

my View

ნათუნა მგალობლიშვილი

გია ბურჯანაძის სახელი და გვარი სამეგრელოში აღმოჩენილ კასრებში ფირებთან ერთად ნაპოვნ ჩანაწერებში ფიგურირებდა. უფრო კონკრეტულად ის დასაჭერთა სიაში იყო. ერთ-ერთი მათ შორის, ვის დაჭერასაც ნაციონალები ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში აპირებდნენ. თავად გია ბურჯანაძე ცდილობს ინფორმაციის გადამოწმებას, თუმცა პირველწყაროს მიგნებაზე არც კი ოცნებობს. შესაბამისად, დასკვნების გამოტანა უჭირს, თუმცა ამბობს, რომ ინფორმაციას მაინცდამაინც არ გაუკვირვებია, რადგან პოლიტიკური აქტივობების გამო სხვადასხვა დროს ორჯერ ნასამართლევის სტატუსი უკვე აქვს...

„ამ ხელისუფლებას ისეთი კურსი აქვს აღებული კოჰაბიტაციის, რომ თავის მართლების რეჟიმში დგას უკვე 8 თვეა“



გია ბურჯანაძე, „სახალხო კრების“ წევრი:

– როგორც მითხრეს, ბევრი ადამიანი იყო „სახალხო კრებიდან“ და „დაიცავი საქართველოს“ რიგებიდან. ამ ადამიანებს, ალბათ, განსაკუთრებით ებრძოდნენ, იმიტომ რომ არ შევარგეთ ქვეყნის ბოლომდე შეჭმა. არც მე, არც შოთიკო გლურჯიძეს, არც ბიძინა გეგიძეს ხელისუფლებაში ყოფნის სურვილი არასოდეს გვქონია, ჩვენ ერთნაირი შეხედულებები გვაქვს ქვეყნის განვითარებაზე და რატომ გვერჩოდნენ ასე, არ ვიცი. მე ორჯერ ვარ დაკავებული და გასამართლებული, ბოლოს წინა კვირას მივეცი ჩვენება.

– რა საკითხზე დაგიბარეს?

– 2011 წლის გაზაფხულზე სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან ჩატარდა პატიმრების წამების საწინააღმდეგო აქცია. თავი ვალდებულად ჩავთვალე, იქ უნდა მივსულიყავი. ჩვენ ვიცოდით, რაც ციხეებში ხდებოდა, გაევეშებულები დამეტაკნენ და გამასამართლეს. მაშინ ჩემთვის ტროტუარზე ვიდექი, არც ორგანიზატორი ვიყავი იმ აქციის და სიტყვითაც კი არ გამოვსულვარ. ეს ის დღე იყო, ფრიდონ სულაბერიძის ვარსკვლავს რომ ხსნიდნენ. მე უნდა წამეყვანა ის საღამო და კოსტიუმით მივედი აქციაზე. იქიდან პირდაპირ ფილარმონიაში მივდიოდი. შემომახიეს ტანსაცმელი და ისე დამაკავეს. მაგრამ იცით, რა მაკვირვებდა მაშინ? იმ ორი ათასმა ადამიანმა, რომელმაც ფილარმონიაში გაიგო, რატომ ვერ წავიყვანე ის საღამო, რატომ არ ამოიღო ხმა მანამ, სანამ ციხის კადრები არ ნახა? მათთვის, ალბათ, კომფორტული იყო არ „სცოდნოდათ“... სწორედ ამ საკითხზე ვიყავი გუშინ დაბარებული. გარდა ამისა, 26 მაისს რომ დამაკავეს, ისე უხაროდათ ეს ამბავი, ვერც მალავდნენ. ხმამაღლა ყვიროდნენ, გია დავიჭირეთო... უპატაკებდნენ ზემდგომებს. წარმოიდგინეთ, წინა ხელისუფლებაში გარკვეული ჯგუფი გემრიელად შეექცეოდა ქვეყანას, ისინი იყვნენ საქართველოს დანგრევით დაკავებულები და ამ ადამიანებს გარკვეულმა ჯგუფმა, ჩვენი სახით, ხელი შეუშალა. თანაც ჩვენ არაფერს არ ვითხოვდით, არც თანამდებობას, არც ფულს... აბეზარა ბუზებივით ვიყავით მათთვის, რომლებიც ხელს ვუშლიდით თანამდებობის პირებს გემრიელი ტორტის ჭამაში, სწორედ ეს იყო მათი აგრესიის მიზეზი. არ შევარგეთ, ამიტომ არც გამკვირვებია, ჩემი გვარი რომ დასახელდა დასაჭერთა სიაში. მიმაჩნია, რომ სწორედ საზოგადოება უნდა მიუთითებდეს ხელისუფლებას პრობლემაზე და ის უნდა ჭრიდეს ამ პრობლემებს, მაგრამ აქამდე ხელისუფლებას ეს არ ესმოდა.

– ამ ხელისუფლებას ესმის?

– ამ ხელისუფლებას ისეთი კურსი აქვს აღებული კოჰაბიტაციის, რომ თავის მართლების რეჟიმში დგას უკვე 8 თვეა. ვისთან იმართლებს თავს, დამნაშავეებთან? სანამ ეს ქვეყანა არ დალაგდება, მანამ ჩემნაირი ადამიანები, ხელოვანები, უნდა გამოდიოდნენ და აქტიურობდნენ. როცა რაღაც არ მომწონს, არ მაქვს უფლება, ეს ხმამაღლა ვთქვა? ამიტომ მტრად უნდა მომნათლონ? მომიტევოს ყველამ, მაგრამ, როცა ზუსტად იცი, რომ ბიუჯეტიდან მიგაქვს ფული, მაშინ როცა მომღერალი ხარ და მეტნაკლებად შემოსავალი გაქვს, ეს სწორია? მით უფრო, იცი, რომ შეიძლება, ამ ფულს, რომელსაც შენ იღებ, ვეღარ მიიღებს, მაგალითად, ლეიკემიით დაავადებული ბავშვი, არაკაცი ხარ და მეტი არაფერი.

– ვის გულისხმობთ?

– ...მე არ ვაწუხებ არავის ჩემი პრობლემებით, მესმის, რომ გაჭირვებული ქვეყანაა და მისი ბიუჯეტი ყველას ვერ გასწვდება. ამიტომ ვისაც მეტ-ნაკლებად მაინც აქვს შემოსავალი, ის არ უნდა ითხოვდეს რამეს ხელისუფლებისგან.

– ციხის კადრები ახსენეთ და... როგორ ფიქრობთ, სწორია ახლა ეგრეთწოდებულ კასრში ნაპოვნ ვიდეოებს რომ აჩვენებენ?

– არ ვიცით, რომ უარესებიც ხდებოდა? მაინცდამაინც უნდა ნახო, რომ დაიჯერო? მესმის, ძნელია, გადალახო ის, რომ იყავი ამ კოლაბორაციონისტების, ანუ ნაციონალების მხარეს, იდექი ადამიანების გვერდით, რომლებიც სხვა ქვეყნის ინტერესებს ატარებდნენ. მიმაჩნია, რომ უნდა მოხდეს ამ ძალის დენაციფიკაცია. ჩვენ დავიწყებთ ამ თემაზე ხმამაღლა საუბარს, გავალთ მოსახლეობაში და ავუხსნით ადამიანებს, დავიწყებთ ხელმოწერების შეგროვებას, რომ ავკრძალოთ ეს ძალა. ხელისუფლება დარწმუნდება, რომ ხალხის მოთხოვნაა და ნამდვილად გასაკეთებელია. ეს საზოგადოების დიდი ნაწილის ოცნებაა.

– ხელისუფლება დაგთანხმდებათ?

– რას ჰქვია დაგვთანხმდება? დაინახავენ, რომ ეს არის ხალხის მოთხოვნა. მოქალაქეები მოითხოვენ და მოქალაქეებს დაუძლიან ხელმოწერას? რომ შეგროვდება 200-300 ათასი ხელმოწერა, ვერავინ ვერაფერს იტყვის. ეს იქნება საფუძველი, რომ საკითხი სასამართლომ განიხილოს. ჩვენ ვმუშაობთ საკითხზე, უბრალოდ, მიმართვის ტექსტია ჩამოსაყალიბებელი და დასახვენი.

– პრემიერმა განაცხადა, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ წავალო, თუმცა მალევე წაიღო უკან საკუთარი სიტყვები. როგორ ფიქრობთ, რამდენად თანმიმდევრულია ივანიშვილი საკუთარ განცხადებებში?

– წასვლა-მოსვლა... ამ თემაზე საუბარი არასერიოზულად მიმაჩნია. ისეთი პრობლემებია დღეს საქართველოში, რომ წასვლა კი არა, ხუთი ბიძინა კიდევ უნდა მოვიყვანოთ, რომ პრობლემები გადაიჭრას. დღეს საქართველოს აქვს უნიკალური შანსი: ჰყავს ძლიერი პრემიერ-მინისტრი, სჭირდება ძლიერი პრეზიდენტი და რაც შეიძლება, მალე უნდა ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები და ის პარლამენტი უნდა იყოს ერის ინტერესების გამომხატველი. დღევანდელი პარლამენტი ერის ინტერესებს არ გამოხატავს. დღევანდელ პარლამენტში ბევრი ჩემი მეგობარია, მაგრამ ეს არ მიშლის ხელს, ვთქვა, რომ მოქმედი პარლამენტი ვერ გამოხატავს ქვეყნის ინტერესებს. მე, როგორც ხელოვანმა, უარი ვუთხარი ივანიშვილს პარლამენტში შესვლაზე. მიმაჩნია, რომ კაბინეტში ჯდომაზე მეტს ჩემი საქმით ვაკეთებ, პარლამენტსგარეთ. ჯერ კიდევ არჩევნებამდე ვამბობდი, რომ ჩვენი გამარჯვების შემთხვევაშიც კი ეს პარლამენტი ლეგიტიმური არ იქნებოდა, რადგან მაშინ არ არსებობდა დემოკრატიული საარჩევნო გარემო. სამწუხაროდ, დღესაც იგივე პრობლემაა. სიების პრობლემა დღესაც არ მოხსნილა და არც საარჩევნო გარემო შეცვლილა.

– როგორ ფიქრობთ, რატომ არ ხდება ამ პრობლემების გადაჭრა?

– ამაზე უნდა იხმაუროს საზოგადოებრივმა სექტორმა და არასამთავრობოებმა, მაგრამ ხელისუფლება რატომღაც სხვა საკითხებს ანიჭებს უპირატესობას. 22 წლის მანძილზე ერთხელაც ვერ შევქმენით ისეთი პარლამენტი, რომლის არჩევის შემდეგაც ყველა პოლიტიკური ძალა მოაწერდა ხელს – ვენდობი ამ არჩევნებს, ჩატარდა დემოკრატიულად და მე დავმარცხდი. ეს იცით, რამხელაზე აწევს საქართველოს იმიჯს?

– თუმცა ქართულ რეალობაში მსგავსი ფაქტი წარმოუდგენელია, წაგებული მხარე მუდამ იტყვის, რომ არჩევნები გაყალბდა...

– მესმის, მაგრამ ჩვენ უნდა მივაღწიოთ ამას. დემოკრატიულმა ქვეყნებმა, ვისაც დღეს ჩვენ ვბაძავთ, საუკუნეები და სისხლიანი გზა გაიარეს, ასეთ დონემდე რომ მიეღწიათ, ჩვენც უნდა გავიაროთ განვითარების ეს გზა და უნდა ავირჩიოთ ისეთი პარლამენტი, რომელიც რეალურად იქნება ქართველი ხალხის

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ოკუპანტად არ მიიჩნევს

„როგორც მითხრეს, ბევრი ადამიანი იყო „სახალხო კრებიდან“ და „დაიცავი საქართველოს“ რიგებიდან. ამ ადამიანებს, ალბათ, განსაკუთრებით ებრძოდნენ, იმიტომ რომ არ შევარგეთ ქვეყნის ბოლომდე შეჭმა“

ნების გამომხატველი. ოღონდ იმ პარლამენტს უნდა შეეძლოს მაჟორიტარების უკან გამოწვევაც. რამდენ ხანში გავივლით ამ ეტაპებს, ეს ჩვენს მონდომებაზეა დამოკიდებული.

– ეს იდეა თავის დროზე გააჟღერა ივანიშვილმა...

– იდეა ბევრი იყო, მაგრამ ამ იდეებს სჭირდება ინიცირება და შემდეგ განხორციელება. ერთხელ გიგა ლორთქიფანიძემ თქვა, თამადას რომ ავირჩევთ, თუ არ მოგვეწონება, მერე გადავირჩევთ ხოლმეო... როგორ ფიქრობთ, თამადა უფრო მნიშვნელოვანია თუ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო? ახლანდელი უმრავლესობა იმაზე უფრო ფიქრობს, რა ეშველებათ პოსტივანიშვილისეულ პერიოდში... ავირჩიეთ ბიძინა ივანიშვილი და მივიღეთ რესპუბლიკელების მმართველობა. ისინი ფიქრობენ, საქართველოს ყოველთვის ჰქონდა პრობლემები და ახლა სჯობს, ჩვენს თავს მივხედოთო...

– თქვენ, როგორც ხელოვანის, შეფასება საინტერესო იქნება პაატა ბურჭულაძის შესაძლო საპრეზიდენტო კანდიდატობასთან დაკავშირებით. განაცხადეთ, რომ უარი თქვით პოლიტიკაში ჩართვაზე როგორც ხელოვანმა და თანაც აღნიშნეთ, რომ ძლიერი პრეზიდენტია საჭირო, იქნება ასეთი ბურჭულაძე?

– პაატას შემოევლოს ჩემი თავი, მაგრამ მე ბურჯანაძის მხარდამჭერი ვარ, ამიტომ უხერხულია ჩემი მხრიდან ბურჭულაძეზე საუბარი. ჩვენ ამ არჩევნებს უნდა მივუდგეთ არა პირადი სიმპათია-ანტიპათიით, ან ვინ უფრო კარგი გოგოა ან ბიჭია, ჩვენ ამ არჩევნებს უნდა მივუდგეთ იმ თვალსაზრისით, ვინ სჭირდება ჩვენს ქვეყანას ყველაზე მეტად. გალაკტიონ ტაბიძეზე დიდი შემოქმედი არ გვყოლია ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში, მაგრამ მისი გენიოსობა არ არის საკმარისი, რომ ის პოლიტიკოსად და მით უფრო პრეზიდენტად აერჩიათ.

– თქვენ ამბობთ, რომ აუცილებლად პოლიტიკური წრიდან უნდა იყოს?

– შეიძლება პოლიტიკოსი არ იყოს, მაგრამ უნდა ავირჩიოთ ის ადამიანი, ვინც ქვეყნისთვის კარგის გაკეთებას შეძლებს. მასე არც ბიძინა ყოფილა პოლიტიკოსი, მაგრამ მან შეძლო ის, რაც ვერ მოახერხა ოპოზიციამ ბოლო ცხრა წლის განმავლობაში.

– თუ პაატა ბურჭულაძე დააყენებს საკუთარ კანდიდატურას, ბურჯანაძე უარს იტყვის მის სასარგებლოდ საკუთარ გეგმებზე?

– არა, იმიტომ რომ, როდესაც ჩვენ ბურჯანაძეს მხარი დავუჭირეთ და მითითებული იყო კრიტერიუმები, რის გამოც ვუჭერდით მას მხარს, ჩამოვაყალიბეთ, როგორი უნდა იყოს პრეზიდენტობის კანდიდატი. მიგვაჩნია, რომ საპრეზიდენტო კანდიდატის კრიტერიუმებს ნინო ბურჯანაძე აკმაყოფილებს.

– როგორი უნდა იყოს?

– მთავარი კრიტერიუმები – უნდა იყოს პოლიტიკოსი, უნდა იყოს გამოცდილი, უნდა ჰქონდეს კავშირები ყველა მხარეს, ჩრდილოეთშიც, სამხრეთშიც, აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც.

– თქვენი მხრიდან ეს არ ნიშნავს წაგებულ ბრძოლაში ჩართვას?

– რატომ?

– თუ ბურჭულაძე დააყენებს კანდიდატურას, მისი რეიტინგი ბევრად მაღალი იქნება, ვიდრე ბურჯანაძის...

– საზოგადოება უნდა მიეჩვიოს იმას, რომ მომღერლის რეიტინგი ავტომატურად არ ნიშნავს პოლიტიკოსის რეიტინგს. ჩვენ ვის ვირჩევთ, პოლიტიკურ ფიგურას თუ მომღერალს ან სპორტსმენს?

– ეჭვი გეპარებათ, რომ ბურჭულაძის რეიტინგი უფრო მაღალი იქნება?

– იმედი მაქვს, რომ ქართული საზოგადოება არ არის ისეთი ბნელი, რომ პოლიტიკოსის ნაცვლად მომღერალი აირჩიოს. ქართველი ამომრჩეველი, რომელსაც მოთხოვნილება აქვს, რომ ქვეყანაში დაიწყოს სახელმწიფოს მშენებლობა, არ შეცდება ასეთ ელემენტარულ ჭეშმარიტებაში. ბურჭულაძეს არ აქვს პოლიტიკური რეიტინგი.

– მისი პოლიტიკური რეიტინგი ჯერ არ არის გაზომილი...

– მე პოლიტიკაში ვარ უკვე 30 წელია და ვთვლი, რომ მე არ ვარ პოლიტიკოსი. მე ვერ გავუძღვები ქვეყანას და არ იქნება სწორი, ჩემი თავი შევთავაზო რაღაც ჯგუფს, რომ მე ამირჩიონ ქვეყნის მმართველად. ამიტომ მოსახლეობა უნდა დაფიქრდეს, ვის ვირჩევთ, პოლიტიკურ თანამდებობაზე ვაკეთებთ არჩევანს თუ მომღერლის? მაშინ უკეთეს ვარიანტს გეტყვით, კოალიციისათვის ბიძინა ივანიშვილი უკეთესი ვარიანტია...

– სხვათა შორის, ითქვა, რომ შესაძლოა, ბიძინა ივანიშვილმა მარგველაშვილი საკუთარი თავით ჩაანაცვლოს...

– კიდევ უკეთესს გეტყვით. პატრიარქი? ყველაზე მეტი რეიტინგი ქვეყანაში სწორედ პატრიარქს აქვს და ვინმეს მოუვა აზრად, რომ მას შესთავაზოს პრეზიდენტობა? ჩვენ პოლიტიკურად უნდა ვიაზროვნოთ.

– ანუ თქვენ თვლით, რომ ბურჭულაძის მხრიდან ეს არასწორი ნაბიჯი იქნება?

– პაატა ბურჭულაძეს ვერ ვურჩევ, პოლიტიკაში წასვლა სწორი იქნება თუ არასწორი, ეს შეიძლება მას პირად საუბარში ვურჩიო, მაგრამ თქვენ არ გეტყვით. უბრალოდ, მინდა მოსახლეობამ, ამომრჩეველმა იფიქროს და სწორი გადაწყვეტილება მიიღოს – ვის ირჩევს, რა სჭირდება დღეს ქვეყანას. ლევან თედიაშვილი არის სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ასეთი მრავალმხრივი მიღწევებით სხვა სპორტსმენი, მგონი, არც გვყავს, თედიაშვილზე მეტი ფიგურა რა უნდა იყოს? თანაც თედიაშვილი პოლიტიკურად ბევრად უფრო ანგაჟირებულია, ვიდრე ბურჭულაძე, რატომ მას არ ვირჩევთ? იცით, რატომ? იმიტომ რომ თავად ლევან თედიაშვილი არ დაუშვებს ამას. არ თვლის თავის თავს ისეთ ადამიანად, რომელიც ქვეყანას მიხედავს. ქვეყანა კი სერიოზული მისახედია.

– თავადვე თქვით ცოტა ხნის წინ, რომ ივანიშვილი არ იყო პოლიტიკოსი, მაგრამ ის შეძლო, რასაც ოპოზიცია 9 წელი ვერ ახერხებდა...

– კი, მაგრამ, ბურჭულაძისგან განსხვავებით, ის ამ წლების განმავლობაში მუდმივად ჩართული იყო პოლიტიკაში, დაგავიწყდათ ეს? საქართველოს მშენებლობაში ივანიშვილი ბოლო ოცი წელი მონაწილეობდა.

– ქველმოქმედებას თუ გულისხმობთ, მასე ბურჭულაძეც არის ქველმოქმედი...

– თქვენ გინდათ ქველმოქმედება დაარქვით და გინდათ სხვა მაგრამ ფაქტია, ქვეყნის მშენებლობაში აქვს დიდი წვლილი შეტანილი. მან დააფინანსა ჯარის და პოლიციის განვითარება. ივანიშვილმა გადაარჩინა თეატრი, გადაარჩინა ქართული მეცნიერება. ივანიშვილმა პირადად მე გადამარჩინა, რადგან მე რომ ვყოფილიყავი უქონარი, შეიძლება შევმცდარიყავი და ხელი მომეკიდა არასწორ ფულზე და სული გამეყიდა. ივანიშვილმა ჩემი თავისუფლება გადაარჩინა. პაატა ბურჭულაძემ კი შექმნა საქველმოქმედო ფონდი, სადაც ვმონაწილეობთ მეც, თქვენც, სხვა ბევრი მოქალაქეც და ვაფინანსებთ. ის არის კაცი, რომელმაც ფონდი შექმნა. ივანიშვილმა კი საკუთარი სახსრებით დააფინანსა უამრავი რამ. ასეთი პრეცედენტი მსოფლიოში არ ყოფილა. ეს ქველმოქმედება კი არა, მშენებლობა იყო. მას შემდეგ, რაც ქვეყანას ჰყავს ძლიერი პრემიერი, ახლა სჭირდება ძლიერი პრეზიდენტი.

– და თქვენ თვლით, რომ ასეთი ძლიერი პრეზიდენტი ბურჯანაძე იქნება?

– კი, ასეა. ნინო ბურჯანაძე ყველა ჩვენ მიერ ჩამოხერილ კრიტერიუმს აკმაყოფილებს. შეიძლება მე სხვა უფრო მიყვარდეს, მაგალითად, კოტე ბურჯანაძე, ჩემი ძმა, ან მამაჩემი, თენგიზ ბურჯანაძე. ორივე მათგანი თავისი საქმის უდიდესი პროფესიონალია, მაგრამ ქვეყანას სხვა არჩევანი სჭირდება – ძლიერი პოლიტიკოსი. შეიძლება დიდი ადამიანი იყო, გმირი იყო, მაგრამ ქვეყანა ვერ მართო. დროა, გმირები კი არა, ქვეყნის ჩუმი მშენებლები ავირჩიოთ. ამომრჩეველმა იმაზე კი არ უნდა იფიქროს, ამან კარგი გოლი გაიტანა, ამან კარგად იმღერა... ასეთი მიდგომა არ არის სწორი. ჩვენ უნდა ავირჩიოთ პოლიტიკოსი, რომელიც სახელმწიფოს ააშენებს. ახლა რომელ სახელმწიფოებრიობაზეა საუბარი, როცა თურქეთის გარდა საზღვრები არ გვაქვს არც ერთ მეზობელ ქვეყანასთან დადგენილი.

– თქვენ ამბობთ, რომ დემოკრატიის გარანტი ნინო ბურჯანაძე იქნება, ხელისუფლებაში თუ მოვა?

– ნინო ბურჯანაძე რომ მოვა, ხელისუფლება დაბალანსდება.

– თქვენ აძლევთ მოსახლეობას ამ გარანტიას? ან თავად ხართ დარწმუნებული ამაში?

– თუ არ გჯერათ, ამოიღეთ ის განცხადება, სადაც ჩვენ ჩამოვწერეთ კრიტერიუმები...

– კრიტერიუმები და განცხადება ერთია და კონკრეტული ფაქტები – მეორე...

– რომელ ფაქტებს გულისხმობთ?

– თუნდაც მიზეზს, თუ რატომ წამოვიდა ბურჯანაძე ნაციონალებიდან. ეს ხომ ყველამ იცის.

– ის მიზეზი ვისგან იცით, თავად ბურჯანაძისგან?

– ბუნებრივია, ბურჯანაძე არ იტყოდა, სიების პრობლემა იყო, ჩემი ხალხი არ ჩამისვეს, რამდენიც მინდოდა და იმიტომ წამოვედიო...

– ჰოდა, ეს არის საქმე, ზუსტად ამას ვგულისხმობ, რომ ადამიანებს უნდა მიეცეთ საშუალება, ილაპარაკონ. თქვენ ეს ინფორმაციები ნაციონალებისგან და ნაციონალური მედიისგან გაქვთ მოსმენილი და მოუსმინეთ დანარჩენებსაც, იგივე ნინო ბურჯანაძეს, დანარჩენ ოპოზიციას და გაიგებთ სიმართლეს. ახლა თქვენ ამბობთ ისეთ რამეს, რაც არ იცით და გაგონილი გაქვთ მხოლოდ ტელევიზიიდან. აბა, საიდან იცით, დოკუმენტი არსებობს მაგის მტკიცებულების?

– მასეთი დოკუმენტი ვერ იარსებებს...

– მიეცით ბურჯანაძეს ერთი კვირა თავისუფალი ეთერი, მოგიყვებათ, რა ურთიერთობები ჰქონდა, რატომ წამოვიდა, რას აკეთებდა, როცა მთავრობაში იყო, რაში შეცდა და რაში არის მართალი ღვთისა და სამშობლოს წინაშე. თუნდაც სასამართლოზე განიხილონ ეს საკითხი. არ შეიძლება, მუდმივად ბურჯანაძის წარსულზე ილაპარაკონ. ის სულ ოთხი წელინადი იყო მთავრობაში და იმ რესურსით, როგორც იყო, ამოწურა საკუთარი შესაძლებლობები. ის უპარტიო ადამიანი გახლდათ, თავისი გუნდიც კი არ ჰყავდა. როცა მიხვდა, რომ მათ ველარ უმკლავდებოდა, სწორედ იმიტომაც წამოვიდა. ბოლომდე იბრძოდა ქვეყნის გადასარჩენად.

„ნინო ბურჯანაძე რომ მოვა, ხელისუფლება დაბალანსდება“

მიეცით ბურჯანაძეს ერთი კვირა თავისუფალი ეთერი, მოგიყვებათ, რა ურთიერთობები ჰქონდა, რატომ წამოვიდა, რას აკეთებდა, როცა მთავრობაში იყო, რაში შეცდა და რაში არის მართალი ღვთისა და სამშობლოს წინაშე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა საბავშვო ევროვიზიისთვის შესარჩევი კონკურსი დაიწყო

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ეროვნული შესარჩევი კონკურსი საბავშვო ევროვიზიისთვის უკვე გამოაცხადა. ამ კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ბავშვევს 10-დან 15 წლის ჩათვლით. საქართველო საბავშვო ევროვიზიაში 2007 წლიდან მონაწილეობს და 2008 წელს კვიპროსზე გამარჯვებული გახდა ჯგუფი „ბზიკები“, სიმღერით „ბზზ“... ასევე, 2011 წელს საბავშვო ევროვიზიაზე ჯგუფმა „CANDY“ სიმღერით „Candy Music“ პირველი ადგილი მოიპოვა.

2013 წლის საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსს უკრაინა მასპინძლობს.

ნათია უზნაძე (საზოგადოებრივი მაუწყებლის საერთაშორისო პროექტების პროდიუსერი): „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გამოაცხადა ეროვნული შესარჩევი კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა შეუძლია ყველა ბავშვს (ათიდან თხუთმეტ წლამდე), ვისაც კარგი მუსიკალური მონაცემები აქვს. ჩვენ ბავშვებისგან ვითხოვთ, სიმღერას მათი რეპერტუარიდან, ფოტოსურათს და ბიოგრაფიას. შემდეგ უკვე, როდესაც შესარჩევ ტურში შეასრულებენ სიმღერას, შეიქმნება ჯგუფი, ან დუეტი ან ტრიო. გააჩნია, როგორი ნაკადის ბავშვები იქნებიან. სავარაუდოდ, შეიქმნება ერთი ჯგუფი, რომელიც ევროვიზიაზე გაემგზავრება. ჩვენ ყველა ბავშვს ვაძლევთ შესაძლებლობას, მიიღოს მონაწილეობა, რომ შემდეგ შეიქმნას ერთი ჯგუფი. ყველას ველოდებით, ვისაც სურვილი აქვს, რომ მიიღოს მონაწილეობა.

– რომელი წლიდან მონაწილეობს საქართველო საბავშვო ევროვიზიაში?

– 2007 წლიდან და ყოველთვის კარგი შედეგები გვაქვს. საბავშვო ევროვიზია ორჯერ მოვიგეთ, ჯერ „ბზიკების“ გამარჯვებით დასრულდა და მერე „CANDY“-ის. ერთხელ მესამე ადგილი ავიღეთ, მეოთხედ მეოთხე ადგილი ავიღეთ, ძირითადად ხუთეულში ვართ. საბავშვო ევროვიზია უკრაინაში ტარდება, ჯერჯერობით უცნობია რამდენი ქვეყანა მონაწილეობს. კიევი უმასპინძლებს საბავშვო ევროვიზიას, ფინალური კონცერტი 30 ნოემბერს იქნება.

– ამ პერიოდისთვის რამდენი განაცხადია შემოსული?

– დღესდღეობით ორმოცდაათამდე განაცხადია, განაცხადების შემოსვლა 10 ივლისს სრულდება.

– თუ არის ნელს უკვე შერჩეული პედაგოგი, ვინც მოამზადებს ბავშვებს საბავშვო ევროვიზიისთვის?

– ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი, ეს უკვე ბოლო მომენტისთვის გადაწყდება. ასევე არ არის ჯერ ცნობილი ვინ იქნებიან ჟიურის წევრები.

– რა კრიტერიუმით ხდება ჟიურის წევრების შერჩევა?

– მთავარია, პროფესიონალიზმი, იქნება საზოგადოებრივი მაუწყებლის საპროდიუსერო ჯგუფი, ასევე იქნებიან ის ადამიანები, რომლებსაც ევროვიზიის ჟიურის წევრობის გამოცდილება აქვთ. ჟიურის წევრების შესახებ მას შემდეგ გახდება ცნობილი, როდესაც ბავშვები მათ წინაშე წარსდგებიან.

– რა კრიტერიუმით ხდება ბავშვის შერჩევა საბავშვო ევროვიზიისთვის?

– საბავშვო ევროვიზიის მონაწილე უნდა იყოს 10-დან 15 წლამდე. ვოკალური მონაცემების გარდა მას უნდა ჰქონდეს კარგი პლასტიკა, რაც მთავარია, არ უნდა ეშინოდეს სცენის, რადგან ძალიან რთული მისია ეკისრება, ის მრავალათასიანი მაყურებლის წინაშე უნდა წარსდგეს. მაგრამ ამ ბავშვებს ძალიან დიდი დღესასწაული ელით, საბავშვო ევროვიზია ბავშვებისთვის ყველაზე დიდ კონკურსად ითვლება.

– სად უნდა მოიტანონ საბავშვო ევროვიზიისთვის განაცხადები?

– განაცხადები უნდა მოიტანონ საზოგადოებრივ მაუწყებელში და ამის შემდეგ ჩვენ დავუკავშირდებით.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ოზურგეთში კარვები გაშალეს

„ქართული ოცნება“ „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ

ნინო დათაშვილი

„ქართულ ოცნებაში“ შიდა დაპირისპირებამ ირაკლი ალასანიას ფიგურა შეინირა. ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნებში მმართველი გუნდის ხმები გაიყო. ერთ მხარეს იდგა ავთანდილ სურგულაძე და მეორე მხარეს – დიმიტრი კვერღელიძე. ამ უკანასკნელს მხარი ფრაქცია „ქართული ოცნების“ სამკაციანმა ჯგუფმა დაუჭირა (ამ ფრაქციაში ყოფილი ნაციონალებიც ირიცხებიან). რაც შეეხება სურგულაძეს, ის საკრებულოში 2010 წლის არჩევნების შედეგად მოხვდა, თუმცა, უკვე საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ფრაქცია „ნაციონალები“ დატოვა და ახალი ფრაქცია – „ერთობა“ შექმნა. მისი განმარტებით, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ის არც არასოდეს ყოფილა, მათ მხოლოდ მისი კანდიდატურა წამოაყენეს, იმიტომ რომ მაშინდელი კანონმდებლობის მიხედვით მხოლოდ პარტიებს შეეძლოთ კანდიდატურის წამოყენება. ყველაფერი სწორედ ამით დაიწყო.

ავთანდილ სურგულაძეს, ერთ-ერთი ინფორმაციით, მხარს ოზურგეთის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი კოტე შარაშენიძეც უჭერდა. ახლა „ქართული ოცნების“ „ნაგებული“ ნაწილი ამტკიცებს, რომ შარაშენიძე ნაციონალია და მან ყველაფერი გააკეთა, ასევე, ნაციონალ სურგულაძის გამარჯვებისთვის. თუმცა, როგორც ცნობილია, შარაშენიძე საპარლამენტო არჩევნების დროს ოზურგეთში „ქართული ოცნების“ რაიონულ ორგანიზაციას თავმჯდომარეობდა, მოგვიანებით კი საკრებულომ ის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად აირჩია. არსებული ინფორმაციით, მას ბიძინა ივანიშვილის ძმა ადიკო ივანიშვილი ლობირებდა.

ახლა ოზურგეთში „ქართული ოცნების“ ნაგებული ნაწილი აქციებს აწყობს, საკრებულოს წინ კარვებია გაშლილი და ისინი ბიძინა ივანიშვილს გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის საქმიანობით დაინტერესებას სთხოვენ. მათი მოთხოვნაა ისიც, რომ შარაშენიძემ აღიაროს, რომ ის რეალურად „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერია. გამგებლის ბრალდებები გაჟღერებულია, თუმცა, როგორც ვარაუდობენ, არჩევნების შედეგების გადახედვა არ მოხდება.

დიმიტრი კვერღელიძე, ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატები“:

– საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ოზურგეთის გამგებლის კოტე შარაშენიძის მხრიდან სისტემატურად ხდებოდა დეპუტატების დაბარება და მათი დაშინება. შარაშენიძეს უნდოდა, რომ არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს ავთანდილ სურგულაძეს გაემარჯვა. უფრო მეტსაც გეტყვით, ზეწოლა მიმდინარეობდა არა მარტო დეპუტატებზე, არამედ ახლად არჩეულ თავმჯდომარეზე, იმისთვის რომ მას თავისი კანდიდატურა წამოეყენებინა. რამდენიმე დღით ადრე, როდესაც საარჩევნო კამპანიას ვაწარმოებდი, ვნახე ავთანდილ სურგულაძე. ის არ აპირებდა საარჩევნო მარათონში ჩართვას. მას წინასაარჩევნო კამპანიაც კი არ უწარმოებია და განაცხადი საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნებში მონაწილეობის თაობაზე 24 ივნისს შეიტანა. ამ ყველაფრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ძნელი მისახვედრი არაა, რომ ბატონი ავთოს მიმართაც ხორციელდებოდა ზეწოლა. ხალხი ყველაფერს ხედავს და სწორედ ამიტომ მოითხოვენ კოტე შარაშენიძის გადადგომას, თუმცა ხელახალი არჩევნების დანიშვნას არ მოვითხოვთ. დამერწმუნეთ, ამიერიდან ოზურგეთის საკრებულო კოტე შარაშენიძის ჯიბის საკრებულო გახდება. ავთო სურგულაძე ვერანაირად ვერ გაუწევს მონიტორინგს გამგეობას.

ოზურგეთის გამგებლის მხრიდან დეპუტატების მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე საუბრობენ ოზურგეთის საკრებულოს დეპუტატებიც. თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით ისინი ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებენ. დეპუტატები ამბობენ, რომ გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი შარაშენიძე ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრებზეც ახდენდა ზეწოლას. მათივე ინფორმაციით, ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრებიც და შარაშენიძეც რეალურად „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები არიან. გამოდის, რომ ფრაქციის წევრებსაც და გამგებელსაც ერთი კანდიდატის გაყვანა უნდოდათ. მაშინ რატომ დასჭირდებოდა შარაშენიძეს ფრაქციის წევრებზე ზეწოლა? ამ კითხვაზე დეპუტატები დასაბუთებულ პასუხს ვერ იძლევიან.

მარინა სუნგულია, „რესპუბლიკური პარტია“:

– ფრაქცია „ქართული ოცნების“ დეპუტატებიც ნაციონალები არიან. სახელდახელოდ შექმნილი ფრაქციაა. ზუსტად გამგებელმა ჩამოაყალიბებინა ეს ფრაქცია. თავისი მენტალობითა და აზროვნებით ისინი ნაციონალები არიან.

– ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრები თუ იყვნენ დაბარებული შარაშენიძესთან და თუ განხორციელდა მათ მიმართ რაიმე სახის ზეწოლა?

– მათზეც ხორციელდებოდა ზეწოლა. ზუსტად ფრაქცია „ქართული ოცნების“ დეპუტატი გახდა ცუდად შარაშენიძის კაბინეტიდან გამოსვლის შემდეგ. საერთოდ, საკრებულოში „ქართული ოცნების“ ერთადერთი რეალური წარმომადგენელი არის ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ დეპუტატი დიმიტრი კვერღელიძე, ვინც დამარცხდა საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნებში. ავთანდილ სურგულაძე გახლავთ ნაციონალი. მისი არჩევის შემდეგ გამგებელმა სიხარული ვერ დამალა და ტაში შემოჰკრა.

ДИМИТРИ КВЕРЦЕЛИДЗЕ

– თქვენ ამბობთ, რომ გამგებელიცა და ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრებიც რეალურად ნაციონალები არიან. თუ მათი საერთო ინტერესი ნაციონალი დეპუტატის გამარჯვება იყო, რატომ დასჭირდებოდა გამგებელს ფრაქციის წევრებზე ზეწოლა?

– გამგებელი „ქართულ ოცნებაში“ მყოფ ყველა ჯანსაღ ძალას მიზანმიმართულად უკეთებს ბლოკირებას. ჩემთან პირად საუბარში უთქვამს, მე პატარა ბიძინა ვარო და ისეთი მფარველები მყავს, ვერავინ შემეხებაო. რასაც ბრძანებს, ის უნდა, რომ შესრულდეს. ზუსტად ამას აპროტესტებს ხალხი. ჩვენი საზოგადოება გამგებლისა და იმ ხალხის წინააღმდეგ გამოდის, ვინც მას მფარველობს.

– ვინ შეიძლება მფარველობდეს გამგებელს ამ შემთხვევაში?

– დაზუსტებით არ ვიცი, ვინ მფარველობს. ეს კაცი არანაირად არ არის „ქართული ოცნება“. ხალხი მოითხოვს, რომ მან აღიაროს ნაციონალობა და თუ უნდა დარჩეს გამგებლად. ფრაქცია „ქართული ოცნების“ დეპუტატებიც ნაციონალები არიან.

ლელა ნაცვალაძე, საკრებულოს დეპუტატი:

– პირადად ჩემ მიმართ ზეწოლა არ განხორციელებულა. ცხრა წელია, ოპოზიციაში ვარ და ვერანაირი ზეწოლა ჩემზე ვერ განხორციელდება, რადგან არ მაქვს ისეთი წარსული, როგორიც იმ მაჟორიტარებს, რომლებიც საკრებულოში არიან.

– კონკრეტულად ვისზე ხორციელდებოდა ზეწოლა?

– კონკრეტულ სიას ვერ გეტყვით.

საკრებულოს ახალი თავმჯდომარის ავთანდილ სურგულაძის თქმით, დეპუტატებს გამგებლის მიმართ პირადი ინტერესები აქვთ და სწორედ ამიტომ აბრალებენ მას ნაციონალობას. რა მოხდა რეალურად ოზურგეთის საკრებულოს არჩევნებზე და ვინ მისცა ხმა ნაციონალ კანდიდატს, ამაზე საუბარი ძნელია, რადგან კენჭისყრა ფარულად ჩატარდა. თუმცა ფაქტია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ვერ შეძლო კოალიციის ერთადერთი კანდიდატის გაყვანა.

ავთანდილ სურგულაძე, ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარე:

– როგორ შეიძლება გამგებელმა დეპუტატზე ზეწოლა მოახდინოს. ყველამ აღიარა, რომ ოზურგეთის საკრებულოს არჩევნები უნაკლოდ ჩატარდა. უდიდესი მხარდაჭერა მქონდა და არავითარი ზეწოლა არ ყოფილა. ეს არის პირადი ინტერესებიდან გამომდინარე.

– თქვენ საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატის შესახებ განაცხადი 24 ივნისს შეიტანეთ, ანუ არჩევნების დღეს. როგორც ამბობენ, არც წინასაარჩევნო კამპანია არ გიწარმოებიათ. საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატად წარდგენა თქვენი მხრიდან მოულოდნელი გადაწყვეტილება იყო?

– წინასაარჩევნო კამპანიას ვაწარმოებდი. წინა დღეებში შევხვდი ჩემს კოლეგებს. ერთი კვირით ადრე ჩატარდა შეხვედრა, სადაც მხარდაჭერა ითხოვა ჩემმა კოლეგამ დიმიტრი კვერღელიძემ, რომლის მიმართ ძალიან კარგი დამოკიდებულება მაქვს. ამის შემდეგ ჩემს კოლეგებში ჩამოყალიბდა აზრი, რომ მესინჯა ჩემი ძალები და კენჭი მეყარა საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე.

– ვრცელდება ინფორმაცია, რომ თქვენ არ გინდოდათ თქვენი კანდიდატურის დაყენება და გამგებელი ახდენდა თქვენზე ზეწოლას, რომ თქვენ კენჭი გეყარათ საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე?

– ვინ თქვა, რომ არ მინდოდა. თუ არ მინდოდა, მაშინ როგორ მივიღე მონაწილეობა? არავითარი ზეწოლა არ ყოფილა. როდესაც ჩემი კანდიდატურა დავაყენე, მე განვაცხადე, რომ აუცილებლად ვაპირებდი არჩევნებში მონაწილეობას. ეს ჩემი კოლეგებისა და მეგობრების მოთხოვნა იყო. როდესაც ჩემი კანდიდატურა განიხილეს, ოზურგეთის გამგებელმა და პარტია „ქართული ოცნების“ წევრებმა დადებითად მიიღეს ეს ფაქტი და კარგი რეკომენდაცია მომცეს. გაუგებრობა ხდება იმ ფრთას შორის, ვინც გამგებელს ადანაშაულებს დეპუტატების მიმართ განხორციელებულ ზეწოლაში. ჩემი კოლეგები გვერდით დამიდგნენ. თუ ჩემი დანაშაული ისაა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატად ვიყარე კენჭი, მაშინ ვერაფერს გეტყვით.

– როგორ ფიქრობთ, რატომ არ დაუჭირა მხარი „ქართულმა ოცნებამ“ ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენელს, დიმიტრი კვერღელიძეს?

– ვერ გეტყვით, არ მინდა ჩემს კოლეგებს რაიმე უხერხულობა შევუქმნა. ფაქტია, რომ მე დიდი მხარდაჭერა მივიღე და მაქვს იმედი, რომ ჩემს კოლეგებთან ერთად ყველაფერს გავართმევ თავს.

ოზურგეთის გამგებელი კოტე შარაშენიძე ამ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებს:

– არ ვიცი, რას ამბობენ დეპუტატები. ვისაც ჩემი პიროვნება აინტერესებს, შეუძლია, პირადად მკითხოს და გავცემ პასუხს.

ოზურგეთი ერთადერთი არ არის, სადაც „ქართული ოცნების“ წევრებს შორის დაპირისპირება მიმდინარეობს. კოალიციის წევრებსა და „ქართული ოცნების“ მიერ დანიშნულ გამგებლებს შორის უთანხმოება სხვა რამდენიმე რეგიონშიც ფიქსირდება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სისწრაფის მოყვარულ ავტომფლობელებს „რომპეტროლი“ პრემიუმ კლასის ახალი ტიპის საწვავს Efix S სთავაზობს

ავტომობილის ოპტიმალური ფუნქციონირების, სიჩქარისა და მაქსიმალური გაწევის მოყვარულთათვის „რომპეტროლმა“ საქართველოს ბაზარზე პრემიუმ კლასის ახალი საწვავი Efix S შემოიტანა. ამ სიახლესთან დაკავშირებით, რამდენიმე დღის წინ, „ქორთიართ მარიოტში“, „რომპეტროლ საქართველოს“ მენეჯმენტმა და რუმინეთიდან საგანგებოდ ჩამოსულმა სტუმარმა მიჰაელა დუმიტრუმ (Mihaela Dumitru) პრეს-კონფერენცია გამართეს.

29 ივნისს, თბილისის ქუჩებში დრიფტის ჩემპიონატის სარეკლამო მსვლელობა მოეწყო, სადაც ავტომრბოლელებმა „რომპეტროლის“ პრემიუმ კლასის ახალი საწვავი Efix S გამოსცადეს. ადგილზე მოეწყო ფოტოსესია. „რომპეტროლმა“ 30 ივნისს, რუსთავის ავტოდრომზე ყველაზე სანახაობრივი შოუ წარმოადგინა. ერთმანეთს საუკეთესო დრიფტერები შეეჯიბრნენ, სადაც დასწრება ნებისმიერ მსურველისთვის უფასო იყო.

როგორც ჟურნალისტებთან საუბრაში „რომპეტროლის“ გენერალურმა დირექტორმა ნურკენ მურზაგალიევმა განაცხადა, Efix S-ს საქართველოში ანალოგი არ აქვს.

ნურკენ მურზაგალიევი: „რომპეტროლი“ საქართველოში ხუთი ტიპის საწვავის იმპორტს აწარმოებს. აქედან სამი ტიპის საწვავია



efix		efixS	
მეტი დაცვა		მეტი დაცვა	
ინჟექტორების წმენდა	13%	ინჟექტორების წმენდა	13%
საქრველების წმენდა	33 - 57%	საქრველების წმენდა	33 - 57%
საწვავის შემცირება		მეტი გაწევა	
მოხმარების შემცირება		სიმძლავრე	9%
პირველი ჩასხმა	1%	ბრუნვის მომენტი	15%
რეგულარული მოხმარება	3%	აჩქარება	7%

და ორი დიზელი, თუმცა, მათ შორის უკვე ხუთი წელია საქართველოს ბაზარზე ყველაზე დიდი პოპულარობით Efix-სი სარგებლობს. ახლა უკვე ჩვენს მომხარებელს Efix S ვთავაზობთ, რომელიც ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში უკვე დიდი ხანია იყიდება. ეს არის ძალიან კარგი სიახლე სპორტული ტიპის მანქანების მფლობელთათვის, ასევე მათთვის, ვინც დიდ ყურადღებას აქცევს ავტომობილის ოპტიმალურ ფუნქციონირებას, სიჩქარესა და მაქსიმალურ გაწევას. დარწმუნებული ვარ, რომ Efix S-იც დიდი პოპულარობით ისარგებლებს“.

ვინც არ იცით, გეტყვით, რომ ახალი პრემიუმ კლასის საწვავი - Efix S შეიცავს ავტომობილის გაწევის ძალის დანამატებს და დამცავი საშუალებების ნაზავს, რაც ზრდის მანქანის გაწევის ძალას. Efix S-ის საწვავი უზრუნველყოფს ძრავის ეფექტურობის და წარმადობის მომატებას. Efix S-ით გამართული ავტომობილი ადვილად იქოქება, მოძრაობს სტაბილურად, ვიბრაციის გარეშე და ადვილად ემორჩილება მძღოლს მაღალი სიჩქარით გადაადგილებისას.

„რომპეტროლ საქართველოს“ კომერციული დირექტორის თენგიზ ჭიჭინაძის განცხადებით, ახალი საწვავის ფასი, ამ ეტაპზე, იქნება იგივე, რაც ღირდა პრემიუმ კლასის საწვავი „Euro Super“.

თენგიზ ჭიჭინაძე: „Efix S ბევრი დადებითი თვისება აქვს. პრემიუმ კლასის ორივე სახის საწვავი - Efix და Efix S წმენდს ინჟექტორებს და აუმჯობესებს მათ ფუნქციონირებას, აშორებს სარქველებიდან ნადებს და უნარჩუნებს სისუფთავეს, უზრუნველყოფს ძრავის დაცვას. ეს ორი საწვავი ერთმანეთისგან იმით განსხვავდება, რომ Efix ამცირებს საწვავის მოხმარებას, ხოლო Efix S ძრავის მეტ სიმძლავრეს უზრუნველყოფს“.

აღნიშნული შედეგები დადგინდა მრავალი ტესტის ჩატარებისას. ტესტების დროს ყურადღება ექცეოდა სხვადასხვა ავტომანქანის სახეობას, ტემპერატურას, საპოხის სახეობასა და მართვის სტილს. ტესტები ჩატარებულ იქნა, როგორც ლაბორატორიის პირობებში, ასევე რეალური ცხოვრების მიმოსვლის პირობებში სხვადასხვა მარკის ავტომობილებით.

„რომპეტროლი“ ამჟამად საქართველოს ბაზარზე 5 ტიპის საწვავს ყიდის. სამი ტიპის ბენზინს - Euro Regular, Efix Euro premium, Efix S და ორი სახეობის დიზელს - Efix Euro Diesel და Euro Diesel. კომპანიის საამაყო პროდუქტს, უკვე მეხუთე წელია, საქართველოს ბაზარზე Efix წარმოადგენს, რადგანაც პრემიუმ კლასის ეს საწვავი ამცირებს მოხმარებას და 13 %-ით აუმჯობესებს ძრავის ფუნქციონირებას. ამ წლების განმავლობაში მომხმარებელი დარწმუნდა იმაში, რომ ზოგავს ფულს და იცავს ავტომობილის ძრავს კოროზიისგან. ამჯერად კი Efix S-ის სახით კომპანია ავტომფლობელებს ისეთ საწვავს სთავაზობს, რომელიც უკვე არა ერთ ევროპულ ქვეყანაშია და საქართველოში პირველად შემოვიდა.

Efix	EfixS
1.წმენდს ინჟექტორებს და აუმჯობესებს მათ ფუნქციონირებას.	1.წმენდს ინჟექტორებს და აუმჯობესებს მათ ფუნქციონირებას.
2.აშორებს სარქველებიდან ნადებს და უნარჩუნებს მათ სისუფთავეს	2.აშორებს სარქველებიდან ნადებს და უნარჩუნებს მათ სისუფთავეს
3.ამცირებს საწვავის მოხმარებას	3.უზრუნველყოფს მეტ სიმძლავრეს

Ⓐ

ექსკლუზიური ინტე

my View
თამარ გორთამაშვილი

სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულ დარგად გამოცხადებისთანავე, უწყება, რომელიც დიდად არასდროს გამოირჩეოდა აქტივობებით, დღეს ერთ-ერთი პოპულარულია საზოგადოებაში. მართალია ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ პირველი სკანდალი სწორედ აქ მოხდა, რასაც მინისტრის ცვლილება და თანამშრომელთა დაკავებაც მოჰყვა, მაგრამ სამართლიანობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ ყველა იმ მსხვილი პროექტის გათვალისწინებით, რაც სახელმწიფომ სოფლის მეურნეობაში დაიწყო, ეს სფერო გამოცოცხლდა. სამინისტროს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. შალვა ფიფიამ, რომელმაც ამ პოსტზე დავით კირვალიძე შეცვალა, ცოტა ხნის წინ დასავლეთ საქართველო მოიარა და ყველა პროექტის მიმდინარეობას ადგილზე გაეცნო. დასავლეთის ტურნეს თვალს „პრაიმტაიმიც“ ადევნებდა, თუმცა უფრო დეტალური და კვალიფიციური რომ ყოფილიყო, მიმდინარე პროექტებთან დაკავშირებით ვრცელი ინტერვიუ შალვა ფიფიასთან ჩავწერეთ, რის შემდეგაც მინისტრი საქმიანი ვიზიტით ისრაელში გაემგზავრა, ქვეყანაში, სადაც სოფლის მეურნეობა ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული დარგია და საკმაოდ კარგი გამოცდილება აქვს ამ სფეროში. ის, თუ რა გამოცდილებას გაიზიარებენ ქართველები ებრაელებისგან, ალბათ, უახლოეს მომავალში გამოჩნდება, მანამდე კი ვნახოთ, როგორ დაიწყეს, რას გეგმავენ და სად რა სირთულე შეხვდათ იმ დარგის ხელმძღვანელებს, რომლებსაც სახელმწიფოს მხრიდან სერიოზული მხარდაჭერა და დახმარება აქვს.

შალვა ფიფია: - ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პროექტი, რაც ჩვენ განვახორციელეთ ეს არის მცირემინიან ფერმერთა ხელშეწყობის პროექტი, თავის მასშტაბით, ბიუჯეტით, მონაწილე მხარეებით, იმიტომ რომ 710 000 ოჯახზე გვაქვს საუბარი. თუმცა, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი რაც კეთდება, ის არის, რომ შემუშავდა სისტემური მიდგომა, თუ რა უნდა გაკეთდეს სოფლის მეურნეობაში. მანამდე ასეთი რამ არ იყო. მარტივ მაგალითს გეტყვით, ქვეყანაში სადაც არის საშუალება, რომ თვითდინებით მოირწყას 280 000 ჰა, შარშან ირწყვებოდა მხოლოდ 24 000 ჰა. კიდევ უფრო უცნაური - წინა წლების ბიუჯეტებში გამოყოფილი იყო რაღაც თანხები რეაბილიტაციაზე, მაგრამ ექსპლოატაციაში არსებული მაგისტრალური არხების რეაბილიტაციაზე თანხის გამოყოფა არ ხდებოდა. ანუ ხორციელდებოდა არაფუნქციონირებადი არხების რეაბილიტაცია, მაგრამ ფუნქციონირებადი არხების რემონტი არ მიდიოდა. ჩვენ ჩამოვაყალიბეთ სისტემური მიდგომა, რაც, ჩემი აზრით, საერთო ჯამში ძალიან მნიშვნელოვანია - ეს შეეხება მცირემინიან ფერმერთა ხელშეწყობას, ეს შეეხება საჯარო სიკეთეების განვითარებას, როგორიცაა მელიორაცია, როგორიცაა საინფორმაციო საკონსულტაციო სერვისი, რომელიც ჩვენ გავაკეთეთ მთელი ქვეყნის მასშტაბით. როგორიცაა სურსათის უვნებლობა და ხარისხის რეალური კონტროლი, რაც აქამდე არ ხორციელდებოდა. ამას გარდა, ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია ფინანსებზე ხელმისაწვდომობა და ფაქტია, რომ ამის საჭიროება იდგა, მოთხოვნა ძალიან დიდია. მისაღებ ფასში, შეღავათიან ფასში ფერმერებს, როგორც მცირე, ისე დიდ ფერმერებს, ასევე აგრომწარმოებლებს აქვთ საშუალება, რომ მიიღონ საკრედიტო დაფინანსება.**

- რა იყო ყველაზე დიდი სირთულე ამ პროექტის განხორციელებაში?

- მცირემინიან ფერმერთა ხელშეწყობის პროექტის განხორციელებაში ყველაზე დიდი სირთულე იყო ის, რომ არ არსებობდა ინფორმაცია მინათმფლობელების შესახებ. ჩვენ რომ მოვედით, პირველ ნოემბერს სამინისტროში, დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში უშედეგოდ ვცდილობდით დაგვედგინა თუ არსებობს სადმე ეს ინფორმაცია. აღმოჩნდა, რომ ასეთი ტიპის ინფორმაცია არსებობს მხოლოდ 20 პროცენტზე, ანუ მინათმფლობელთა მხოლოდ 20 პროცენტს ჰქონდათ დარეგისტრირებული საკუთარი ნაკვეთი. ჩვენ გვქონდა მარტივი გზა, რომ გავსულიყავით მხოლოდ ამ 20 პროცენტზე და მათ დავხმარებოდით და მეორე რთული გზა, რომ დაგვეწყო მინათმფლობელების რაოდენობის დადგენა. ჩვენ ეს რთული გზა ავირჩიეთ, ჩავრთეთ ამაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რათა მათ მოეწოდებინათ ინფორმაცია მინათმფლობელების შესახებ. რეალურად, ნოემბრიდან მოყოლებული, მაისის ჩათვლით, გარდა პირველადი სიებისა, მათ ჰქონდათ შესაძლებლობა სამჯერ გადაემოწმებინათ კონკრეტული ადამიანები ამ სიაში. ინფორმაცია მოდიოდა ადგილიდან, ჩვენი ბარათები კი სახელობითი იყო, ყველა ბარათზე ეწერა სახელი, გვარი, პირადი ნომერი და მიწის ფართობი. თითოეული ბენეფიციარის გადამოწმება სამოქალაქო რეესტრში ხდებოდა სამი პარამეტრით - სახელით, გვარით და პირადი ნომრით.

- მაშინ რატომ მოხდა, რომ ზოგიერთი ბარათის გარეშე დარჩა?

- მე სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ყველა ადამიანის, რომლის შესახებაც ადგილობრივი თვითმმართველობიდან ჩვენთან მოწოდებული იყო სწორი ინფორმაცია, ანუ სახელი, გვარი და პირადი ნომერი იყო სწორად, უკლებლივ ყველა ამ ადამიანზე დაიბეჭდა სახელობითი ბარათი.

- ეს პროექტი მხოლოდ წელს განხორციელდა, თუ იგეგმება გაგრძელება?

- მცირემინიან ფერმერთა ხელშეწყობა გაგძელდება. თითოეული ეს პროექტი, თითოეული ფერმერის,

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რვიუ სოფლის მეურნეობის მინისტრთან

„ჩვენ ძალიან ფრთხილად ვუყურებთ ამ ყველაფერს, ვაკვირდებით. მიმდინარეობს სისტემური მონიტორინგი“

EXCLUSIVE

შალვა ფიფია: „ველოდები, რომ ყველაფერი, უმოკლეს ვადებში, სამართლიანად იქნება გარკვეული“

თითოეული გლეხის დახმარება იყო თანამონაწილეობის პროექტი. სახელმწიფომ დააფინანსა მხოლოდ ნაწილი იმ ხარჯებისა, რაც ფერმერებს გააჩნიათ სასოფლო სამეურნეო საქმიანობისთვის, თუმცა ჩვენ თითოეული ფერმერისგან სურვილი და მოლოდინი გვქონდა, რომ მათაც დაეფინანსებინათ საკუთარი ნაწილი. როდესაც მიწები მოიხნა, იყო რისკი, რომ არ დათესილიყო, მაგრამ დღეს გვაქვს ინფორმაცია, რომ ამ მიწების აბსოლუტური უმრავლესობა დათესილია. ეს უკვე განხორციელდა მათი შრომით და საკუთარი ხარჯით.

- თუ ხორციელდება მონიტორინგი, რა შედეგზე ხართ უკვე გასული და რას ელოდებით?

- პროექტის მონიტორინგი მისი დაწყების დღიდან ხორციელდება. ერთი მხრივ, თვითონ სააგენტოს ჰყავს საკმაოდ ძლიერი მონიტორინგის ჯგუფი და ეს მონიტორინგი გაგძელდება, როგორც აქტიური ფაზის დამთავრების შემდეგ, ისე ნომინალური ბარათების განაღდებამდე, რომელიც პირველ აგვისტომდეა შესაძლებელი. ამის შემდეგაც გაგრძელდება მონიტორინგი და ამას გარდა, ჩვენი საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები, რომლებიც შექმნილია მთელი ქვეყნის მასშტაბით, ყველა რაიონში, ისინი შექმნისთანავე, ჩართულები არიან ამ მონიტორინგის პროცესში, რათა აღრიცხონ ინფორმაცია სავარგულებზე დათესილი კულტურებისა. რაც შეეხება შედეგს, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ შარშანდელთან შედარებით, მთელ საქართველოში, მინიმუმ ორჯერ მეტი მინის ფართობია დათესილი. ძალიან ბევრი მცირე ფერმერისთვის ეს იმას ნიშნავს, რომ მას აღარ ექნება საფიქრალი რა აჭამოს თავის ოჯახს. მას გაუჩნდება რაღაც შემოსავალი, რომელიც იმის გამო, რომ მან წინა პერიოდში ვერ შეძლო მიწის დამუშავება, მას ფიზიკურად არ გააჩნდა. მეტსაც გეტყვით, პროექტის ფარგლებში ძალიან ბევრი ყამირი მიწა დამუშავდა, ისეთი მიწები, რომელთა დამუშავებაც ბოლო 15 წლის განმავლობაში არ მომხდარა. ეს, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია იმ გლეხებისთვის, ვინც გადაწყვეტილება მიიღო და საშუალება მიეცათ ეს ყამირი მიწები დაემუშავებინათ.

- სასოფლო სამეურნეო ბარათებზე მინდა გკითხოთ, იყო შემთხვევები, როცა მოხდა ამ სახელობითი ბარათების არასათანადოდ გამოყენება. მაგალითად, გარკვეული ადამიანები, გლეხისგან დაბალ ფასში ყიდულობდნენ ბარათს და შემდეგ ხდებოდა მისი განაღდება. ამის მონიტორინგი თუ განახორციელეთ?

- თითოეულ ბარათზე ეწერა, რომ ამ ბარათებით უსაქონლო ოპერაციაში შესვლა აკრძალულია. თუმცა გეთანხმებით, ხდებოდა ასეთი რამ. 884 მაღაზია იყო ჩართული პროცესში. დღეის მდგომარეობით 3 500-ზე მეტი მონიტორინგის ვიზიტია განხორციელებული ამ მაღაზიებში. იმ შემთხვევების გამო, როდესაც ხდებოდა ჩართვა უსაქონლო ოპერაციებში, 10 ადამიანია დაკავებული ფინანსური პოლიციის მიერ. ეს არის ფინანსური დანაშაული, მათ წინააღმდეგ აღძრულია საქმე. ინფორმაცია ამ დარღვევების შესახებაც ჩვენ თვითონ მივაწოდეთ შესაბამის ორგანოებს, ამის შემდეგ მსგავსი შემთხვევები აღარ დაფიქსირებულა. სამწუხაროდ, არიან არაკეთილსინდისიერი ადამიანები, რომლებმაც სხვა მიზნებისთვის მოინდომეს ამ ბარათების გამოყენება, თუმცა ფაქტია, რომ მალევე მოხდა ამ შემთხვევების აღკვეთა.

- რაც შეეხება აგროსესხებს, როგორ ხდება გაცემა, რა მოცულობის სესხია უკვე გაცემული და რა შედეგს ელოდებით?

- ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სოფლის მეურნეობაში ჩართული ადამიანების, როგორც მსესხებლების ბაზა გაიზარდოს. პროექტის დაწყებამდე რეალობა იყო შემდეგი - მოსახლეობის ნახევარზე მეტი ცხოვრობს სოფლად, თუმცა ამ მიმართულებით გაცემული იყო საკრედიტო პორტფელის მხოლოდ 1,2 %. ჩვენი მიზანი იყო არა არსებული პორტფელის ხარისხის გაუმჯობესება, არამედ კლიენტთა ბაზის გაზრდა, რომ უფრო მეტ ადამიანს ჰქონოდა საშუალება, მიეღო შეღავათიანი აგროკრედიტი. ამისთვის ჩვენ გავიზიარეთ რისკების ნაწილი, რეალურად შევუმცირეთ ბანკებს ის რისკები, რომელსაც იღებენ... თავიდანვე იყო გადაწყვეტილება, რომ სახელმწიფომ არ უნდა მოახდინოს სესხების გაცემა და ადმინისტრირება. სახელმწიფო არ არის ბანკი, ეს არ არის მისი ფუნქცია. ჩენ გვაქვს ძალიან ცუდი გამოცდილება, როგორც ამ ქვეყანაში, ისე სხვა ქვეყნებში სახელმწიფოს მიერ სესხების ადმინისტრირების. სესხების ადმინისტრირება უნდა მოახდინონ იმ ფინანსურმა ინსტიტუტებმა, რომელთა საქმიანობასაც ეს წარმოადგენს. სახელმწიფოს როლი კი, ამ შემთხვევაში, არის მათთვის რისკების შემცირება. ანუ გამსესხებლისთვის რისკების და მსესხებლებისთვის სესხის ფასის შემცირება. დღეის მდგომარეობით, ორთვენახევარში 35 000 000 ლარია 2 500 მსესხებელზე გაცემული და ჩემი აზრით, ამ მოკლე პერიოდში, ეს ძალიან კარგი შედეგია. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ - ზოგადად, ეს არის სიახლე ამ ქვეყნისთვის, საბანკო სექტორისთვის და სოფლის მეურნეობაში ჩართული ადამიანებისთვის. ჩვენ ძალიან ფრთხილად ვუყურებთ ამ ყველაფერს, ვაკვირდებით. მიმდინარეობს სისტემური მონიტორინგი, როგორც უკვე გითხარით, ადმინისტრირებაში ჩვენ არ შევდივართ, მაგრამ თითოეულ სესხზე დატოვებული გვაქვს მონიტორინგის უფლება და შესაბამისად, ამ პროექტის შეფასება მოხდება პერიოდულად და თუ საჭიროა, კონკრეტულ ცვლილებებსაც შევიტანთ. მაგალითისთვის გეტყვით, რომ მცირე ცვლილება უკვე განვახორციელეთ მეორე კომპონენტში, ეს იყო ვადის გაზრდა 5 წლამდე. მესამე კომპონენტში დაემატა მრავალწლიანი ნარგაობების გაშენების თემა, რადგან ამაზე ძალიან დიდი მოთხოვნა იყო და უახლოეს დღეებში, (გადაწყვეტილება გამგეობაზე უკვე მიღებულია)დაემატება ლიზინგის კომპონენტი, ანუ შესაძლებელი იქნება მესამე კომპონენტის ანალოგიური ტიპის კრედიტების აღება, უბრალოდ, ეს მოხდება ლიზინგის წესით. ხელშეკრულება სალიზინგო კომპანიების მეშვეობით დაიდება. ამის პლუსი ის არის, რომ ამ შემთხვევაში საჭირო არ არის გირაო, რადგან ლიზინგით მიღებული ქონება არის თვითონ ის გირაო, რომელიც სალიზინგო კომპანიის აქტივია.

- ბოლო დროს ჩვენ არაერთხელ ვნახეთ საკვებად უვარგისი იმპორტირებული პროდუქცია, რომელიც ქვეყანამ არ მიიღო და უკან გაბრუნდა. რა ხდება სურსათის უვნებლობის მიმართულებით, რა შეცვალეთ?

- პრობლემა ის არის, რომ წინა პერიოდში ფაქტობრივად, არ ხდებოდა კონტროლი, საუბარია, როგორც შიდა კონტროლზე, ისე იმპორტის კონტროლზე. წელს უკვე, პირველ ხუთ თვეში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ჩვენ ორნახევარჯერ მეტი ინსპექტირება გვაქვს განხორციელებული ქვეყნის მასშტაბით. დაიწყო რეალური კონტროლი იმპორტით შემოსული სურსათისა. მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო ლიბერალიზაციის, იყო არგუმენტი, რომ რადგან სწრაფად უნდა გადმოკვეთოს ადამიანმა საზღვარი ამიტომ საჭიროა ერთი ფანჯრის პრინციპი... კი ბატონო, იყოს, მაგრამ, როდესაც ჩვენ საუბარი გვაქვს სურსათზე, განსაკუთრებით მაღალი რისკის შემცველ პროდუქციაზე, ეს არის ვეტერინარულ შემოწმებას დაქვემდებარებული პროდუქცია, როდესაც საუბარი გვაქვს ბავშვთა კვებაზე, მაშინ, ჩემი აზრით, ეს არის უმნიშვნელოვანესი ამოცანა და ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს შესაბამისი კონტროლი, იმისთვის, რომ ჩვენ არ დავუშვათ უხარისხო და დამაზიანებელი პროდუქციის გაჩენა ადგილობრივ ბაზარზე.

- რაც შეეხება ქართული პროდუქციის გატანას რუსულ ბაზარზე, როგორ მუშაობთ ამ მიმართულებით და თუ არის კიდევ რაიმე პრობლემა?

- თქვენ იცით, რომ ღვინოსა და მინერალურ წყალზე ემბარგო მოიხსნა და პირველი პარტიები ალკოჰოლური სასმელებისა და მინერალური წყლის უკვე გავიდა რუსულ ბაზარზე. ცოტა ხნის წინ იყო შეხვედრა რუსეთის ფედერაციაში, სადაც ფაქტობრივად მოიხსნა ემბარგო სხვა სასოფლო სამეურნეო პროდუქციაზეც. ნებისმიერი დამატებითი ბაზარი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ქართველი აგრომწარმოებლებისთვის და ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ ჩვენ მიერ წარმოებულ, ხარისხიან პროდუქციაზე რუსეთის ფედერაციაში დიდი მოთხოვნა იქნება.

- იმ პროექტების პარალელურად, რომელიც სამინისტრომ დაიწყო, უწყება სკანდალს ვერ აცდა. დღესაც დაკავებული არიან შპს „მექანიზატორის“ თანამშრომლები და ტრაქტორების თემაზე მიმდინარეობს გამოძიება. შეგიძლიათ გვთხრათ, რა მოხდა რეალურად?

- დეტალებზე და იმაზე თუ რა მოხდა რეალურად, ამაზე საუბრისგან თავს შეიკავებ, რადგან მიმდინარეობს გამოძიება. მე პირადად ველოდები, რომ ყველაფერი, უმოკლეს ვადებში, სამართლიანად იქნება გარკვეული.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ყაზტრანსგაზ-თბილისი“ გაფრთხილებთ

KazTransGas TBILISI

- **გაუმართავი გაზის ხელსაწყოებისა და არასტანდარტული საკვამლე და სავენტილაციო არხების ხმარებისას შესაძლებელია სათავსში მხუთავი აირის – CO-ს გამოყოფა, რომელიც უფერო, უსუნო, უგემო და ძლიერ მომწამლავია. გარემოში CO-ს 0.5%-ს დაგროვება 20-30 წუთში ახდენს ადამიანზე სასიკვდილო ზემოქმედებას, ხოლო 1% შესუნთქვისას 1-2 წუთში იწვევს სიკვდილს.**
- **უსაფრთხოების პირობების დაუცველობა დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ გაზის დანადგარების მომხმარებელს, ასევე მისი მეზობლების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.**

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:

- **ნუ მიანდობთ გაზის დანადგარების სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას პირს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია;**
- **სათავსი, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ვენტილაციით; გაზის ხელსაწყოებით სარგებლობის დროს ხშირად გაანიავეთ სათავსი;**
- **გამათბობლის ან წყალგამაცხელებლის ჩართვამდე შეამოწმეთ კვამლსადენში წევა;**
- **შენობაში გაზის სუნის შემჩნევისას შეწყვიტეთ გაზის მოხმარება, გადაკეტეთ გაზის ონკანები, გამოაღეთ კარ-ფანჯრები, გაანიავეთ სათავსი. არ იხმაროთ ღია ცეცხლი, ელექტროხელსაწყოები და არ ჩართოთ ან არ გამორთოთ შუქი.**

დარეკეთ 114-ზე!

- **გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია, შეამოწმოს, გადაკეტილია თუ არა ონკანები: გაზის მრიცხველთან, გაზქურასთან, წყალგამაცხელებელთან და გამათბობელ ხელსაწყოებთან;**
- **ნება მიეცით გაზის მეურნეობის მუშაკს, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ გაცემული სამსახურებრივი მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, შემოვიდეს თქვენს ბინაში მრიცხველიდან ანათვლების აღების, გაზგაყვანილობების, გაზის ხელსაწყოების დათვალიერებისა და ტექნიკური მომსახურების ჩასატარებლად.**

კატეგორიულად აკრძალულია!

- **საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში გაზზე მომუშავე ყველა სახეობის გამათბობელი და წყალგამაცხელებელი მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია, რომელთა გამოყენებისას წვისთვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსიდან და წვის პროდუქტების გაწოვა არ ხდება კვამლსადენების მეშვეობით (ვინაიდან წვის პროდუქტები სათავსშივე რჩება);**
- **სავენტილაციო არხების საკვამლე არხებად გამოყენება;**
- **არასტანდარტული და თვითნაკეთი გაზის ხელსაწყოებისა და სანთურების გამოყენება;**
- **გაზის ხელსაწყოებისა და გაზგაყვანილობის თვითნებური მონტაჟი, გადაადგილება, შეერთება, გაზგაყვანილობის შეცვლა, მისი გაჯის, ცემენტის ხსნარის, შპალერის, ხის პანელის, კარადების ქვეშ მოქცევა, სავენტილაციო ცხაურის დაფარვა (დაგმანვა);**
- **დასასვენებლად და დასაძინებლად იმ სათავსების გამოყენება, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, გარდა სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული გამათბობელი ღუმელისა;**
- **გაზის ხელსაწყოების ჩამკეტი მოწყობილობების, საკვამლე-სავენტილაციო არხების არარსებობის შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გამოყენება;**
- **ანთებული გაზის ხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება;**
- **გაზსადენიდან ან გაზის ხელსაწყოებიდან გაზის გაჟონვის დადგენის მიზნით ღია ცეცხლის გამოყენება.**

გახსოვდეთ, რომ:

- **პასუხისმგებლობა საცხოვრებელ სახლებში გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების ექსპლუატაციაზე ეკისრებათ მომხმარებლებს.**

პატივცემულო მომხმარებლებო!

გთხოვთ, დაიცვათ გაზის უსაფრთხოდ სარგებლობის წესების მოთხოვნები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სტრასბურგის სკანდალური დოკუმენტი

EXCLUSIVE

თბილისში ინფორმაციას არ აძლევენ

ნინო დათაშვილი

„მორიგი ისტერია“ თუ სერიოზული სკანდალი? რა მოხდა ევროსაბჭოში? აღიარა თუ არა ახალმა ხელისუფლებამ აფხაზური და ოსური პასპორტები, რა ხდება კონფლიქტურ ზონებში?

ამ შეკითხვებზე დღეს პასუხი არავის არ აქვს. უფრო სწორად ორპოლუსიან ქართულ პოლიტიკაში პასუხიც ორია და ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული.

ნინა კვირას ჩიორა თაქთაქიშვილმა („ნაციონალური მოძრაობა“) ევროსაბჭოს მომხსენებლების ანგარიშზე დაყრდნობით საინტერესო დოკუმენტი გაასაჯაროვა:))))))

„იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს ვაჭრობას და გაიზარდოს გადაადგილების თავისუფლება, ახალი მთავრობა აცხადებს, რომ მისი სურვილია, განიხილოს სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის საკითხი თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიასა და სოხუმის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიას შორის არსებული ადმინისტრაციული საზღვრის გავლით“.

„მან ასევე გააუქმა წესები, რომელიც ართულებდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიერ გაცემული ეგრეთწოდებული „პასპორტებით“ გადაადგილებას საქართველოში და აღიარა ისინი ვალიდურ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებად თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე“.

„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონში ცვლილებებთან დაკავშირებით:

„საზღვრის უკანონო გადაკვეთის დეკრიმინალიზაცია არ მოხდება, მაგრამ პირველი დარღვევისთვის პასუხისმგებლობა იქნება პრაქტიკულად სიმბოლური. მიუხედავად იმისა, რომ ამ წინადადებას მწვავედ ეწინააღმდეგება ქართული ოპოზიცია, ჩვენი ვიზიტის დროს შევიტყვეთ, რომ ეს ცვლილება ყველაზე გვიან 2013 წლის ივლისში შევა ძალაში. თუმცა, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ ცვლილებებს მიიჩნევს, როგორც არასაკმარისს იმისთვის, რომ ხელშესახები შედეგი ჰქონდეს“.

აქვე ვიტყობთ, რომ „რუსეთისა და საქართველოს მთავარი პროკურორები ღიად აცხადებენ, რომ ისინი მზად არიან, ითანამშრომლონ ერთმანეთთან“ ჰუმანიტარული სამართლისა და ომის დანაშაულების გამოძიების პროცესში.

ხოლო ამავე მოხსენებაში აღნიშნულია, რომ რუსეთის მხარე იძიებს მხოლოდ ქართული მხარის მიერ ჩადენილ დანაშაულებს:

„საგამოძიებო კომისიამ ჩაატარა გამოძიება ომის დროს რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ ჩადენილ შესაძლო ომის დანაშაულებთან დაკავშირებით. მან დაასკვნა, რომ ვერ შეძლო ვერავითარი მტკიცებულების მოძიება, რომლითაც დამტკიცდებოდა, რომ ომის მიმდინარეობისას ან შემდეგ რუსეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებმა ჩაიდინეს ომის დანაშაული ან დაარღვიეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი.

საგამოძიებო კომისიამ დაიწყო გამოძიება ომის დროს ქართველი სამხედროების მიერ რუსი სამშვიდობოების მკვლელობის, ქართული ჯარის მიერ აკრძალული იარაღისა და ბრძოლის მეთოდების გამოყენების, აგრეთვე, საერთაშორისო დაცვის მანდატის მქონე ინსტიტუტზე (რუსი სამშვიდობოები) თავდასხმის კუთხით“.

ამ დოკუმენტის გასაჯაროვების შემდეგ ჩიორა თაქთაქიშვილმა კომენტარიც გააკეთა:

– უკვე მერამდენედ ატყუებს მთავრობა საკუთარ მოქალაქეებს! როგორც ჩანს, მალე უნდა ველოდოთ, რომ გაგვიხსნიან რკინიგზას, რომელიც მხოლოდ რუსეთის ინტერესებს ემსახურება და პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნული ინტერესს. თურმე უკვე ვაღიარეთ სოხუმისა და ცხინვალის მიერ გაცემული, ეგრეთწოდებული „პასპორტები“, როგორც „ვალიდური დოკუმენტები“ და ამის შესახებ ჩვენ თვითონაც არ ვიცით. ყოველ შემთხვევაში, მე არ ვიცოდი და თქვენ?.. დაბოლოს, საქართველოს მთავარი პროკურატურა აპირებს, დახმარება აღმოუჩინოს რუსეთის პროკურატურას, რომ მათ ქართველების მიერ ჩადენილი ომის დანაშაულები გამოიძიონ! თუმცა, ალბათ, ეს ნაკლები პრობლემაა პირველ ორთან შედარებით, რადგან წულუკიანი, კბილაშვილი და ნაცვლიშვილი გამოიძიებენ ომის დაწყებას თუ პუტინი, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს.

ექსპერტები ამ დოკუმენტს არ იცნობენ და კომენტარებისგან თავს იკავებენ.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა აღნიშნული ინფორმაცია უარყო და აღნიშნა, რომ ეს სიმართლეს არ შეესაბამება:

– საქართველოს ამჟამინდელ მთავრობას ან პარლამენტს არ გამოუცია არანაირი ნორმატიული აქტი, რომლითაც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში გაცემული ე.წ. პასპორტების ვალიდურობას აღიარებს. ამდენად, ინფორმაცია, რომ ახალმა ხელისუფლებამ ამ ე.წ. პასპორტების ვალიდურობა აღიარა, სინამდვილეს არ შეესაბამება... არც ეს წესები გაუქმებულა. საქართველოს ხელისუფლებას არც ამ საკითხზე გამოუცია რაიმე ნორმატიული აქტი და არ მომხდარა არანაირი სამართლებრივი ცვლილება. ამდენად, ვურჩევ ჩიორა თაქთაქიშვილს, შეეშვას ისტერიკას, დეზინფორმაციის გავრცელებას და ინფორმაცია საქართველოს მთავრობასთან გადაამოწმოს ან შესაბამისი ნორმატიული აქტები მოიძიოს... ქალბატონმა ჩიორა თაქთაქიშვილმა მორიგი ისტერიკა გამართა და ახალ ხელისუფლებას აბრალებს იმას, რაც დიდი ხანია მიმდინარეობს ძველი ხელისუფლებიდან გამომდინარე. გვაბრალებს, თითქოს, ახალმა მთავრობამ აღიარა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში გაცემული უკანონო პასპორტების ვალიდურობა, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. ეს არის მტკნარი, უსინდისო სიცრუე. არ არსებობს დოკუმენტი, რომლითაც შეიძლება ქალბატონმა ჩიორამ მოიტანოს ციტატები. ან პარლამენტის დადგენილება თუ კანონი, ან მთავრობის გადაწყვეტილება, ან კანონქვემდებარე აქტი, სადაც მოიტანს ციტატას, რომ ახალი მთავრობა ცდილობს გაცემული დოკუმენტების ვალიდურობას. ამიტომ, მოვუწოდებ ქალბატონ ჩიორას, სანამ ისტერიკაში და პანიკაში გადავარდება, მოიძიოს დოკუმენტები...

პაატა ზაქარეიშვილი:
„ეს არის მტკნარი, უსინდისო სიცრუე. მოვუწოდებ ქალბატონ ჩიორას, სანამ ისტერიკასა და პანიკაში გადავარდება, მოიძიოს დოკუმენტები...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გამოცხადდება თუ არა საპ

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

თვითმმართველობის ორგანოებზე ზეწოლას ნაციონალები ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ აპროტესტებდნენ. ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი, მამუკა აბულაძე, ბოლო ნახევარი წელია, კონკრეტულ ისტორიებს სწავლობს და შემდეგ ამ ინფორმაციებს უცხოელებს აწვდის. მათ უმრავლესობას ადგილი რეგიონებში ჰქონდა, თუმცა ნაციონალები ბოლო რამდენიმე დღეში თბილისში განვითარებული მოვლენების უკან ერთ კონკრეტულ მიზანს ხედავენ. გიორგი ვაშაძის განცხადებით „ოცნების“ მიზანი მინიმუმი თბილისის მერის, გიგი უგულავას დაკავებაა, ხოლო მიზანი მაქსიმუმი - ნაციონალების განადგურება.

პოლიტიკური სკანდალები თბილისის საკრებულოში აქამდეც მრავლად იყო, მათ შორის საკრებულოს თავმჯდომარის გადაყენების მცდელობაც. მაგრამ ბოლო შემთხვევა - მასიური დაპატიმრებები დილით, შუადღისით დაკავებულების გაშვება და რასმუსენის ვიზიტის დასრულების შემდეგ უკლებლივ ყველას ისევ დაკავება - გამონაკლისია, თუნდაც იმიტომ, რომ მას განსხვავებული შეფასებები თვით ხელისუფლებაშიც მოჰყვა, განსაკუთრებით იმ კადრებს, რომელიც ფინანსურმა პოლიციამ წარმოადგინა, როგორც მტკიცებულება, სადაც მერიის თანამშრომლებს ბანკომატიდან ფული გამოაქვთ. ძიების ოფიციალური კომენტარი ასეთი იყო: მათ განსაკუთრებულად აღტყინებული სახეები ჰქონდათო. რა თქმა უნდა, ამ კადრმაც და კომენტარმაც ბევრი იუმორის ხასიათზე დააყენა, ბევმა უბრალოდ საკუთარი პოზიცია დააფიქსირა.

რესპუბლიკელების ერთ-ერთი ლიდერი და საპრეზიდენტო კანდიდატის მარგველაშვილის მოადგილე განათლების სამინისტროში, დავით ზურაბიშვილი აღიარებს, რომ ბანკომატის კადრები იდიოტიზმია.

დავით ზურაბიშვილი:

- ბანკომატის კადრები ადასტურებს იდიოტიზმს, მაგრამ ვისას, ნუ მკითხავთ...

საკრებულოში დაძაბულობა თითქოს პიკსაც კი აღწევს. იქ ნაციონალებიდან „ოცნებაში“ გადაბირების მტკივნეული პროცედურა დღემდე მიმდინარეობს. თუმცა დედაქალის საკრებულო ერთ-ერთია იმ მცირე თვითმმართველობის ორგანოებიდან, სადაც უმრავლესობას ჯერ კიდევ ნაციონალები ინარჩუნებენ. ზაალ სამადაშვილის შეცვლის სურვილი, ბუნებრივია, საკრებულოს ბევრ წევრს აქვს. თუმცა სამადაშვილს ოფიციალური ვადა 2015 წლამდე აქვს. ბუნებრივია, მისი შეცვლის ალტერნატიული გზები არსებობს, მაგრამ ფაქტია, ჯერ მას ვერანაირი დანაშაული ვერ მოუძებნეს, რასაც ვერ ვიტყვით ქალაქის მერზე. უგულავას პასუხისმგებლობის საკითხს ყოფილი ქრისტიან-დემოკრატები და ამჟამად „ოცნებაში“ გადაბარგებული წევრები დაუყოვნებლივ ითხოვენ.

ზაზა გაბუნია, საკრებულოს „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი:

- მე არ მიკვირს, რომ კითხვები არსებობს და ბრალეულობაც გამოიკვეთა, რადგან ამაზე საუბარი ჯერ კიდევ წინა წლის ნოემბერში იყო, მაშინ საბანაძემ საქართველო დატოვა. ჩემთვის ეს ინფორმაცია ადრეც იყო ცნობილი, ასე რომ, ამ დანაშაულში ახალი არაფერია და იგივე განცდა არის საზოგადოებისთვისაც. ვთვლი, რომ ნაციონალების მხრიდან ამაზრზენია ანგარიშსწორებაზე საუბარი. ეს პარტია ადამიანებზე ზეწოლით აღწევდა მიზნებს, თუმცა თუკი არსებობს კითხვები დაკავების ფორმებთან, ამაზე, რა თქმა უნდა, შესაბამისი ორგანოები გააკეთებენ კომენტარს. რაც შეეხება პროცესს, რომელიც მერიაში ხდებოდა, ყველამ ვნახეთ, რომ იქ არამხოლოდ გაბერილი შტატები იყო, არამედ მათ შორის დიდი ოდენობის საკრედიტო ბარათები იყო დარიგებული, ამის მთავარი ექსპერტი, პირველ რიგში, გიგი უგულავაა. ამიტომ საბიუჯეტო რესურსების გაფლანგვაზე თუ ვსაუბრობთ, პირველ რიგში, სწორედ უგულავას პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. არასწორი იქნება ვინც იფიქრებს, რომ ასეთი მასშტაბური ეკონომიკური დანაშაული ხორციელდებოდა გიგი უგულავას ზურგს უკან. ვფიქრობ, საღად მოაზროვნე ხელისუფლება არ უნდა იყოს შემგუებელი ასეთი ფაქტების მიმართ.

- თქვენ ითხოვთ, რომ დადგეს უგულავას პასუხისმგებლობის საკითხი?

- რა თქმა უნდა, უნდა დადგეს. ჩვენ ვნახეთ, რომ სხვადასხვა ეტაპზე ბევრი დანაშაული გამოვლინდა მერიაში. ისიც რომ წარმოვიდგინოთ, რომ გიგი უგულავამ არ იცოდა რა ხდებოდა მის უწყებაში, მინიმუმ თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი დგება. ახლა გამოძიებამ უნდა დაადგინოს ხარისხობრივად რა წვლილი მიუძღვის გიგი უგულავას ამ დანაშაულში, თუმცა მე მაქვს უფლება ვივარაუდო, რომ მისი მონაწილეობა ამ პროცესში საკმაოდ დიდი იყო. შესაბამისად, გამოძიებამ კითხვები უნდა დაუსვას, მათ შორის გიგი უგულავასაც. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩემი მოსაზრებაა, რას გააკეთებს გამოძიება ამას ერთად ვნახავთ.

- როგორ ფიქრობთ, ეს პროცესები რამდენად შეუშლის ხელს საკრებულოს და მერიას მუშაობაში?

- ძალიან სამწუხაროა, რომ მსგავსი რამ საკრებულოში ხდება და ასეთი სიტუაციაა. თუმცა არავის აქვს უფლება, მოსახლეობის ინტერესები პირად ინტერესებს გადააყოლოს.

პირად ინტერესებზე საუბრისას ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საკრებულოს თავმჯდომარის შეცვლა მარტივი გზაა მოქმედი მერის შეცვლამდე. მერის მოადგილის და საკრებულოს წევრების დაკავებები კი ამ გზისკენ მიმავალი არასწორი გზა. ასე პოლიტიკოსები და ექსპერტები აფასებენ. თავად ნაციონალები კი „ოცნების“ ხელმძღვანელობას ურჩევენ წინა ხელისუფლებას მხ-

გიორგი ვაშაძე: „ოცნების“ მიზანი მინიმუმი გიგი უგულავას დაკავებაა, ხოლო მიზანი მაქსიმუმი - ნაციონალების განადგურება“

ოლოდ კარგ საქმეებში მიბაძონ.

კოკი იონათამიშვილი, საკრებულოს „ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციის თავმჯდომარე:

- დღევანდელ ხელისუფლებას მინდა ვთხოვო, რომ თუ ისინი წინა ხელისუფლებას ბაძავენ, ნუ მიბაძავენ იმაში, რაც ყველასთვის მიუღებელი იყო, ვგულისხმობ საეთერო დაკავებებს. მიბაძონ იმაში, რომ რაიმე პოზიტიური გააკეთონ საზოგადოებისთვის.

ოპოზიციაში თვლიან, რომ მერიის თანამშრომლების აყვანა-გაშვება და ხელახალი დაკავების საქმე დეტალურად და გამჭვირვალედ უნდა გამოიძიონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელისუფლება ძალიან არასახარბიელო სიტუაციაში აღმოჩნდება. თუმცა პრემიერმა შეძლო და ამ გაუგებრობაშიც იპოვა გამოსავალი, როცა განაცხადა ეს კიდევ ერთი მაგალითია, რომ ჩვენ არ ვერევით არავის საქმიანობაშიო.

გიორგი ვაშაძე, ნაციონალების ერთ-ერთი ლიდერი:

- მოვითხოვთ, რომ ყველა დამნაშავე დაისაჯოს, ვინც ეს უკანონობა ჩაიდინა. ყველამ ძალიან კარგად იცის, რაც მოხდა, მე ძალიან ვწუხვარ, რომ უმრავლესობის წევრები „აპრავებენ“ იმას, რაც მოხდა. ეს არ არის დემოკრატია, ეს არის ტოტალური ტერორი. ეს ჩვენ სწორ გზაზე ვერ მიგვიყვანს, სამწუხაროა, რომ ხელისუფლება ხელს აფარებს.

- გიგი უგულავამ თქვა, რომ ამ ადამიანების დაკავებით ხელისუფლება აგრძელებს „ნაციონალური მოძრაობის“ დაშლას, მაგრამ ეს ადამიანები არიან მერიის თანამშრომლები...

- დაკავებულებს შორის იყვნენ საკრებულოს წევრებიც, ისინი პოლიტიკურად იყვნენ ჩვენი მხარდამჭერები. ამას კანონი არ კრძალავს და პირდაპირ ვთქვათ, როცა ამ ხალხს აკავებდნენ ყველას ეუბნებოდნენ - ხელი დაადე გიგი უგულავას. ყველამ ძალიან კარგად იცის ვის წინააღმდეგ იყო მიმართული ეს ყველაფერი. ამას მგონი ზედმეტი ახსნა-განმარტება არ უნდა. ეს არის იმ პროცესების გაგრძელება, რომელიც რეგიონებში დაიწყო, ბოლოს ასეთივე შეტევა განხორციელდა რუსთავშიც. იგივე ხდებოდა სამტრედიაში.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რეგულო ქმედითუუნარო?

რეშე უფორმებენ საპროცესო შეთანხმებას და გმირად აცხადებენ, თუმცა ყველამ იცის, რომ ის მწამებელია. მისთვის ეს ბრალი არავის მოუხსნია, საპროცესო შეთანხმება არ ნიშნავს ბრალეულობის მოხსნას.

- რამდენად შეეშლება ხელი მერიას მუშაობაში?

- ვფიქრობ, რომ ეს არ აისახება მერიის მუშაობაზე. მერია გამართულად მუშაობს და იმუშავებს კიდეც და ვფიქრობ, რომ სასამართლო მიიღებს ადეკვატურ გადაწყვეტილებას. ისეთ საქმესთან დაკავშირებით აპატიმრებენ ხალხს, რომ არც კი არის ბრალში ის, რომ სახლში წაიღეს რაიმე თანხა, არამგონია ეს ხელისუფლების მომხრეების კმაყოფილებას იწვევდეს. ვფიქრობ, რომ ხელისუფლება დიდ შეცდომას უშვებს. მე სამართლიანობის აღდგენის მომხრე ვარ, მათ შორის ყველა მწამებლის დასჯის. არ უნდა იყოს ნაპატიები არავინ, იმის გამო, რომ მან თავისი წამების ისტორია მისცა ვიღაცას, საკუთარი პოლიტიკური მიზნების გამოსაყენებლად. თუ არ არის ეს ყველაფერი დადგმული კადრები, ბუნებრივია, ყველა უნდა დაისაჯოს.

მერიისგან განსხვავებით საკრებულოს მუშაობის პარალიზების მეტი შანსია. იურისტ ლევან ალაფიშვილის განცხადებით თუ პოლიტიკური კრიზისი შეიქმნება საკრებულოს ვადამდელი არჩევნები დღის წესრიგში დადგება. თუმცა ასეთ შემთხვევაში საკრებულო ქმედითუუნაროდ უნდა გამოცხადდეს და საქმიანობის შეჩერებაზე ხელი პრეზიდენტმა პარლამენტის თანხმობით უნდა მოაწეროს.

ლევან ალაფიშვილი, იურისტი:

- კანონის თვალსაზრისით პრობლემა არ არის, თუკი სახეზეა დამნაშავე, რა თქმა უნდა, ის დასჯილი უნდა იქნას. წინასწარ დამნაშავეობაზე საუბარი არ შეიძლება, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპით გამოძიებას ხელი შეეშალოს. ან საშუალება მიეცეს ვინმეს პასუხისმგებლობას თავი აარიდოს. გამოძიება უნდა ჩატარდეს და ბუნებრივია, საბოლოო გადაწყვეტილებას გამოძიება იტყვის.

- როგორი იქნება პროცედურული მხარე, როგორ იმუშავებს ასეთ რეჟიმში საკრებულო?

- რა თქმა უნდა, გამოძიების ორგანოს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს და მოითხოვოს ეგრეთ წოდებული თანამდებობრივი სანქციების გატარება. კონკრეტულად ძნელია იდენტიფიცირება, აღმასრულებელი ორგანოდან იქნება ეს წევრი თუ წარმომადგენლობითიდან, ბუნებრივია, შეიძლება შეიქნას პრობლემები, რაც გამოიხატება თუნდაც კვორუმის ვერ შეკრებაში. ასევე შეიძლება პრობლემები შეიქმნას გადაწყვეტილების მიღებისას, რაც საბოლოოდ გადაიზრდება კრიზისში. კრიზისის შემთხვევაში გამოსავლის პოვნა ძნელი იქნება. როდესაც კონკრეტული ხელისუფლების ორგანო, ამ შემთხვევაში საკრებულო, ვერ განახორციელებს საკუთარ უფლებამოსილებას ბუნებრივია, საბოლოო შედეგი იქნება საკრებულოს საქმიანობის შეჩერებაში. კონსტიტუციით და თვითმმართველობის შესახებ ორგანული კანონით მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს აქვს დათხოვნის უფლება. თუმცა მას პარლამენტის თანხმობაც სჭირდება. ასე არის მოქმედი კონსტიტუციის მიხედვით, თუმცა სამომავლოდ ეს მუხლიც იცვლება და საკრებულოს დათხოვნა მოხდება მთავრობის ინიციატივით, პარლამენტის თანხმობით და პრეზიდენტის საბოლოო გადაწყვეტილებით.

- ანუ მხოლოდ პრეზიდენტს აქვს უფლება შეაჩეროს საკრებულოს მუშაობა?

- იმის გათვალისწინებით, რომ პრაქტიკულად არჩევნების პირზეა მისული თვითმმართველობის ორგანო ამ სცენარით, ანუ საკრებულოს დათხოვნით მოვლენების განვითარება ნაკლებად სავარაუდოა. თუმცა შესაძლებელია უმრავლესობამ გამოიყენოს პოლიტიკური ბრძოლის იარაღად ბოიკოტი, რაც თავისთავად მუშაობის პროცესს პრობლემებს შეუქმნის. ვადამდელი არჩევნები, პირველ რიგში, დამოკიდებულია საკრებულოს უმრავლესობაზე, თუკი ისინი მანდატებს დატოვებენ და „ვაკანსიებს“ გააჩენენ, ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, დღის წესრიგში ვადამდელი არჩევნების საკითხი დადგება.

- თავმჯდომარის პასუხისმგებლობის საკითხის დასმა ასეთ შემთხვევაში როგორ მოხდება?

- სხდომა რომ შეიკრიბოს კვორუმი სჭირდება, თუკი კვორუმი არ იქნება, შესაბამისად, ვერც საკრებულოს თავმჯდომარის პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებენ. და მთავარი - საკრებულოს სხდომის მოწვევის ინიციატორი და პროცედურების წარმმართველი სწორედ საკრებულოს თავმჯდომარეა.

კოკი იონათამიშვილი: „დღევანდელ ხელისუფლებას მინდა ვთხოვო, რომ თუ ისინი წინა ხელისუფლებას ბაძავენ, ნუ მიბაძავენ იმაში, რაც ყველასთვის მიუღებელი იყო, ვგულისხმობ საეთერო დაკავებებს“

- საბოლოო მიზანი უგულავას დაპატიმრებაა, როგორ ფიქრობთ?

- მათი საბოლოო მიზანი არის „ნაციონალური მოძრაობის“ განადგურება, არამარტო გიგი უგულავას დაპატიმრება.

ყველაზე მთავარი მაინც ერთი საკითხია - მერია და საკრებულო ასეთ სიტუაციაში რამდენად შეძლებს მუშაობის გაგრძელებას. ვიცე-მერი, სევდია უგრეხელიძე ირწმუნება, რომ მერია მუშაობს და იმუშავებს. მისივე განცხადებით სამუშაო პროცესის პარალელურად გამოძიებამ უნდა დაადგინოს ყველა დამნაშავე, ვინც მერიის თანამშრომლები უკანონოდ გაიტაცა და ასევე ყველა ის მწამებელი, რომელიც წლების განმავლობაში უსამართლოდ ექცეოდა ადამიანებს.

სევდია უგრეხელიძე, ვიცე- მერი:

- დაკავების დროს პროცედურული დარღვევები იყო. იმავე დღეს, დილით, მოხდა 23 ადამიანის გატაცება და აუცილებლად უნდა იყოს გამოძიებული და დასჯილი დამნაშავეები. საზოგადოებამ უნდა იცოდეს ამის შესახებ. არავინ არ უარყოფს, რომ სასამართლოს გარეშე იყვნენ დაპატიმრებულები, არ არსებობდა ამის აუცილებლობა ესეც ფაქტია, რადგან ისინი მიდიოდნენ, ჩვენებებს იძლეოდნენ და გარდა ამისა, დილით თუ გაიტაცეს, საღამოს სასამართლოს დადგენილების გარეშე დაპატიმრება როგორღა შეძლეს? ასე რომ, პროცესი ძალიან დიდი და სერიოზული დარღვევებით მიმდინარეობდა. საქმის შინაარს არ ვიცნობ, როგორც ვიცი, ძალიან ფანტასტიკურ ფინანსურ დარღვევებზეა საუბარი, რაც ძალიან კომიკურ იერს იღებს. ბანკომატებიდან მილიონების გატანა რომ არ ხდება, ეს ყველამ იცის. ვისურვებდი, რომ გამოძიება ძალიან გამჭვირვალედ ჩატარდეს, რადგან სხვაგვარად ძალიან სასაცილო სიტუაციაში ვარდება გამოძიება, სასამართლოც და საზოგადოებაც, რადგან სწორედ საზოგადოების მოთხოვნაა, რომ სამართლიანობა აღდგეს. თუმცა არ შემიძლია არ აღვნიშნო, როდესაც მწამებელ ბედუკაძეს აღიარების გა-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

Airzena

35 წუთი და თქვენ უკვე ბათუმში ხართ!



სიახლე ავიაკომპანია
აირზენასგან!

1 აგვისტოდან

ყოველდღიური ფრენები ბათუმში!

დაგვიკავშირდით **2 505 005**
ან ეწვიეთ საიტს www.airzena.com

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რატომ ვერ აღდგება სამართლიანობა?

EXCLUSIVE



თემურ მონიავა: „ბევრი კანონია, რომელიც გარეგნულად ტოვებს „ნორმალურ“ შთაბეჭდილებას, რითაც შეცდომაში შეჰყავს უცხოელი სპეციალისტები, ვთქვათ, ვენეციის კომისია...“

მარიამ ნადირაძე

იმ დროს, როდესაც პროკურატურაში კადრების შიმშილია და მიმდინარე საქმეების გარდა, კიდევ 20 ათას საჩივარს, ბუნებრივია, 450 კაცით ვერ აუდის, სააკაშვილისგან „ჩარეცხილი“ სამართალდამცველები არასამთავრობო ორგანიზაციას ქმნიან – „იუსტიციის მუშაკები სამართლიანი საქართველოსთვის“. ეს ორგანიზაცია უკვე 500-ზე მეტ ყოფილ გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლესა და მათ მხარდამჭერს აერთიანებს. ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ საკადრო პოლიტიკის გარდა, დღევანდელ ხელისუფლებას სამართლიანობის აღდგენაში უამრავი საკანონმდებლო ხარვეზი უშლის ხელს.

„პრაიმტაიმი“ ამ ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტს, გენერალური პროკურორის ყოფილ მოადგილეს, თემურ მონიავას ესაუბრება:

– ბევრი კანონია, რომელიც გარეგნულად ტოვებს „ნორმალურ“ მთაბეჭდილებას, რითაც შეცდომაში შეჰყავს უცხოელი სპეციალისტები, ვთქვათ, ვენეციის კომისია... საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ერთი მხრივ, აღიარებს შეჯიბრებითობის პრინციპს და მხარეთა თანასწორობას, თუმცა რეალობა ის არის, რომ სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში პროკურატურის სახით, გააჩნია შეუზღუდავი იუსტიცია. ანუ შეუძლია დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა, ან მაშინაც კი, როცა დანაშაული სახეზეა, უარი თქვას დევნის განხორციელებაზე. ამასთანავე, არ მოეთხოვება იმის ვალდებულება, დაასაბუთოს, რატომ აცხადებს დევნის დაწყებაზე უარს.

– ეს როგორ უნდა გავიგოთ?

– საქმეზე გამოძიება თუ არ დაიწყო და პროკურორმა არ მოინდომა სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება, ამას დაზარალებული მხარე საკუთარი ინიციატივით ვერ მიაღწევს, რადგან სისხლის სამართლებრივი დევნის უფლება პროკურორის დისკრეციული უფლებაა და კანონი რაიმე სახის გამონაკლისს არ იცნობს. იმის თქმა მინდა, რომ დაზარალებულს დღევანდელი სისხლის სამართლის პროცესით არანაირი უფლება არ გააჩნია, რადგან სახელმწიფო მის მაგივრად წყვეტს საკითხს, დაიწყოს თუ არა სისხლის სამართლებრივი დევნა.

– ეს არ ქმნის საფრთხეს, რომ დაზარალებულის ინტერესები დაუცველი დარჩება?

– რა თქმა უნდა, ქმნის. მეტიც, დაზარალებულთა უფლებების ამგვარმა იგნორირებამ შეიძლება კურიოზული სიტუაციაც კი შექმნას, რადგან ისე გამოდის, რომ პირს თუ გააუპატიურებენ და პროკურორი მიზანშეწონილად არ მიიჩნევს დევნის დაწყებას, მაშინ დაზარალებული უნდა დაემორჩილოს ასეთ აბსურდულ და რაც მთავარია, დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებას. თვით იტალიაშიც კი, სადაც პროკურატურას აქვს დიდი უფლებები სისხლის სამართალწარმოების საკითხში, დაზარალებულს ეძლევა უფლება, მისი პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან დაკავშირებით განახორციელოს ქმედითი საპროცესო ღონისძიებები.

– გამოდის, რომ პროკურატურის სახით ისეთი მონსტრი შექმნილა, რომ მასთან საბჭოთა პერიოდის „საერთო ზედამხედველობა“ შეიძლება საბავშვო ანცობად მიიჩნიოს ვინმემ?

– არა მხოლოდ საბჭოთა ხანის, არამედ პრეზიდენტ შევარდნაძის პერიოდის პროკურატურასაც საყვედურობდნენ, რომ ზედმეტად იყო დაკავებული ე.წ. „საერთო ზედამხედველობის“ ფუნქციებით. სააკაშვილის რეჟიმმა ფორმალურად გაუუქმა პროკურატურას ეს ფუნქცია, რეალურად კი უფრო მეტი ძალაუფლება მიანიჭა მას, რადგან პროკურორების არალეგალური საქმიანობა ამ მიმართულებით იქცა როგორც ბიუჯეტში, ისე სხვა ათასგვარ ფონდში თანხების უკანონოდ მობილიზების საშუალებად.

– ამ საქმეში ჩართული იყვნენ პროკურატურის დაბალი თანამდებობის პირები?

– უკანონო საქმიანობით მიღებული თანხების მასშტაბების გათვალისწინებით, სრული საფუძველი გვაქვს, ვიფარაუდოთ, რომ მასში ჩართული იყო დღემდე პროკურატურაში მომუშავე ხალხის აბსოლუტური უმეტესობა. ცხადია, არსებობს ალბათობა, რომ ისინი შეეცდებიან, გამოძიება (თუ ასეთი დაიწყება) არასწორი მიმართულებით წაიყვანონ და თუ საქმის სრულ მოსპობას ვერ შეძლებენ, მტკიცებულებათა ფალსიფიცირების, მონმეთა და დაზარალებულთა ბაზაზე ზემოქმედების გზით, შეეცდებიან, ამ საქმეებს სასამართლოში წარმართვის პერსპექტივა დაუკარგონ. მაგალითად, არსებობს მასალები იმასთან დაკავშირებით, რომ ერთ-ერთმა საოლქო პროკურორმა დაიბარა ბუნებრივი რესურსების ლიცენზიის ყოფილი მფლობელი (ახალი მესაკუთრე იმ დროს გაქცეული იყო ქვეყნიდან) და აიძულა, მათთვის სასურველი იურიდიული პირისთვის ამ ლიცენზიის საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებაზე ხელი მოეწერა. წინააღმდეგ შემთხვევაში კი დაემუქრა დაპატიმრებით, ოჯახის წევრთა ანიოკებით და სხვა. ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ კი, იმავე საოლქო პროკურორმა, იძულებით ხელმომწერი პირის თანდასწრებით, ტელეფონით აცნობა თავის უშუალო უფროსს, რომ მისი დავალება შეასრულა. ეს კლასიკური ნიმუშია იმისა, რომ პროკურატურა ასრულებდა უკანონო დავალებებს, საჯარო რეესტრი იყო მისი თანამონაწილე, რადგან კარგად იცოდა, რომ არაუფლებამოსილმა პირმა ლიცენზია გაასხვისა. ცხადია, დანაშაულის თანამონაწილე იყო ისიც, ვინც დღემდე ფლობს ამ ლიცენზიას, იღებდა და იღებს უკანონო შემოსავალს. ეს საქმე მართალია, გამოძიებაშია, მაგრამ შედეგი არ ჩანს, თუმცა არც არაფერია გამოსაძიებელი. დღემდე პასუხგაუცემელია კითხვა იმის შესახებაც, რატომ უნდა უხდებოდეს ბატონ ნუგზარ ჯავახიშვილს პროკურატურისა და გამოძიების სხვადასხვა თანამდებობის პირებისთვის იმის ამაოდ მტკიცება, რომ საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მისი საწარმოსთვის ჩამორთმეულ ქონებასთან ერთად დამნაშავეთა ჯგუფმა დამატებით წაართვა მას 5-ჯერ მეტი სხვა ქონებაც და რომ ეს ქონება ექვემდებარება მისთვის დაბრუნებას, ხოლო დამნაშავეები – დასჯას; უსაფუძვლოდ დაჩაგრული, სოციალურად დაუცველი ადამიანებისთვის გვერდში დგომის ლოზუნგით მოსული ხელისუფლება განა არ უნდა იყოს დაინტერესებული, დაეხმაროს ოჩამჩირისა და გალის რაიონის ომისა და შრომის ინვალიდთა კავშირის წევრებს (კავშირის თავმჯდომარე დავით გერგედავა) იმის გარკვევაში, მართლაც უსაფუძვლოდ წაართვა თუ არა მათ ძველმა ხელისუფლებამ 475 000 ლარი და ამ მიზნის განხორციელებაში მონაწილეობდა თუ არა პროკურატურის ერთ-ერთი ყოფილი მაღალჩინოსანი. კერძოდ, მისი მუქარის შემდეგ ინვალიდთა მხარეზე, მესამე პირად ჩართული, ინვალიდთა ლიგის თავადაც ინვალიდი პრეზიდენტი მართლაც გახდა თუ არა იძულებული, არ მისულიყო სასამართლო პროცესზე და არ მიეცა ინვალიდთა სასარგებლოდ ჩვენება? ამ კატეგორიის საქმეებზე გამოძიების სანარმოებლად გამომძიებელს მოეთხოვება, ელემენტარულ დონეზე მაინც, როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების ცოდნა. ასეთი კატეგორიის გამომძიებლები პროკურატურას ან არ ჰყავს, ან ჰყავს უმნიშვნელო რაოდენობით, რის გამოც დაწყებული გამოძიება, ვერ, ან ძალიან მძიმედ მიდის წინ. ახალი კადრების უმრავლესობას არ აქვს გამოძიების დაგეგმვის, არსებითი გარემოებების არჩევისა და დიდმასშტაბიანი (მრავალეპიზოდიანი) საქმეების გამოძიების პრაქტიკა, რადგან ადვოკატურაში, ან თუნდაც „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში“ საქმიანობა გარკვეულ ცოდნას კი იძლევა, მაგრამ საკმარისი არ არის იმ პრობლემების გადასაწყვეტად, რასაც ქვეყნის ახალი ხელისუფლება შეება და რასაც ასე დაჟინებით ითხოვს საზოგადოება მისგან. ამიტომ, ჩემი აზრით, საგამოძიებო და საპროკურორო საქმიანობას უნდა დაუბრუნდნენ ის ადამიანები, რომლებიც თავიანთი საქმიანი და სხვა ნიშნის მიხედვით აღმოჩნდნენ სააკაშვილის ხელისუფლებისთვის მიუღებელნი. ეს იქნება მათი რეაბილიტაციისკენ გადადგმული ნაბიჯი...

– მაგრამ შევარდნაძისდროინდელი სამართალდამცველების მიმართ საზოგადოებაში არსებობს ერთგვარი შიში, რადგან უდავოა, რომ მაშინ მართლა იყო კორუფციული სისტემა და რთულია დაიჯერო, რომ ამ სისტემას მორგებული ადამიანი შეცვლის მუშაობის მეთოდებს...

– მაგრამ არ შეიძლება ყველას დააბრალო კორუმპირებულობა. ეს სააკაშვილის მეთოდია. ის წლების მანძილზე უნევდა ამ ხალხს დისკრიმინაციას იმ დროს, როდესაც თვითონ სააკაშვილი იყო შევარდნაძის მინისტრი და მახსოვს, ძალიან ამაყობდა ამით. მისი გააფთრების რეალური მიზეზი კი ისაა, რომ ეშინია ამ ხალხის პროფესიონალიზმის. მას არ აქვს უფლება, სხვებზე ილაპარაკოს მანამ, სანამ დამაჯერებლად არ უარყოფს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით მეგობარი ქალბატონებისთვის საჩუქრები არ შეუძენია და, რომ საკუთარი შვილების სწავლისთვის საჭირო თანხები ბიუჯეტიდან არ გადაუხდია...

– ბოლო დროს აქტუალური გახდა პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალის განადგურების თემა. თქვენ რა პოზიციას უჭერთ მხარს?

– იქ, სადაც პროფესიონალიზმია, საუბარიც კი არ შეიძლება უკანონოდ შექმნილი და მოპოვებული პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალის განადგურებაზე სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, რადგან ეს მასალა იმ პირთა მამხილებელი მტკიცებულებებია, ვინც თავის დროზე უკანონოდ შექმნა ისინი. შესაბამისად, სახეზეა კონკრეტული თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, რასაც თან ახლდა დაზარალებულთა პირადი ღირსების ხელყოფა. ეს დანაშაული კი მძიმე კატეგორიის დანაშაულია (ისჯება 5-დან 8 წლამდე) და რაღაც კომისია რომ თავის თავზე იღებს მათ განადგურებას, თუ ფიქრობს მაინც, რომ ამით შეუძლებელს ხდის დამნაშავეთა დასჯას? იქნებ ეს აწყობს კიდეც ვინმეს? კომისიებში კი უმეტესად იმ ხალხს ვხედავთ, ვისაც ამ საქმის არაფერი გაეგება... ამას გარდა, სამართლიანობის აღდგენის სურვილმა და ახალი ხელისუფლების მხრიდან მხარდაჭერილმა ამ ინიციატივამ განაპირობა საჩივარ-განცხადებების მოზღვავება სამართალდამცავ ორგანოებში. მთავარი პროკურატურა, თანამშრომელთა მწირი რესურსით, ვერ შეძლებს ამ პრობლემის გადაწყვეტას. ამდენ დროს კი საზოგადოება არ მისცემს ხელისუფლებას და ეს შეიძლება გახდეს მისდამი ნდობის შერყევის მიზეზი.

– მაგრამ აპირებენ ხარვეზების დამდგენი დროებითი საპარლამენტო კომისიის შექმნას...

– ეს კომისია დააკმაყოფილებს მხოლოდ ცალკეულ მაღალანაზღაურებადი შემოსავლის მიღების მსურველის ამბიციებს და მეტი არაფერი... კომისია გახდება დავის მხარე და მთელი უარყოფითი აგრესია (ასეთს კი უდავოდ ექნება ადგილი, რადგან ყველა საჩივარი ვერ დაკმაყოფილდება) გადავა პარლამენტზე. შესაბამისად, გაჩნდება თვით პარლამენტისა და მთავრობის დისკრედიტაციის საფრთხე. ამიტომ, უნდა შეიქმნას დროებითი საპარლამენტო კომისია და მან იმუშაოს კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებზე. გამოვლენის შემთხვევაში კი დასვას საკითხი პარლამენტის წინაშე შესაბამისი ცვლილებების შესახებ. პარალელურ რეჟიმში საქართველოს იუსტიციის მინისტრმა ისარგებლოს „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებამოსილებით და გარკვეული ვადით განსაზღვრული ფუნქციების შესასრულებლად ბრძანებით შექმნას სპეციალიზებული პროკურატურა. სპეციალიზებულ პროკურატურას, ალბათ, დასჭირდება 150-მდე ოპერატიული მუშაკი. ქვეყანაში ჯერ კიდევ გამოუყენებელი კადრების გათვალისწინებით ამის რესურსი არსებობს. ხალხის საქმეც მოიგებს და ხელისუფლების ავტორიტეტიც ამაღლდება.

„არ შეიძლება ყველას დააბრალო კორუმპირებულობა. ეს სააკაშვილის მეთოდია. თვითონ სააკაშვილი იყო შევარდნაძის მინისტრი და მახსოვს, ძალიან ამაყობდა ამით“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გაწევრიანდა თუ არა მარიკა ვერულაშვილი „ქართულ ოცნებაში“

ხათუნა მგალობლიშვილი

ქველმოქმედება კარგი გადაწყვეტილებაა. ერთი მხრივ, კეთილი ნებაა დაეხმარო ადამიანებს, მეორე მხრივ, გარანტირებულია მოგების მომტანი შედეგით. პოლიტიკოსები უფრო და უფრო ხშირად მიმართავენ ამ მეთოდს.

საპარლამენტო უმრავლესობა ინიციატივით გამოვიდა, შეიქმნას საკანონმდებლო წინადადება, რომელიც უზრუნველყოფს ლეიკემიით დაავადებული ბავშვების დახმარებას სახელისუფლო უწყებების მხრიდან. იდეის ინიციატორები არიან „ოცნების“ წევრი ელისო ჩაფიძე და უპარტიო დეპუტატი, მარიკა ვერულაშვილი. ერთ-ერთ მორიგ სასესიო დღეს ორივე დეპუტატი ერთად წარსდგნენ ჟურნალისტების წინაშე და საკუთარი იდეა გაახმოვანეს. მათთან ერთად არ იმყოფებოდა ანი მიროტაძე, რომელმაც დახმარების ორგანიზება ინიციატივამდე ცოტა ხნით ადრე მოახდინა. დეპუტატებმა სისხლი ჩააბარეს პატარების დასახმარებლად და რამდენიმე მათგანი, მათ შორის ანი მიროტაძე, საკუთარი ხელფასიდან ყოველთვიურად თანხას რიცხავს ლეიკემიით დაავადებული ბავშვების ანგარიშზე.

საინტერესო დეტალი აქ ვერულაშვილის ჩაფიძესთან ერთად დაფიქსირება იყო. კითხვებიც სწორედ ამ ბრიფინგმა გააჩინა, გახდა თუ არა ყოფილი ნაციონალი ოფიციალურად მეოცნებე...

თავად მარიკა ვერულაშვილი კომენტარს არ აკეთებს. განცხადებაში ამბობს, რომ დახმარების იდეა მას მაშინ გაუჩნდა, როდესაც ჯანდაცვის მინისტრს მოუსმინა. სერგეენკოს განცხადებით სამინისტროს აქვს ფინანსური რესურსი დაეხმაროს ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს, მაგრამ კანონი არ აძლევს ამის საშუალებას. ჩაფიძეც და ვერულაშვილიც მზად არიან ჟურნალისტების კეთილ იდეას განხორციელების საშუალება მისცენ.

მარიკა ვერულაშვილი, დამოუკიდებელი დეპუტატი:

- მე და ელისომ ჩვენი ერთობლივი ინიციატივით გადავწყვიტეთ, განცხადება გაგვეკეთებინა. ჩვენ გვინდა, მხარდაჭერა გამოვუცხადოთ ჩვენ ჟურნალისტ კოლეგებს და მათ ძალიან კარგ საქმეში შევუერთდეთ. ვთვლი, რომ ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა დახმარება დღეს ძალიან პრიორიტეტული თემაა. მინდა ვუთხრა ჟურნალისტებს, რომ თუ ოდესმე დასჭირდებათ ჩვენი, კანონმდებლების მხარდაჭერა, მზად ვართ, პასუხისმგებლობა ჩვენს თავზე ავიღოთ, მზად ვართ, ყველა მათ აქციას დავესწროთ, მათთან ერთად ყველა ინსტანციაში მივიდეთ და ამ ბავშვების დასახმარებლად ყველაფერი გავაკეთოთ.

ბრიფინგზე ელისო ჩაფიძეც ოფიციალური განცხადებით შემოიფარგლა. განაცხადა, რომ ვერულაშვილის იდეას უერთდება, რადგან, როგორც ყოფილი ჟურნალისტი, ვერ დარჩება გულგრილი ამ საკითხის მიმართ.

ელისო ჩაფიძე, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:

- ჩვენ გვინდა ერთობლივად შემოვიტანოთ საკანონმდებლო წინადადება, რომელიც გაითვალისწინებს რეფერალური პროგრამებიდან ლეიკემიით დაავადებული ბავშვების გადარჩენას.

ჯერჯერობით გაურკვეველია ნაციონალების პარტიის დატოვების შემდეგ დატოვა თუ არა დამოუკიდებელი მაჟორიტარის სტატუსი ვერულაშვილმა, თუმცა უმრავლესობის წევრები დაზუსტებულ ინფორმაციას „ოცნების“ წევრების ზრდასთან დაკავშირებით არ ფლობენ.

ანი მიროტაძე, „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი:

- არ გამიგია, რომ მარიკა ვერულაშვილი „ოცნებაში“ წევრიანდება. მსგავსი არაფერი გამიგია, ვერც იმაში ვხედავ რაიმე პრობლემას, რომ ორმა ადამიანმა ძალისხმევა გააერთიანოს და კარგი საქმე ერთად გააკეთოს.

- ითქვა, რომ ჟურნალისტები იყვნენ ჩართულები, ანუ ერთად გამოჩენა, უბრალოდ, დამთხვევაა?

- მე ბევრად ადრე დავიწყე დახმარება, სისხლის ჩაბარება რომ მოხდა ლეიკემიით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად, მისი ორგანიზატორი ვიყავი. გარდა ამისა, თინა ხიდაშელმა ხელფასიდან გარკვეული თანხა გადარიცხა ამ ბავშვების დასახმარებლად. მეც ასევე მოვიქეცი, უბრალოდ, ამის აფიშირება არ ჩამითვლია საჭიროდ.

- ვერულაშვილის და ჩაფიძის ერთად გამოჩენამ კითხვები გააჩინა.

- იმ წუთას მე რომ არ ვიყავი მათ გვერდით არაფერს ნიშნავს, დახმარება ბევრად ადრე დავიწყე, ორგანიზებასაც ვუწევდი და სწორედ მაშინ დაიგეგმა ბევრი ნაბიჯი. მიმაჩნია, რომ ძალიან მნიშვნელოვანია დავეხმაროთ ასეთი მძიმე დაავადების მქონე ადამიანებს. რაც შეეხება მარიკა ვერულაშვილს, ვიცი, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ დატოვა და დამოუკიდებელი დეპუტატია, ყვარლის მაჟორიტარია, ამ ეტაპზე მეტი ინფორმაცია არ მაქვს.

ვაგონშემკეთებელ ქარხანაზე ძველსა

ნანა შონია

ვაგონმშენებელთა ჰოლდინგის ხელმძღვანელობა შპს „თი-ჯი თრეიდისგან“ 28 000 000 ლარის გადახდას მოითხოვს. „ელექტროვაგონშემკეთებელი“ ქარხნის სასარგებლოდ ამ თანხის გადახდა, ბიზნესმენ ავთანდილ საყვარელიძის კომპანიას, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2012 წლის 11 ივნისს დააკისრა. საყვარელიძე სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას არ ცნობს და პროკურატურას მიმართავს, რომ გამოძიებულ იქნას, როგორ და რა პირობებში მოხდა მის მიერ წილის დათმობა. ვაგონშემკეთებელთა ჰოლდინგი, საყვარელიძეს, მსგავსი განცხადებების გამო, ქარხნის მიზანმიმართულ დისკრედიტაციაში ადანაშაულებს, რადგან ნებისმიერი თემა, რომელსაც ავთანდილ საყვარელიძე აჟღერებს, მათ ქართველ და უცხოელ პარტნიორებთან საქმიან რეპუტაციას უფუჭებს, რამაც შესაძლოა ქარხანა საბოლოოდ სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანოს.

ჰოლდინგის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ყველა ის დოკუმენტი გამოაქვეყნოს, რომელიც თავის დროზე მათსა და საყვარელიძეს შორის გაფორმდა. მათ შორის იმ კრედიტორულ დავალიანებათა ნუსხა, რომელიც საყვარელიძის ხელმძღვანელობის პერიოდში, ქარხანას სხვადასხვა კომპანიების მიმართ ჰქონდა დაგროვილი და რომლის გადახდაც, ქარხნის აქციების გამოსყიდვის შემდეგ, ახალმა ხელმძღვანელობამ იკისრა.

ჰოლდინგის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ ავთანდილ საყვარელიძემ, რომელიც შპს. „თი-ჯი თრეიდს“ წარმოადგენდა, 2001 წელს ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანას საქმიანი წინადადებით მიმართა, თურქმენეთის რესპუბლიკის შეკვეთის თაობაზე, რაც სამგზავრო ვაგონების შეკეთებას ითვალისწინებდა. დაკვეთა შესრულდა, თუმცა დამკვეთმა მომსახურების ღირებულება არ გადაიხადა და ქარხნის მიმართ 2 317 000 ლარის დავალიანება დაუგროვდა.

როგორც ჰოლდინგის ხელმძღვანელები აცხადებენ, ნაცვლად იმისა, რომ საყვარელიძეს დავალიანების გასტუმრებაზე ეზრუნა, მან ქარხნის აქციების ხელში ჩაგდება განიზრახა, რომელსაც 91 %-იანი საკუთრების უფლებით ბადრი წილოსანი ფლობდა.

მათივე განცხადებით, 2004 წელს, პრეზიდენტ სააკაშვილის, პრემიერ ნოღაიდელის, ეკონომიკის მინისტრის მოადგილის, პარლამენტარ დავით ბეჟუაშვილის და სხვა მაღალჩინოსანთა დახმარებით, ავთანდილ საყვარელიძემ ჯერ ბადრი წილოსანის დაპატიმრებას მიაღწია, შემდეგ კი ბადრი წილოსანისგან უსასყიდლოდ, ჩუქების სახით სახელმწიფოსთვის აქციათა 42 %-ის გადაცემას და საბოლოოდ, ხელისუფლებისვე დახმარებით, ფორმალურად ჩატარებული აუქციონით, (რომელშიც მხოლოდ თავად მონაწილეობდა), საკონტროლო პაკეტის პირდაპირი მიყიდვის წესით ხელში ჩაგდებას.

ქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების და გენერალური დირექტორის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ წილოსანი ამის შემდეგ ქარხნის აქციების 48%-ს ფლობდა, ის იძულებით მაინც ჩამოაშორეს საქმიანობას.

გურამ რატიანი: - ბადრი წილოსანს ციხეში გადააფორმებინეს აქციები, აჩუქებინეს სახელმწიფოსთვის და შემდეგ პირდაპირი მიყიდვის წესით ეს ყველაფერი ავთანდილ საყვარელიძეს მიჰყიდეს. ამ ადამიანმა სამსახურში მოსვლისთანავე დაიწყო კომპანიის მიზანმიმართული გაკოტრება. მას 47 მილიონი ლარი აქვს ბანკებიდან გამოტანილი.

- თქვენ ამ დროს სად იყავით?

- მე მათი მოსვლისთანავე წავედი ქარხნიდან, ძველი მენეჯმენტიდან ყველა გაგვანთავისუფლეს. აიღეს უამრავი ვალი ბანკებიდან და ვერ შეასრულეს ვალდებულებები. 2007-2008 წლებში ქარხნის მუშა-მოსამსახურეები ამუშავეს და ხელფასები არ მისცეს. (თვითონ მივლინებების ფულსაც იღებდნენ და შემდეგ წასვლისას ისე შეადგინეს საბუთები, რომ ჩვენ გადავუხადეთ ამ ხალხს ხელფასები). ამის შემდეგ ქარხანამ დაიწყო გაკოტრება, გაკოტრების მმართველიც დაინიშნა. ბადრი წილოსანი კარგავდა იმ აქციებს, რომელსაც ფლობდა და მიუხედავად იმისა, რომ ქარხანას ჰქონდა 73 მილიონი აღიარებული ვალი, „თი-ჯი თრეიდისგან“ და ავთანდილ საყვარელიძისგან წილოსანმა გამოისყიდა გაკოტრებული ქარხნის აქციები 3 მილიონ დოლარად. მათ მიერ აღებული

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

და ახალ ხელმძღვანელობას შორის დაპირისპირება გრძელდება

„28 მილიონი ლარი, ავთანდილ საყვარელიძემ წაიღო და თავის ფირმებში გადააკატავა. ჩვენ ეს სასამართლო პროცესი მოგებული გვაქვს. მათ უნდა დაგვიბრუნონ ეს თანხა“

EXCLUSIVE

ვაგონმშენებელთა ჰოლდინგი ბიზნესმენ ავთანდილ საყვარელიძეს მიზანმიმართულ დისკრედიტაციაში ადანაშაულებს

ვალდებულებებით, 111 ვაგონი დამრჩა ჰაერში აწეული, რომელიც მე გავარემონტე და ოთხ თვეში დავუბრუნე რკინიგზას. ყველა ის ვალდებულება, რომელიც ავთანდილ საყვარელიძეს რკინიგზასთან ჰქონდა აღებული, ჩვენ ერთ წელიწადში დავხურეთ. იმის შემდეგ ვმუშაობდით რეაბილიტაციის რეჟიმის შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ დავრბივართ სასამართლოებში, ქარხანა გამართულად მუშაობს. პოსტსაბჭოთა სივრცეში ჩვენ მესამე ქვეყანა ვართ, რომელიც აშენებს ახალ ვაგონებს. ამას აკეთებს რუსეთი, უკრაინა და ჩვენ. ამ პროდუქციას სერიოზული შიდა კონტროლი აქვს, მას იღებს „საქართველოს რკინიგზის“ 17-კაციანი კომისია და სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიურო. ჩვენ მიერ შეკეთებული ვაგონი, რომელიც საზღვარზე ინტენსიურად გადადის, გადის კონტროლს, მოწმდება კომპიუტერულად. მოწმდება ტექნიკური მდგომარეობა და ის თუ უხარისხოა, არავინ გაატარებს. ჩვენ მიერ შეკეთებული 200 ვაგონი გააქირავა საქართველოს რკინიგზამ უკრაინაში. გარდა ამისა, სომხეთის რკინიგზას შევურემონტეთ 1 500 ვაგონი და პრეტენზია არ ყოფილა. ამჟამადაც კონტრაქტები გვაქვს და ჩვეულებრივად ვმუშაობთ. დღეს კი ყველა, ვისაც საქმე არა აქვს, ათასნაირ განცხადებებს აკეთებს და სხვადასხვაგვარ შოუებს დგამს. ჩვენ გვაქვს რამდენიმემილიონიანი კონტრაქტები, გვყავს მსხვილი დამკვეთები, ისინი რომ გაიგებენ მსგავს განცხადებებს, თანამშრომლობაზე უარს გვეტყვიან. გარდა ამისა, 600 ვაგონის შეკეთებაზე უნდა მივიღოთ ახლა შეკვეთა აზერბაიჯანიდან, ეს არის წელიწად-ნახევრის სამუშაო პროგრამა, ხომ შეიძლება ამ ადამიანებმა თავი შეიკავონ? ჩვენ ეს განცხადებები გვაზარალებს.

- 28 მილიონი ლარი სასამართლომ თქვენს სასარგებლოდ დააკისრა საყვარელიძეს?

- რა თქმა უნდა, ეს 28 მილიონი ლარი, რომელიც ავთანდილ საყვარელიძემ წაიღო და თავის ფირმებში გადააკატავა. ჩვენ ეს სასამართლო პროცესი მოგებული გვაქვს. მათ უნდა დაგვიბრუნონ ეს თანხა. გარდა ამისა, საყვარელიძეს აქვს უამრავი ვალი. მას, ალბათ, ის ფირმები აკითხავენ კიდეც.

ნინა წილოსანი (სამეთვალყურეო საბჭოს წევრი): -ამ ადამიანმა ჩვენ ჩვენივე ქონება წაგვართვა, გააკოტრა, მერე მოგვყიდა და მერე ისევ ჩვენ ვიხადეთ ეს ვალები. ქარხნის ხელმძღვანელობა და მუშა-მოსამსახურეები მოხარულები იქნებიან ბატონი ავთანდილ საყვარელიძის დაბრუნებით, იმიტომ რომ მოუთმენლად ველოდებით როდის დააბრუნებს მის მიერ მითვისებულ 28 მილიონ ლარს, რომლითაც გავცემთ სახელფასო დავალიანებებს და გავისტუმრებთ სხვადასხვა მომწოდებლებს.

ახლა ყველაზე დიდი საშიშროებაა, რომ ჩვენ თუ თანხა არ გადმოგვერცხა და ბიუჯეტთან ვერ გავსწორდით 1500 ადამიანი უმუშევარი რჩება. ამის უკან კი არის ის, რომ ქარხანა შეიძლება გაკოტრდეს. ხელშეკრულებას თუ არ შევასრულებთ ჯარიმებია, მომწოდებელს ფულს თუ არ გადაუხდი, ელექტროენერგიის საფასურს თუ არ გადაიხდი, მუშაობა გაგიჩერდება. რა უნდათ, ჩემთვის გაუგებარია, გასულ თვეს სამუშაოზე 120 ახალი კაცი მივიღე. ახლა კიდევ ვამზადებთ 62 ადამიანისთვის საქმეს. რა ვუყოთ ამ ხალხს, ქუჩაში გავუშვათ? არ მესმის რა, რაღაც აფსურდის თეატრია. საყვარელიძეს დღეს უნდა აჩვენოს, რომ თითქოს ჩვენ წინა ხელისუფლების დახმარებით წავართვით მას ეს ქარხანა. სინამდვილეში კი სხვაგვარი რეალობაა და მან თვითონ წაგვართვა. შემდეგ კი ჩვენ კანონის და წესის შესაბამისად ვიყიდეთ გაკოტრებული ქარხანა. მას სურს დაჩაგრულ ბიზნესმენად წარმოაჩინოს თავი და ხელახლა წაგვართვას ეს ყველაფერი. ვერანაირ დოკუმენტაციას, ვერანაირ მსჯელობას და ლოგიკას ვერ გაუძლებს მისი ჩადენილი საქციელები და მისი განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ მას ჩვენ წავართვით ქარხანა.

- რას მოითხოვთ?

- ჩვენ გვსურს მედიას მივაწოდოთ ზუსტი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ არ წამოეგონ ამ ადამიანის პროვოკაციას. ვიღაცების მეშვეობით გამოდის ტელევიზიებში და წარმოაჩენს ისე, რომ ჩვენ წავართვით თითქოს მას ეს ქარხანა. მას შეცდომაში შეჰყავს ჟურნალისტები და ის სამართალდამცავებიც, რომლებმაც მათი განცხადებების საფუძველზე აღძრეს სისხლის სამართლის საქმე. სრული შინაგანი რწმენა მაქვს, რომ დღევანდელი ხელისუფლების პირობებში შეუძლებელი იქნება, რომ მან ეს ყველაფერი განახორციელოს. საქმე, რომელიც აღძრულია, თავიდან ბოლომდე დაფუძნებულია საყვარელიძის გუნდის აბსურდულ ჩვენებებზე. ისეთ ადამიანებზე, რომლებიც საერთოდ არ მუშაობდნენ ჩვენთან.

საყვარელიძე არის ადამიანი, რომელმაც მამაჩემის მომგებიან ქარხანას 73 მილიონი ვალი დაადო, 28 მილიონი წაიღო და კიდევ, ამის გარდა, ახლა სამართალდამცავებმა აღმოაჩინეს, რომ რაღაც თანხებია სალაროდან გატანილი მათი მენეჯმენტის დროს და ადგილი აქვთ არაკეთილსინდისიერ შესყიდვებს. ჩვენ საერთოდ არ გვინდოდა ამაზე ხმაურის ატეხვა, მაგრამ ამ ადამიანმა ისეთი რაღაცები გააკეთა, რომ ეს ყოველგვარ მორალს სცდება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ხელისუფლების პირობებში მას ეს უსამართლობა არ გაუვა.

ვაგონმშენებელთა ჰოლდინგის განცხადებებს, ავთანდილ საყვარელიძე ეხმაურება და სიცრუეს უწოდებს. „პრაიმტაიმთან“ საუბარში საყვარელიძე აცხადებს, რომ მან ქარხნის აქციები კანონიერად შეიძინა და არც არანაირი დავალიანება არ აქვს ძველი ხელმძღვანელობის მიმართ.

ავთანდილ საყვარელიძე: „მე მინდა განვაცხადო, რომ ის განცხადებები, რომელიც ამ ადამიანებისგან ისმის არის აბსოლუტური ტყუილი. ეს საქმე არის სასამართლოში და ჩემთვის ახლაც გაუგებარია, რამ აიძულა ეს მხარე წარმომდგარიყო საზოგადოების წინაშე. სინამდვილე გახლავთ შემდეგი, რომ ჩვენ 2005 წელს ეკონომიკის სამინისტროსგან შევისყიდეთ აქციათა მართვის პაკეტი. ტენდერი ჩატარდა სამ ტურად და ჩვენ აღნიშნული პაკეტი შევიძინეთ 6 მილიონ დოლარად. 2008 წელს, აგვისტოს ომიდან ზუსტად ერთი თვის თავზე, 8 სექტემბერს პირადად მე იძულებით მიმიყვანეს ფინანსურ პოლიციაში და გადმომცეს მაშინდელი თავდაცვის მინისტრის დავით კეზერაშვილის სიტყვები, რომ აქციები უნდა მიმეცა მისი მეგობრის ბადრი წილოსანისთვის, რომელიც იმყოფებოდა მაშინდელი ფინანსური პოლიციის უფროსის დავით ქარსელაძის კაბინეტში. მე ამაზე უარი განვაცდახე და ამის შემდეგ დაიწყო ზეწოლა ჩემზე და ჩემი ოჯახის წევრებზე. 17 სექტემბერს, შუაღამისას, მათივე ნოტარიუს ზოიძის ოფისში, გაფორმდა უკანონო ნოტარიაული აქტი. პირველი დღიდან ბოლო პროცესამდე ყველაფერს კოორდინაციას უწევდა ბადრი წილოსანი. ის იყო უშუალო მონაწილე და დამკვეთი ამ ძალადობრივი აქტისა. მე დღეს მათ პოზიციას ვუკავშირებ ერთ რამეს, ეს არის ჩემ მიერ პროკურატურაში წარდგენილი სარჩელი, სადაც ვითხოვ გამოძიებულ იქნას ის ძალადობრივი ფაქტები, რომელიც ჩაიდინა წილოსანმა, კეზერაშვილმა და სხვა ადამიანებმა. ამან შეაშფოთა ეს მხარე და გადაწყვეტილება მიიღეს გაეცათ პასუხები.

- საუბარია იმაზე, რომ ბადრი წილოსანს ძალით დაათმობინეს ციხეში ეს წილი და მას შემდეგ მოხდა თქვენზე მისი გაყიდვა...

- მე ტენდერში მივიღე მონაწილეობა მაშინ, როდესაც ეს წილი გამოვიდა სახელმწიფო აუქციონზე. არსებობს მეთოდები და საშუალებები, მას შეუძლია იდავოს ამაზე, მე არავითარი კავშირი არ მაქვს ამასთან.

- თქვენ მანამდე გქონდათ დავალიანება?

- არასდროს არანაირი დავალიანება არ გვქონია. ჩვენ მათი შეგნებული მოქმედებების გამო ძალიან სერიოზული პრობლემები შეგვიქმნეს და მე შემიძლია მოგაწოდოთ ინფორმაცია, რომ მას შემდეგ, რაც ძალით იქნა მითვისებული ჩვენი წილი, იმავე დღეს „საქართველოს რკინიგზამ“ სრულად გადაიხადა ის თანხები, რაც ჩვენ მიმართ უკანონოდ ჰქონდათ დაკისრებული. ჩვენ დაახლოებით 15 მილიონი მოვახმარეთ წილოსანის ძველი დავალიანებების დაფარვას.

- სასამართლო გადაწყვეტილება ხომ არსებობს, რომ თქვენ გმართებთ 28 000 000?

- თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, სასამართლომ დაგვაკისრა 28 მილიონი, ამ დროს ხელისუფლებაში არიან სააკაშვილი და კეზერაშვილი და მათ არ მოითხოვეს ამ გადაწყვეტილების აღსრულება? ეს არის დაუწერელი გადაწყვეტილება, რომელიც არჩევნებამდეა მიღებული. მათ მისი აღსრულება ვერ მოასწრეს. ჩვენ არ გვაქვს დავალიანება. ჩვენ ვაპირებთ სამართლიანობის აღდგენას და ბანდიტების დასჯას. 28 მილიონი მე უნდა გადავიხადო თუ წილოსანმა, ამას სასამართლო გადაწყვეტს. ჩვენი მიზანია ბანდიტების დასჯა. წილოსანმა თავისი ფანტაზიის ნაყოფი გაადოკუმენტალუროს და წარმოადგინოს.

„როგორ წარმოგიდგენიათ, სასამართლომ დაგვაკისრა 28 მილიონი, ამ დროს ხელისუფლებაში არიან სააკაშვილი და კეზერაშვილი და მათ არ მოითხოვეს ამ გადაწყვეტილების აღსრულება? ეს არის დაუწერელი გადაწყვეტილება, რომელიც არჩევნებამდეა მიღებული“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„საქართველოს ვარ

my View

თამარ გონგაძე



„ცხოვრებაში ვერც წარმოგვედგინა, რომ ოდესმე სტივ უანდერი საერთოდ შეგვიმჩნევდა და საქართველოში ქართულ პროექტს „საქართველოს ვარსკვლავს“ გამოეხმაურებოდა“

მეთოთხმეტე საკონკურსო ორშაბათს ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი, ალბათ, შეზანზარდება. „საქართველოს ვარსკვლავის“ შემქმნელები მეორე სეზონის დასამახსოვრებელ ფინალს გვპირდებიან. საფინალო სამეული ნამდვილად ძლიერი და ღირსეულია. ზოგი ფინალში ირაკლი ფუტკარაძეს ელოდა, ზოგიც ლევან მასპინძელაშვილის და ლუკა მეტრეველის ნახვას. გოგონები რომ ამ ძლიერი შემადგენლობის ძლიერი კონკურსანტები იყვნენ, ეს თავიდანვე ჩანდა. ამიტომ პროექტის ფინალიც ლოგიკურია. სოციალურ ქსელებში დიდი ხანია ნუკა გვალიასა და ნინა სუბლატის ფანები ერთმანეთს „ხოცავენ“. ეს ბუნებრივიც არის. ორივე მხარემ კი იცის ის, რომ ერთმანეთის ძლიერი კონკურენტები არიან. გოგონებს ტოლს არ უდებს მესამე კონკურსანტი - მარიკო ლეჟავაც. მისი პოტენციალი შესარჩევი კასტინგიდანვე დასამახსოვრებელი იყო. მოკლედ, 1 ივლისს შთამბეჭდავი ფინალი გველოდება. ამ მუსიკალურ პროექტზე კი იმის თქმა შემიძლია, რომ მართლა გამორჩეული და მაღალი დონის იყო, გინდათ მუსიკალური თვალსაზრისით, გინდათ იმ მასტერკლასებით, რომელიც მსოფლიო დონის ვარსკვლავებმა ჩაატარეს. „საქართველოს ვარსკვლავის“ სახელს დაუკავშირდა იმ დონის მუსიკოსების სახელები, როგორებიც არიან - სტივ უანდერი, Deep Purple, დეჟა გომესი და ბეტ ჰარტი. ამას პროექტის დაწყებამდე ვერავინ წარმოიდგენდა. მთელ შემოქმედებით ჯგუფს - ბრავო! მაყურებელს დიდი საჩუქარი გაუკეთეს, კონკურსანტებს დაუვიწყარი დღეები აჩუქეს და პროექტს დიდი რეიტინგი მოუტანეს.

გოგონებს ფინალში ის სიმღერები შეურჩიეს, რომელთა შესრულებისას, შოუს განმავლობაში, კონკურსანტებმა ყველაზე კარგად წარმოაჩინეს საკუთარი შესაძლებლობები. როკი, არენბი და სოული შთამბეჭდავად გაიჟღერებს. და სამივე კონკურსანტი ერთ სიმღერას შეასრულებს, რომელიც ხელმძღვანელებმა საცეკვაო ნომრით გაამდიდრეს.

პრიზები უკვე ყველასათვის კარგადაა ცნობილი - ბინა და ლონდონში ვოკალურ სკოლაში სწავლა. ამას ემატება ალბომიც. გამარჯვებულის ალბომს „ბრავო რეკორდსი“ გამოსცემს. ეს პრიზი „ბილაინის“ დაწესებულია. ალბომში ხუთი ქავერი და სპეციალურად გამარჯვებულისთვის დაწერილი ხუთი სიმღერა შევა.

„საქართველოს ვარსკვლავის“ მეორე სეზონის ასეთმა წარმატებამ მესამის გაკეთების აუცილებლობა უკვე შვა.

გიორგი ხაბურზანია: - ყველა თანხმდება იმაზე, რომ წელს ამ კონკურსში ყველაზე ძლიერი კონტინგენტი იყო. ყველაზე ძლიერებიდან კი ფინალში სამი საუკეთესო დარჩა. გავარდნილ კონკურსანტებზე გული კი დაგვწყდა, მაგრამ ეს სამეული წლევანდელი „საქართველოს ვარსკვლავის“ წარმატებული სეზონის სახეა. ის არის მაგარი, რომ სამივე ფინალისტი გოგოა. დაე ძლიერმა მოიგოს, ძლიერი კონკურსანტები კი, როგორც აღმოჩნდა, გოგონები არიან.

ამ კონკურსში მთავარი მუსიკა და სიმღერაა. მუსიკალური ხარისხის თვალსაზრისით ფინალში კარგი კონცერტი იქნება. „ბრავო ბენდი“ ძალიან მაგარი ბენდია. მუსიკალურ ნომრებს ორკესტრი ყოველთვის ამდიდრებს. ეს მომღერლისთვის მეტი გამოწვევა და გამოცდილებაა. დიდი სურვილი გვაქვს, რომ ბენდთან სამომავლოდაც ვითანამშრომლოთ, ვნახოთ რა იქნება. საუკეთესო ბენდია და გახარებულნი ვართ, რომ მათთან თანამშრომლობა შედგა.

გვექნება ცეკვის ელემენტებიც. სამი გოგოს საცეკვაო ნომერში არ გამოყენება არ შეიძლებოდა. ისინი მხოლოდ სიმღერაში არ არიან ნიჭიერები, ძალიან ლამაზებიც არიან. ცეკვას აჩიკო სოლოღაშვილი ადგმევინებს. ბედნიერებაა ის, რომ ასეთი კონკურსანტები გვყავს.

პლუსი, რაც ამ შოუს აქვს, არის ის, რომ ყველაფერი თავიდანვე კარგად დაგეგმილი იყო. დეჟა გომესის ჩამოყვანა დავგეგმეთ და ჩამოვიდა. მის გამო სტივ უანდერის ტური კარგად შესრულდა. ირაკლი ჩარკვიანის ტური კარგად რომ გაკეთდა, ეს მისი კარგად დაგეგმვის გამო მოხდა. ისეთი გამოვიდა, რომ მასზე ყველა ლაპარაკობდა. ნინო ქათამაძის ტური მაღალ დონეზე იყო დაგეგმილი. Deep Purple-ის ცოცხალმა ლეგენდებმა ისეთი მასტერკლასი ჩაუტარეს ჩვენს კონკურსანტებს, სხვა ქვეყნების შოუები რომ ინატრებენ. ბოლომდე არ გვჯეროდა, რომ თითოეულ სიმღერას ასე გაარჩევდნენ. ამ მხრივ გაგვიმართლა, იღბლიანები აღმოვჩნდით. ეს იმდენად სპონტანური არ იყო, რამდენადაც

გიორგი ხაბურზანია: „ეს სამეული წლევანდელი „საქართველოს ვარსკვლავის“ წარმატებული სეზონის სახეა“

კარგად დაიგეგმა. დავგეგმეთ ისიც, რომ ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს ორი კვირის შემოსული ზარების თანხა გადაერიცხებათ. ასე რომ, სპონტანური არაფერი არ ყოფილა, ყველაფერი კარგად დაგეგმილი გვქონდა.

- ვეტოს დადებაც დაგეგმილი გქონდათ?

- ვეტოს ამ შოუს ფორმატი ითვალისწინებს, თუმცა კონკრეტულად იმ დღეს არ ყოფილა დაგეგმილი. შარშან ვეტოს გამოყენება არ დაგვჭირდა. წელს კი არხის გადაწყვეტილება არხის ხელმძღვანელმა გაახმოვანა.

- ვეტოს გადაწყვეტილებამ მეორე კვირას ლევან მასპინძელაშვილის ფანები გაანაწყენა. ვეტო რომ არ ყოფილიყო, მარიკო გავარდებოდა და ლევანი გადარჩებოდაო.

- არავის უფლება არ დაზარალებულა. ზარები რომ გაგვეუქმებინა, მაშინ დაზარალდებოდა.

- ყველა ელოდება ნინა სუბლატისა და ნუკა გვალიას დუელს.

- ასეა „ფეისბუქზე“, სადაც არასრული სურათი იქმნება. „ფეისბუქზე“ იმ დიდი აუდიტორიის პატარა ნაწილია, ვინც ჩვენ გვიყურებს. რასაც დავაკვირდი, მაგალითად, თბილისში ყველა ოჯახში რამდენიმე თაობა უყურებს ამ შოუს - ბებია, დედა და შვილიშვილი. შვილიშვილი თუ არის „ფეისბუქზე,“ მათი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ᲤᲘᲜᲐᲚᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲣᲚᲛᲝᲣᲗᲥᲛᲔᲚᲐᲓ ᲕᲔᲚᲝᲓᲔᲑᲘᲗ“

მშობლები და ბებიები არ არიან იქ. ამიტომ ასე ცალსახად ვერ მივუდგებოდი, რომ მხოლოდ სუბლატისა და გვალიას დუელი აინტერესებთ და მარიკო ლეჟავასი - არა. „ფეისბუქი“ არ წყვეტს, ამას ზარები გადაწყვეტს.

- რა იყო ისეთი, რასაც არ ელოდით?

- სტივ უანდერის ზარი იყო აბსოლუტურად მოულოდნელი და შოკი! ცხოვრებაში ვერც წარმოგვედგინა, რომ ოდესმე სტივ უანდერი საერთოდ შეგვიმჩნევდა და საქართველოში ქართულ პროექტს „საქართველოს ვარსკვლავს“ გამოეხმაურებოდა. მისი სიმღერების ტური ზუსტად მის დაბადების დღეს გავაკეთეთ და ზარით მადლობა გადაგვიხადა, რომ მის იუბილეს მისი სიმღერების ტურით ვზეიმობდით. სტივ ვანდერის ეს ქმედება ბოლომდე ვერც კი გავიაზრე. მართლა ძალიან დიდი მოვლენა იყო. ასეთი რამ არც პოლონურ შოუში მომხდარა, არც ბულგარულში. ეს შეიძლება მოხდეს ამერიკაში ან ძალიან დიდ ქვეყნებში, სადაც შეიძლება არ გაუკვირდეთ სტივ უანდერის თანამონაწილეობა. ასევე იყო Deep Purple-ის შემთხვევაში, რაც აჩიკო გულედანის ძალიან დიდი დამსახურებაა. გამოყოფილ დროში გვეგონა, რომ აზრთა გაცვლა-გამოცვლისთვის მხოლოდ პატარა შეხვედრა იქნებოდა. თითოეულ კონკურსანტთან თითო სიმღერას თუ გაარჩევდნენ და გაგვიზიარებდნენ იმას, რაც ჰქონდათ ამ სიმღერებში ჩადებული, ვერ წარმოვიდგენდით. ბრიტანელ პროდიუსერებსაც, ვისგანაც ეს ფორმატი გვაქვს ნაყიდი, ძალიან გაუკვირდათ. Deep Purple-ის ფოტოები და მასტერკლასის ვიდეობი გადავუგზავნეთ, გაოცდნენ, მე მგონი არ სჯეროდათ. ასეთი საერთაშორისო დონის ვარსკვლავები ასეთი პატარა ქვეყნის პროექტს რომ შეიმჩნევენ, ძალიან მნიშვნელოვანია. არც ისეთი რამ მომხდარა, ქავერი გაკეთებულიყოს და მას ვარსკვლავი თავისი ინიციატივით გამოხმაურებოდეს. ბეტ ჰარტმა სუბლატის ნამღერის ვიდეო ჯერ ტვიტერზე და მერე „ფეისბუქზე“ ატვირთა. განსაკუთრებული რამ მოხდა ირაკლი ჩარკვიანის ტურზე. რაც კი პროექტები გვიკეთებია ეს ერთ-ერთი საუკეთესო საკონკურსო კონცერტი იყო. ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ განსაკუთრებული გამოსულიყო. ნიკა რაჭველს ბატონი გელა ჩარკვიანის და ქეთათოს დიდი მხარდაჭერა ჰქონდა. კონკურსანტებიც გვაძლევდნენ საშუალებას და ბენდიც ბოლომდე დაიხარჯა.

მთავარი ის არის, რომ წელს კონკურსანტებში გაგვიმართლა. ის, რომ პროექტი საუკეთესო გამოვიდა, მათი დამსახურებაა, ჩვენ, უბრალოდ, საშუალება მივეცით სწორად წარმოედგინათ თავი. მათში ეს ნიჭი რომ არ ყოფილიყო, მუსიკისადმი სიყვარული და ვოკალური მონაცემები არ ჰქონოდათ, მხოლოდ ჩვენ ვერაფერს გავხდებოდით. ყველა მათგანი მუსიკაზე ბოლომდე იყვნენ შეყვარებული და ზუსტად ამან შექმნა განსაკუთრებული პროექტი.

სოფო ტოროშელიძე: - დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ამ პროექტის მთელ შემოქმედებით ჯგუფს იმისთვის, რომ პროექტის მუსიკალური ხელმძღვანელობა ჩამაბარეს. ამ პროექტით ძალიან ვისიამოვნე.

პირველი დიდი შოკი იყო ბეტ ჰარტის გამოხმაურება. შუაღამეს გიორგი ხაბურზანია მწერს - გილოცავ, ასეთი შედეგი მიიღეო. ჩემ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ამ სიმღერის არჩევაში ჩემი წვლილიც არის. ნინა სუბლატსაც ძალიან უნდოდა ამ სიმღერის შესრულება და მივეხმარე. ყოველ ტურზე ვღელავდი. თვითონაც შემსრულებელი ვარ და ვიცი, როგორია კონკურსზე ნერვიულობა, თავის ხელში აყვანა და შესაძლებლობების მაქსიმუმის გამომჟღავნება. როცა უკვე მუსიკალური ხელმძღვანელი ხარ და ბენდთანაც გიმუშავია, გინდა კონცერტის დღეს მაქსიმალურად კარგად გამოგივიდეს ყველაფერი. ასმაგად ვნერვიულობდი. კონკურსანტები მეუბნებოდნენ, მეორე რიგში დაჯექიო, რამე რომ მომხდარიყო, თვალებში მეყურებინა. ყველას დავუმეგობრდი. რეპეტიციების დროს მეგობრობას ვივიწყებდი, მომთხოვნი პედაგოგი ვარ. რეპეტიციის მერე სიყვარულს ვუხსნიდით ერთმანეთს.

ვამაყობ ამ პროექტით. ასეთი ძლიერი ნაკადი მართლა დიდი ხანია არ ყოფილა ამ ტიპის პროექტში. დიდი გზა გავიარეთ, უზარმაზარი შრომა გავწიეთ ჩვენც და ბავშვებმაც. ფინალს ყველა სულმოუთქმელად ველოდებით.

ზაზა შენგელია: -კარგი და წარმატებული სეზონი გამოვიდა. უპრეცედენტოდ ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა. კონკურსანტებს სერიოზული მასტერკლასები ჩაუტარდათ. ქართულ თანამედროვე მუსიკალურ კულტურას ასეთი დონის პროექტი სამომავლოდ წაადგება. გეტყვით, რომ სამივე გოგონა ჩემი ფავორიტია.

მიშა მშვილდაძე: - ამ კონკურსის ისტორიაში ყველაზე ძლიერი კონტინგენტი აქ იყო. ბოლო ხუთი ტურის განმავლობაში კი ძალიან მაღალი იყო კონკურენცია. ფინალში ღირსეულები გავიდნენ. თან სამი გოგო! ძალიან საინტერესო ფინალი იქნება.

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

„ბრავო რექორდსისა“ და ჯგუფ „ელდრაინის“ უპრეცედენტო პროექტი საქართველოში!

„ახლო მომავალში ავღანეთში ჯგუფის გასვლითი კონცერტი იგეგმება, „ელდრაინი“ თავის პირველ ალბომს, საკონცერტო პრეზენტაციის სახით, ISAF-ის მისიაში მონაწილე საქართველოს და სხვა ქვეყნის ჯარისკაცების წინაშე წარადგენს“.

როკ ჯგუფი „ელდრაინი“ 5 ივლისს სოლო კონცერტს გამართავს. კონცერტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ჩატარდება. ამ კონცერტზე „ელდრაინის“ პირველი CD ალბომის პრეზენტაცია მოეწყობა. ალბომს, რომელიც ანტიტერორისტული თემატიკისაა ჯგუფმა Till The End („ბოლომდე“) დაარქვა... Till The End ავღანეთში ISAF-ის მისიაში მონაწილე საქართველოს და ყველა სხვა ქვეყნის ჯარისკაცს ეძღვნება და მათ მხარდასაჭერად ხორციელდება. ეს ჯგუფ „ელდრაინისა“ და „ბრავო რექორდსის“ ერთობლივი პროექტია... სტუდიური ჩანერა და დიზაინზე მუშაობაც „ბრავო რექორდს“-ში მიმდინარეობდა.

ზაზა შენგელია: - ეს უნიკალური პროექტია იმ თვალსაზრისით, რომ ჯერჯერობით ასეთი მიძღვნები იმ სამხედრო მოსამსახურეებისადმი, რომლებიც ავღანეთში მსახურობენ, არ განხორციელებულა, ეს არის პირველი... ასეთი პროექტის განხორციელება ჯგუფის ნევრების იდეა იყო, „ბრავო რექორდსმა“ კი მხარდაჭერა აღმოუჩინა და მათთან ერთად განახორციელა. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი და არაკომერციული პროექტი. კომპაქტდისკები არ გაიყიდება.

მეორე ეტაპზე იგეგმება „ელდრაინის“ გამგზავრება ავღანეთში. დაახლოებით, ალბათ, ასე 2-3 თვეში. ჯგუფის ავღანეთში გამგზავრება თავდაცვის სამინისტროს მიერ იქნება უზრუნველყოფილი. ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი ეს უშუალოდ სამხედრო ბაზაზე იქნება თუ დედაქალაქში. მაგრამ ეს კონცერტი დასკვნითი სახით მოეწყობა ავღანეთში და ჯგუფის წევრები შეხვდებიან იქ მყოფ როგორც ქართველ, ასევე

უცხოელ ჯარისკაცებს. ისინი იმ კომპაქდისკებსაც გადასცემენ, რომელიც მათ მიუძღვნეს... ყველაზე მეტად ამ ახალგაზრდებს სჭირდებათ გამხნევება. ერთადერთი, რაც სახელმწიფომ (საქართველომ) შეიძლება გააკეთოს, მათთვის არის ძალიან დიდი მხარდაჭერა და თანადგომა. ეს პროექტი ამის ერთ-ერთი გამოხატულება იქნება.

ალბომში 12 ინგლისურენოვანი მუსიკალური ნაწარმოები შედის. ჯგუფის წევრები თავად არიან სიმღერების მუსიკისა და ტექსტის ავტორები. ალბომზე მუშაობის პერიოდში, ისინი მუდმივად ხვდებოდნენ ავღანეთის ომის ვეტერანებს და მათთან საუბრისა და კონსულტაციების შედეგად ქმნიდნენ რეპერტუარს თავიანთი პირველი ალბომისთვის.

სოფო ტოროშელიძე: - საპრეზენტაციო კონცერტისთვის ვემზადებით, ჩვენ ტექსტებზე მუშაობა საკმაოდ სერიოზულად მოგვიხდა. შევხვდით ავღანეთში მებრძოლ ვეტერანებს, მოვისმინეთ რა გადაიტანეს და ეს ყველაფერი ტექსტებში ჩავდეთ. ძალიან იმოქმედა ჩემზე და ჯგუფის წევრებზე მათთან შეხვედრამ. საერთოდ ძალიან მძიმეა, როდესაც თავად ყვები ამ ყველაფერს. რა გადაიტანე და როგორ, ჩვენ გულისყურით მოვეკიდეთ და იმედი გვაქვს, რომ მსმენელსაც სწორად მივაწვდით...

ჯგუფი „ელდრაინი“

Till the end თითოეული ჩვენთაგანის დიდი ხნის ნაფიქრი და ნამუშევარია. იგი ეძღვნება ყველა იმ ქართველ და სხვა ქვეყნის ჯარისკაცს, რომლებიც ISAF-ის სამშვიდობო ოპერაციის ფარგლებში მსახურობენ ავღანეთში და საკუთარი წვლილი შეაქვთ საერთაშორისო მშვიდობის დამყარებაში.

ჩვენი მოკრძალებული ნამუშევრით გვინდა ოდნავ მაინც გაგახალისოთ, გაგამხნევოთ და გითხრათ, რომ ჩვენ და სრულიად საქართველო მუდამ თქვენს გვერდით ვართ. გისურვებთ მხნეობას და წარმატებებს ესოდენ რთულ და ძალზედ საპატიო სამსახურში ქვეყნის წინაშე.

„ბრავო რექორდსი“ და ჯგუფი „ელდრაინი“ მადლობას უხდიან პროექტის მხარდამჭერებს: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს; გენერალურ სპონსორს - კომპანია „გალფს“ და სპონსორს - „ელიტ ელექტრონიქსს“.

ლადო ჯობავა, კომპანია „ელიტ ელექტრონიქსის“ გენერალური დირექტორი: - ელიტ ელექტრონიქსი მოხარულია, რომ საშუალება მოგვეცა ჩვენი წვლილი შეგვეტანა ესოდენ მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებაში, ავღანეთში ISAF-ის მისიაში მონაწილე საქართველოს და სხვა ქვეყნის ჯარისკაცების მხარდასაჭერად... ელიტ ელექტრონიქსი თითოეულ ჯარისკაცს მშვიდობას უსურვებს.

აკაკი ლოდია, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე: -ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია, ISAF-ის მისიაში მონაწილე ჩვენს სამხედროებს მხარდაჭერა სჭირდებათ. იქიდან გამომდინარე, რომ ამ პროექტში ახალგაზრდები არიან ჩართულები, ეს პირდაპირ პასუხობს ჩვენი სამინისტროს პოლიტიკას ახალგაზრდული მიმართულებით, ამიტომ დიდი სიამოვნებით ჩავერთეთ პროექტის განხორციელებაში. მიზანია, ერთი მხრივ, უკვდავვყოთ იმ გმირების სულები, რომლებიც დაიღუპნენ და მეორე მხრივ, რაღაცნაირად გვინდა, რომ იმ ჯარისკაცებს, რომლებიც იქ არიან, თავიანთი ცხოვრება გავუმრავალფეროვნოთ. როგორც ვიცი, ეს ალბომი გავრცელდება, როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

„მარი გოლდი“ ჟურნალისტებთან ერთად

ყველაფერი ერთი წლის წინ, გია ჯაჯანიძის არაორდინარული იდეით დაიწყო. იდეა „მარიგოლდიმ“ აიტაცა. საქორწინო კაბებში გამოწყობილი 30-მდე ჟურნალისტი, პირველად ჭიათურის ქუჩაში გამოჩნდა. მოულოდნელ, უცნაურ და ლამაზ სანახაობაზე ადგილობრივები დიდხანს საუბრობდნენ. ჭიათურას - თბილისი, თბილისს კი, ბოლნისი მოჰყვა. ჩოხებსა და საქორწინო კაბებში გამოწყობილი მედიის წარმომადგენლებისთვის ფოტოსესია ბოლნისის სიონის ტაძარში მოეწყო. რამდენიმე დღის წინ კი ბოლნისში გადაღებული ფოტოები ევროპის მოედანზე გამოიფინა.

გია ჯაჯანიძე, პროექტის ავტორი: „ამ პროექტის იდეა შარშან გამიჩნდა და როდესაც ქალბატონ თამარ ნადირაძეს ვუთხარი, ძალიან მოეწონა. პირველ პროექტს, რომელიც ჭიათურაში განვახორციელეთ, დიდი გამოხმაურება მოჰყვა, ლამაზი სანახაობა გამოვიდა. ანალოგიური პროექტი ბოლნისშიც განვახორციელეთ, სადაც ასევე დიდი მოწონება დავიმსახურეთ... პროექტი გრძელდება. ჩოხებსა და საქორწინო კაბებში გამოწყობილი ჟურნალისტები, ამ პროექტით ყველგან ჩავალთ“.

თამარ ნადირაძე, კომპანია „მარიგოლდის“ დამფუძნებელი: „ამ პროექტში მედიის წარმომადგენლები მონაწილეობენ. ჟურნალისტები, რომლებიც ყოველთვის დგანან კადრს მიღმა. გადავწყვიტეთ, რომ მათთვისაც მოგვეწყო ერთი დღე ისეთი, სადაც მათ არ ეჭირებათ მიკროფონი და არ იქნებიან დაძაბულები. პროექტი რეგიონებზეა გათვლილი. შემდეგი რეგიონი სამეგრელოა, სადაც თეთრ კაბებში გამოწყობილი ჟურნალისტები, ზუგდიდს შემოივლიან, ფოტოსესიას დადიანების სასახლეში მოვაწყობთ. როდესაც მთელს საქართველოს შემოვივლით, გვინდა, რომ ეს პროექტი საზღვრებს გარეთ, ქართველი ემიგრანტებისთვის გავაგრძელოთ“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

Red Bull King of the Rock 2013 - ქუჩის კალათბურთის ყველაზე პრესტიჟული ჩემპიონატი საქართველოში ვახტანგ ქადარიას გამარჯვებით დასრულდა. შედეგად, 28 სექტემბერს, ალკატრასის ციხის ეზოში მსოფლიოს 23 ქვეყნის გამარჯვებულებთან ერთად, პირველი ადგილისთვის ქართველი კალათბურთელი, 23 წლის ვახტანგ ქადარიაც იბრძოლებს. საქართველოს ოფიციალური შესარჩევი ეტაპი 22 ივნისს რაბათის ციხის ტერიტორიაზე გაიმართა. შეჯიბრში ერთმანეთს 64 მონაწილე ერკინებოდა.

ვახტანგ ქადარია: „დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ფინალში მოვხვდებოდი. თუმცა როდესაც ფინალში მოვხვდი, გავიფქრე, რომ შემეძლო ამ თამაშის მოგება და მოვიგე კიდეც. ფინალური თამაში, როგორც დაგეგმილი მქონდა, ისე ვითამაშე, ძალიან რთული იყო, მაგრამ გავიმარჯვე. საქართველოს სახელით ვითამაშებ ალკატრასის ციხის ეზოში მსოფლიოს 23 ქვეყნის გამარჯვებულებთან ერთად. მაქსიმალურად დავიხარჯები და ყველანაირად ვეცდები, რომ ჩვენი ქვეყანა ვასახელო“.

Red Bull King of the Rock 2013-ის ქართველი გამარჯვებული

The SANDA-ს საპროტესტო კონცერტი „დივანში“

„ვეპატიჟებით ყველას, ვისაც არ სჯერა, რომ თბილისში არის კარგი ჯგუფი, დასავლური ჟღერადობით, რომელიც ქმნის საკუთარ სიმღერებს და ძალიან მაღალ დონეზე ასრულებს“- აცხადებს ჯგუფი The SANDA და საპროტესტო აქციას აგრძელებს. ამჯერად ჯგუფი კონცერტს კლუბ „დივანში“ მართავს და მელომანებთან ერთად კონცერტზე ჟურნალისტებსაც იწვევს, ხოლო მათ, ვისაც გემოვნებიან მუსიკასა და პროფესიონალიზმის არდაფასებაზე გული შესტკივა, მოუწოდებს, რომ ამ აქციას შეუერთდეს.

ნათია ნამგალაური, ჯგუფ The SANDA-ს წევრი: „ჩვენ ვმართავთ საპროტესტო კონცერტს და ისევ ვაცხადებთ, რომ ბოლო უნდა მოეღოს დისკრიმინაციასა და ძალადობას ქართულ თანამედროვე მუსიკაში. არ უნდა ხდებოდეს ცალკეული მუსიკოსების დაბლოკვა. კონკრეტული პიროვნებების სუბიექტური აზრის ზეობა და ამ პრინციპით მუსიკოსების ლობირება! ვეპატიჟებით ყველა იმ მუსიკოსს, ვინც გრძნობს, რომ იზღუდება მისი უფლებები, ასევე ყველა ჟურნალისტს, ვინც არ იცნობს ქართული თანამედროვე ჟღერადობის ჯგუფს, რომელიც 20 წელია არსებობს და აქტიურად მოღვაწეობს“. The SANDA-ს საპროტესტო კონცერტი „დივანში“

პაატა ბურჭულაძე 35 წელი სცენაზე

მსოფლიო ბანს, პაატა ბურჭულაძეს, წელს სცენაზე ყოფნის 35 წელი უსრულდება. 9 ივლისს ქართველ მსმენელს მისი შესრულებით რამდენიმე შედევრის მოსმენის საშუალება მიეცემა. ამ თარიღის აღსანიშნავად თბილისს ეწვევა ლეგენდარული მაესტრო იური ტემირკანოვი და სანქტ-პეტერბურგის ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრი, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა...

ამ დღეს კიდევ ერთი თარიღი აღინიშნება, ფონდი „იავნანა“ მეოთხმოცე ოჯახს მოიწვევს სცენაზე, სახლის გასაღები 9 ივლისს სოციალურად დაუცველ 4 ოჯახს გადაეცემა.

„პაატას საოცრად ლაღი ხასიათი აქვს, ძალიან მხიარული, არ მახსოვს, როდესმე ცუდ ხასიათზე ხანგრძლივად ყოფილიყო, ის არის ადამიანი, რომელიც ბედნიერებას ასხივებს“ - ასე ახასიათებს მომღერალს, ფონდ „იავნანას“ სამხატვრო ხელმძღვანელი თეო ჯორბენაძე.

მონაკოს პრინცი ალბერტი
სამეფო ოჯახით

ესპანეთის დედოფალი
სოფია ბარსელონას
სოპერო თეატრ ლიცეუში

თეო ჯორბენაძე: - ამ დღეებში მის არქივს კიდევ ერთხელ შევეხე და მართლაც საოცარია, ეს ყველაფერი ზღაპარს ჰგავს, რომლის მიღმაც, რა თქმა უნდა, დიდი ტალანტი და შრომაა, მაგრამ როგორც თავად ამბობს ხოლმე, იღბალმა გადამწყვეტი როლი ითამაშა. სხვა ყველაფერთან ერთად წარმოიდგინეთ მეფის პარტიების შესრულება ლა სკალას, მეტროპოლიტენის, კოვენტ გარდენისა თუ ბარსელონას ლისეუს სცენაზე და შემდეგ პირადად მეფეებისა და დედოფლებისგან, სხვადასხვა ქვეყნის პირველი პირებისგან, შთაბეჭდილებების მოსმენა და მილოცვების მიღება, ზღაპარია აბა, რა არის?!

ბედნიერებაა, რომ ბანები ყველაზე დიდხანს ძლებენ სცენაზე, ისე რომ ხარისხს არაფერი აკლდება, ანუ დანარჩენ საოპერო ხმებთან შედარებით მათ ყველზე ხანგრძლივი კარიერა აქვთ. როდესაც პაატას შესრულებით რომელიმე არიას ვისმენ ან რომელიმე საინტერესო პროექტზე ვმუშაობთ, მეც ძალიან იღბლიანად მივიჩნევ ჩემს თავს, რომ ასეთი რანგის ხელოვანისა და ადამიანის გვერდით ვარ. 9 ივლისს დიდი დღესასწაული ელოდება ჩვენს მსმენელს, ლეგენდარული მაესტრო იური ტემირკანოვი და მისი ორკესტრი კიდევ ერთხელ მიიღებს „იავნანას“ აქციაში მონაწილეობას.

- მუშაობის დროს როგორია?

თეო ჯორბენაძე: - ძალიან საინტერესო და დემოკრატიული, კლასიკისაგან ყველაზე შორს მგდარი იდეა და ჟანრი შეიძლება გახდეს მისთვის მისაღები თუ იგრძნობს, რომ ეს ნიჭიერებაა, უგემოვნობასა და უნიჭობასთან უჭირს ურთიერთობა:) პაატა აბსოლუტურად ანგრევს ჩვენში დამკვიდრებულ წარმოდგენას შემოქმედ ადამიანზე. ქართველების ხედვა ისეთია, რომ თუ ადამიანი ნიჭიერია მას უნდა ეპატიებოდეს მძიმე ხასიათი, დაგვიანება, საქმის არშესრულება, ბევრი რამ, ბოჰემურად უნდა ცხოვრობდეს. პაატა აბსოლუტურად საპირისპიროა. საოცარი პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს და საოცრად მოწესრიგებული ადამიანია, მისი ნიჭი ძალიან სწორად არის გადანაწილებული ყველაფერში.

- გაბრაზება თუ იცის, რაზე შეუძლია რომ გაბრაზდეს?

- უსამართლობაზე, მაგრამ მორწმუნე ადამიანია და მიტევების საოცარი უნარი აქვს. პაატას არ შეუძლია, ვთქვათ, ვინმემ აწყენინა, ამაზე დიდი ხანი იფიქროს. წყენაზე და ნეგატიურ ამბავზე არასდროს ჩერდება, რამდენიმე წამში იწყება ახალ საქმეზე ფიქრი და გადართვა კარგზე, მიტევების ძალიან დიდი უნარი აქვს და მეც ძალიან ბევრი რამ ვისწავლე მისგან...

თითქოს თეონა ჯორბენაძეს პასუხობს, ჩემს არქივში აღმოჩენილი რამდენიმე ხნის წინათ ჩაწერილი პაატა ბურჭულაძის სიტყვები...

პაატა ბურჭულაძე: „თუ ადამიანი მიხვდება იმას, რომ შენი ცხოვრების აზრი იმაშია, რომ ამ ქვეყნად შენი ყოფნით სხვაც ასიამოვნო, მაშინ ბედნიერი კაცი ხარ. გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, იმიტომ რომ კაცმა არ იცის, ხვალ რა ხდება. შევიყვაროთ ერთმანეთი. შეუძლებელი აქ არაფერია.

- თუ ღელავთ ხოლმე სცენაზე გასვლის წინ?

- ყველაზე მეტად ის დღე მაშინებს, როცა სცენაზე გასვლის წინ არ ვნერვიულობ... ყოველთვის უნდა ინერვიულო სცენაზე როდესაც გადიხარ. ძალიან იშვიათად, მაგრამ მქონია, რომ ყოველგვარი ნერვიულობის გარეშე გავსულვარ. ეს ძალიან საშიშია. ეს იმას ნიშნავს, რომ ან გადაღლილი ხარ სცენაზე გასვლით, ან ვერ აფასებ იმ სიტუაციას და შენთვის სცენა ხდება ყოველდღიური ცხოვრება. ამიტომაც მაშინებს, ხოლო როდესაც ღელავ, გსიამოვნებს და გრძნობ, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

– ადამიანები ზოგჯერ განიცდიან წლების მატებას, არიან ისეთებიც, ასაკს რომ არ ამხელენ ხოლმე, ასეთ ადამიანებს ხშირად სიბერის შიში აქვთ, თქვენთვის რა არის ყოველი დღე და წლების მატება?

– ჩემთვის ყოველი დღე არის ცხოვრების სწავლა, დღემ უაზროდ არ უნდა ჩაიაროს. თუ გაიაზრებ, არ არსებობს დღე, რომელიც რაღაც ახალს არ გასწავლის. ამიტომაც არის, რომ თავისი შინაარსით ყოველი დღე უნიკალური და განუმეორებელია. და რაც მეტი დრო გადის, მით მეტად ხვდები, რომ ცხოვრება დაფიქრებაა და არა დროსტარება ან სადმე კარგ კურორტზე დასვენება, საუკეთესო რესტორანში ვახშმობა და სხვა.

– თქვენს პროფესიაში როგორ არის, რა მოაქვს ასაკს?

– პროფესიაშიც ასევეა, რაც უფრო მეტხანს ხარ სცენაზე, მით უფრო მეტად ხვდები, რამდენი უნდა იმეცადინო, რამდენი რამ გაქვს სასწავლი, სხვაგვარად გაჩერდები და უკან სვლას დაიწყებ. წელს სასცენო მოღვაწეობის 35 წელი შემისრულდა და ახლა ვხვდები, რამდენი რამ მაქვს კიდევ სასწავლი...

– ვინ იყო და არის თქვენთვის სამაგალითო მომღერალი?

– ლუჩანო და არა იმიტომ, რომ კარიერის დასაწყისში დიდი თანადგომა გამინია. ასეთი არტისტი, ვფიქრობ, არც ყოფილა და არც იქნება. შესაძლოა, ბევრს ჰქონდეს საუკეთესო ხმა, მაგრამ უკეთესი მომღერალი ასე მგონია, ვერავინ იქნება. პავაროტი, უპირველესად, დიდი პიროვნება იყო და უდიდეს ადამიანურ სითბოს ასხივებდა.

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

მხატვარი, რომელიც სამშობლო

my View
დეა თავგერიძე

ამერიკაში ცხოვრება, დაპირებული ფუფუნების ნაცვლად, შიმშილით დაიწყო... არადა კონტრაქტი საუკეთესო პირობებს სთავაზობდა. ბინით, სტუდიით, თარჯიმნით უზრუნველყოფილს, არც გამოფენების მოწყობაზე უნდა ეზრუნა და არც ალბომების გამოცემაზე. კონტრაქტი მანქანით მომსახურებასაც ითვალისწინებდა.... თუმცა, მშობლიურ მიწას მოწყვეტილი მხატვარი სხვაგვარ რეალობას შეეჩეხა... დაპირებული დიდების სანაცვლოდ ტყვეობა და შიმშილი მოუხდა... იყო დღეები, როცა პურს ნატრობდა... და მაინც ყველაზე დიდ შვებას ხატვაში პოულობდა... მოგვიანებით ავტობიოგრაფიულ წიგნში იტყვის კიდეც: „ცხრადღიანი შიმშილობისას დავასრულე სურათი „გზა ტაძრისკენ“... ეს იყო მანამ, სანამ გზას გაიკაფავდა... სანამ კოლექციონერები გამოჩნდებოდნენ, მათ შორის სახელგანთქმული ნორტონ დოჯი... „მათ ჩემი „ფარშევანგი გაშლილი კუდით“ შეიძინეს ამ სურათში აღებული ფულით 2 წელი ვიცხოვრეთ,- იტყვის მოგვიანებით... დღეს კი მისი ნამუშევრები ამერიკის საუკეთესო მუზეუმებს ამშვენებს...

ეს მხატვარი ვლადიმერ (ვოვა) კანდელაკი გახლავთ. რომელსაც პრესამ და ტელევიზიამ შეერთებული შტატების ხელოვნების მოყვარულთა დიდი აღიარება მოუტანა... მისი ნამუშევრები კი ნიუ-იორკის, ვაშინგტონის, ფილადელფიისა და ატლანტის პრესტიჟულ მუზეუმებში გამოიფინა... საბოლოოდ კი, აშშ-ში რამდენიმე თვით მიწვეული მხატვარი, ფილადელფიაში საცხოვრებლად 23 წელი დარჩა...

როგორც ამბობს, საქართველოში პატრიარქის სიტყვებმა დააბრუნა... იანვარში, როცა სამებაში ვოვა კანდელაკის ნამუშევრები გამოიფინა, უწმინდესმა თქვა - გენიალური მხატვარია, რომელსაც სამყაროს თავისებური და საოცარი ხედვა აქვს... ის საქართველოს სჭირდება...



„ბიძგი უწმინდესმა მომცა, ჩამოიტანე ნახატები და ჩამოდიო. დაცული ვარ, გამიხარდა“

ვოვა კანდელაკი: - ბიძგი უწმინდესმა მომცა, ჩამოიტანე ნახატები და ჩამოდიო. ვაშინგტონი, ფილადელფია, ნიუ-იორკი, ყველგან, სადაც კი იყო ჩემი ნამუშევრები შევკრიბე და წამოვედი. გზაში, ძალიან დიდი ზომის 2 ნახატი დავკარგე. ფოიედან მოიპარეს. ჯერ გავიფიქრე გავგიჟდები-მეთქი, მერე კი მივხვდი, სულერთი იყო, ოღონდაც წამოვსულიყავი... ძალიან კი გამირთულდა, 5 უშველებელი ყუთი იყო. წონით 2,5 ტონა გამოვიდა. დიდი ზომის 3-4 მეტრიანი ნამუშევრები, დაშლა არ გამოდიოდა... მართალი გითხრათ, დავიტანჯე. ჩემს ასაკში რთულია...

- როგორც ჩანს, დიდხანს ელოდით წუთს, როცა საბოლოოდ დაბრუნდებოდით, აქამდე რატომ არ აკეთებდით ამას?

- ალბათ, არ იყო ჩვენთან ისე აწყობილი საქმე... ახლა კი ივანიშვილი მოვიდა და იმედიც გაჩნდა... მეცენატი კაცია, ეს არის პლუსი. მანამდე გვყავდა ჩვენ მეცენატი მთვაროობაში? მგონი არა. პატრიარქის სიტყვაც ბევრს ნიშნავს ჩემთვის. აქ როცა დავბრუნდი, ვიფიქრე რა ვუყო ნამუშევრებს, სად შევინახო?... ჩემთან შეინახეო, - მითხრა პატრიარქმა. მეგონა რაღაც ადგილს მომცემდა შესანახად. როდესაც უზარმაზარი დარბაზი დავინახე, გავოცდი. ყოფილი საკონფერენციო. პარკეტით მოპირკეთებული. ახლა ჩემი ძირითადი ნამუშევრები იქ არის და მშვიდად ვარ. ეს ძალიან დიდი პატივია, მადლობა უწმინდესს ამისთვის... უნდა გენახათ, როგორ ეფერებოდა ჩემს ფარშევანგებს. უწმინდესიც ხომ ხატავს. ტექნიკამაც დააინტერესა. ხელებით ეხებოდა, - როგორც ცოცხალი ისეთია. რით გააკეთეო? - უფუნჯოდ არის გაკეთებული, მასტერხინით.

- როდისთვის გეგმავთ გამოფენას, რომ ქართველმა დამთვალიერებელმაც ნახოს ის, რაც საქართველოში ჩამოიტანეთ?

- გამოფენა 26 აპრილს უნდა ყოფილიყო და ჩაიშალა, ვერ მოვასწარი. მე 23-ში ჩამოვედი, საბაჟოზე ერთი დღე დავკარგე, მერე შეფუთულს გახსნა და აწყობა უნდოდა. არადა ხელოვნების მუზეუმში უნდა გამოფენილიყო ჩემი ნამუშევრები, არ გამოვიდა, ჩაიშალა, რაზეც გული ძალიან მწყდება... 4 ივლისს კი „ოქროს ფრთა“ აწყობს დაჯილდოების ცერემონიალს, სადაც რამდენიმე ნამუშევარს აუცილებლად გამოვფენ. სამწუხაროდ, ეს არ იქნება 100, მაგრამ იქნება 20 ან ცოტა მეტი...

- ახლა რაზე მუშაობთ?

- ბევრი სტრესი მივიღე და სამწუხაროდ ჯერ არა ვარ ფორმაში. ყველაფერმა იმოქმედა, გამოფენის ჩაშლამაც... ხალტურა არ მიყვარს, ხალტურშიკი არა ვარ... პატრიარქმა თავისი მშობლების დახატვა მთხოვა... ნახეთ, ეს ფოტოები, ძველისძველია, კომპიუტერით აღვადგინე... ეს დიდი პასუხისმგებლობაა და რთული საქმეა. ჯერ გონებაში ვმუშაობ... მერე სოფელში უნდა ავიდე, საგვარეულო კოშკი უნდა დავხატო, მინდა სერია გაკეთდეს ამ თემაზე. არ გამოვა ერთ ნამუშევარში იმის ასახვა, რაც ჩაფიქრებული მაქვს... ეს ჩემი თემაა... გინახავთ ჩემი ნამუშევრები? ნაციონალურ ხასიათში მაქვს. ფაქტობრივად მე უკვე ამ თემაზე ვმუშაობ, მაგრამ არა ტილოზე. ჩემს გონებაში... ჩემი თემა კი არის, მაგრამ მაინც რთულია. საქმე უწმინდესს ეხება...

- ყოველ ნამუშევარს სჭირდება წინამოსამზადებელი პერიოდი?

- რა თქმა უნდა... მე სერიოზული მხატვარი ვარ და ასე ვმუშაობ. ისე, უბრალოდ, არ გამომდის... ეტიუდზე შეიძლება, უცებ დაჯდე და დახატო... სხვას კი ფიქრი სჭირდება... როცა ხატვას ვიწყებ და ვმუშაობ მაშინ უკვე არაფერი მაინტერესებს, გათიშული ვარ, მუშაობის პროცესში მთლიანად ვწყდები გარესამყაროს... სწორედ მაგ დროს ვკარგავ ბევრ რამეს... მაკოტრებენ... მძარცვავენ... მღალატობენ... ორდენების ჯილდოებისა და ლაურეატობის მაგიერ, გაძარცვა, გაკოტრება, ლანძღვა და ღალატი მხვდა წილად... ყველა მხრიდან... გავლილი მაქვს ეს ყველაფერი...

- ვინ გძარცვავდათ?

- ყველა... მათ შორის კოლექციონერებიც... იქ ბევრისთვის „პრიმანკა“ ვიყავი. ჩემზე ნადირობა იყო გამოცხადებული. მუქთად უნდოდათ ნახატების წაღება, მატყუებდნენ. ვიკეტებოდი, არავის ვუშვებდი. შემოგთავაზებდნენ რაღაცას. წაიღებდნენ ნამუშევარს და მერე იმდენს არ გიხდიდნენ რაც გეკუთვნოდა. ამიტომ მარტო ნორტონ ჯონთან მქონდა საქმე, მაგის მჯეროდა და ამ მხრივ, ყოველთვის იყო წესრიგი.

ნორტონ დოჯი ყველაზე მაგარი და სახელგანთქმული კოლექციონერი იყო. არავის უხდიდა იმდენს, რამდენსაც მე. გიჟდებოდა ჩემს ნამუშევრებზე. მისი ფავორიტი ვიყავი. ჩვენი ნაცნობობა და შეხვედრა ჩემი ამერიკაში ჩასვლიდან ექვსი წლის შემდეგ შედგა. თავისით მომაგნო. რუსული გალერეა იყო ფილადელფიაში და იქ იკითხა, სად ცხოვრობსო. დაათვალიერა ჩემი ნამუშევრები, რამდენიმე ამოარჩია და ჩეკებით გადახდა დააპირა. უარით გავისტუმრე. მანამდე გაფრთხილებული ვიყავი, ჩეკებით ნამუშევარი არ გაყიდო, სახიფათოაო. არც ვიცოდი კონკრეტულად ვინ იყო და ასე გავუშვი. 2 დღეში ისევ ჩამოვიდა და თანხა ჩამოიტანა. მოგვიანებით მივხვდი ვინ იყო ჩემთან. მას შემდეგ ფაქტობრივად ნორტონ დოჯის მფარველობის ქვეშ ვიყავი... მაგრამ მოტყუებული დავრჩი ჩემს ქვეყანაშიც... იმ საუკუნიდან სასამართლოში გრძელდება ჩემი საქმე. ჯერჯერობით არ მიბრუნებენ იმას, რაც ნამდვილად მე მეკუთვნის... მდივანმა ქალმა გამძარცვა, ჩემს ბინაში შევიდა და მიისაკუთრა... 1998 წელს კი საქართველოში პატრიოტული ფონდი გავხსენი „საქართველოს კულტურის აღორძინება“ და გამაკოტრეს. მერე მუზეუმს ვაშენებდი ღია ცის ქვეშ, ამ მუზეუმში ჩემი კოლექცია უნდა განთავსებულიყო. 200 000 წამართვეს და ეს ამბავიც ამით და-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ს 23 წლის შემდეგ დაუბრუნდა

„ყველას ეჭვის თვალით ვუყურებდი... ადამიანების ნდობა დავკარგე“...

exclusive

მოწვევა დღესაც მაქვს უცხოეთიდან... არის იაპონია, შვეიცარია, მაგრამ მორჩა, საკმარისია, ფეხს არ გავადგამ არსად. მეყო. აქ მინდა მოვკვდე... მომბეზრდა იქ ყოფნა... საერთოდ რა მინდოდა იქ არ ვიცი, ალბათ, უფრო ტანჯვა იყო. ბოლოს ფაქტობრივად ბერივით ვცხოვრობდი, ჩავიკეტე... მანამდე კი სტუმრიანობას ხშირად მოსდევდა ჩემი ნამუშევრების დაკარგვა... იმდენჯერ გამძარცვეს და მიღალატეს, ადამიანებისადმი ნდობა დავკარგე... ბოლოს ტელეფონზე მეხარჯებოდა უამრავი თანხა, ვრეკავდი და ბიჭებთან ტელეფონით ვსვამდი... პახმელიაზე კი მოდიოდა ანგარიში საოცარი თანხით... იმდენს ვრეკავდი ბიჭებმა „ნაშ სალავეი“ დამარქვეს....





მთავრდა... რას ფიქრობდნენ არ ვიცი, ჯერ მომაწყვეთ, დამსვით, კუთხე მომეცით, მახატინეთ და მერე გამძარცვეთ... წააგეს...

- როგორც ვიცი, ძველებურ ნივთებსა და იარაღებს აგროვებთ და კარგი კოლექციონერი ხართ...

- საქართველოს მთები მთლიანად მოვლილი მაქვს. იარაღის სიყვარული, ალბათ, ყველა ქართველში ზის. ჯეელობიდან ვაგროვებ... კავკასიური იარაღის პირველი კოლექციონერი ვარ... დაახლოერბით 2000-მდე იარაღი იქნება. ასევე მაქვს უნაგირები, ქამრები, ძველებური ხანჯლები და ხმლები, მუსიკალური ინსტრუმენტები, საგვარეულო ყანწებიც... ჩემი იარაღები ქარვასლაში და ღია ცის ქვეშ მუზეუმში ინახება. არც გამიტანია, პირიქით, იქიდან ჩამომქონდა. მინდა 11 სექტემბრისთვის ამ კოლექციის ჩვენება მოვაწყო. ბევრ ისეთ რაღაცასაც ვაგროვებდი, რაც ჩემს კოლექციაში არ შედის. იარაღების გამოფენა ქარვასლაში იყო 5 წელი. იმერეთი, ხევსურეთი, სამეგრელო... ყოველი კუთხე მქონდა მოწყობილი, მისი ტრადიციული სამოსით, ყოველ კუთხეს, კოლაჟური სურათი ამშვენებდა.

- ვხედავ, რომ თქვენს ნამუშევრებში ის ნივთებიც იჩენენ თავს, რომლებიც კოლექციაში გაქვთ...

- კი, სულ ვაგროვებდი ამ ნივთებს. მთელი ცხოვრების მანძილზე, მერე ვხატავდი, ჩემს კოლაჟებსა და პოპარტებში ვიყენებდი... ისინიც მუშაობის სტიმულს მაძლევდნენ... ძალიან მიყვარდა სოფელი... აი, ის კრამიტებიანი, არა ისეთი როგორიც ახლაა, „ნერჟავენკიანი“. ძალიან შეიცვალა სტილი. ამას წინათ ხევსურეთში ავედი.... მიტოვებულია, კაციშვილი არ არის... წინათ ყანები ბიბინებდა ლამაზად... მოვასწარი ამის ნახვა, და დავაფიქსირე კიდეც ჩემს ნამუშევრებში ბევრი რამ... სულ ფეხით მაქვს შემოვლილი თუშეთი და ხევსურეთი, მაშინ ის ტრადიციული წესებიც იყო შემორჩენილი...

ვლადიმერ კანდელაკის შემოქმედება, ჟანრობრივი და თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ათვალიერებ მის ნამუშევრებს და ხვდები, რომ მხატვარი ზღაპრულ სამყაროში გადაყვანის დიდოსტატია. ნანკონფორმისტული მხატვრობა განასხვავებდა მას საბჭოთა მხატვრებისგან. მის მიერ შექმნილი ვარიაციები სხვადასხვა დეტალით არის გამდიდრებული. კონკრეტულ საგნებს კი სიმბოლურ დატვირთვას ანიჭებს... ამბობს, ჩემს მხატვრად ჩამოყალიბებაში მთავარი „დამნაშავე“ მამა და ჩემი პედაგოგები არიანო...

ვოვა კანდელაკი: - თბილისში, ვერაზე გავიზარდე, ბავშვობიდან ვხატავ, მამა მხატვარი იყო, გრაფიკოსი, ძირითადად კარიკატურებზე მუშაობდა. ხშირად ვუყურებდი, როგორ ხატავდა, ალბათ, ხატვის სურვილიც აქედან გაჩნდა. მერე კარგი პედაგოგებიც მყავდა: სერგო ქობულაძე, უჩა ჯაფარიძე, აპალონ ქუთათელაძე. ვასილ შუხაევი...

მასწავლებელს, სერგო ქობულაძეს, დაუფასა კიდეც ამაგი. ამის შესახებ და თავად ვოვა კანდელაკის წვლილსა და დამსახურებაზე აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე ერთ-ერთ წიგნში წერს.

მარიამ ლორთქიფანიძე: - მართალია მხატვარი აშშ-ში ცხოვრობს, მაგრამ არ ივიწყებს თავის სამშობლოს და ცდილობს შეძლებისდაგვარად დაეხმაროს მას. ამის დასტურია: ქართული კულტურისადმი მიძღვნილი ინგლისურენოვანი წიგნის დაფინანსება. სამხატვრო აკადემიის სტუდენტებისთვის სტიპენდიის დანიშვნა. პედაგოგებისთვის პრემიების დაწესება. განსაკუთრებით სერგო ქობულაძის „ოქროს კვეთის“ თეორიისადმი მიძღვნილი წიგნის გამოცემა. დიდი ქართველი შემოქმედი სერგო ქობულაძე მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა „ოქროს კვეთის“ პრობლემაზე და ამ ნაშრომის გამოცემა მისი აუხდენელი ოცნება იყო. მადლიერმა მოწაფემ მასწავლებლის ხსოვნის წინაშე ამით მოიხადა ვალი, და არა მხოლოდ მასწავლებლის ხსოვნის წინაშე. აღნიშნულ ნაშრომს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის ისტორიისთვის. ვლადიმერ კანდელაკის შემოქმედება იმის დასტურია, რომ ის მყარად დგას ეროვნულ ნიადაგზე და ღრმად აქვს ფესვები გადგმული მშობლიურ მიწაში.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რობიკო სტურუა და მარი

my View
დეა თავგერიძე

„ძვირფასო მაყურებლებო, უნდა გაგაფრთხილოთ, რომ აქ ძალიან ცოტა ხალხი ეტევა, სულ რაღაც 185 ადამიანი. სპექტაკლიც ისეა დადგმული, რომ სივრცე მთლიანად დაკავებულია. ამიტომ ზუსტად 185 კაცი უნდა იყოს. რადგან უფრო მეტი სპექტაკლს ხელს შეუშლის“, - ასე აფრთხილებს მაყურებელს რობიკო სტურუა და მათთან შესახვედრად კვლავ ემზადება. შეხვედრა ახალ თეატრში, ახალი სპექტაკლით შედგება... ახალი თეატრი კი რობიკო სტურუას ცხოვრებაში მას შემდეგ გაჩნდა, როცა რუსთაველის თეატრს დაამშვიდობეს, მაშინ ეს ბიძინა ივანიშვილის საჩუქარი იყო თეატრიდან გაძევებული რეჟისორისთვის.

რობიკო სტურუა: „თეატრს, - თეატრი-ფაბრიკა დავარქვით, რადგან აქ ისტორიული ფაბრიკა იყო, ჯერ „ზინგერის“, მერე აბრეშუმის... პრაქტიკულად ეს კულტურული ცენტრი ახლა იხსნება, პირველი პრემიერაა... „მარია კალასი გაკვეთილი“, - ეს არის ტრაგიკომედია... ტერენს მაკნელის ამ პიესაში ძალიან ბევრი იუმორია. მარია კალასი არაჩვეულებრივი იუმორის პატრონია, თავადვე იძახის ამ პიესაში, ჩემი იუმორი ცოტა ძნელი გასაგებია, მაგრამ ზოგი ხვდებაო... მე იმ რეჟისორების რიცხვს ვეკუთვნი, რომლებიც ფრთხილად ეპყრობიან დრამატურგს. ერთადერთი, რასაც ჩავდივარ, ეს პიესის შემცირებაა. ტექსტი არ იცვლება, ხოლო რაც შეეხება დადგმას ეს უკვე ჩემი ნებაა, როგორ დავდგამ...

- რატომ მარია კალასი?

- ამ გამძვინვარებული პოლიტიკის პერიოდში არ მინდოდა ამეღო პიესა, რომელიც პოლიტიკას შეეხებოდა... მარია კალასი უნიკალური ნიჭის პატრონი იყო. შეიძლება ითქვას, რომ მუსიკალურ სამყაროს ასეთი მომღერალი არ ჰყოლია. მაგრამ, როცა ასეთი ნიჭი გაქვს, უსათუოდ კარგავ პირად ცხოვრებას, ბედნიერებას, რადგან მთლიანად უნდა შეეწირო ხელოვნებას. ეს არის უკვე ტრაგედია... ის ბედნიერი არ წასულა ამ სამყაროდან. თავად ამბობს, - ჩემმა ხმამ ყველაფერი წამართვაო... თუ შენ სერიოზულად ეწევი რაღაც საქმეს, შენგან უსათუოდ სჭირდება მსხვერპლი. თამაშით არაფერი გამოდის... აღმოჩნდა, რომ ამ გენიალურ ქალსაც ჰყავს მტრები. მისი კოლეგები, რომლებიც თითქოს არც კი ამჟღავნებენ შურს, მაგრამ ხელს უშლიდნენ მას და მიიყვანეს კიდეც იმ მდგომარეობამდე, რომ ძალიან ადრე დაკარგა ხმა...

- მაშინ, როდესაც ნაწყენი იყავით იმის გამო, რომ რუსთაველის თეატრიდან გაგიშვეს, ამ დიდი ტკივილის ფონზე რამდენად რთული იყო მუშაობის პროცესი?

- ჯერ ერთი, დავიწყებ იქედან, რომ ნაწყენი არ ვიყავი, მე ძალიან კარგად წავედი რუსთაველის თეატრიდან. მე ახლა ვარ ნაწყენი საკუთარ თავზე, რომ ასე დავბრუნდი. ჯობდა არ დავბრუნებულიყავი...

- რატომ?

- იმიტომ რომ ლამაზად წავედი... არ ვუღალატე რუსთაველის თეატრის ტრადიციებს, საიდანაც ხალხს აგდებდნენ, ჩვენს თეატრში ყველა სამხატვრო ხელმძღვანელი გაგდებულია, ერთი დახვრიტეს. კიდევ კარგი, რომ მე გადავრჩი... დაბრუნება, ნიშნავს, რომ რაღაც ახალი უნდა დავდგა, ახალი, არა როგორც სპექტაკლი, არამედ როგორც სტილი და ეს უკვე რთული ამოცანაა, ამის შესაძლებლობები შეიძლება ითქვას, რომ მე არა მაქვს. 75 წლის კაცი ვარ უკვე, აი, წელკავიც დამემართა.

- ასაკს უსვამთ ხაზს და იმიზეზებთ, სიახლეს მაყურებელს ვერ შევთავაზებო, თუმცა სრულიად განსხვავებულ სივრცეს კი სთავაზობთ... მსახიობების თქმით, რთულია თამაში, როცა ყოველი მხრიდან მაყურებელი აკონტროლებს, თქვენთვისაც რთული იყო მუშაობა?

- მაყურებელმა არ უნდა იგრძნოს დაჩაგრულად თავი, ზის აქ და უნდა დაინახოს ყველაფერი. მით უმეტეს ისეთი ადგილები, რომელიც მნიშვნელოვანია სიუჟეტისთვის... აზრისთვის... ცოტა ძნელი იყო. მე კი მიჩვეული ვარ ასეთ სივრცეში მუშაობას. სატრაბახოდ არ ვამბობ, მაგრამ ლონდონში ზუსტად ასეთ სივრცეში დავდგი „ჰამლეტი“, ამიტომ რაღაც გამოცდილება უკვე გვქონდა, მაგრამ აქ, ცოტა არ იყოს, მაინც გაგვიჭირდა. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ძალიან რთული იყო... ამ სპექტაკლზე მუშაობის დროს, რომ შეაჯამო, ეს არის მაქსიმუმ სამი თვე. რაც შეეხება ჩემს ასაკს, აქ მარია კალასი ამბობს, მე დავიბადე ათას ცხრაას ოცდა... მერე ჩერდება და ამბობს, ნუ ეს სხვა სამყაროში იყო უკვეო... მე არ ვეკუთვნი ისეთ ადამიანებს, რომლებიც ასაკს მალავენ. 75 წლის ვხდები. დაბადების დღეს გადავიხდი და მერე ვნახოთ...

- ვნახოთ რას ნიშნავს? თეატრის მიტოვებას ხომ არ აპირებთ?

- ნუ, ახლა როგორ მივატოვებ, ამოდენა თეატრი ავაშენე... ჩემ გამო გაიხსნა ეს თეატრი, ბატონმა ბიძინამ ხელი გამომიწოდა იმ ძნელ ჟამს, როცა მე თეატრიდან გამაგდეს. ახლა, ტყუილად ხომ არ ავაგებდით ამოდენა დარბაზს. ამიტომ რაღაც გეგმები მაქვს სამომავლოდ, მაგრამ ჯერ კიდევ ვფიქრობ. ახლა ვერ გეტყვით...

- რუსთაველის თეატრი თქვენთვის, ალბათ, სახლივით არის, ამდენი ხანია იქ ხართ, იქ მოღვაწეობთ... ამ შენობაში კი, ალბათ, განსხვავებული აურა დაგხვდათ, შეგუება რთული იყო?

- ახალგაზრდა კაცი, როცა ცოლს მოიყვანს, სახლიდან მიდის, წესი არის ასეთი... სულ ხომ არ ვიქნები თეატრში, ბოლოს და ბოლოს, რაღაც ხომ უნდა დამთავრდეს, ნორმალურია ყველაფერი... რუსთაველის თეატრთან დაკავშირებით დიდი ტკივილი ნამდვილად არ მიგრძნია. მე, უბრალოდ, ვიგრძენი, რომ ძალიან უსამართლოდ მომექცნენ. ეს უკვე სხვა საკითხია, მაგრამ საქართველოში ვის არ მოექცნენ, უსამართლოდ?! ნორმალურ ხალხს ყველას უსამართლოდ მოექცნენ...

- უკვე გაჯდა ამ შენობაში თეატრის სული?

- როგორც ამბობენ, თეატრი მაშინ იქმნება, როცა მაყურებელი შემოდის და ის ხდება მთავარი მსაჯული ამა თუ იმ თეატრის მოვლენისა, ვნახოთ.

- ქართველი მაყურებელი როგორ მიიღებს ამ სპექტაკლს?

- არ ვიცი, იმიტომ რომ მთლად არა ვარ დარწმუნებული, რომ იციან რა არის ოპერა. მუსიკა დაავიწყდათ. ბოლო წლების მანძილზე კულტურა ცოტა არ იყოს დაეცა...

- როგორც მახსოვს, გეგმაში ვეფხისტყაოსანიც გქონდათ, ახლა რა ხდება ამ მხრივ, ისევ გეგმაშია?

- ისეთი შეხლა-შემოხლა გადავიარეთ, რომ... არადა, მაშინ ჯერ კიდევ ვიყავი ნორმალურ მდგომარეობაში, ასაკის მხრივაც, ეს 10 წლის წინ იყო... ფული ვერ ვიშოვეთ, მე კი შემეძლო ღარიბი თეატრის ხერხებით დამედგა ვეფხისტყაოსანი, მაგრამ იქ ისეთი პერსონაჟები არიან, რომ ასე ვერ გავაკეთებდი... მათხოვრულად რომ გამოიყურებოდნენ ვეფხისტყაოსნის გმირები, არა მგონია ის არსი გამოხატოს, რომელიც დიდმა პოეტმა ამ თავის ნაწარმოებში ჩადო, ფული კი, ვერ ვიშოვეთ...

- აქ, ამ თეატრში, მარტო თქვენ იქნებით, თუ სხვა რეჟისორებსაც მიეცემათ საშუალება იმუშაონ?

- სხვა, ახალგაზრდა რეჟისორებიც დადგამენ. ჩაფიქრებულია, აქ იყოს კულტურული ცენტრი. შესანიშნავი საგამოფენო დარბაზებია, გვინდოდა პატარა კინოთეატრიც გაგვეხსნა, სადაც მხოლოდ კლასიკა და შედევრები იქნებოდა. ეს შეიძლება მერე გაკეთდეს. აქ შეიძლება კონცერტებიც ჩაატარო, ახალგაზრდა კომპოზიტორებისა და შემსრულებლების, ძალიან კარგი აკუსტიკაა, ბევრი რამ შეიძლება გაკეთდეს აქ ახალგაზრდებისთვის...

მარია კალასს მსახიობი ლელა ალიბეგაშვილი განასახიერებს, დათო დარჩია აკომპანიატორსა და ონასისს. სპექტაკლში აგრეთვე ახალგაზრდა მსახიობები მონაწილეობენ, რომლებიც სტუდენტებს თამაშობენ. სპექტაკლს ჰყავს მოწვეული პროფესიონალი მომღერალი, ტენორი არჩილ გოგიტიძე...

„აღმოჩნდა, რომ ამ გენიალურ ქალსაც ჰყავს მტრები. მისი კოლეგები, რომლებიც თითქოს არც კი ამჟღავნებენ შურს, მაგრამ ხელს უშლიდნენ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ა კალასი ახალ თეატრში

„დიდი ტკივილი ნამდვილად არ მიგრძნია. მე, უბრალოდ, ვიგრძენი, რომ ძალიან უსამართლოდ მოექცნენ. ეს უკვე სხვა საკითხია... მაგრამ საქართველოში ვის არ მოექცნენ უსამართლოდ?!“



„ბატონმა ბიძინამ ხელი გამოიწოდა იმ ძველ ჟამს, როცა მე თეატრიდან გამაგდეს“

exclusive

„თუ შენ რაღაც საქმეს სერიოზულად ეწევი, უსათუოდ სჭირდება მსხვერპლი შენგან. ისე თამაშით არაფერი გამოდის“

არჩილ გოგიტიძე: „რთული იყო ჩემთვის, რომ ასეთი სახის სპექტაკლში მიმეღო მონაწილეობა. ამას თეატრალურ ინსტიტუტში წლების განმავლობაში სწავლობენ, მერე ზოგს გამოსდის, ზოგს არა. მე კი პირდაპირ მოვედი. დიდ მადლობას ვუხდი, პირველ რიგში, რეჟისორს რობერტ სტურუას, იმიტომ რომ ისეთი რაღაცები გაკეთდა, რომ გითხრათ, როგორ მასწავლა... ვერ გეტყვით. მადლობას ვუხდი ქალბატონ ლელა ალიბეგაშვილს, რომელთან მუშაობაც ბედნიერებაა. გარდა იმ გამოცდილებისა, რომელიც სცენაზე მისგან, როგორც ხელოვანმა მივიღე, ადამიანურადაც ძალიან ბევრი რამე ვისწავლე მისგან... ის სიღრმეები რაც გააჩნია“...

დათო დარჩია: - თეატრში მაყურებელი ორივე მხრიდან ზის, ამას ხომ უნდოდა შეგუება, მსახიობს ზურგი თუ არა აქვს, რთულია... არ გაძლევს იმის საშუალებას, რომ მოდუნდე, როლში ბოლომდე ხარ ჩართული... მსახიობებს ამის გამოცდილება ნაკლებად აქვთ...

ლელა ალიბეგაშვილი: -რობერტ სტურუასთან მუშაობა მსოფლიოს ნებისმიერი უბრწყინვალესი მსახიობისთვის ზეიმია. ჩვენ კი განებივრებულები ვართ მასთან მუშაობით. მარია კალასი, მოგეხსენებათ, ეს არის უდიდესი შემოქმედი და მასზე სპექტაკლს დგამს ასეთივე დონის უდიდესი რეჟისორი, რობერტ სტურუა... წარმოიდგინეთ, როგორი ზეიმი იქნებოდა ეს რეპეტიციები...

- წინასაპრემიერო განწყობა როგორია?

- ვღელავთ, ვინც არ ღელავს, უნდა დაიხუროს ქუდი და თეატრიდან წავიდეს...

- რამდენად რთული იყო ამ როლზე მუშაობა და რამდენ ხანს მიმდინარეობდა რეპეტიციები?

- ამას ზუსტად ვერ გეტყვით, რადგან ჩვენ ვწყვეტდით რეპეტიციებს. თქვენ იცით, როდესაც ბატონი რობერტი ქვეყნიდან წასული იყო, არა თავისი ნებით, მას მოსკოვში კალიაგინის თეატრმა გაუღო კარი და სიყვარულით მიიღო. ამიტომ ჯერჯერობით ასე ვერ მიატოვებს იმ თეატრს, უხდებოდა მოსკოვში ჩასვლა, ჩვენ ამ დროს ვწყვეტდით რეპეტიციებს, ამიტომ, რომ შევკრიბოთ, ძალიან ცოტა ხანი გამოდის. როლზე მუშაობის პროცესი კი ძალიან საინტერესო იყო, რადგან ეს არის განუმეორებელი ქალი და ურთულესი პიროვნება თავისი ავ-კარგით...

მარია კალასი XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი საოპერო მომღერალი

ის იყო განუმეორებელი და ღვთიური მოვლენა მუსიკის სამყაროში, თუმცა უიღბლო პირად ცხოვრებაში... ამიტომაც უწოდეს, ალბათ, ოპერის უიღბლო ქალღმერთი... ამ უნივერსალურ მომღერალზე „ნიუ-იორკ თაიმსი“ წერდა - „ოთხი ხმა ერთ ყელში“...

ჰერბერტ ფონ კარაიანისა და ლეონარდ ბერსტაინის, ლუკინო ვისკონტისა და ფრანკო ძეფირელის გამოჩენის შემდეგ, ყოველი სპექტაკლი მარია კალასის მონაწილეობით, მოვლენად იქცეოდა ხოლმე. მან ოპერა ნამდვილ დრამატულ თეატრად აქცია... თუმცა კალასის თითოეული გამოჩენა სცენაზე ნამდვილი ბრძოლა იყო მასსა და მეტოქეებს შორის. მომღერალს ყოველ ჯერზე უწევდა იმის მტკიცება, რომ იგი საუკეთესო იყო თავისი ეპოქის მომღერლებს შორის. ზოგს მისი შურდა, ზოგსაც მისი ხმა არ მოსწონდა, მაგრამ ერთ ფაქტს ვერავინ გაექცეოდა: ის, რასაც კალასი აკეთებდა, მათთვის შეუძლებელი და მიუწვდომელი იყო...

მაგრამ წლების შემდეგ ონასისთან უიღბლო სიყვარულს პროფესიული წარუმატებლობაც დაერთო - მომღერალმა ხმა დაკარგა... ამ ყოველივეს დეპრესია მოჰყვა... ონასისის გარდაცვალების შემდეგ კი მომღერალს აღმოხდა: „უკვე არაფერს აღარა აქვს აზრი“...

პარიზში, საკუთარ ბინაში გამოკეტილი კალასი არავის ეკონტაქტებოდა... მთელი დღეები მხოლოდ თავის ძველ ჩანაწერებს უსმენდა, მოთქვამდა, მოგონებებით ცხოვრობდა და სიკვდილს ნატრობდა... გარდაიცვალა 53 წლის ასაკში... პარიზში, სრულიად მარტო, ყველასგან მივიწყებული.... ანდერძის თანახმად, მარია კალასის ფერფლი,ეგეოსის ზღვას მიაბარეს...

კალასის თითოეული გამოჩენა სცენაზე ნამდვილი ბრძოლა იყო მასსა და მეტოქეებს შორის... ზოგს მისი შურდა, ზოგსაც მისი ხმა არ მოსწონდა, მაგრამ ერთ ფაქტს ვერავინ გაექცეოდა: ის, რასაც კალასი აკეთებდა, მათთვის შეუძლებელი და მიუწვდომელი იყო...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სანდრო კაკულია - „ყარაბახიდა

my View
თამარ გონგაძე

სანდრო კაკულიას თავისი პიესებით ვიცნობ. დაახლოებით ექვსი წლის წინ მისმა პიესამ „მატარებელი“ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. დღეს, თუ გინდა ყველა მაშინვე მიხვდეს, ვისზე საუბრობ, „სანდრექსა“ უნდა ახსენო. „ჩემი ცოლის დაქალების“ „სანდრექსა“ გოგონებში ისეთი პოპულარული ყოფილა, რომ თურმე მისთვის სიყვარულის ახსნისას, ცოლიანი კაცის სტატუსი არავის აბრკოლებს. სანდროს მეუღლე დოდო აბაშიძის შვილიშვილი - ნუცა აბაშიძე გახლავთ. წყვილს სამი წლის ელენე ჰყავს. სანდროს „კინოკარიერა“ ამ სერიალით არ დაწყებულა. ის „გასეირნება ყარაბახის“ სამივე სეზონში ეპიზოდურ როლს ასრულებს. იქაც სანდრიკაა. აქტიური კაკულია დროდადრო მენეჯერული საქმიანობით არის დაკავებული. ამჯერად დიდ საერთაშორისო საქველმოქმედო მარათონში ჩართო საქართველო. ფონდ -Global Charity Trust-ის ელჩი გავხდი საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაშიო, მომწერა. 29 ივნისს კი მსოფლიოს 120 ქალაქთან ერთად საქველმოქმედო ღონისძიება სახელწოდებით Global Party თბილისში, კონკრეტულად კი „ბუდა ბარში“ ჩატარდა. ლოკალურ საქველმოქმედო ორგანიზაციად არჩეულ იქნა „დიტო ცინცაძის სახელობის ფონდი“, რომლის გარშემოც ერთიანდებიან ცნობილი ჟურნალისტები, რათა ლეიკემიით დაავადებული ბავშვების სიცოცხლე გადაარჩინონ. მარათონი ლონდონის სასტუმრო „სავოიში“ დაიწყო და ლოს ანჯელესში დასრულდა. ანუ საქველმოქმედო პროექტმა 27-დან 29 ივნისის ჩათვლით მსოფლიოს 360 გრადუსით დაარტყა წრე და წელს ამ წრეში საქართველოც მოხვდა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ - თბილისის ბიგ ბენდი, ნაციონალური ანსამბლი „სუხიშვილები“, მარჯანიშვილის თეატრალური დასი და ცნობილი ქართველი მომღერლები. სტუმრებს შორის იყვნენ: დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, დეპუტატები, მინისტრთა კაბინეტი, საზოგადოების ცნობილი სახეები. 300-მა სტუმარმა საღამოზე შემოწირულობა გაიღო. შესულ თანხას „დიტო ცინცაძის სახელობის ფონდი“ ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს თვითონ გადაუნაწილებს.

ქველმოქმედება

„თვე-ნახევარის წინ შემომთვაზეს ამ საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის ელჩობა. Global Charity Trust-ი წელინადში ერთხელ მართავს საქველმოქმედო ღონისძიებას. თბილისი წელს პირველად შეუერთდა 120 ქალაქს და ეს მარათონი პირველად გაიმართა თბილისში. უკვე ბევრი დამიკავშირდა და ამიერიდან სხვა დაავადების მქონე ბავშვებსაც გვინდა მივხედოთ.

მე მოვინახულე ლეიკემიით დაავადებული პატარები. ამ ბავშვებთან სიარულს ვერასდროს შევეშვები. გკოცნიან, გეფერებიან. რატომღაც ადამიანებს ჰგონიათ, რომ დაავადებულ ბავშვებთან მისვლა ტრაგიზმია. აბსოლუტურად არა. მთავარია ერთხელ მიხვიდე, რომ აღმოაჩინო რა სილაღეა მათთან. იქიდან გამოსული ბრწყინავ. ხვდები, რომ ხანდახან ფულზე, საჭმელსა და ტანსაცმელზე ძვირფასი ამ ბავშვების თანადგომაა“.

ბავშვობა - წარმოსახვა

თავისი მდიდარი წარმოსახვის ნიჭს მხატვარ დედას უმადლის. „ოჯახში სულ ქალები იყვნენ, სანამ ჩემი ძმა გაჩნდებოდა. ამიტომ ჩემზე იყვნენ კონცენტრირებულნი. გემრიელად მახსენდება ბაზალეთის და კეჩხობის სანატორიუმები. მახსოვს, სასაუზმეების სუნი, ფარდები, ბილიკები, სანატორიუმების ოთახები... იმ დროის ნოსტალგია მაქვს. დედა ზოდიაქოს ნიშნით კირჩხიბია

იაშკასთან ერთად

„რომ არა „ყარაბახი“, ვერც „იაშკას“ გავიცნობდი, ვერც კინოს გემოს გავიგებდი. ჩემთვის არ იქნებოდა არც მეორე და არც მესამე „ყარაბახი“. როცა „კორო“ და „იაშკა“ ცოცხლები აღარ არიან, ახლა ორმაგად ამაყი ვარ, რომ მათთან ვმეგობროობდი“

და ძალიან მგრძნობიარეა. თან მხატვარია და კარგი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს. ძილის წინ ისეთ სამყაროს მიქმნიდა, რომ ერთი სული მქონდა დავეძინებინე. გადასაფარებელი აკვარიუმივით იყო, გადამაფარებდა და მავიწყებდა ყოფითს. ზღაპრებს იგონებდა, ერთად ვმოგზაურობდით აფრიკაში... უშუქობის პერიოდებში დედა მამოგზაურებდა. ახლა უკვე ჩემს შვილს, სამი წლის ელენეს, მე ვუქმნი ასეთ მიკროსამყაროს. კარადაში ჩაკეტვა უყვარს, ჩურჩულით ლაპარაკი, თვალებზე ხელის დაფარება, ვითომ სიბნელეშია. კი უყვარს „სამი გოჭი“, მაგრამ ვცდილობ არ მოვუყვე ნაბეჭდი ზღაპრები. ჩემი გამოგონილი ზღაპარი უყვარს. როცა მე ვაძინებ, ვუყვები და ვიცი, რა მომენტზე ეძინება. არარეალურ ჯადოსნურ ტყეში კეთილ ფერიებთან და ცხოველებთან ერთად ცხოვრობს ძალიან ლამაზი კეთილი და მომხიბვლელი პრინცესა ელენა-მეთქი, ვიწყებ თხრობას... თვითონ თავს აიგივებს ამ პრინცესა ელენასთან. ჩემი შვილი ვერ იგებს, რატომ ღამდება და რატომ თენდება. შოკშია, დღე რომ იყო, რატომ დაღამდაო, კითხულობს. ამიტომ ამ ზღაპრით ვუყვები - ნელ-ნელა დაღამდა, ელენა და ცხოველები გაერთნენ თამაშში. ამ დროს ცაზე ამოვიდა დიდი, ყვითელი და ლამაზი მთვარე. მე ვგიჟდები მთვარეზე, ძალიან დამოკიდებული ვარ ამ პლანეტაზე, საათობით ვუყურებ და ვშტერდები. დიდ ენერგიას მაძლევს. ვცდილობ, ელენასაც შევაყვარო. და ზღაპარი გრძელდება - მთვარემ რომ დაინახა პრინცესას და ფერიებს არ სძინავთ, ციდან დაიძახა - პრინცესა ელენა, ახლა უკვე ღამეა, დახუჭე თვალები და დაიძინე. მერე ამ ფრაზას ყველა ცხოველს უმეორებს. ამ მონოტონურ ტექსტზე ეძინება ჩემს ელენასაც. ჩემი მესაიდუმლეა. ხანდახან ისეთ თემებზე ვესაუბრები, დიდს რომ უნდა მოუყვე. შეიძლება ზოგჯერ ვერ იგებს, მაგრამ მჭირდება ისეთი ვინმე, ვისაც ვეტყვი. მინდა 22 წლის რომ იქნება, ჩემი მაგარი მეგობარი იყოს...“

„ქაოტური და გიჟური ცხოვრების პატრონი ვარ“

იურიდიულზე ჩაბარება ძალიან არ უნდოდა. არც ის ახსოვს, გადაწყვეტილება ოჯახთან ერთად მიიღო თუ მარტომ. ფაქტია, იურიდიულ ფაკულტეტზე აღმოჩნდა. ორი წელი დავისტრესეო, ამბობს. „უცებ ჟურნალ „ცხელ შოკოლადში“ დავიწყე ნერა. ბევრი რამ ერთად მომინდა და ამ დროს სხვა გარემოში მოვხვდი - იურიდიული ჩემთან არაფერში ჯდებოდა. მეც ავდექი და ჩემში გამოვიწვიე უნარი, მესწავლა, რომ ყველა გამოცდილება, კარგი გამოცდილებაა. ცხოვრებაში იქნება სხვადასხვანაირი ეტაპები და თუ ამ ეტაპებმა გაგსტრესა, დაიღუპები... ზოდიაქოთი თევზები ვარ, რომელიც იდეაში დეპრესიული ნიშანია. თუ დინებას მიყვება, ის თევზი იხრჩობა და იკარგება. არის მეორე თევზი, რომელიც თუ კალმახივით დინების საწინააღმდეგოდ იწყებს ცურვას, გადარჩება. ბევრ რამეში სუსტი ვიყავი, მაგრამ მივხვდი, რომ თუ დინებას გავყვებოდი, ჩანჩქერში ჩავვარდებოდი. დავიწყე ბრძოლა, ეს კი იმაში გამოიხატა, რომ ბოლო კურსებზე იურიდიულის შეყვარება დავიწყე. ასე ძალით შევიყვარე

„სანდრექსა“

იურისპრუდენცია. ზუსტად ამ დროს ჩემს ცხოვრებაში ჟურნალი „ცხელი შოკოლადის“ პერიოდი დაიწყო და ამით დასრულდა ჩემი იურისტობა. მწერალი ანა კორძაია-სამადაშვილი ჩემი ნათესავია და იცოდა, რომ 13 წლიდან მოყოლებული ვწერ. კითხულობდა ჩემს პიესებს, მოთხრობებს. სასაცილო მოთხრობა მქონდა სერიებად და ანას მოსწონდა. ერთხელ მითხრა, „ცხელ შოკოლადში“ წავუკითხე და მოეწონათო. ამ მოთხრობის გამოქვეყნების შემდეგ რედაქტორმა წერის გაგრძელება მთხოვა. ერთი წლის განმავლობაში ვიყავი ამ ჟურნალის ავტორი, ვწერდი ესეებს, სტატიებს, ადამიანებზე ისტორიებს“.

მერე იყო უკრაინულ კომპანიასთან თანამშრომლობა. სანდრო მარკეტინგში ჩაება. უცებ გახდა რადიო „ცხელი შოკოლადის“ დირექტორი. აღმოჩნდა სარეკლამო სფეროში. იყო გაყიდვების მენეჯერი. გამოწვევების და გარდასახვების პერიოდები ჰქონდა. ამის პარალელურად სულ წერდა. აქტიურად მონაწილეობდა თეატრების კონკურსებში, საჯარო კითხვაში. „ქაოტური და გიჟური ცხოვრების პატრონი ვარ. 24 წლის რომ ვიყავი, ჩემს თავს დავუსვი საკითხი - 30 წლამდე ცხოვრებისგან ყველა გამოცდილებასა და გამოწვევას მივიღებ-მეთქი. 30 წელი ჩემი დედლაინია. დედლაინამდე ორი წელი მაქვს დარჩენილი... 30-ის მერე სხვა დიდი პერიოდი დაიწყება ჩემს ცხოვრებაში. შეიძლება ეს იყოს ბოლო ტრანსფორმაციის პერიოდი. შეიძლება უცებ გადავწყვიტო და კონფლიქტოლოგიასა და საერთაშორისო ურთიერთობებზე ვისწავლო.

- ბოლო „ყარაბახში“ შენი ვითომ პროფესიაც კონფლიქტოლოგია არ არის?

- ხო, თუ დააკვირდები, ბევრი ნიშნებია... მე ვაქცევ ყურადღებას. შემთხვევით არაფერი ხდება. მაქვს საშინლად განვითარებული ინტუიცია. მე ჩემი ცხოვრების წინასწარმეტყველი ვარ. ყველაფერი ვიცი, რა მოხდება. 21 წლის რომ ვიყავი, ვიცოდი 28 წლის ასაკში ასეთი საზოგადოებრივი სტატუსი რომ მექნებოდა. ვიცოდი, რა ადგილი მექნებოდა. ამის გამო ცხოვრება მიადვილდება. რაღაცებს ამის მიხედვით ვგეგმავ და წინასწარ ვთვლი ხოლმე. თუმცა არც ჩემს ცხოვრებაშია ყველაფერი იდ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნ“ „ჩემი ცოლის დაქალებამდე“

ელენემ მამა დაკარგა

„ხანდახან მინდა, სახლიდან სიგარეტზე მოუწესრიგებელი გამოვიდე, მეცვას სახლის, სადღაც გახეული მაისური. მაგრამ უკვე მერიდება, ათასი თვალი მიყურებს. წავედი სიგარეტზე-მეთქი, ვამბობ და გამოწყობილი ჩავდივარ“

„როცა ავად ვარ, ძალიან მაგრად მივლის. მე არ შემიძლია ასეთი მოვლა. ნუცა თავს მევლება, შეუძლია არსად არ წავიდეს და 24 საათი ჩემს თავთან მჯდარმა გაატაროს“

EXCLUSIVE

ეალურად. ხანდახან ყურადღებას ვადუნებ, არ ვნინასწარმეტყველებ და როცა ასე ვიქცევი, ცუდად მიბრუნდება უკან. ისე დგება შედეგი, რომ მასზე ნაფიქრი არ მაქვს. ეს კი ცუდი პერიოდებია.

სიყვარული - ენერგიების გაცვლა

სანდრო და ნუცა 9 წელია ერთად არიან. ერთმანეთი სტუდენტობის პერიოდში გაიცნეს. ერთი იურიდიულზე სწავლობდა, მეორე – სოციოლოგიურზე. ერთხელ ქუჩაში ვიღაცამ სანდროს ზურგზე ხელი დაარტყა და მოაბრუნა. ნუცა შერჩა. „ნუცა აბაშიძე ვარ, ერთი სემესტრია გიყურებ, ძალიან მომწონხარ და რა გავაკეთო, მითხარიო“. მეც ძალიან მომწონხარ და რა მაგარია, რომ გამომეკიდე, შენი თავი აღმომაჩენინეო, -უთხრა ბიჭმა. 2007 წელს იქორწინეს.

„შემიძლია ეს ადამიანი დავისვა და დავუთმო მთელი ჩემი ენერგია, ჩემი სიტყვები. ყველა სიტყვას თავისი ძლიერი ენერგეტიკული ძალა აქვს. ჩემი სიყვარული ენერგიების გაცვლაა. როცა მიყვარს, ვაღებ ჩემს კარს და მას ჩემში ვუშვებ. ნუცას ჩემს ძალიან ძვირფას ენერგიას ვაძლევ.

ვუკითხავდი ჩემს ნაწერებს. მერე რაღაცები იცვლება. ეიფორია გადის. ძალიან მაგრად რომ მინდოდა მისთვის რამე წამეკითხა, ახლა აღარ მინდა. არც მას უნდა ძველებურად ძალიან რომ მომისმინოს.

ნუცამ ისეთი რაღაცები იცის ჩემზე და ისე კომფორტულად ვარ მასთან, რომ ჩემი თავი სხვა ადამიანთან ერთად დაბერებული, ვერც წარმოვიდგენია. სხვასთან ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყო და არ არსებობს! ძალიან მაგარი გოგოა. ბევრჯერ შემოვიდა ჩემ მდგომარეობაში. გვერდში დამიდგა. ჩვენ ურთიერთობაში იყო პრობლემები, რომელიც შეიძლება სხვა წყვილს ვერ გადაელახა. ვერც მე გადავლახავდი. ნუცამ კი ის მოახერხა, რომ მეც გადამალახვინა და თვითონაც გადაჭრა. მქონია საქმესთან დაკავშირებული პრობლემებიც, ისევ ნუცა ყოფილა მშველელი. როცა ავად ვარ, ძალიან მაგრად მივლის. მე არ შემიძლია ასეთი მოვლა. ნუცა თავს მევლება, შეუძლია არსად არ წავიდეს და 24 საათი ჩემს თავთან მჯდარმა გაატაროს. მზრუნველი და მაგარი ერთგულია“.

ამბობს, რომ ვერც კატოსნაირ გოგოს ავიტანდი სახლში და ვერც ისეთებს „ნაშობისკენ“ რომ იხრებიანო. „როცა ვხვდები, რომ ადამიანმა სარკესთან დიდი დრო გაატარა, მიწებებული ფრჩხილები და წამწამები აქვს, ჩემს თვალში ნადგურდება და როგორი ლამაზიც უნდა იყოს, არ ვაღიარებ. ადამიანი დროს გარეგნობაზე ზრუნვაში კი არ უნდა ხარჯავდეს, არამედ იმაზე, რაც უფრო ღირებულია ცხოვრებაში, ურთიერთობაში“.

„ყარაბახი“

კინოში კასტინგით მოხვდა. „ყარაბახის“ პროდიუსერი - ლევან კორინთელი - „კორო“ მაშინ გაიცნო. „პირველი „ყარაბახი“ ისევე მაგრად მახსენდება, როგორც „შოკოლადის“ პერიოდი. რა მაგარია ეგ ფილმი რომ გამახსენე! რომ არა „ყარაბახი“ დათო იაშვილს - „იაშკას“ ვერ გავიცნობდი და მერე ვერც „იაშკა“ითამაშებდა სარდაფში ჩემს პიესა „ფანჯარაში“. რაც მთავარია - ის ჩემი ცხოვრების მაგარი თანამგზავრი ვერ გახდებოდა. ვერ გავიგებდი კინოს გემოს, ვერც დაღლას და მერე ამ დაღლის შედეგს ეკრანზე. ჩემთვის არ იქნებოდა არც მეორე და არც მესამე „ყარაბახი“.

როცა „კორო“ და „იაშკა“ ცოცხლები აღარ არიან, ახლა ორმაგად ამაყი ვარ მათთან რომ ვმეგობრობდი. მაგარი რამეები დატოვეს. ხანდახან ეს სიშორეც მაგარია. მივდივარ „იაშკას“ საფლავზე და წერილს ვუტოვებ ხოლმე... ბოლო „ყარაბახის“ პრემიერის მერე წერილი დავუწერე და საფლავზე დავუტოვე. ვუყვებოდი პრემიერაზე ვიყავი და კარგად ჩაიარა-მეთქი. რომ წამოვედი, ვიგრძენი, რომ მაგარი კომუნიკაცია შედგა. ჩემთვის „იაშკა“ არ არის გარდაცვლილი“...

„სანდრექსა“

„ჩემი ცოლის დაქალებშიც“ ჩემი სახელი მქვია, ისევე როგორც „ყარაბახში“. ბუნებრივი ვარ, თამაში არც ვიცი. ახლა შეყვარებულის როლში როგორიც ვარ, ისეთი შეყვარებული ვარ ცხოვრებაშიც. გავიხსენე, როგორი ვიყავი შეყვარებულის ამპლუაში და „სანდრექსას“ როლსაც ისე ვთამაშობ“.

აღიარებს, რომ მოსწონს სერიალის მოტანილი პოპულარობა. ღია ვარ ურთიერთობებში და ბევრ ადამიანს ვიცნობო. სანდროსთან ფოტოებს იღებენ და „ფეისბუქზეც“ სასიყვარულო შეტყობინებებს უტოვებენ. „ხანდახან მინდა სახლიდან სიგარეტზე მოუწესრიგებელი გამოვიდე, მეცვას სახლის, სადღაც გახეული მაისური. მაგრამ უკვე მერიდება, ათასი თვალი მიყურებს. წავედი სიგარეტზე-მეთქი, ვამბობ და გამოწყობილი ჩავდივარ. ეს არის დისკომფორტი. გოგოები „ფეისბუქზე“ მწერენ - ძალიან მაგარი ხარ, ვგიჟდები შენზეო. ეკრანზე უყვარდებათ პერსონაჟი და ძალიან გასაგებია მათი დამოკიდებულებაც.

- და ნუცა?

- მეც ეჭვიანი ვარ და ისიც, თუმცა ცხრა წლის მერე აღარ გვაქვს ისეთი ურთიერთობა, რომ ნუცამ ასეთ ძალიან პატარა რამეზე იეჭვიანოს.

„ნუცამ ისეთი რაღაცები იცის ჩემზე და ისე კომფორტულად ვარ მასთან, რომ ჩემი თავი სხვა ადამიანთან ერთად დაბერებული, ვერც წარმოვიდგენია“

„გავიხსენე, როგორი ვიყავი შეყვარებულის ამპლუაში და „სანდრექსას“ როლსაც ისე ვთამაშობ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N26 (224) ორშაბათი 1 ივლისი 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

„ნუცამ ისეთი რაღაცეები იცის ჩემზე და ისე კომფორტულად ვარ მასთან, რომ ჩემი თავი სხვა ადამიანთან ერთად დაბერებული ვერც წარმომიდგენია“

სანდრო კაკულია - „ყარაბახიდან“ „ჩემი ცოლის დაქალებამდე“

„საქართველოს ვარსკვლავის“ ფინალი

გიორგი ხაბურზანია: „ეს სამეული წლევანდელი „საქართველოს ვარსკვლავის“ წარმატებული სეზონის სახეა“

exclusive

რობიკო სტურუა და მარია კალასი ახალ თეატრში



„დიდი ტკივილი ნამდვილად არ მიგრძნია. მე, უბრალოდ, ვიგრძენი, რომ ძალიან უსამართლოდ მომექცნენ. ეს უკვე სხვა საკითხია... მაგრამ საქართველოში ვის არ მოექცნენ უსამართლოდ?!“

„ბიძგი უწმინდესმა მომცა, ჩამოიტანე ნახატები და ჩამოდიო. დაცული ვარ, გამიხარდა“

exclusive

მხატვარი, რომელიც სამშობლოს 23 წლის შემდეგ დაუბრუნდა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება